ISSN 0132-6023

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

7

1991

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ცისკარი

საქართველოს
მწერალთა
კავშირის
ორგანო

7

ივლისი

1991

თბილისი

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა
„სამშობლო“. № 307. გამოცემის 34-ე წელი

# შინაარსი

## პოეზია და პროზა

3. თამაზ ჭილაძე — ლექსები
7. ზაზა ენუქიძე — დაუცველია და მეტად საშიში. რომანი. დასაწყისი.
49. შოთა ნიშნიანიძე — ვირის აპოლოგია. პოემა
62. რევაზ მიშველაძე — ორი ნოველა
73. ტაბუ მეხურიშვილი — ლექსები
75. აკაკი ჯორჯაძე — მამონას მონა. მოთხრობა. დასაწყისი
119. ვაჟა ხორნაული — ლექსები
123. თენგიზ კობერიძე — ლექსები
124. თამარ ბოლქვაძე — ლექსები

## ისტორიის თეთრი ფურცლები

127. ლევ ტროცკი — სტალინი. გაგრძელება. თარგმნეს ელზა მეტრეველმა და დავით მჭედლურმა

## ჩვენი მილოცვა

140. თამაზ ჭილაძე — 60

## წერილები

144. მიხეილ მახარაძე — მამულიშვილი
153. იური ზიცარი, თინა არაბული — ბასკთა სიმღერები

## რეცენზია

157. ილია რურუა — კარლო კობერიძის პროზა

მთავარი რედაქტორი
იორამ ქემერტელიძე

სარედაქციო კოლეგია:
გივი ალხაზიშვილი
თედო ბექიშვილი
(მთავარი რედაქტორის მოადგილე)
გივი გეგეჭკორი
დათო მაღრაძე
რევაზ მიშველაძე
გიგი ხულაკაური
მორის ფოცხიშვილი
ჯარჯი ფხოველი
ჯანსუღ ღვინჯილია
ნუგზარ შატაიძე
მანანა ჩიტიშვილი
მაყა ჩორდელი
(პასუხისმგებელი მდივანი)
ვახტანგ ხარჩილავა
მირონ ხერგიანი
ტარიელ ჭანტურია
მაკა ჯოხაძე

მორიგე რედაქტორი
ნანა ჯაფარიძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# თამაზ ჭილაძე

## ფოთოლცვენა

როცა გონების გულს
შეგიცვლის გულის გონება,
როცა სიმღერა გსურს,
მაგრამ კბილს აჭერ ენას,

აღარ გიტაცებს სულ
ისე, უმიზნოდ ფრენა —
ეს სიბრძნე ნუ გეგონება,
დამდგარა ფოთოლცვენა...

## ჭაღარავდება ბავშვის ოცნება

მე შევეჩვიე ამ სიმარტოვეს,
როგორც ცხოვრებას უგულო ქალთან,
თითქოს სიზმრების სახლი მათხოვეს,
გადამაფარეს სიზმრების კალთა.

ასე მგონია — ბავშვი ვბერდები,
ჭაღარავდება ბავშვის ოცნება...
მორიდებით და ჩუმი ვედრებით
ღმერთს ვთხოვ სიბერეს და...
გაცოცხლებას!..

## სიზმარი

ცაში მასაფლავებდნენ,
წვიმა ცრიდა, ციოდა,
ბედნიერი ვიყავი —
არაფერი მტკიოდა.

ცაში მასაფლავებდნენ,
ცის მტკვართან თუ რიონთან,
ბედნიერი ვიყავი —
შენი ხმა მომდიოდაა...

## პოეტი

დამჭკნარ ხელებით იფარავს სახეს
მზისგან, ქარისგან, უცხო თვალისგან...
დარაბას ხურავს, თამბაქოს ახვევს,

გადმობრუნებულ მაგიდის უჯრებს,
როგორც გაძარცულ ფიქრთა სიწყნარეს,
უცქერს შიშისგან დამუნჯებული...

●

ჩვენი გზები გაიყო
და ის გულისხეთქვანი
თუ სიზმარი არ იყო,
არ მგონია, ღმერთმანი.

ჩვენი გზები გაიყო,
მაინც მემახსოვრები,
რადგან, რაც დრომ წაიღო
აზრი იყო ცხოვრების!..

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აპრილი, 1989

თითქოს ქარი მაჩვენებს
ჩემივე ფიქრს დაზაფრულს
და ეშმაკის მარჯვენით
ყელგამოჭრილ გაზაფხულს.

გათავდა თუ კიდეა
ეს ცხოვრება ვერაგი?..
მზის ეკლებზე კიდია
ზამთრის თეთრი პერანგი...

## შუაღამისას

შუაღამისას ილვიძებს თითქოს
დავიწყებული ყველა წუხილი,
მოჭიდებული ცასა და მინდორს
რკინის ფიქრებით, ვით მარწუხებით.

შუაღამისას უხმოდ და ნელა
ცოცხლდება ძველი ფიქრი და დარდი,
ქრება ქალაქი და ქვებზე ელავს
მდინარის გრძელი, მკივანა ლანდი...

## კარუსელი

როგორ გავძლო, როგორ
ამ სიზმრების ამარა!..
განა მერცხლის კამარას
ჩამოჰკიდებ ბოქლომს?
განა გაგამდიდრებს
შემოდგომის ოქრო?

როგორ გავძლო, როგორ
ამ სიზმრების ამარა!..

ამ დასაქცევ ამინდს
მოდი — გაუძელი!..
ბაღში ცარიელი
ბრუნავს კარუსელი...

## წმინდა კვამლი

ცივია თოვლი, მდუმარეა თეთრი სიცივე,
შენი სამარის გახსენება გაგაყრიალებს,
მიდიხარ თოვლში და ეკლიან ფიქრს ვერ იცილებ,
თოვლი შრიალებს, უსაშველო თოვლი შრიალებს.

ბარდნის და ბარდნის... თოვლი ნელა ავსებს სიჩუმეს,
იპარავს მიწას — იმედივით ნაზარდს და მოვლილს,
შენგან წასულებს, დაკარგულებს და გამიჯნულებს
გახსენებს თითქოს და მწუხარედ შრიალებს თოვლი.

ბარდნის და ბარდნის... ვით უეცრად გაწყვეტილ ბორანს
მისდევ შენს ფიქრებს, სხვის მაგივრად კრთი და კანკალებ...
თოვს და გგონია — თეთრი კვამლით სამყარო ბოლავს
და წმინდა კვამლში წინ წასულთა ეძებ ნაკვალევს...

●

სიზმრის ველზე თეთრად
კარტოფილი ყვავის,
დაბაჯბაჯებს კენტად
სამასი წლის ყვავი.

მოდის, მოდის, მოდის
სევდის თეთრი წვიმა.

როდის იყო, როდის?
სამასი წლის წინათ!

დამთრგუნველი ცრემლთა
ცრემლი გამიყავი...
სიზმრის ველზე თეთრად
კარტოფილი ყვავის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მე გაზაფხული ვიგრძენ წუხელის —
გაკრთა ჯერ კიდევ გაუმდნარ თოვლზე,
დღეს კი გაავსო ჭექა-ქუხილით
საყვირი,
სტამბა,
რადიო,
მორზე.
გამიხსნა მკერდი შიგ ჩარჩენილ
თოვლის ნამქერებს მზე წაუკიდა
და შემომბლავლა ოქროს ბუკებით
იმ დავიწყებულ სიჭაბუკიდან...

●

უეცრად ქარმა
მთვლემარე ყანა
ყაყაჩოებით ააყაყანა.
ისევ მომინდა შენი დანახვა,
ბავშვივით, შენი ხელში აყვანა...

●

მოვიდა წვიმა, წვიმა შიშველი
და უცაბედი, ვით ფათერაკი,
მერე მთაწმინდის ნაზმა ნუშებმა
წვიმას ჩააცვეს თეთრი პერანგი.
როგორც მოხნული, სველი მინდორი,
ცა აჭრიალებს ღრუბლების ურმებს...
და აი, მეც მაქვს ის, რაც მინდოდა,
აი, რა ცოტა მინდოდა თურმე...

## ნოემბრის მზე

არ მავიწყდება შენი სიცილი —
უღონო,
ჩუმი,
შუქგამოცლილი,
ვით გაელვება ნოემბრის მზისა...

ხმელი ფოთოლი ეფინა ირგვლივ
და ქოლგის ქოხში შეხიზნული მოხუცი
ქალიც
მიფარფატებდა, როგორც ფოთოლი...
ჭადრების მწკრივი,
სანთელივით ჩამოღვენთილი,
თითქოს რაღაცას ელოდა ჩუმად...
ვით გაელვება ნოემბრის მზისა...

## სადგური

ჩანს ქერის ყანაში
ქოხივით ჩადგმული
პატარა სადგური...
აქ ღამით ხმაურით,
მტვრევით და გრიალით
მატარებელი გაივლის ხანდახან...

ველები, ველები,
ტრიალი, ტრიალი...
ამდენხანს სადა ხარ?
ამდენხანს სადა სარ?..

## და აი ახლაც

და აი ახლაც, ისეც და ისევ,
მიიპარება მაისი ჩუმად,
თვალს მოაშორებ წამით და ცისკენ
გაიშრიალებს ლურჯ აბრეშუმად.
ასე თავდება ახლაც მაისი —
გულმავიწყობის, სიზმრების ჟამი,
თითქოს მწყურვალეს ღვინით გაგივსეს,
შენ კი ხელებში ჩაგიტყდა ჯამი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ხანდახან გინდა
წახვიდე სადმე
და მარტო დარჩე,
თითქოს ისედაც მარტო არ ხარ!..

სადმე ზღვის პირას,
უდაბნოში,
უცხო ქალაქში...

ზიხარ სასტუმროს ბნელ ოთახში
და ერთადერთი
ნივთი,
რომელსაც სიბნელეში თვალს ვერ
აშორებ —
ტელეფონია...

## სიზმარი

თეთრი ღრუბელი... თეთრი ხე...
თეთრი სამრეკლო...
ჩუმად!..
კარი ჭრიალებს...
გაიღვიძებს?..
თეთრი მიწა... თეთრი სარკმელი...
მივედით!
ვერ ვხედავ...
აგე!..
თეთრი ხელები... თაბაშირი... თვალები...
ვხედავ!
ჩუმად!
განა სძინავს?...
კარი ჭრიალებს...
თეთრი სამრეკლო... თეთრი ხე...
თეთრი ღრუბელი....

## სიბერე

ხელში მეჭირა ჯოხი დაღრღნილი
და, ფეხშიშველი, ღორღიან გზაზე
მივაბიჯებდი მგზავრი დაღლილი,
იდუმალების სიამით სავსე.
ისევ ველტოდი იმ ძველ ზმანებებს,
სველი ღრუბელი მკერდზე მეკვროდა
და ძაღლებივით ავი ზარები
ყეფით მომდევდნენ თეთრ სამრეკლოდან...

●

იქნებ მოძებნოთ და გააღოთ
დახშული კარი
ჩემი სახლისა,
თვალი მოავლოთ
უფანჯრო ოთახს
და ჰკითხოთ, ჰკითხოთ
ცემენტის ჭერს,
ცემენტის კედელს
ჩემი ამბავი.

და იქნებ გითხრან,
როდის გავჩნდი ამ ქვეყანაზე,
ან როდის მოვკვდი,
ანუ როდის გადავიქეცი
ცოცხალ კაციდან
ხმად,
ძახილად
თუ ამოკვნესად...

●

ზღვის სიფრიფანა, ცისფერ მინანქარს
ავგაროზივით ფრთხილად ვინახავ.

ეს მინანქარი ჩემი ფიქრია,
სანთელივით რომ ჩამომიქნია.

აი, შიშველი, თეთრი ლოდები —
სასოწარკვეთის და შეშფოთების.

აი, შუადღე, ტალღების რული,
ვით ზღვის ვარსკვლავი, სილაში—გული!

რა დაუნდობლად წასულან დღენი...
ქვას ეფერება დამჭკნარი ხელი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზაზა ენუქიძე

# დაუცველია და მეტად საშიში

## რომანი

1.

**მე არ მეძინა...**

**თვალები დახუჭული მქონდა და ძილ-ღვიძილის სამანზე მყოფს, შემეძლო დამენახა ყველაფერი, რაც ჩემს ირგვლივ ხდებოდა. ხოლო ის, რაც ჩემს ირგვლივ ხდებოდა, მიუხედავად იმისა, რომ ძალზე წააგავდა მოჩვენებას, მოჩვენება სულაც არ იყო.**

**ვხედავდი, როგორ შემოალაჯა სანახევროდ ბნელ დერეფანში ვიღაცის ვეება ლანდმა, იარაღის საცავთან, ტაბურეტზე მთვლემარე მორიგე სერჟანტს ფრთხილად აუარა გვერდი, ვიწრო გასასვლელში ფეხაკრეფით ჩამოიარა და და პირდაპირ ჩემი საწოლის წინ შედგა...**

●

— პოდ-ტიანისს!!! — ისმის საიდანღაც, პრაპორშჩიკ ლაკიზას ჩახლეჩილი, ნამთვრალევი ხმა.

ჯერ კიდევ ბნელა. შოსეს გაყოლებაზე, ყოველი ორმოცდაათი მეტრის დაშორებით, ნისლში ამოზრდილი შუქურებივით ციმციმებენ ელექტროფარნები. გზა სველია; წუხელ მთელი ღამე გადაუღებლივ წვიმდა. ახლა ოდნავღა ჟინჟღლავს. ქრის ცივი, ძლიერი ქარი, მაგრამ მის სუსხს ჩემი ჯარისკაცური სხეული ველარ აღიქვამს. ალაგ-ალაგ ვერცხლისფრად ლაპლაპებს წყლის მოზრდილი გუბეები.

— რაზ!.. დვა!.. ტრი!.. რაზ!.. დვა!.. ტრი!.. პოდ-ტიანისსს!..

დივიზიონის შიშველი, ოფლისაგან მბზინვარე სხეული შეჭედილი ჩექმების მძიმე, მონოტონური ბრახაბრუხით ზიგზაგისებურად მიიკლაკნება წინ.

პირი მიშრება, ვცდილობ, როგორმე ცხვირით ვისუნთქო. ორადორი კილომეტრიღა მიშლის ხელს, მაგრამ გზის გაყოლებაზე გაკეთებული აღნიშვნები მიმანიშნებს, რომ სულ ცოტაც და, კიდევ ერთ მარშ-გადარბენას მოეღება ბოლო.

— პოდ-ტიანისს! — ცოფებს ყრის პრაპორშჩიკი, — ვაშუ ბოგო მატ! — ამატებს მერე და კიდევ უფრო ეხლიჩება ხმა სიბრაზისაგან. ეტყობა, წუხელ რამდენიმე ჭიქით გადააჭარბა ჩვეულ ნორმას.

— ისევ ჩამორჩნენ ძაღლის ლეკვები!.. ნაწყვეტ-ნაწყვეტ ისვრის წინა რიგებიდან ეფრეიტორი ზიმა, — მაინც რომ აღარ ჩაძაღლდნენ... ახლა, მაგათ გამო, წყეული პრაპორშჩიკი კვლავ უკან დაგვაბრუნებს.

არავინ ეპასუხება; ბოლო მონაკვეთიღა დარჩა გადასარბენი და ყველა გულმოდგინედ უფრთხილდება თავისი ენერგიის უკანასკნელ ნარჩენებს.

— ლევიტ, შჩენოკ!.. ტი უ მენია პაპალზიოშ ვ აშკო სეგოდნია ჟე... ჩევოტებია ნაზად ტიანეტ, ა, სუკა... იაიცი აპუხლი, ჩტოლი... გნიდა! — სისინებს პრაპორშჩიკი ლაკიზა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ისევ ეს ძაღლის გაგდებული ლევიტი! — ქოშინებს ეფრეიტორი ზიმა, — სიკვდილიც კი ცოტაა მაგისათვის... ჰმ, პირუტყვი!

— მოკეტე, ზიმა! — მკაცრად უღრენს უმცროსი სერჟანტი კოჩურენკო.

ზიმა წამშივე „კეტავს“.

— ამაევ! ბაბკაუსკას! — ღრიალებს პრაპორშჩიკი.

რიგითები, ამაევი და ბაბკაუსკასი, მწყობრიდან განზე გარბიან.

წინ, ყაზარმების მიღმა, ნაცრისფრად იცრიცება რიჟრაჟი... აღარ ბზინავენ ჯარისკაცთა შიშველი, ოფლით დაცვარული სხეულები; ისინიც, გარემოსთან ერთად, თანდათან ნაცრისფერდებიან.

უკანასკნელი კილომეტრი!..

ტუჩებს ვილოკავ. სიმღაშე ენას მიწვავს. ზიზღით ვიპურჭყები განზე და თვალებს ვხუჭავ... ფეხები თავისით, ჩემდა უნებურად მირბიან. წუთით მეჩვენება, რომ უკვე შეუძლებელია მათი შეჩერება.

— სამასი მეტრიც და! — კოჩურენკოს ხმა იმედით მავსებს.

ძალების საოცარ მოზღვავებას ვგრძნობ; არასოდეს ასეთი მსუბუქი არ მჩვენებია ჯარისკაცური ჩექმები; თითქოს ფრთები გამომესხა.

— დივიზიონ, ნაბიჯით!.. — ლაკიზა განგებ აჭიანურებს. მწყობრი ჯერ კიდევ მირბის; კარგა ხანია, ჯარისკაცები მშვენივრად იცნობენ პრაპორშჩიკ ლაკიზას ეშმაკურ ოინებს. დივიზიონი მოთმინებით ელოდება მის ბოლო სიტყვას.

— იარ! — სჭრის უეცრად იგი.

დივიზიონი ერთბაშად ეშვება და ნელ მარშზე გადადის. იწყება სუნთქვითი ვარჯიშები...

— ჰმ, ისევ შენ, ლევიტ... მუდამ შენ, ლევიტ!.. ღორო! — თავს იქნევს პრაპორშჩიკი და ზიზღით აპურჭყებს სველ ქვიშაზე. ვხედავ, როგორ მოჰყავთ ამაევსა და ბაბკაუსკასს რიგითი ლევიტი, — კი არ მოჰყავთ, აქეთ-იქით ამოსდგომიან და საცოდავად მოათრევენ...

●

უკვე მეორე თვე იწურებოდა, რაც დივიზიონი რაღაც ბუნდოვანისა და გაუთვითცნობიერებელის მოლოდინით ცხოვრობდა... მას მერე, რაც ბოლო პარტიით უკანასკნელმა „დემბილმა“[1] — ალექსეევმაც მოუსვა, ყაზარმა თითქოს ფარულმა მოუთმენლობამ და დაძაბულობამ შეიპყრო.

რიგითი ალექსეევი მხოლოდ იმის გამო შემორჩა ასე ხანგრძლივად, რომ თავისი სამსახურის უკანასკნელ პერიოდში, დივიზიონის პოლიტხელის, — მაიორ კრასნიუკის თქმისა არ იყოს, — „ძალზე გათავხედდა“. მაიორთან ერთადერთი და ბოლო უთანხმოების დროს, აქამდე მორჩილმა ჯარისკაცმა თავი ვერ მოთოკა და დივიზიონის იდეოლოგიური ქურუმი დიდის ამბით გაგზავნა მეტად არასახარბიელო ადგილზე. მაიორი თვინიერი ბუნებისა იყო, იშვიათად მოსდიოდა უთანხმოება ჯარისკაცებთან, მაგრამ თუკი ვინმეს მიმართ რაიმე წყენას ჩაიდებდა გულში, მანამ არ მოისვენებდა, სანამ სამაგიეროს ათმაგად არ მიუზღავდა. საერთოდ კი, „მოხუცებთან“ და „დემბილებთან“ ყოველგვარი პრობლემის მოსაგვარებლად მშვიდობიან გზებს არჩევდა ხოლმე, ბუნებით ვერ იტანდა რაიმე ძალადობას, მაგრამ ალექსეევთან მან, რატომღაც, უკან არ დაიხია. არ დაიხია, რადგან ამ „ინდურმა საბრძოლო სპილომ“[2] საერთოდ დაკარგა სინდისი და მაღალი ჩინის ოფიცერი მთელი პირადი შემადგენლობის თვალწინ სიტყვიერად შეურაცხყო, აქ კი თავად პოლიტხელმაც დიდი უტაქტობა გამოიჩინა, რა თქმა უნდა. თავხედ ჯარისკაცებს აქამდე შავი ჭირივით უფრთხოდა მაიორი, იშვიათად თუ მისცემდა შენიშვნებს, ამჯობინებდა, ისინი თავისი ხელქვეითი ოფიცრის ხელით დაესაჯა, მაგრამ ჩანს, ამ საოცრად ფრთხილმა და გაიძვერა ოფიცერმაც ვერ შეძლო ჯა-

---

[1] დემობილიზებული ჯარისკაცი.

[2] ერთგვარი მიმართვა ჯარისკაცისადმი ოფიცერთა მხრიდან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისკაცის საოცრად რთული ბუნების ბოლომდე შეფასება; ნათქვამია: „ცხვარი ცხვარია და თუ გაცხარდა ცხარეაო“, მაგრამ ალექსეევი და შფოთისთავი? — ეს არათუ პოლიტხელის, არამედ მთელი დივიზიონის წარმოდგენებშიც კი შეუთავსებელი რამ იყო აქამდე.

ალექსეევმა მოსვლის პირველი დღეებიდანვე საოცრად თვინიერად დაიწყო და მთელი სამსახურიც ისე გალია, რომ უბრალო შეკამათებაც არ მოსვლია, ოფიცრებთან ან ჯარისკაცებთან. როცა „დემბილმა“ მოაღწია, იგი თავგამოდებით ცდილობდა, როგორმე პირველ პარტიაში მოხვედრილიყო; „დემბილსკი ოკლადიც“ პირველმა მოამთავრა. დღე-ღამეს ასწორებდა და რამდენიმე დღეში თავისი თვითმავალი საარტილერიო მოწყობილობა ახალს დაამსგავსა: შეაკეთა, დაზიანებული ნაწილები შეუცვალა, მუხლუხები დაჭიმა, ერთიანად გადაღება და სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოიყვანა.

იმ საღამოს დივიზიონში წესრიგისათვის პასუხისმგებელი მაიორი კრასნიუკი იყო. მთელი ყაზარმა პოლიტხელის მორიგეობას ისე ელოდა, როგორც წარღვნას. ვახშმობის დროს რომ მოაღწია, მაიორმა პირადი შემადგენლობა სასადილოში წასასვლელად გაამზადა. ყაზარმის წინ, პლაცზე, სამრიგად მოაწყო და მწყობრი სიმღერით დასძრა. არ ვიცი, რა ეშმაკი შეუჯდა ალექსეევს ზუსტად მაშინ; მან არც აცია, არც აცხელა და სასადილომდე მისვლა დივიზიონის გარეშე გადაწყვიტა, მაშინ, როდესაც ყველა ჯარისკაცი, მათ შორის, რამდენიმე თავზეხელაღებული „დემბილიც“, მწყობრში იდგა და ჩექმების ასფალტზე თავდაუზოგავი ხათქუნითა და არმიული სიმღერის ხმის ჩახლეჩამდე ღრიალით მიაბიჯებდა, ალექსეევი შეუმჩნევლად ჩამორჩა დივიზიონის სამოცდაათკაციან შემადგენლობას და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი, სამ ღილზე ჩახსნილი გიმნასტურითა და გვერდზე დაუდევრად მოქცეული პილოტურით მოშორებით აგვედევნა.

— სდექ! — გასცა ბრძანება პოლიტხელმა.

დივიზიონი უეცრად დადუმდა და ერთ ადგილზე გაიყინა.

— შემოუერთდით მწყობრს, რიგითო ალექსეევ! — მშვიდად, თითქმის მამაშვილურად მიმართა კრასნიუკმა ჯარისკაცს, ვინც პოლიტხელს შორიდან მაინც იცნობდა, დანამდვილებით იცოდა, რომ სწორედ ეს მამაშვილური კილო იყო უსიამოვნების მომტანი და ავისმომასწავებელი.

— რატომ? — ჯიუტი გულუბრყვილებით იკითხა „დემბილმა“, — ფარასთან აღარაფერი მაქვს საერთო... მე ჩემი კიდეც გავიარე და კიდეც დავამღერე.

— შემოუერთდით მწყობრს, ამხანაგო რიგითო ალექსეევ! — ზუსტად ისევე დაუყვავა მაიორმა. საერთოდ, ოფიცერთა უმრავლესობა, „ამხანაგოს“ მაშინ ხმარობს, როდესაც რომელიმე ჯარისკაცის საქციელით უკიდურესად გაღიზიანებულია და მის მიმართ რაიმე ბოროტება, ან მზაკვრობა აქვს ჩაფიქრებული.

— არავითარ შემთხვევაში! — ჯიუტად მოსჭრა ალექსეევმა.

— იქნებ კეთილი ინებო და ამიხსნა, რატომ? — კრასნიუკი მთლად შაქარივით დადნა.

— არ არის მიღებული და მორჩა! — გაღიზიანება დაეტყო ჯარისკაცს.

როგორ თუ მიღებული არ არის?!. წესდებაში ამაზე სპეციალური მუხლიც კია... ვატყობ, ნაადრევად დაგვიწყნია, რიგითო ალექსეევ, ჯარისკაცის მოვალეობანი... რა გაეწყობა, მოგიწევს ღამღამობით წამეცადინება.

— ტყუილად გგონიათ, — ნერვიულად გაიცინა ალექსეევმა.

— მე ყოველთვის დარწმუნებული ვარ იმაში, რასაც ვამბობ, ამხანაგო ჯარისკაცო. ვფიქრობ, შენ საკმაოდ დიდი დრო გქონდა საიმისოდ, რათა ახლოს გაგეცნო მაიორი კრასნიუკი, — ფარულ მუქარაზე გადავიდა პოლიტხელი.

— ნუ მაშინებთ, ღვთის გულისათვის, — ჩაიცინა ცალყბად ალექსეევმა. გარე-

გნულად მას შიშისა მართლა არაფერი ეტყობოდა.

— მე არ გაშინებთ, უფრო ზუსტად, თქვენი შეშინება აზრადაც არ მომსვლია... უბრალოდ, გიბრძანებთ, მწყობრს დაუბრუნდეთ!.. იქნებ და, არა მაქვს უფლება, გიბრძანოთ?!

— „დემბილისათვის“ არ არის მიღებული მწყობრში დგომა და ეს თქვენც მშვენივრად იცით, ამხანაგო მაიორო... ჩამომეხსენით! ამიერიდან ველარასოდეს დამაყენებთ მწყობრში. წაასხით თქვენი ფარა, — ალექსეევმა თავი ჩვენკენ გადმოაქნია. — დაე, მოსძოვონ... მათ ისედაც დიდხანს მოუწევთ ამ ყაზარმის ბინძური კედლების ხეხვა, — ალექსეევმა ყაზარმისაკენ გადააპურჭყა.

გაკვირვებისაგან პირი დავაღე; ნუთუ ეს მართლა ალექსეევი იყო?.. ის საოცრად თვინიერი, მუდამ ზრდილობიანი, ყველას მიმართ თანაგრძნობითა და პატივისცემით გამსჭვალული ჯარისკაცი?.. ეშმაკმა დალახვროს! რას არ შეესწრება აქ ადამიანი.

— ამხანაგო რიგითო ალექსეევ, მე გიბრძანებთ, დაბრუნდეთ მწყობრში, — კრასნიუკის მორიგ ოფიციალურ მიმართვაში გაიჟღერა იმ ავისმომასწავებელმა სიმმა, რომლის შემდეგ, იგი, ჩვეულებრივ, კარგავდა გონებას და იქცეოდა მრისხანებისაგან ცოფმორეულ, გავეშებულ მხეცად. საერთოდ, არსად ადამიანი ისე არ ავლენს მასში ფარულად მთვლემარე მხეცურ ბუნებას, როგორც აქ, არმიაში.

— მე კი მიმიფურთხებია, რას მიბრძანებთ თქვენ, — ალექსეევმა ახლა პირდაპირ ჩექმებთან დაუფურთხა პოლიტხელს.

მწყობრს ელდისმაგვარმა თრთოლამ გადაუარა. ყველანი შფოთის წინა აზარტით იყვნენ შეპყრობილნი და ინტერესით მოელოდნენ, რას მოიმოქმედებდა ამისდა საპასუხოდ მაიორი. მან კი არც აცია, არც აცხელა, სწრაფად წადგა რამდენიმე ნაბიჯი წინ, ალექსეევი ქამრით დაითრია და რაც შეეძლო, ნჯღრევა დაუწყო.

— სკატინა! სკატინა! — უთავბოლოდ იმეორებდა რისხვისაგან შეშლილი მაიორი და სასაცილოდ ებღლარძუნებოდა ალექსეევს, — ია ზადუშუ ტებია, სვოლოჩ!..

ალექსეევს სიცილი აუვარდა. აქა-იქ მწყობრშიც დაიფხუკუნეს. ფხუკუნს მერე უკმაყოფილო შეძახილებიც მოჰყვა. ეს იყო მართლაც „გათავხედებული სპილოს“ მოქმედება. „დემბილმა“ მშვენივრად იცოდა, რომ პოლიტხელი კრასნიუკი არაფრისდიდებით არ მიმართავდა ძალადობის უფრო უხეშ ფორმებს მთელი პირადი შემადგენლობის თვალწინ და მისი უმწეობა სიამოვნებას ჰგვრიდა. სიამოვნებას გვგვრიდა მაიორის აშკარა მარცხი ჩვენც.

ბოლოს, როდესაც ჯარისკაცს მოსწყინდა ოფიცრის უთავბოლო, ისტერიული ლანძღვა, შეუმჩნევლად შეიხსნა ქამარი. კრასნიუკმა წონასწორობა დაკარგა და ცოტაღა დარჩა, ასფალტზე რომ გაშხლართულიყო.

— და პაშლი ვი ნა... ტავარიშჩ მაიორ! — ეს ისეთი ღვარძლით, ისეთი სიძულვილითა და ზიზღით წარმოთქვა ალექსეევმა, რომ მწყობრში ყველა უნებურად შეკრთა.

უსიამოვნო ცერემონიალისაგან თავდახსნილმა ჯარისკაცმა ამის მერე ზურგი შეგვაქცია, ჩქარი ნაბიჯებით გასწია ყაზარმისაკენ სადარბაზოს ყვითლად შეღებილი კარი წიხლის კვრით შეაღო და ბნელში გაუჩინარდა...

2.

**...არა, ეს ნამდვილად არ იყო მოჩვენება. არ იყო, თუნდაც იმიტომ, რომ მე არა მარტო ვხედავდი, არამედ მთელი სიცხადით აღვიქვამდი მის სიახლოვეს. ვიგრძენი, როგორ გადმოიხარა ზამბარასავით დაჭიმული მძლავრი სხეულით ჩემკენ და სახე ახლოს მომიტანა. მერე მძიმე, ხროტინისმაგვარი სუნთქვაც შემომესმა და მისმა მყრალმა ამონასუნთქმა სული შემიგუბა. ტანზე ეკლოვანმა, ჟრუოლისმაგვარმა ბუსუსებმა გამომა-**

ეროვნული ბიბლიოთეკა

**ყარა და ისეთი შეგრძნება დამეუფლა, თითქოს თავდასხმისათვის შემართული ქვეწარმავლის პირისპირ უიარაღოდ ვმდგარიყავი. თუმცა კი ამ განცდას არაფერი საერთო არ ჰქონდა შიშთან, რადგან, როგორც მოგვიანებით მივხვდი, მთელი ეს დრო თურმე ქვეშეუცნობლად ველოდი მას. ლოდინი განურჩევლად ისრუტავს თავის თავში ყველაფერს, მათ შორის შიშსაც... შიშის მაგიერ მე ვიგრძენი მსუბუქი ელდა, რომელიც მერე აუტანელმა ზიზღმა და, მასთან ერთად, ცოტაოდენმა უბადრუკმა შვებამ შეცვალა... შვებამ, აღძრულმა ჩემში იმის გამო, რომ როგორც იქნა, ამ მტანჯველ ლოდინსაც ბოლო მოეღო...**

●

როგორც კი ალექსეევის წელში მოხრილი სხეულის კონტურები ბნელმა სადარბაზომ ჩანთქა, მაიორმა კრასნიუკმა, საკუთარი ღირსების შეგრძნებით, ორივე ხელით გაისწორა ვეება, სპეციალურ ატელიეში შეკვეთით დამზადებული „ფურაჟკა" და მორიგი განკარგულება გასცა მთელი დივიზიონის მისამართით.

— შაგომ მარშ!.

მწყობრმა, როგორც ერთმა, ზედიზედ სამი მკვეთრი სამწყობრო ნაბიჯი გადადგა და მერე ჩვეულებრივ, თავისუფალ მარშზე გადავიდა.

— ზაპეე-ვაი! — რა დააყოვნა პოლიტხელმა.

დივიზიონის წუთის უკან მკაცრი წესრიგით შეკრული მწყობრი უეცრად დაემსგავსა უმართავ ბრბოს. აქა-იქ გაისმა კანტიკუნტი ამობღავლება, შეყვირება, ჩუმი ქირქილი...

— ატსტავიტ! — გრგვინავს მაიორი კრასნიუკი. — სტოი!.. კრუუ-გომ!.. შაგომ მარშ!.

დივიზიონი მოსხლეტით იყინება ერთ ადგილზე, მერე ბრუნდება და უკან, ყაზარმებისაკენ მიდის, — მიდის საწყის მდგომარეობამდე, მაიორის ახალი ბრძანებით ჩერდება და ზურგისაკენ ტრიალდება.

— ასეე!.. ვისაც სიმღერა არ სურს, გამოდის, რომ მაძღარია... მათ შეუძლიათ ყაზარმაში დაბრუნდნენ, — ხელებს იფშვნეტს მაიორი კრასნიუკი და მწყობრის წინ საზეიმო გამომეტყველებით დააბიჯებს.

დივიზიონი არ ინძრევა, არავინ აპირებს უვახშმოდ დარჩენას.

— მაშ ასე... ჩანს, რომ ყველას შია. სიმღერა კი არ გსურთ, რატომღაც; ასე არაფერი გამოვა, ძვირფასო ამხანაგებო, — ხმას უწვრილებს პოლიტხელი. —გაძლევთ კიდევ ერთ შანსს... არ იმღერებთ, — თქვენ თავს დააბრალეთ... მოგიწევთ პოლკის ნარჩენებზე გადავლა, როგორც დამშეულ ვირთხებს...

მე მეზიზღება ამ წუთში ყველაფერი ჩემს ირგვლივ; მეზიზღება ეს ღორულად თვითკმაყოფილი სიფათი მაიორ კრასნიუკისა და უდიდესი სურვილი მიპყრობს; გამოვარდე მწყობრიდან და კატასავით მივახრჩო იგი.

— რავნიაის! სმირნო! შაგომ მარშ!..

მაიორის მორიგ ბრძანებაზე დივიზიონი იმასვე იმეორებს, რასაც რამდენიმე წუთის უკან; იგი ისევ დოლზე თავშეყრილ ბრბოს ემსგავსება... ღმუის, გაჰკივის, გაჰყვირის, ქირქილებს, შიგადაშიგ ბილწსიტყვაობს; ერთი სიტყვით, ყველა როგორღაც ცდილობს თავისი განსაკუთრებული წვლილი შეიტანოს ამ საერთო ორომტრიალში.

პოლიტხელი კვლავ საწყის მდგომარეობაში აბრუნებს დივიზიონს. პირადი შემადგენლობა უხალისოდ ემორჩილება. იგი კბილებით იცავს თავის ღირსებას. კრასნიუკი რამდენჯერმე აძლევს „უკანასკნელ შანსს" დივიზიონს, რათა იმღეროს და თანდათან აღწევს სასურველ შედეგს. ესაა ფარული, მაგრამ მძვინვარე ბრძოლა მაღალჩინიან ოფიცერსა და მთელ პირად შემადგენლობას შორის. ესაა ბრძოლა წოდებასა და უუფლებო ბრბოს შორის. დივიზიონმა წინდაწინ იცის, რომ ეს ბრძოლა კი არ უნდა წააგოს, არამედ ოფლისა და ტან-

ჯვის ფასად მოპოვებული გამარჯვება უნდა დათმოს. და იგი კიდეც დათმობს მას, რადგან მეტისმეტად მომნუსხველია მშიერი კუჭით ვახშამზე ფიქრი. უზნეობაა, მაგრამ ფაქტია, რომ მშიერ ჯარისკაცს შესაძლებელია ბევრი რამ გააკეთებინო. იგი ამ დროს საოცრად ადვილად სამართავი ხდება; სწორედ ამიტომ გაეხსნა სიმღერით ტკბობის მადა მაიორ კრასნიუკსაც მაინცდამაინც ვახშმობის წინ.

კიდევ ერთი ცდაც და, დივიზიონი სამწყობრო მარშით, პლაცის გავლით, სასადილოსაკენ მიემართება. ბრძანებაზე — „იმღერეთ!“ — სერჟიუკი წკრიალა, გამყივანი ხმით იწყებს სიმღერას. საერთოდ, ყაზარმული სიმღერების მთელი ღირსება იმაში მდგომარეობს, რომ იგი შესრულებული უნდა იქნას რაც შეიძლება ხმამაღლა, ლამის ხმის ჩახლეჩამდე. სერჟიუკი ერთი ამოსუნთქვით მღერის მთელ სტროფს და ის-ისაა ხმა უნდა ჩაუწყდეს, რომ დივიზიონის აბსოლუტური უმრავლესობა ყურისწამღები ღრიალით იწყებს მისამღერს:

„რასია!.. მილაია მაია რასია!..“

თვალი გამირბის მაიორ კრასნიუკის აჭარხლებული სახისაკენ. იგი, ოდნავ შესამჩნევი ღიმილით, კმაყოფილი მოჰყვება მწყობრს. უეცრად რაღაც აკრთობს, ნაბიჯს უჩქარებს, მწყობრს წინ უსწრებს, ფინია ძაღლივით უვლის გვერდს და უკვე მეორე მხარეს გველოდება.

— რიგითო ბაბკაუსკას, რაღაც შენი ხმა არ ისმის! — მრისხანედ ეუბნება მაიორი ჩემს გვერდით ტერფების თავგამოდებული ხათქუნით მომავალ ბაბკაუსკასს.

ბაბკაუსკასი დუმილს ამჯობინებს. ნირშეუცვლელად, ფეხაწყობით მიაბიჯებს მწყობრში.

— სდექ! — გაჰყვირის პოლიტხელი. იგი თავის სტიქიაშია. როგორც იქნა, დივიზიონი წელში მოხარა და ახლა ყოველნაირად ცდილობს კიდევ უფრო გააძლიეროს თავისი ძალაუფლება. მაინც, რა არის მშიერი ჯარისკაცი!.. შეუძლებელია, სასადილოდან ოც ნაბიჯზე მდგარი არ დაემორჩილოს განკარგულებას. მან უკვე იცნოსა სანუკვარი სუნელი ჯარისკაცური სალაფავისა. მისი ცარიელი კუჭი სანერწყვე ჯირკვლებიდან გამოყოფილი ნერწყვით ივსება და კატის კნუტივით იწყებს საცოდავ კრუტუნს... ჯარისკაცი მოტეხილია, უფლებააყრილი, თავმოყვარეობადაკარგული. საკმარისია, მაიორმა მოინდომოს და, მათი უმრავლესობა ფორთხვით ავა სასადილოს ბინძურ კიბეზე. არმიულ ყოფას აქვს ერთი მკაცრი ლოგიკური წესი: „ჯარისკაცი მშიერი უნდა გაიწვრთნას!“

— რატომ არ მღერი, რიგითო ბაბკაუსკას?!

— ტექსტი არ ვიცი, ამხანაგო მაიორო!

— თუ არ ვცდები, შენ უკვე წელიწადია, რაც დივიზიონში იმყოფები.

— ექვსი თვეა, ამხანაგო მაიორო, — უზუსტებს ბაბკაუსკასი. „ჩერპაკები“[1] აღტაცებულნი არიან მისი სიმშვიდითა და აუღელვებლობით. აი, ჯარისკაცი, რომელსაც ძალა შესწევს ამაღლდეს საკუთარ კუჭზე.

— ექვსი თვეც ყოვლად საკმარისია საამისოდ.

— ამხანაგო მაიორო, მე ძნელად ვითვისებ სიმღერის ტექსტს, — ირონიულად პასუხობს ბაბკაუსკასი.

— სიამოვნებით დაგეხმარები, რიგითო ბაბკაუსკას... ღამით გონება გაცილებით ადვილად ითვისებს ყოველგვარ ტექსტს, — სიტყვა „ყოველგვარი“ მაიორმა განსაკუთრებული ხაზგასმით წარმოთქვა.

— უარს არ ვიტყოდი, — იღიმის ჯარისკაცი.

— კეთილი... თუმცა მიმაჩნია, უკეთესი იქნებოდა, ჯერ ჰაუპტვახტში გაგევარჯიშებინა მეხსიერება, — სისინებს პოლიტხელი.

— თქვენი ნებაა, ამხანაგო მაიორო!

[1] ჯარისკაცი, რომელმაც იმსახურა ერთი წელიწადი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

კვლავ ნირშეუცვლელად პასუხობს ბაბკაუსკასი.

— რა გაეწყობა, — სიბრაზისაგან ხმა უკანკალებს ოფიცერს, — დასტოვეთ მწყობრი და ყაზარმაში დაბრუნდით. შეაგროვეთ პირადი ნივთები, ვეცდები, საღამოთი გაგასეირნოთ, — მაიორი ზურგს აქცევს ბაბკაუსკასს და მწყობრის სათავისაკენ მიდის.

— ამხანაგო მაიორო!... ამხანაგო მაიორო, — ისმის წინიდან ნაცნობი ხმა, — მიეცით ნება, მიიღოს ცხელი კერძი, ჰაუპტვახტში ასეთი რამ სანატრელია, — სასადილოს ასასვლელ კიბეზე მისი აღმატებულება — პოდპოლკოვნიკი ვალკალუპი დგას და სატანის ღიმილი უფერულ ბაგეებზე დასთამაშებს.

## ყაზარმის მკვიდრნი. ლევიტი

ძალადობისათვის შინაგანად მოუმზადებელი ადამიანი თითქმის ყოველთვის გაცილებით უფრო სუსტია, ვიდრე მოძალადე... ხოლო თუკი ეს მოძალადე კონკრეტული პირი კი არა, ის ურჩხულია, რომელსაც „საბჭოთა კავშირის შეიარაღებული ძალები“ ჰქვია, მის პირისპირ აღმოჩენილი პიროვნება წინასწარვე განწირულია დასამარცხებლად.

ვერაფრით დავიჯერებ, რომ რიგითი ლევიტი წინდაწინ ყოფილიყო ფსიქოლოგიურად განწყობილი არმიაში სამსახურისათვის, ან თუნდაც მცირეოდენი წარმოდგენა მაინც ჰქონოდა იმაზე, რაც მთელი თავისი სამსახურის მანძილზე ელოდა. დარწმუნებული ვარ, რომ მისი წინანდელი, ბავშვობისდროინდელი წარმოდენები არმიაზე არასოდეს გასცილებია რომელიმე, ჯარისკაცურ ცხოვრებაზე გადაღებული იდეოლოგიურ-პროპაგანდისტული ფილმის ნახვის შემდეგ მიღებულ მდარე, მშრალ და გულუბრყვილო შთაბეჭდილებებს...

ეს კიდევ არაფერი!.. გინდაც არმია ეკრანზე ენახა, შორიდან მისი გონება მაინც უძლური იქნებოდა სიღრმისეულად აღებეჭდა ყოველივე ის, რაც თავის საფუძველში ქმნის ამ ჯოჯოხეთურ სისტემას. ისეთებს, როგორიც ლევიტი იყო, ან ყოველთვის აკლიათ უნარი მოვლენების ღრმად წვდომისა, საგანთა დაფარული არსის ხილვის და შეცნობისა, ან საერთოდ არ გააჩნიათ იგი!..

აი, ვთქვათ, მან ნახა რომელიმე ზემონახსენები ხასიათის ფილმი; ნახა და მორჩა! — „ოჰო, რა რომანტიკულად გამოიყურება ყველაფერი!.. აი, თურმე რა საპატიოა იყო ჯარისკაცი, რომელსაც თავისი ქვეყნისა და ხალხის დაცვა ავალია!“ დიახ, დიახ, ქვეყნისა და ხალხის! მათ ხომ საოცრად უყვართ ხმაურიანი, მაღალფარდოვანი სიტყვები! ...„რა მშვენივრად ცხოვრობენ ჯარისკაცები!“ — განაგრძობს ლევიტი თავის თავთან შთაბეჭდილებების გაზიარებას. — კოხტად და სუფთად აცვიათ; სასადილოში, ორკესტრი უკრავს... ღმერთმანი, რა კარგად ჰკვებავენ!.. ყოველ კვირა დღეს, ზოგჯერ შაბათსაც, — ერთდღიანი შვებულება ქალაქში, საინტერესო ექსკურსიები... შეხე, შეხე, გოგონებიც როგორ ეხვევიან თავს, თითქოსდა მათ გარდა, აღარავინ არსებობდეს ქუჩაში... რა დაძაბული სასწავლო მეცადინეობები აქვთ?!. ფიზიკურ წრთობას კი, საერთოდ, ნუღარ იტყვი! ალბათ, გაგიჭირდება, მაგრამ არა უშავს, სამაგიეროდ ჯანმრთელობის საწინდარია, სხეულს აკაჟებს!.. რა სწრაფად გარბის დრო?!. იქნებ წამოსვლაც დაგენანოს; დაგენანება განშორება მშობლიურ ნაწილთან, თანამებრძოლებთან, ოფიცრებთან, ყაზარმასთან... თუმცა, ხომ შეიძლება, სამსახურის ვადის გათავების (არა, ლევიტი იტყოდა ასე: „ვალის მოხდის!“) შემდეგ, არმიაში ხელშეკრულებით დარჩენა... ვნახოთ, ყველაფერს დრო გვიჩვენებს!..“ და ლევიტი კმაყოფილია განცდილითა და ნანახით... მორჩა, მან ნახა და დ ა ი ჯ ე რ ა!!! დაიჯერა ის, რაც უჩვენეს. მეტი არც არაფერი უნდა.., წარმოუდგენელია, მან მოინდომოს გარკვევა, ყველაფერი ეს მართლა ასეა, თუ არა... არა, რაში სჭირდება!.. ოდნავადაც არ სურს იცოდეს, რომ ამის იქით არმიაში არის კიდევ რაღაც სულ სხვა, მის მიერ ნანახის თვისობრივად საწინა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალმდეგო ცხოვრებაც... ამის იქით არის სწორედ ის საშინელი და მგლური ყაზარმული ყოფა, რასაც სინამდვილეში ეწოდება ა რ მ ი ა!.. ამის იქით არის სწორედ ის უძილო ღამეები, რწყილებიან საწოლში გატანჯული სხეულების ბორგვა, ოფლისა და ჭუჭყისაგან გამურული თანამებრძოლების ნახევრად ველური სახეები... ჯარისკაცური სალაფავი, სიდამპლეშერეული კომბოსტოსაგან გაკეთებული წყალწყალა შჩი... ამის იქით არის სწორედ ის ექვსკილომეტრიანი მარშ-გადარბენები, დაძაბული საგუშაგო სამსახური, ჰაუპტვახტის ქლორით ამყაყებული, ბინძური კამერები და ბნელი, დახუთული, უჰაერო დერეფნები; ამის იქით არის „ლ ა ს ტ ო ჩ კ ა ზ ე“[1] დაკიდებული ურჩ, მაგრამ ჯერ კიდევ ღირსებაშენარჩუნებულ ჯარისკაცთა მოქანავე სხეულები... ამის იქით არის მუცელზე ხოხვა საწოლების ქვეშ, ნაგვიან იატაკზე, ვიღაც გაბოროტებული, გონებაშეშლილი თანატოლის, მაგრამ სამსახურისაგან ულმერთოდ დაბერებული „მოხუცის“ ახირებათა გამო... ამის იქით არის ჯაგრისითა და აქანდაზით ხელში ძილი ბინძურ, აყროლებულ ტუალეტებში... ამის იქით არის სწორედ ნერწყვში არეული სისხლის ჩუმ-ჩუმად ყლაპვა და ჩამსხვრეული კბილების ხელისგულზე გადათვლა... ამის იქით არის ადამიანური ღირსების დამამცირებელი, თავისი შინაარსით საზარელი და უსასტიკესი ყაზარმული სპექტაკლები: „დემბილის მატარებელი“[1], „დემბილის მოგზაურობა ჯუნგლებში“[2], „დემბილი პლაჟზე“[3], და ასობით კიდევ სხვა, რადგან ბოღმისა და ღვარძლისაგან შეშლილი ადამიანის ფანტაზიას არ შეიძლება ჰქონდეს დასაწყისი ან დასასრული... ამის იქით არის უცნაური დღესასწაულებიც, რის შესახებაც, შეუძლებელია მან წინასწარვე იცოდეს რაიმე, და რაც პირველ ხანებში სულაც არ იქნება მისთვის დღესასწაული; პირიქით, მთელი ამ წარმოდგენების სიმძიმე და საშინელება სწორედ მის საცოდავად მოხრილ ზურგზე გადაივლის!.. ეს იქნება მისთვის ბოღმით, ზიზღით, სიძულვილით გაჟღენთილი წუთები, რომლის მსგავსიც არ მოაკლდება არც „ნათლობის“[4], არც „სტოდნევკის“[5] და არც ფრიად საპატივისცემლო, გოროზ „მოხუცთა“ სახელოვან იუბილეთა აღნიშვნებისას... და კიდევ!.. რამდენი რამ არის ამის იქეთ!.. რამდენი ფურთხი, რამდენი დამცირება, გათელვა, სასოწარკვეთილება... რის შესახებაც, სულ მცირეოდენი წარმოდგენა რომ მაინც ჰქონდეს, წინასწარვე განიმსჭვალებოდა ბრძოლის ჟინით, მაგრამ... მაგრამ ლევიტს მიუფურთხებია ყველაფერ ამისათვის... არ უნდა იცოდეს და მორჩა!..

არ უნდა და არც შეუძლია!.. მას არ

---

[1] „ლასტოჩკა“ — ურჩი, წესდების დამრღვევი ჯარისკაცის დასჯის ამაზრზენი და უსასტიკესი ფორმა, რომელიც დღესაც ფართოდ გამოიყენება ქვეყნის ნებისმიერ ადგილზე დისლოცირებულ საბჭოთა არმიის სამხედრო ნაწილებსა და შენაერთებში. „ლასტოჩკას“ მიმართავენ ძირითადად ჰაუპტვახტებში, სადაც, ჩვეულებრივ, სრული განუკითხაობა და თავაშვებულობა სუფევს ჩინოსანთა მხრიდან.

დასჯის მიზნით „ლასტოჩკის“ გამოყენებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს საბჭოთა სინამდვილეში; როგორც ცნობილი რუსი მწერალი ალ. სოლჟენიცინი მოგვითხრობს თავის გახმაურებულ წიგნში „არხიპელაგი გულაგი“,— „ლასტოჩკას“ ხშირად მიმართავდნენ შინსახკომისა და ჩეკას საწამებელ კამერებში დატუსაღებულთა, განსაკუთრებით კი პოლიტპატიმართა „გამოსატეხად“.

„ლასტოჩკას“ არსი შემდეგში მდგომარეობს: ტუსაღს ზურგს უკან შეუკრავენ ჯერ ხელფეხს ცალ-ცალკე, შემდეგ ორივეს ერთად, და ჭერში, სპეციალური კაუჭით ჰორიზონტალურ მდგომარეობაში ჰკიდებენ. ასეთ ყოფაში ტუსაღი, ბუნებრივია, ხანგრძლივად ვერ გაძლებს, არაადამიანური ტკივილებისა და ტანჯვის გამო. ჩვეულებრივ, ჰაუპტვახტებში მას მიმართავენ, ვითომდაც ურჩი ჯარისკაცის „მოსარჯულებლად“, თანაც ხანმოკლე დროით, რადგან სიცოცხლისათვის ძალზე საშიშია. თუმცა, ყოფილა შემთხვევა, როცა მეთვალყურეს „ლასტოჩკაზე“ ჩამოკიდებული ჯარისკაცი გადავიწყებია, და კარგა ხნის მერე უგონო მდგომარეობაში, ან სულაც მკვდარი ჩამოუხსნიათ.

1, 2, 3, 4, 5 — აღწერილი იქნება ქვემოთ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუძლია, აღმოაჩინოს და დაინახოს ისეთი რამ, რაც თავად არ სურს. ლევიტისთანა ადამიანები მუდამ ყველაფრის გამართლებას ცდილობენ, რაც კი მათგან დამოუკიდებლად ხდება. ცდილობენ ყველაფერში დაინახონ ისეთი რამ, რაც მხოლოდ მათთვის შეიძლება იყოს სასარგებლო... არ არსებობს ძალა, რომელიც მათ აქცევთ ჯარისკაცებად, რადგან ისინი ამად არ დაბადებულან! ყველა როდი იბადება ჯარისკაცად, ან ყველა როდი შეიძლება აღზარდო მებრძოლად... მახსენდება ერთი მეტად უცნაური მომენტი ლევიტის პირადი სამსახურიდან.

ადრიან დილით მთელი დივიზიონი სასროლეთზე წაგვასხეს. ლევიტის თაობა პირველად იღებდა მონაწილეობას ამგვარ სავსელე მეცადინეობაში. მათ ჯერ ხელში ავტომატის ხეირიანად დაჭერაც კი არ შეეძლოთ, მაგრამ მიუხედავად ამისა, თითოეული მათგანის სახეზე აღბეჭდილი იყო დიდი სურვილი, გამოეცადა საკუთარი თავი. დარწმუნებული ვარ, უმრავლესობისათვის, ეს იქნებოდა იმ ბავშვობისდროინდელი ოცნების ახდენა, რომლის მსგავსიც, ალბათ, ყველა ჩვენგანს გასჩენია ადრეულ ასაკში. ყველა ბავშვი ხომ მეტ-ნაკლებად გატაცებულია „ომობანას" თამაშით და მერე, უკვე სიყმაწვილეში, ნამდვილი იარაღის ხელში აღება, აუცილებლად აღძრავს მათში რაღაც ღირსებით აღსავსე ყრუოლისმაგვარ განცდას...

ყველა ისინი ერთმწკრივად დააწყვეს მოკლე, დაბალი ტრიბუნისმაგვარი მაგიდის წინ, რომელზეც რამდენიმე ავტომატი და ვაზნებით სავსე ყუთი იდო. ოფიცერმა მოკლე ინსტრუქტაჟი ჩაატარა, მათ თვალწინ დაშალა დაააწყო ავტომატი, მერე ყვითელი სავაზნე კოლოფი თორმეტი საბრძოლო ვაზნით დატენა და სროლის წესების სრული დაცვით ესროლა სამიზნეს.

იმ მომენტში, როდესაც ოფიცერი მათ არმიული ტერმინოლოგიითა და მრავალსართულიანი რუსული „მამაპაპურით" უხვად შეზავებულ ინსტრუქტაჟს უკითხავდა, თითქმის ყველანი უდიდესი გულისყურით უსმენდნენ ოფიცერს და მოუთმენლობისაგან გასახედნი კვიცებივით ცმუკავდნენ. მხოლოდ ლევიტი, იყურებოდა უაზრო, არაფრისმთქმელი და ლამის სიბრიყვემდე მისული გულგრილი მზერით და მალიმალ ილოკავდა სიცხისაგან დახეთქილ ბაგეებს. იგი ამ წუთში არც საკუთარ თავთან იყო ვგონებ, სადღაც, ღრუბლებში დაფრინავდა ზღაპრულ რაშზე ამხედრებული. იქნებ საცოლესაკენ მიფრინავდა შორეულ ჩელიაბინსკში?!. ერთი რამ კი ცხადია, — მას არც ერთი სიტყვა არ გაუგონია ოფიცრის საკმაოდ გრძელი, ოდნავ მოსაწყენი მონოლოგიდან...

ახალბედები სამ-სამად გადიოდნენ, რადგან სანგრის მიწაყრილზე მხოლოდ სამი საბრძოლო ავტომატი იდო. ლევიტი, როგორც აღვნიშნე, ბოლოში იდგა და ისე მოხდა. რომ კენტად მოუწია გასვლამ.

— რიგითი ლევიტი! — გამოიძახა ოფიცერმა.

ლევიტს არ გაუგონია. ჩანდა, ჯერ კიდევ ვერ დაეღწია თავი მომხიბლავი მოგზაურობისათვის.

— რიგითი ლევიტი! — ხმას აუწია ოფიცერმა.

ვიღაცამ მუჯლუგუნი წაჰკრა.

— აქ ვარ! — დაიკნავლა ლევიტმა მწყობრიდან.

— თქვენ რა, დაყრუვდით?!. გამოდით, — ოფიცერმა თორმეტი ვაზნით გატენილი სავაზნე გაუწოდა.

ლევიტმა ჩამოართვა და ხელში შეატრიალა. თვალში მომხვდა მისი დაბნეული გამომეტყველება, ღია პირი და ლოყაზე ჩამოყონილი ოფლის წვეთები. იგი წელში მოხრილი წალასლასდა მიწაყრილისაკენ. რატომღაც მეგონა, რომ ლევიტი ვერაფრისდიდებით მიუგებდა სავაზნეს ავტომატს, მაგრამ ჩემდა გასაოცრად, პირველივე ცდაზე მიურგო, დამცავი ფეხი ჩასწია და ზანტად მოტრიალდა.

— დაწექი, კრეტინო! — უყვირა ოფიცერმა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევიტი ჩემგან გვერდშექცევით იდგა და ამიტომ არ შემეძლო დამენახა მისი სახე და გამომეტყველების მიხედვით გამერკვია, რას განიცდიდა იგი ამ წუთში.

— დაწექი, შენი ოხერი დედა! — ოფიცერმა დორბლები გადმოჰყარა, — შენ რა, ძაღლის ლეკვო, ჰკუიდან შეიშალე?!.

ლევიტი კიდევ უფრო გაიმართა წელში, შევამჩნიე, აცახცახებული თითებით რა გაფაციცებით დაეძებდა სასხლეტს და საშინელების მოლოდინით შეპყრობილმა, ნაწლავებში გველის ცივი სხეულის გასრიალება ვიგრძენი, ახალბედების მწკრივი გაუნძრევლად იდგა. ისინი სახეგაოგნებულნი შეჰყურებდნენ მათკენ მოშვერილი ავტომატის წვრილ, მბზინვარე ლულას და არათუ ნაბიჯის გადადგმას, სუნთქვასაც კი ვერ ბედავდნენ...

— ამხანაგო ჯარისკაცო... ამხანაგო ჯარისკაცო, რა მოგდით?.. ავად ხომ არა ხართ... დადეთ იარაღი! — გავიგონე ოფიცრის მუდარით აღსავსე ხმა, წამით კიდეც გაიელვა ჩემს ცნობიერებაში მისმა არაადამიანური შიშისაგან დაღრეჯილმა სახემ და იმწამსვე სიკვდილის მთესველი იარაღიც გაბმულად აყმუვლდა ლევიტის ხელში...

თვალი რომ გავახილე, ახალბედების მწკრივი ისევ ისე იდგა; ისევე გაოგნებული, შიშისაგან სასომიხდილი, ოფიცერი მათგან ოდნავ მოშორებით ცმუკავდა თავშიშველი და გაფითრებული, ეტყობოდა, ჯერ კიდევ ვერ მოსულიყო გონს.

არასოდეს დამავიწყდება ლევიტის სახე; იგი მუხლებით ჩამხობილიყო ქვიშაში და სახემოღრეცილი, ნაკვთებმოშლილი მომშტერებოდა... დიახ, ლევიტი პირდაპირ მე შემომყურებდა და მის თვალებში ვკითხულობდი არაადამიანურ ზიზღს, საოცარ შიშს ამ ზიზღისადმი და იმ წელანდელი გულგრილობის სულ მცირე, ოდნავ შესამჩნევ კვალსაც...

კარგა ხნის მერეც და ყოველთვის, როცა კი ლევიტის საქციელში გარკვევას ვლამობდი, კიდევ უფრო მიმტკიცდებოდა თავდაპირველი წარმოდგენა, რომ ყველა ადამიანი როდი იბადება ჯარისკაცად, ან ყველა როდი შეიძლება გაიწვრთნას არმიისათვისვარგის „საბრძოლო სპილოდ“.

ურყევად მჯეროდა, რომ როდესაც ახალბედები ლევიტის თვალწინ ავტომატიდან ისროდნენ, მას ჯერ კიდევ არ ჰქონდა გათვითცნობიერებული, რას სჩადიოდნენ ისინი... ნამდვილი საბრძოლო „აკმ“-ც[1] კი, სანამ თავად აიღებდა ხელში, ლევიტის წარმოდგენაში, იყო ის სათამაშო საგანი, რომელიც წინათაც, ბავშვობაშიც არაერთხელ სჭერია ხელში და *უსვრია*. აქამდე მას არ შეეძლო სცოდნოდა, უფრო ზუსტად, არ სურდა სცოდნოდა, რომ ეს სულაც არ არის სათამაშო საგანი, და რომ იგი სროლის *ილუზიას* კი არ ქმნის, არამედ ნამდვილად ისვრის, რომ ეს არის ეშმაკის მანქანა, რომელიც, აგრეთვე, *ნამდვილად* ჰკლავს და მისით მოკლული ადამიანი შეუძლებელია ადგეს ისე, როგორც დგებოდნენ სადღაც იქ, მის შორეულ ბავშვობაში ომობანას თამაშისას „მკვდარი“ თანატოლები... და როდესაც ამას ღრმად ჩასწვდა ლევიტის უმოძრაო, ილუზიების ფერად ბადეში გახვეული გონება, საკუთარმა აღმოჩენამ და სინამდვილესთან პირისპირ შეჯახებამ დათრგუნეს... იმდენად დიდი იყო მისი *გაოცება*, რომ ერთიანად დაიბნა, მოიშალა... ის შეზარა არა ავტომატის ცივ, მაცთუნებელ სასხლეტზე თითით შეხებამ, არამედ იმ მოულოდნელი ცვლილებისა და აღმოჩენების სიღრმემ, რომელიც მის სულში მოხდა საოცრად ხანმოკლე დროის მონაკვეთში.

ისეთ ადამიანებში, როგორიც ლევიტია, ძალზე დიდხანს ცოცხლობს ილუზია; მთელი მათი ყოფა ილუზიების, მოჩვენებითობის გაუწყვეტელი თამაშია ისინი ყოველნაირად ცდილობენ, გა-

[1] „აკმ“ — კალაშნიკოვის სისტემის ავტომატის ნაირსახეობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნზე გაუდგნენ სინამდვილეს, მაგრამ როგორც კი მას შეეჯახებიან, მყისვე ჩიხში ექცევიან და უეცრად ყ ვ ე ლ ა ზ ე დ ი დ ი რეალისტები ხდებიან... მათ ათ სჩვევიათ შინაგანი, მოსამზადებელი ეტაპების გავლა სინამდვილესთან შესაგუებლად, მის აღსაქმელად და გადასამუშავებლად; ისინი ჯიქურ აწყდებიან მას, სინამდვილეს, ისე რომ წინასწარ არასოდეს დაფიქრდებიან, რაზე მიდიან. ლევიტები თვალახვეულნი შედიან ჯოჯოხეთშიც და მხოლოდ აქ იგლეჯენ ერთი დაკვრით იმ შავ, გაუმჭვირვალ სახვევს თვალებიდან, აქამდე რომ ატარებდნენ. მათ, რატომღაც, არ აქვთ სურვილი თანდათან, ნელ-ნელა შეეგუონ არმიულ ყოფას. მათ სურთ პირდაპირ, მაინცდამაინც ერთი ფეხის დაკვრით ამოჰყონ მის შუაგულში თავი, აღწევენ კიდეც მიზანს, მაგრამ თითქმის ყოველთვის მეტისმეტად ძვირი უჯდებათ ეს ნაბიჯი... ისინი ბავშვის გულუბრყვილობით იცვამენ წყეულ ჯარისკაცურ ჩექმებს, მაგრამ ნამდვილი, სრულყოფილი ჯარისკაცები ვერასოდეს ხდებიან. ისინი ბრმა შემთხვევითობამ შეიძლება აქციოს მკვლელებადაც კი, — არავის ძალუძს წინდაწინ, უწყოდეს, რას უმზადებს ცბიერი ბედი. მაგრამ ესროლოს!.. მოკლას! სულაც არ ნიშნავს იმას, რომ ისინი უნაკლო ჯარისკაცებად აქციოს სისტემამ; ისეთებისათვის, როგორიც ლევიტია, ადამიანის მოკვლა არ წარმოადგენს სიძნელეს. შეხედავ, — გგონია, ჭიანჭველასაც კი არ გასრესს, მაგრამ უეცრად შეიძლება ისეთმა ჯოჯოხეთმა მოუაროს, რომ შემაძრწუნებელ ამბებს დაატრიალებს!.. ესეც, რა თქმა უნდა, მაშინ, როცა იგი არასასურველ სინამდვილეს შეეჯახება და არა ისე, როგორღაც, წინასწარი განზრახვით... სხვაგვარად, თუნდაც ომში, ის ვერ შეძლებს, ვერ გამონახავს საკუთარ არსებაში ძალას მანამ, სანამ მოწინააღმდეგე შიგ შუბლში არ ატაკებს ლულას, ან ამ ლულითვე თვალს არ წამოსთხრის... ოო, აი, მაშინ კი მოუვლის, იცოცხლე!...

3.

**ლოდინი განურჩევლად ისრუტავს თავის თავში ყველაფერს, მათ შორის შიშსაც... შიშის მაგიერ მე ვიგრძენი მსუბუქი ელდა, რომელიც მერე აუტანელმა ზიზღმა და, მასთან ერთად, ცოტაოდენმა უბადრუკმა შვებამ შეცვალა. შვებამ, აღძრულმა ჩემში იმით, რომ, როგორც იქნა ამ მტანჯველ ლოდინსაც ბოლო მოეღო...**

**ყაზარმა დუმდა...**

●

ალექსეევის დემობილიზაციის შემდეგ მთელი ყაზარმა რაღაც უცხო, ნერვიულმა მოუსვენრობამ შეიპყრო. არასოდეს უცხოვრია დივიზიონს ასეთი ცხოვრებით. დილა დილას აღარ ჰგავდა, საღამო-საღამოს, ჯარისკაცი კი ჯარისკაცს. არასოდეს „მოხუცები" ასე გულგრილად და მოწყალედ არ მოპყრობიან ახალბედებს. თითქოს ოფიცრებიც შეიცვალნენ, შედარებით გულმოწყალენი და მშვიდნი გახდნენ. დილაობით აღარ ისმოდა პრაპორშჩიკ ლაკიზის ყურისწამღები ღრიალი: „ბატარეია, პოდიომ!" რომელსაც, ჩვეულებრივ, მრავალსართულიან რუსულ მამაპაპურს მოაყოლებდა ხოლმე და პანტაპუნტით ისროდა ორსართულიან რკინის საწოლებზე ბელურებივით შეყუჟულ, განსაკუთრებით ზარმაც, ძილისგუდა ჯარისკაცებს... აღარ დარბოდა სამშაბათობით დივიზიონის პოლიტხელი, მაიორი კრასნიუკი, დროშის გადატეხილი ტარით ხელში და აღარ ერეკებოდა ყველას განურჩევლად ქუჩაში დილის სამწყობრო დათვალიერებისათვის და აღარ გვიწამლავდა წესდების გაუთავებელი ჩიჩინით ისედაც ათასგზის ნაკუწებად ქცეულ ნერვებს... აღარ მობრძანდებოდა მისი აღმატებულება — პოდპოლკოვნიკი ვალკალუპი, ჩვენი საარტილერიო დივიზიონის მეთაური, — გამთენიისას და აღარ მიგვერეკებოდა კინწისკვრით ექვსკილომეტრიან „გამამხნევებელ" მარშ-გადარბენებზე.

დივიზიონი ყოველგვარი ძალდატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნების გარეშე, საკუთარი სურვილითვე დგებოდა საწესდებო დროით, ასრულებდა დილის ვარჯიშს და სანამ პოლიტხელი. — „დივიზიონის ზემდეგად“ მონათლული მაიორი კრასნიუკი, ყაზარმაში შემოალაჯებდა დილის მომაბეზრებელი შემოწმებისათვის, იგი უკვე ორმწკრივად იყო მოწყობილი ყაზარმის დერეფანის მთელ სიგრძეზე.

დიახ, დივიზიონი ხებაყოფლობით აკეთებდა ამას, მაგრამ მის ყოველ მოქმედებაში, ყოველ მოძრაობაში იგრძნობოდა რაღაც ნერვიული რიტმი, რომელიც ძალუმად იკვეთებოდა ყაზარმის თითოეული წევრის სულიერ განწყობილებაზე; ჯარისკაცები თითქოსდა განმარტოვდნენ, განცალკევდნენ ერთმანეთისაგან... ყაზარმა აღარ წარმოადგენდა ერთ მთლიან ორგანიზმს, იმ საშინელ ციკლოპს, რომელიც მუდამ მზადაა, ჩანთქას ადამიანებისაგან ადამიანურობის ყოველგვარი გამოვლინება... ახლა ყაზარმა ჭიანჭველების გზადაბნეულ მწკრივს წააგავდა; ყოველი ჭიანჭველა რაღაც გარდატეხის წუთს ელოდა, საითკენღაც ისწრაფვოდა ჯიუტი წადილით, თუმცა კი არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, სახელდობრ, რას ელოდა, ან კონკრეტულად რას ესწრაფვოდა.

დრო კი მიდიოდა... ხან ელვის სისწრაფით მიჰქროდა, ხანაც ძარღვებისამშლელად მიღოღავდა; თუმცა, როგორადაც უნდა არეკლილიყო მისი სრბოლა ჯარისკაცის ცნობიერებაში, ის მაინც მისგან დამოუკიდებლად მიედინებოდა. დიახ, დრო მაინც რბოდა იმისდა მიუხედავად, — ჯარისკაცი ოცდაათგრადუსიან ყინვაში, ქარსა და თოვლში, უკაცრიელ პოსტზე იდგა საგუშაგოდ, თუ — რწყილებიან, მაგრამ სამაგიეროდ, თბილ საწოლში ეგებებოდა უხალისო განთიადს... ბუნდოვნად, უინტერესოდ აღიქვამდა, როგორ მოსდევდა ალიონს ახალი დილა, რომელიც მხოლოდ ისეთივე დღის დასაწყისი იყო, როგორიც წინა, გაფრენილი დღე... თუმცა იყო რაღაცით მაინც ახალი, რაღაცით დასასრულთან მიახლოება... ეს იყო გაცრეცილ, კუთხეებშემოგლეჯილ, ჯარისკაცურ კალენდარზე აღნიშნული კიდევ ერთი, ახალი ჯვარი, მაგრამ არა დღე. საერთო დროის ნამდვილი, მღვრიე, სიცოცხლითა და ვნებით აღსავსე მონაკვეთი... ყველა სავალდებულო დღე ხომ ჯარისკაცისათვის ერთი ვეება, ჯერ კიდევ დაუღამებელი, სევდითა და ტკივილით გაჟღენთილი დღეა!

მაგრამ იყო იმედიც: დრო ხომ გადიოდა... მაშასადამე, დასასრულიც, მიუხედავად იმისა, რა მანძილზე იყო იგი დაშორებული ნებისმიერი ჯარისკაცისაგან, მაინც არსებობდა... და რაც უფრო უახლოვდებოდნენ მას, ჯარისკაცები მით უფრო კარგავდნენ მოსვენებას...

## ყაზარმის მკვიდრნი. ლევიტი.

(გაგრძელება)

არ ვიცი, რატომ, მაგრამ მოსვლის პირველი დღიდანვე მშვენივრად დამამახსოვრდა ლევიტი. იგი დივიზიონში „მწვანეთა“ ერთ-ერთ პირველ პარტიას მოჰყვა; შემოდგომის ცივ, სუსხიან დღეს სამ სხვა ახალბედასთან ერთად შემობოტა ყაზარმაში, დერეფანი აუღელვებლად გადმოკვეთა და პირდაპირ საწოლებისაკენ გამოემართა. ზურგჩანთა მოიხსნა, ტაბურეტზე მოწიწებით დადო და გულღიად, საოცრად ბრიყვული გამომეტყველებით ხმამაღლა მოგვესალმა:

— ზდრავსტვუიტე, პაცანი!.. ნუ კაკ უ ვას ზდეს? — და ჩამოჯდა.

ეს იყო აქამდე არნახული თავხედობა. „მწვანეები“ ასე არ იქცეოდნენ. „ხანდაზმულებმა“ გაკვირვებისაგან ლამის პირი დავაღეთ, ერთმანეთს უსიტყვოდ გადავხედეთ და მერე ყველამ ერთად, მტრული მზერით ავათვალიერეთ თამამი „დუხი“[1].

— ჩევო ვი ვსე ტაკ?! — ლევიტი მშვენიერ ხასიათზე იყო. ასე იქნებ დისკოთეკაზე, ან სადმე, ლუდხანის წინ შე-

---

[1] ახალწვეული, რომელსაც ჯერ ფორმაც არ ჩაუცვამს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყრილ ბიჭბუჭებს ელაყბებოდა ხოლმე იგი, არცთუ შორეულ წარსულში, მაგრამ აქ.. აკი თავიდანვე მოგახსენეთ, ზედვე ეტყობოდა, რა ჩიტიც ბრძანდებოდა. დანარჩენი სამი ახალბედა, ლევიტს თან რომ მოჰყვნენ, პირსაბნის ლია კარის წინ შექუჩულიყვნენ და ჩვენკენ გამოხედვასაც კი ვერ ბედავდნენ...

— კეთილი იყოს თქვენი მობრძანება! — დაარღვია ბოლოს დუმილი უმცროსმა სერჟანტმა კოჩურენკომ და წამოდგა. დანარჩენებიც შეთანხმებულებივით გაჰყვნენ.

ლევიტმა საყვედურით სავსე მზერით გააცილა მათი ზურგები, მერე ახლოს მომიჩოჩდა და ის-ის იყო, პირი უნდა დაეღო მორიგი ბრიყვული ფრაზის წამოსაყრანტალებლად, რომ მოკლედ, მაგრამ მკაფიოდ მოვუჭერი:

— მოკეტე!

არაფერი უთქვამს. წინანდელ ადგილზე გადაჯდა, გაკვირვებული მზერა მომაპყრო და მეც, საპასუხოდ, რაც შემეძლო მტრულად ავათვალიერე.

ლევიტმა თვალი მომარიდა და ზურგჩანთას მიუბრუნდა. გახსნა, ფუნთუშები ამოალაგა და მადიანად შეექცა. ბრაზი მახრჩობდა, ვუყურებდი, როგორ ეწკურებოდა ოდნავ ნაღვლიანი, მეოცნებე თვალები ყლაპვისას და დაუოკებელი სურვილი მივლიდა, წამოვმხტარიყავი და კატის კნუტივით მომეგუდა.

— აიღეთ, — დარცხვენილი მომიბრუნდა უცებ და ფუნთუშის ნახევარი გამომიწოდა. რატომღაც მომეჩვენა, რომ ამ წუთში მას უსაშველოდ ვებრალებოდი... კიდევ უფრო ავდუღდი.

— უბირაისია, სუკა! — ვიგრძენი, ცოტაც და, ველარაფერი დამაკავებდა განზრახვა სისრულეში მომეყვანა. — ჩტობ ვ ჟიზნი ნიკოგდა ბოლშე ნე ვიდელ რიადომ!..

ადგა.

მისი წასვლისთანავე საოცარი სიმშვიდე და თვითკმაყოფილება დამეუფლა. არ ვიცი, რამ გამოიწვია ჩემში ეს სიმშვიდე, მაგრამ იმ წუთას არავითარი სინანული და სინდისის ქენჯნა არ მიგრძვნია. მეტიც, თითქოს ერთბაშად დავიცალე თვეობით ნაგროვები ბოღმისაგან. დარწმუნებული ვარ, ლევიტი ცოტა ხნის მერე უკან რომ მობრუნებულიყო, იქნებ კიდეც გამოვლაპარაკებოდი, იქნებ უფრო ადამიანურად მოვპყრობოდი, მაგრამ პირველივე წუთებში ეს, რატომღაც, ვერ შევძელი. ვერ შევძელი, რადგან ჯერ კიდევ ვერ მომენელებინა ის საშინელი ბოღმა, რომელიც მხოლოდ იმის გამო მეუფლებოდა, რომ ცხადად ვხედავდი, როგორ შემოდიოდნენ ყაზარმაში ადამიანები რომელიღაც უცხო სამყაროდან... იმ სამყაროდან, რომლის გამოც ფიქრითა და ოცნებით განუკურნავად ავადაა ყველა ჯარისკაცი. მე ვხედავდი მის ყოფილ ბინადრებს!.. მაშასადამე, ის სამყარო განაგრძობდა არსებობას დროსა და სივრცეში; მაშასადამე, ის სამყარო არ გარდაცვლილა ჩემთან ერთად... ხოლო ის, რომ მე დაუსრულებლივ ვხედავდი მას, სულაც არ ყოფილა მარტოოდენ სიზმარი, ნანახი ძალზე დიდი ხნის წინათ... მაგრამ რატომ მავსებდა ამ სამყაროს რეალურობის რწმენა შხამითა და ბოღმით? — აი, რა იყო ჩემთვის გაურკვეველი. ეს არ შეიძლებოდა სცოდნოდა ლევიტსაც, მაგრამ სამაგიეროდ, მას უნდა სცოდნოდა ერთი მეტად მარტივი ჭეშმარიტება, კერძოდ, კი ის, რომ ყაზარმის მკვიდრთ ასე არ ელაპარაკებიან!

## ლევიტის ერთი დღე

საღამოთი, ლევიტი ახალთახალ ტანისამოსში გამოწყობილი მოიყვანეს აბანოდან. საერთოდ, სმხედრო ჩაცმულობა იშვიათად თუ ადგას ახალწვეულს ნორმალურად ტანზე. ამიტომაა, რომ ახალი ტანისამოსი ძალზე ცვლის, აუშნოებს „სამოქალაქოდან მოფრენილ ბეღურებს“. მაგრამ ჯერ არასოდეს მინახავს, ფორმა ისე ამახინჯებდეს, ისე სასაცილოს ხდიდეს ადამიანს, როგორც ის ლევიტს აუშნოებდა და აბითურებდა. ჯერ არ შეკერილა არმიისათვის ისეთი საწესდებო

„ხებე“[1], რომელიმე ჯარისკაცს უნაკლოდ რომ მოერგებოდა ტანზე. ჯარისკაცი თავად უნდა მოერგოს მას. ლევიტი კი, აბა სადაური ჯარისკაცი იყო? საცოდავი ნახევარქათამა!... შერჩენილი ბუმბულისაგანაც რომ გაგეპუტათ, ცარიელა ძვალი და ტყავი დარჩებოდა უთუოდ.

ყაზარმაში შემოსვლისთანავე ახალბედები მაიორმა კრასნიუკმა „ლენინის ოთახში“ მიიწვია მოკლე, მათთვის ბოლომდე გაუგებარი ინსტრუქციების მისაცემად. პოლიტხელების უმრავლესობა, ქვედანაყოფში ახალი ეტაპის მოყვანისთანავე, ეძებს მათში „საიმედო“ ჯარისკაცებს. ეს არის ეგრეთ წოდებული „მორალური ტერორი“ ზემოდან „მწვანეების“ მიმართ. ახალწვეულთა ექსპლოატაციასაც პირველნი სწორედ პოლიტხელები იწყებენ იდეოლოგიურ „ბრატუხებთან“[2] ერთად, იწყებენ მორალურად გაუმართლებელი შანტაჟის მრავალრიცხოვანი ფორმებით, დაშინებებით, ნაირ-ნაირი დაპირებებით და მოსყიდვითაც კი. პოლიტხელები სულაც არ არიან წესრიგისა და წესდების განუხრელი დამცველნი და მქადაგებელნი. არმიაში ისინი მხოლოდ იმისათვის არსებობენ, რომ ქაოსი შეიტანონ მასში, ააფორიაქონ და დააფრთხონ ათასობით ჯარისკაცის შინაგანი სამყარო.

მაიორ კრასნიუკის ხანგრძლივი ავანტიურისტული ინსტრუქციების ამოქმედების შედეგად, ყაზარმა კიდევ უფრო იმუხტებოდა ჯარისკაცებს შორის უნდობლობისა და სიძულვილის მორიგი მძლავრი ტალღით. როგორც წესი, პოლიტხელთან „ლენინის ოთახში“ „მწვანეთა“ ხანგრძლივი აუდიენციის შემდეგ, დივიზიონი იქსელებოდა დამსმენთა და ნაძირალათა კიდევ უფრო ხშირი და დახლართული ქსელებით. მაიორი კრასნიუკი, ვეება, წითელი, შხამიანი ობობასავით აბამდა უამრავ აბლაბუდას; ცდილობდა, არ დაეტოვებინა არც ერთი თავისუფალი კუთხე, სადაც მისი უხილავი საცეცები არ შეაღწევდა... შედეგად კი, მისი მომწამლავი შხამის მატარებელი, ეგრეთ წოდებული კომკავშირელი „ბოევიკები“ საოცრად ხანმოკლე დროის მანძილზე ხდებოდნენ „საბრძოლო და პოლიტიკური მომზადების წარჩინებულნი“, მათზე ხშირად წერდნენ სამხედრო პრესაში, მათი მშობლები გულში იკრავდნენ ნაწილის მეთაურთა კომისიისაგან გაგზავნილ მადლობის ბარათებს. მაგრამ ყველას არ შეუძლია, რა თქმა უნდა, იცოდეს, თუ რის ფასად აღწევდნენ ისინი ყოველივე ამას.

**ვახშმობისას**, სასადილოში, ლევიტი ბოლო მიუჯდა უბრალო, გაზინტლული ფიცრებისაგან შეკრულ მაგიდას და პირველმა მოამთავრა კიდეც; მისი კუთვნილი ულუფა ელვის სისწრაფით გაენადგურებინა რომელიღაც ღორმუცელა „ჩერპაკს“. მაგრამ მე არ შემინიშნავს ლევიტის სახეზე აღშფოთების ან უკმაყოფილების გამომხატველი რამ. იგი იჯდა მშვიდი, თავისი გულგრილობით და კიდევ რაღაცით, ყველა ჩვენთაგანზე აღმატებული და ფანჯრიდან იცქირებოდა.

ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ ᲨᲔᲛᲝᲬᲛᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, ლევიტი გულმოდგინედ ხეხავდა ბეტონის გრძელ დერეფანს საპნიანი წყლითა და ფაფუკი, პაწაწკინტელა ჯაგრისით. როგორც მოგვიანებით დავრწმუნდი, ეს იყო მისთვის ერთადერთი საქმე, რომელიც ხელეწიფებოდა და რომელსაც მთელი გულმოდგინებითა და პასუხისმგებლობის გრძნობით ასრულებდა.

როდესაც ყაზარმაში ფუსფუსი შეწყდა და სამოცდაათამდე ჯარისკაცის ნატანჯი, თვეობით განაწამები და სასომიხდილი სხეული ძილისმაგვარ ბურანს მიეცა, ჩემთან მოვიდა უმცროსი სერჟანტი კუზმინი საკომენდანტო ოცეულიდან და „საშრობში“[1] ჰიქა ლევინო-

[1] უხეში ქსოვილისაგან დამზადებული ჯარისკაცის ყოველდღიური ტანისამოსი.

[2] კომკავშირის მდივნების მეტსახელი არმიაში.

[1] ტანსაცმლის გასაშრობად ყაზარმაში სპეციალურად გამოყოფილი ოთახი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე მიმიწვია. სიამოვნებით დავთანხმდი, ზეწარი მოვიხვიე და გავყევი. ლევიტი ახლა ნაცრისფრად შეღებილ, აქა-იქ ჩამონგრეულ კედლებს სწმენდდა სველი ჩვრით, რომელთაც, ალბათ, კარგა ხანი იქნებოდა გასული, რაც ეს პატივი არ რგებიათ. რომ ჩავუარე, შეყოვნდა და დაბნეულმა შემომხედა. ჩემდა უნებურად, ვითომცდა სოლიდარობის ნიშნად, თვალი ჩავუკარი. მორცხვად გამიღიმა.

„საშრობში" რამდენიმე „მოხუცი" იჯდა. ოთახის შუაგულში ხის ძველისძველ, ტყავგადაკრულ ჩემოდანზე ღვინით პირთამდე სავსე სამლიტრიანი მინის ქილა და ჯარისკაცური დელიკატესი — თეთრი პურის რამდენიმე ნაჭერი იდო.

— ვოტ ი ზელიონიე პრიშლი, ს პრაზდნიკომ ტებე, სადის! — გარდერობის ქვედა კიდეზე გამითავისუფლეს ადგილი...

ჩვენ ვსვამდით გვიან ღამემდე. თითო ჩამოსხმაზე დაახლოებით ას-ას გრამს. დროდადრო გიტარაზე უკრავდა სერდიუკი და მღეროდა ოდესურ „ხულიგნურებს" ვლაყბობდით ათასგვარ სისულელეზე და ვიხსენებდით სასაცილო, ალაგ-ალაგ სევდიან წვრილმანებს. ყველა როგორღაც ცდილობდა, გული გადაემალა დანარჩენებისათვის, მაგრამ როდი აცდიდნენ. ვიღაც ჩაუჭრიდა და თავისას მოჰყვებოდა, სანამ მასაც არ შეაწყვეტინებდნენ...

ილეოდა კიდევ ერთი ჯარისკაცური, სევდითა და ტკივილით გალეშილი ღამე...

ღვინო რომ გაგვითავდა, უხალისოდ წამოვიშალეთ. სანამ საწოლს მივაშურებდი, სიგარეტის მოსაწევად ტუალეტში შევძვერი... ლევიტი უნიტაზს წამხობოდა ზემოდან და გრძელი, კაუჩიანი მავთულით სიბინძურეში იქექებოდა, არმიული ენით რომ ვთქვათ — „პრობივალ აჩკო".

**დილით**, დათვალიერებისას, შევამჩნიე, რომ ლევიტი ძლივსღა იდგა ფეხზე. თვლემა ერეოდა. აი, ახლა კი რაღაცით მართლა წააგავდა ნამდვილ „საბრძოლო სპილოს". ეცვა არა გუშინდელივით, არამედ, როგორც აცვიათ უმეტესწილად სამსახურის პირველ ეტაპზე ტიპიურ ყაზარმულ „ჩმოშნიკებს" — რამდენიმე ზომით დიდი, ერთიანად გაცრეცილ-დალაქავებული „ხებე", მოღრეცილი, ქუსლმოგლეჯილი ჩექმები და ფორმადაკარგული, კიდეებშემორღვეული პილოტურა ეხურა. თვალები ჩასწითლებოდა და ჩასისხლიანებოდა. სახე გამურვოდა და მომეჩვენა, თითქოს კიდევ უფრო დაპატარავებულიყო.

— ვინა ხარ? — ეკითხება მოწყალედ პრაპორშჩიკი ლაკიზა.

— „მწვანეა", გუშინ მოიყვანეს, — ლევიტის მაგიერ სხაპასხუპით პასუხობს ეფრეიტორი ზიმა.

— აჰა, გამახსენდა, — „იხსენებს" პრაპორშჩიკი, — კი მაგრამ, შენი „ხებე" სადღაა, ბეღურავ? გუშინ ხომ პირადად მიიღე ჩემგან.

— სათავსოში დევს... სამხრეები ჯერ არ მიმიკერებია, — ზედვე ეტყობა, ლევიტი ვიღაცის მიერ არის დარიგებული; „მწვანეები" სამსახურის მეორე დღეს ჯერ კიდევ ვერ ახერხებენ, ამგვარად იცრუონ.

პრაპორშჩიკ ლაკიზას ბოროტად ეღიმება. შეუძლებელია, ვინმემ ასეთ რამეებში გააცუროს იგი.

— ზიმა, მიკერებაში დაეხმარები, ნასადილევს პირადად შევამოწმებ, — გამანადგურებელ მზერას აპყრობს პრაპორშჩიკი ეფრეიტორს.

ზიმა მორჩილად იღიმის.

— ვერ გავიგე, ამხანაგო ეფრეიტორო! — სისინებს ლაკიზა.

— არის, ამხანაგო პრაპორშჩიკო! — ფეტვის მარცვალივით იბნევა ზიმა.

— შენ მე თანდათან მომწონხარ, ეფრეიტორო! ქირქილებს პრაპორშჩიკი...

საუზმეზე ლევიტი ვება ქვაბითა და ნარჩენებიანი თეფშებით (რაც ძალზე იშვიათი მოვლენაა ჩვენი პოლკის სასადილოში) დარბის წინ და უკან... ბატა-

ეროვნული ბიბლიოთეკა



რეა დგება თუ არა მაგიდიდან. ისიც მორჩილად იწყებს ალაგებას. ნარჩენებს ერთ ქვაბში აგროვებს და ალუმინის კოვზით ლოკავს...

— ვიდიშ, კაკ ეტოტ ჩუძო პრისპოსობლივაეტსია? — მყრალი სიფათით ჩემკენ იხრება ზიმა.

რასაკვირველია, ვხედავ, მაგრამ აქ უჩვეულო არაფერია.

ნასაუზმევს, ბატარეა სირბილით მიდის პარკში. ლევიტს უგერგილოდ დაუკერებია ღილები და სამხრეები ახალთახალ გიმნასტურაზე. კაცმა რომ თქვას, მშვენიერი გიმნასტურაა, „პარტიზანული“. „მოხუცთათვის“ ასეთი „ხებეს“ ტარება ფრიად საპატიოა, რადგან, ჩვეულებრივ, მათ იშვიათად ურიგებენ ჯარისკაცებს. ჰმ, გაიძვერა პრაპარიუგა! ესეც მორიგი ხრიკია მისი, მშვენივრად ისვრის ანკესს, ზიმამ, რა თქმა უნდა, ძალზე იჩქარა. მით უმეტეს, ლაკიზასთან ასეთი რამ იშვიათად გადის... არადა, ცხადია, ზიმამ უკეთესად იცის ასეთი „ხებეს“ ფასი.

„მწვანეები“ ინტერესით ათვალიერებენ 122 მმ-იან თვითმავალ საარტილერიო მოწყობილობებს. „აი, ტექნიკა! — თავს იქნევენ ისინი — შეხე, ერთი ლულას შეხედე!“ ისმის ხმადაბალი, მოკრძალებული ჩურჩული, ლევიტი განმარტოებით ასვეტილა, გულგრილიად ათვალიერებს ხან ახალბედებს, ხანაც ვეება რკინის ხოჭოებს, პარკის ყველა კუთხეში რომ მიმოფანტულა. არავითარი დაინტერესება მას არ ეტყობა. დგას, ზურგით თვითმავალის ვეება კორპუსს მიყრდნობილი, დაკაპიწებული ხელები ულონოდ ჩამოუყრია და წამდაუწუმ აწიტებს ბეტონის მტვრიან იატაკზე.

— ეი, შენ, მყრალო პირუტყვო! — ღრიალებს კუზმინი.

, ლევიტი ზანტად, უხალისოდ ატრიალებს თავს მისკენ.

— აქეთ მოიწი, — ხელს უქნევს. — შენ რა, საქმე არაფერი გაქვს, ძაღლის გაგდებულო?.. კეთილი, ახლავე გამოგინახავთ... იურა! — გასძახის კოჩურენკოს: — მიიღე შენს განკარგულებაში ეს ინდური საბრძოლო სპილო, მუხლუხებს გაასუფთავებს... წაეთრიე, სანამ ლამაზი ხარ!

— ვედროთი წყალი მოაცუნცულე, — ასაქმებს იურა.

— საიდან? — ბრიყვულად კითხულობს ლევიტი.

— ჯანდაბიდან, — კოჩურენკო ძარაზე მიბობღავს.

ლევიტი მორჩილად მიჩანჩალებს ბოქსის შორეული კუთხისაკენ. უკან კი წყლით სავსე ვედროთი ბრუნდება და თვითმავალის მუხლუხების რეცხვას იწყებს...

სადილობისას, ლევიტს კუჭისათვის სულაც აღარ სცხელა. საჭმელი ისედაც არაფერია, დაჯდომისთანავე მოწყვეტით ემხობა გაზინტლულ მაგიდაზე და ხმამაღალ ხვრინვას უშვებს. ბატარეა ყურისწამღებად ხარხარებს. იღიმის პრაპორშჩიკი ლაკიზაც, მაგრამ იღიმის როგორღაც არაბუნებრივად, ყველა გრძნობს, რომ ვილაცისათვის ეს ამბავი ძალზე ცუდად უნდა დამთავრდეს.

— მისტერ! — ჯერ კიდევ ღიმილით მიმართავს ლაკიზა ზიმას: — აალაგებ, — და სუფრაზე ხელით ანიშნებს.

ვხედავ, როგორ ედება ზიმას მკვდრის ფერი, ქვედა ყბა არაბუნებრივად ექცევა გვერდზე და ნერვიულად უცახცახებს.

— კი მაგრამ, ამხანაგო პრაპორშჩიკო...

— არც ერთი ზედმეტი სიტყვა! — მოკლედ უჭრის ლაკიზა. იგი აღარ იღიმის, ერთხანს ულვაშებს იგრეხს, მერე ხმადაბლა, უხალისოდ გვიგდებს: — დროზე აეყარენით და ქუჩაში!..

— არაფერსაც არ ავალაგებ, — ბუზღუნებს თავისთვის ეფრეიტორი ზიმა, მას მერე, რაც ლაკიზა გასასვლელისაკენ მიდის. თუმცა კი თავადაც მშვენივრად იცის, რომ სულ ერთია, მაინც შეასრულებს პრაპორშჩიკის ბრძანებას, ლაკიზას ხუმრობა არ უყვარს. იგი

ეროვნული ბიბლიოთეკა

იშვიათად იძლევა ასეთი სახის ბრძანებებს „ხანდაზმულთა“ მიმართ, მაგრამ თუკი მაინც გასცა ერთხელვე, არავის აპატიებს მის შეუსრულებლობას.

ბატარეა დგება და გასასვლელისაკენ მიდის. ზიმა რჩება, მაგრამ, მანამ არ დაიწყებს მაგიდის ალაგებას, სანამ ყველანი არ გავალთ.

ნასადილევს, დივიზიონი განწესისათვის ემზადება. უკანასკნელ დროს ძალზე იმატა საგუშაგო სამსახურმა. ტანკისტთა ერთი ბატალიონი საველე მეცადინეობაზეა გასული და ამიტომ, თუკი წინათ ყოველ მესამე დღეს დადიოდნენ საგუშაგოდ ჩვენი დივიზიონიდან, პოლკში ტანკისტების არყოფნის გამო, ახლა დღეგამოშვებით დადიან.

„მწვანეებს“ პოსტებზე მანამ არ უშვებენ, სანამ სამხედრო ფიცს არ მიიღებენ. თავის დახსნას განწესიდან ვახერხებთ რამდენიმე „მოხუციც“. სანიტარულ ნაწილში, სადაც წინასაგანაწესო შემოწმება მიმდინარეობს, თითქმის ყველა წინდახედულ, მოხერხებულ ჯარისკაცს ჰყავს „თავისი“ კაცი, რომელიც შეძლებისდაგვარად ეხმარება მძიმე სამსახურიდან თავის დაღწევაში: ან სასწრაფოდ აწვენს ლაზარეთში, ან ყალბ, ავადმყოფობის დამადასტურებელ ცნობას აძლევს. მეც მყავს ასეთი „კაცი“, ოცდაორი წლის მომხიბლავი მედიცინის და — ლილია ნალევაიკა. იგი ერთადერთი ადამიანია პოლკში, რომელიც მძიმე ჯარისკაცურ ჩექმებსა და სამხრეებიან გიმნასტურას კი არ ატარებს, არამედ მეტისმეტად უცნაურად შეკერილ სამოქალაქო კაბებს იცმევს, ყაზარმაში მას „პოლკის მარკიზას“ ეძახიან. ჯარისკაცებზე რომ აღარაფერი ვთქვა, გულგრილი ვერც ოფიცერთა დიდი უმრავლესობა რჩება მის მიმართ. ლილია კი ბოლომდე არავისია, აბსოლუტურად ა რ ა ვ ი ს ი, მე მგონი, არც საკუთარ თავს ეკუთვნის სავსებით...

ჩვენ, რომლებიც თავს ვაღწევთ მომაბეზრებელ სამსახურს, უჩუმრად მივიპარებით ყაზარმიდან. მართალია, საგანაწესო სიაში არ ვწერივართ, მაგრამ ყოველ წუთს შეიძლება მოხდეს გაუთვალისწინებელი რამ; ვთქვათ და, გუშაგთაგან რომელიმემ თავი მოიმკვდარუნა, ისე რომ ამგვარ სიმულაციაში საყოველთაოდ ცნობილი ექსპერტი, პოლკის სანიტარული ნაწილის უფროსი, კაპიტანი პილიუკოვიც კი გააცურა; ან, დავუშვათ, უეცრად გაზარდეს გუშაგთა რიცხობრივი შემადგენლობა, მაშინ უკვე ყაზარმაში დარჩენილი ჯარისკაცის საქმე, წასულია, აიღებენ და მასაც სხვებთან ერთად უკრავენ თავს „ნარიადში“. ამის გამო, ყოველი მოხერხებული და გონიერი „სპილო“ შესაფერის მომენტს არჩევს და შეუმჩნევლად მიიძურწება ყაზარმიდან. იგი მიდის თანამოძმეებთან ან მეგობრებთან, ან სულაც ჯარისკაცურ ჩაიხანებს აფარებს თავს, უხვად რომ არის მიმოფანტული პოლკის მთელ ტერიტორიაზე. ერთი სიტყვით, ჯარისკაცი იმალება იქ, სადაც, დარწმუნებულია, რომ ყველაზე ნაკლებად იპოვნიან. ყველა მათგანს ღრმად სწამს, რომ თუკი მაინც მოხდება ის „გაუთვალისწინებელი რამ“, მას პირველს ვერაფრისდიდებით ვერ აღმოაჩენენ. სანამ მას გაჩაქავდნენ, მანამ, ალბათ, სხვას გამოიჭერენ, თვითონ კი აუცილებლად გადარჩება. ასეთ ჯარისკაცებს არმიაში „საჩოკებს“ და „რაზგილდიაებს“ ეძახიან. ესაა ერთგვარი შეგუება, ან, უფრო უკეთ რომ ვთქვათ, იმ ბუნებრივი გადარჩევის და არსებობისათვის ბრძოლის ლოგიკური შედეგი, გამუდმებით რომ მიმდინარეობს ყაზარმაში.

ჩვენ, ეგრეთ წოდებული „საჩოკები“, გვიან საღამოთი ვბრუნდებით ყაზარმაში. საღამოს შემოწმებაზე მორჩილად ვისმენთ დივიზიონში პასუხისმგებელი ოფიცრის რისხვანარევ საყვედურებს და ოდნავადაც არ ვცდილობთ, ვიმართლოთ თავი. აქ, არმიაში, შინაგანად ვერ იტანს ჩინოსანი, როდესაც მის წინაშე რომელიმე ჯარისკაცი ეშმაკობას იჩენს და თავის მართლებას ცდილობს. თავის მართლებას, არმიაში, არც შეიძლება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰქონდეს რაიმე სასურველი შედეგი ჯარისკაცისათვის, რადგან ოფიცერთა გარკვეული ნაწილისათვის ყველა ჯარისკაცი უკლებლივ, მეტ-ნაკლებად ბოროტმოქმედია. ამიტომაც ყოველმა საღად მოაზროვნე „სპილომ“ საკუთარი გამოცდილებიდან კარგად იცის ერთი უდავო ჭეშმარიტება: „დაიშავე?“ — მაშ მორჩილად მიუშვირე ზურგიც!.. ვინაიდან არმიის შინაგანი პრინციპის თანახმად, „დამნაშავეებს სცემენ!“

ლევიტი ახლა პირსაბანშია და ვიღაცის ტანისამოსს რეცხავს. გიმნასტურის სამხრეებზე ერთადერთი ვიწრო ზოლი გასდევს. „ისევ ზიმა!“ — ვფიქრობ გულში და ეჭვგარეშეცაა: ბატარეაში ერთადერთი ეფრეიტორი გვყავს. ეს უკვე ნამდვილად აღარ მომწონს. გაღიზიანებულნი არიან ბაბკაუსკასი და ამაევიც; „ეტოტ ბივშიი ჩმორიკ სლიშკომ აბარზელ!“ — შუბლს იჭმუხნის ამაევი, მაგრამ ჯერჯერობით ყველა დუმილს ვამჯობინებთ. ზიმას საქციელს აქვს ლოგიკური გამართლება. იმავე ყაზარმული ლოგიკით, შეიძლება ყველაფერი უარყო, ან დაამტკიცო ის, რაც მოგესურვება. უფრო ზუსტად, რაც „მოხუცს“ მ ო ე ს უ რ ვ ე ბ ა. ასე ეპყრობოდნენ ზიმასაც; მან, არცთუ ისე დიდი ხანია, გაიარა რამდენიმე პრივილეგირებული საფეხური ამ ჯოჯოხეთურ კიბეზე და ახლა არავის მისცემს უფლებას მათაც არ გაიმეორონ იგივე. ზიმას არ შეუძლია, არც საკუთარ თავს მისცემს უფლებას, იყოს ლმობიერი... ის მეტისმეტად სადა სალახანაა, მას არავინ ზოგავდა, ამიერიდან არც თავად დაზოგავს ვინმეს.

— ვიმედოვნებ, ჯერ კიდევ არ გახრწნილხარ, — სათქმელს არ ვამთავრებ. საერთოდ, რომ გამოველაპარაკე, ესეც დიდი პატივია მისთვის.

უხმოდ მიყურებს; ისევ ის არაფრისმთქმელი, გულგრილი მზერა. ისევ ის გაუტეხელი სიბრიყვე.

— ყველაფერი წესრიგზეა, — ცდილობს მასიამოვნოს, სხვაგვარად ვერაფრით ამიხსნია.

— მალე თავს ჩამოიხრჩობ. — ვუღიმი. რატომღაც ხუმრობის ხასიათზე ვდგები.

— არა, ვიცოცხლებ!.. არავითარი ენთუზიაზმი, არავითარი სწრაფვა ან ნებისყოფის ძალუმი გამოვლინება. არა, ის ამას ამბობს სრულიად ჩვეულებრივად, ისე რომ ერთი ნერვიც კი არ უტოკდება სახეზე.

არა, „მწვანეები“ ასე არ იქცევიან. მათ მუდამ აკლიათ თავდაჯერებულობა და ოპტიმიზმი, რასაც არმიაში ოქროს ფასი აქვს. ეს კი... ეშმაკმა წაიღოს მისი თავი!..

4.

**ყაზარმა დუმდა.**

**აჩრდილი თავზე მადგა. მესმოდა მისი ხროტინისმაგვარი სუნთქვა, ხოლო მყრალი ამონასუნთქი სულს მიხუთავდა. ვიგრძენი, როგორ გამოჟონა შუბლზე ოფლის ცივმა წვეთებმა და როგორ გამეყინა ნელ-ნელა შიგნეული. მინდოდა თვალი გამეხილა, მაგრამ ვერ ვახერხებდი. ან კი რა აზრი ჰქონდა ამას?.. ისედაც მშვენივრად ვიცოდი, ვინც იდგა ჩემს წინაშე...**

●

— ასეე, — უცნაურად განაგრძობს პრაპორშჩიკი ლაკიზა და პირველი ბატარეის მწყობრის წინ ბრიგადის გენერალივით დააბიჯებს. — სანამ გასაყარის ბრძანებას გავცემდე, კეთილი ინებეთ და მომისმინეთ; ჯერ ვამოწმებთ საწოლების განლაგებას. ვიმედოვნებ, იქ სრული წესრიგია. ასეე, — უეცრად ერთ ადგილზე იყინება, მწყობრს მრისხანე მზერას ავლებს და განაგრძობს: — განკარგულების გაცემიდან სამი წამის შემდეგ ყველას სძინავს. ყველანი ისე წვანან ლოგინებში, როგორც გვამები მორგში... არავინ ინძრევა, არავითარი ხმაური, არავინ დგება მთელი ღამის განმავლობაშიც კი და არ დაეხეტება ტუალეტსა და პირსაბანში! მე მგონი, თქვენს შორის არ უნდა იყოს ისეთი „სპილო“, რომელსაც ხშირად უჩნდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბა რაღაც მწველი, დაუმორჩილებელი სურვილი გათენებამდე ქექოს ტუალეტში სიბინძურე... ჰა, ინდური საბრძოლო სპილოებო, არ მესმის!

— ლაკიზა ეშმაკურად იღიმება სქელ ულვაშებში. მერე ერთხელაც თვალს ავლებს მწყობრს და ხმამაღალ ბრძანებას იძლევა:

— მარჯვნისაკენ!.. ნაბიჯით იარ!

ბატარეა ფეხაწყობით მიაბიჯებს დერეფანში.

ლაკიზა პირველი შედის ბატარეის საწოლების დასათვალიერებლად. ლოგინები, იდეალურად, წესდების სრული დაცვით არის გასწორებული. ტაბურეტები ერთ ხაზზეა განლაგებული. იატაკი სუფთაა და კრიალა. ერთი სიტყვით, შარის მოდება არცთუ ისე ადვილია, მაგრამ ის, ვინც საამისო მიზეზს ეძებს, თითქმის ყოველთვის პოულობს, მით უმეტეს აქ, არმიაში, არსებობს ათასობით მომაბეზრებელი წვრილმანი, რომელიც, შეუძლებელია, ერთდროულად გაითვალისწინოს ჯარისკაცმა, ამიტომ...

პრაპორშჩიკი აუჩქარებლად დააბიჯებს საწოლებს შორის, შუბლი შეჭმუხნია და კონტუზირებულ მარცხენა მხარს მალიმალ ნერვიულად იქნევს. ბატარეა გასასვლელში ჩამწკრივებულა და ინტერესით ელოდება, რა მოჰყვება შედეგად მის ახირებულ ძიებას. ყველა დუმს. ვუყურებ ზიმას. იგი მოდარაჯე ძაღლის მზერით უთვალთვალებს პრაპორშჩიკს.

ლაკიზა უეცრად ჩერდება. საწოლს წიხლის კვრით განზე აჩოჩებს და საზეიმო, დემონსტრაციული ხმით ხმადაბლა ამბობს:

— ამხანაგო ეფრეიტორო...

— აქა ვარ, — ადგილზე ხტება ზიმა.

— აქეთ მობრძანდით, გეთაყვა!

ზიმა მუხლების ცახცახით უახლოვდება.

— თქვენი საწოლია? — სიხარულს ვერ ფარავს ლაკიზა.

— დიახ, ჩემი საწოლია. — სასოწარკვეთილი ხმით პასუხობს ეფრეიტორი.

— კი მაგრამ, ეს რა არის, ზიმა? — კითხულობს შემპარავად ლაკიზა.

ბატარეას უეცარი ჩოჩქოლი უვლის. ზიმას ენა უვარდება გაკვირვებისაგან, ვერაფერს ამბობს. ყურებამდე სიწითლე ედება და ნერვიულად აფახულებს წამწამებს.

წითლად შეღებილ, გაპრიალებულ იატაკზე სიგარეტის ნამწვავი გდია.

— აიღე! — ფოლადი ერევა ხმაში პრაპორშჩიკს.

ზიმა იხრება.

— მოიცა! — მკლავით ითრევს ლაკიზა ეფრეიტორს. — განა ეგრე, ძაღლის გაგდებულო, მხედრულად! — და გასასვლელისაკენ უბიძგებს.

ზიმა დერეფნამდე მიდის. ისწორებს პილოტურას, იწესრიგებს ტანსაცმელს და სამწყობრო ნაბიჯებით, მარჯვენა ზეაღმართული მიემართება იმ ადგილისაკენ, სადაც ნამწვი გდია:

— ტავარიშჩ ბიჩოკ, რაზრეშიტე ვას ვზიატ! — წუთით ასე დგას, საფეთქელთან მიტანილი გაშლილი ხელის მტევნით, მთელი სხეულით უმოძრაო და გაშეშებული. მერე მკვეთრად იხრება და ორი თითით მოწიწებით იღებს ნამწვს.

— შეახვიე! — ქაღალდის ფურცელს უწვდის პრაპორშჩიკი.

ზიმა ართმევს და გულმოდგინედ ახვევს ნამწვს.

— იცი, ზიმა, არიან ჯარისკაცები, რომლებიც დიდი სიამოვნებით ყლაპავენ სიგარეტის ანთებულ ნამწვავებსაც კი... იმედი მაქვს, შენ იმათ რიცხვს არ ეკუთვნი, — ზიზღით ემანჭება სახე ლაკიზას.

— არა, — ჩურჩულებს ზიმა და გამშრალ ტუჩებს ენით ილოკავს.

— მომეცი! — ლაკიზა შეკვრას ართმევს და გულდასმით ინახავს გიმნასტურის შიგა ჯიბეში...

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ლევიტის ერთი დღე

(გაგრძელება)

— „შევდივარ გვიანი ღამით ყაზარმაში. ვხედავ, ეს ძაღლის ლეკვი, რა ჰქვია... ლაკიზას უეცრად ავიწყდება ლევიტის გვარი, — ერთი სიტყვით, გუშინწინ მოიყვანეს ჩვენთან, ჯანდაბას მისი თავი!.. ვხედავ, ტაბურეტზე მიმჯდარა და მარჯვენა თვალი მაიმუნის უკანალს მიუგავს...“ „რა მოგივიდა თვალზე?“ ვეკითხები. ისი კი, ო, ის, წვინტლიანი ძაღლის გაგდებული, პირუტყვულად მიღიმის და, რას მეუბნება თუ იცით?“, ლაკიზა მრავლისმეტყველ პაუზას აკეთებს და პოლიტხელს შიგ სიფათში მიშტერებია.

„რაო? — ბრიყვულად ეკითხება მაიორი კრასნიუკი.

„რაო და, წუხელ იატაკს ვწმენდდი და იატაკის ჯოხი შემთხვევით, ჩემივე დაუდევრობით, მივირტყი თვალზეო... წარმოგიდგენიათ, ამხანაგო მაიორო?.. ჰმ, აი, ქვეწარმავალი!“

„ნუთუ მართლა?“ — პოლიტხელი გაოგნებული აფახულებს ელამ თვალებს. ამ წუთში თავადაც ძალზე წააგავს ლევიტს.

ღიმილს ძლივს ვიკავებ.

თავად ჰკითხეთ. — ღიზიანდება პრაპორშჩიკი.

„კარგით, ლაკიზა, გავარკვევ“.

მე ფაცხაფუცხით გავრბივარ და საწოლებს შორის ვცდილობ თავის შეფარებას. არ მინდა, პოლიტხელს თვალში მოვხვდე. მისთვის სულ ერთია, ვისგან დაიწყებს ყაზარმის „განსაკუთრებულ დამუშავებას“.

რამდენიმე წუთის შემდეგ, მორიგე ჯარისკაცს შტაბში მიჰყავს ლევიტი.

ზიმას ადამიანის ფერი აღარ ადევს. იგი მოსვენებას კარგავს და დამფრთხალი კურდღელივით დაძრწის საწოლების ერთი განლაგებიდან მეორეში... რამდენიმე წუთის შემდეგ მას ვხედავ ტუალეტში, სიგარეტით ხელში, ჩაფიქრებულს და საქციელწამხდარს.

ჯარისკაცები შტაბის კართან აზუტულან და აყურადებენ, როგორ ამუშავებს კრასნიუკი „მწვანეს“. „დამუშავება კარგა ხანს გრძელდება. ბოლოს, გამოდის ლევიტი; ვუყურებ და მახსენდება პრაპორშჩიკ ლაკიზას წეღანდელი სიტყვები. არ ვიცი, რას მიუგავს მას ცალი თვალი, მაგრამ არაბუნებრივად შესივებული და გალურჯებული კი აქვს. ყველა ინტერესითა და მოლოდინით შეჰყურებს ლევიტს, თვით „მწვანეებიც“ კი. საპასუხოდ, ლევიტი ოდნავ შესამჩნევად იღიმის; ზედვე ეტყობა, რომ უმძიმეს გამოცდას წარმატებით გაართვა თავი. ყოჩაღ, ლევიტ!..

სადილამდე ლევიტს კიდევ უფრო უსივდება თვალი. ახლა საერთოდ ველარ ახელს, ტკივილისაგან სახე დაღრეჯია. მთვარეულივით დაბორიალებს ყაზარმაში და ყველას ფეხებში ებლანდება. თუმცა, ახლა ამისათვის არავინ ერჩის. „მოხუცები“ თვალებმოწკურულნი, ფარული თანაგრძნობით უთვალთვალებენ, ახალბედები კი აშკარად ვერ მალავენ შურს. თანამებრძოლთა წინაშე ლევიტმა უკვე დაიმსახურა სრული უფლება, უკლებლივ მიიღოს თავისი კუთვნილი ულუფა. ეს უფლება მან პოლიტხელთან შეუპოვარი და მედგარი წინააღმდეგობით მოიპოვა. შეუპოვრობა და გამძლეობა კი ძალზე ფასობს ჯარისკაცებში.

სასადილოში ლევიტი უხალისოდ შეექცევა ქერის ბურღულის უგემურ ფაფას და ზედ ჩირის აყროლებულ კომპოტს აყოლებს.

— სანიტარულ ნაწილში გააქანე! — მორიგე სერჟანტს თითით ანიშნებს ლევიტზე პრაპორშჩიკი ლაკიზა, როგორც კი დივიზიონი ყაზარმაში ბრუნდება. სერჟანტი უხალისოდ ისწორებს ხიშტ-დანას ქამარზე, მორიგის წითელ სამკლავურს თანაშემწეს გადასცემს, ავადმყოფთა სააღრიცხვო ჟურნალს კედლიდან ხსნის და ბუზღუნით გადის ყაზარმიდან.

ლევიტი მორჩილად მიჰყვება. მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ ლაზარეთში

ეროვნული ბიბლიოთეკა

მორიგი ჯოჯოხეთური დაკითხვა ელის, ოღონდ ამჯერად პოლკის მრისხანე პოლიტხელისაგან. რატომღაც მჯერა, რომ ლევიტი ბოლომდე გაუძლებს. თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს. საღამოსათვის, მთელ დივიზიონს, შესაძლოა, მთელ პოლკსაც, ეცოდინება საქმის ნამდვილი ვითარება... მაიორმა კრასნიუკმაც, თუკი აქამდე არაფერი იცის, ჩანს, კარგად არ მოინდომა: „კომკავშირელი ბოევიკები" ყველაფერს თავიდან ბოლომდე ჩაუყაჭავენ... ან იქნებ, კიდეც იცის კრასნიუკმა, მაგრამ შეგნებულად დუმს; დუმს და ჯიუტად ელოდება რაღაცას.

ყაზარმაშიც ყველამ დანამდვილებით იცის, რომ ამ ინციდენტს, ანუ „ჩპ"-ს არაფერი ისეთი არ მოჰყვება, გარდა იმისა, რომ ეფრეიტორს რამდენიმე დღე-ღამით ჩააყუდებენ ვირის აბანოში. ყველაფერი, რა თქმა უნდა, მის აღმატებულება პოდპოლკოვნიკ ვალკალუპზეა დამოკიდებული, მოინდომებს, — გახსნის საქმეს; თვალს დახუჭავს, — ყველაფერი მიჩუმათდება. მაგრამ უკვე „მწვანეებიც" კი ხვდებიან გუმანით, რომ მისი აღმატებულება არაფრისდიდებით არ მოინდომებს ყველაფრის საშკარაოზე გამოტანას; იგი პოლკის შტაბს უმიზნებს და, ბუნებრივია, სულაც არ იქნება დაინტერესებული, თავისი კარიერის მომდევნო საფეხური, ხელქვეითთა შორის „არასაწესდებო ურთიერთობების" ფაქტით დაამძიმოს. ხოლო, თუ რა მოენებება ამასთან დაკავშირებით მაიორ კრასნიუკს, პოდპოლკოვნიკს ფეხებზე ჰკიდია.

— ლევიტ! — ვეძახი.

ლევიტი ჩერდება და მკვეთრად ტრიალდება ჩემკენ.

— წადი, დაგეწევა, — მივმართავ მორიგე სერჟანტს, იგი განზე დგება.

— ლევიტ, ეცადე, ლაზარეთში დაგაწვინონ, ნუ ეხუმრები, — თავადაც არ ვიცი, კონკრეტულად რა მინდოდა მისგან, მაგრამ რომ ველარაფერი მოვიფიქრე, ესღა ვუთხარი. — ყველანაირად ეცადე... იქაც არანაკლები ძაღლიშვილები არიან... რომც კვდებოდე, სულ ერთია, არავის შეებრალები, მაინც ეცადე...

— მერედა, რა აზრი აქვს ამას?! — მორცხვად, მაგრამ ნდობით მიყურებს, ეტყობა, ჩემი მოულოდნელი ყურადღება აკვირვებს.

— აქვს, იქ გაცილებით უკეთესია, კარგად ჰკვებავენ, მთელი დღეები სძინავთ. ერთი სიტყვით, სამოთხეა ამასთან შედარებით...

— და ნუ!.. — თავს იქნევს, მაგრამ სახეზე არავითარი უიმედობა და გულგატეხილობა არ ეტყობა.

— ეცადე, დაგაწვინონ, აქ შენ ჩაგაძაღლებენ, — არ ვიცი, რამ მათქმევინა ეს სიტყვები; კაცმა რომ თქვას, არცთუ ისე უიმედო მდგომარეობაში იყო, არც მთლად კაციჭამიებით იყო სავსე ყაზარმა. რომელიმე ჩვენთაგანის სიტყვაც კი საკმარისი იყო და ზიმა მაშინვე მოკეტავდა, ფეხქვეშ გაეგებოდა ლევიტს. მაგრამ ამ წუთში რატომღაც ვალდებულად ვიგრძენი თავი, მის მიმართ მზრუნველობა და კეთილგანწყობილება გამომემჟღავნებინა. მანამ არასოდეს, არავის მიმართ არ განმიცდია ამდაგვარი რამ... თურმე კაცს ზოგჯერ ჯოჯოხეთშიც კი გიჩნდება სურვილი, რომ რაღაცით მაინც დარჩე ადამიანად.

— არ ღირს, ოდესმე ხომ მაინც უნდა დავბრუნდე... დარდი ნუ გაქვთ, გავუძლებ; სულ ასე ხომ არ იქნება, რაღაც შეიცვლება, — გაიწია.

როცა ლაპარაკობდა, არ ვუყურებდი, მაგრამ წასვლა რომ დააპირა, მყისვე თვალი შევავლე.

— რაღაც უსათუოდ შეიცვლება! — გაიმეორა ერთხელაც ხაზგასმით და გაკვირვებისაგან ლამის ერთ ადგილზე შევხტი. ეს აღარ იყო ლევიტი. მე მასში ვხედავდი კიდევ სხვა, მეორე ვიღაცას, ოღონდ არა ლევიტს... ეს უკანასკნელი მე შემომყურებდა ისეთივე თანაგრძნობანარევი სიბრალულითა და მზრუნველობით, წუთის უკან თავად რომ ვუცქერდი მას.

— რაღაც შეიცვლება! — მესამედაც

გაიმეორა ლევიტმა. მერე თავი ზემოთ ასწია, მკვეთრად შეტრიალდა და სერჟანტს გაედევნა.

5.

ცოტაც და, მეგონა, აჩრდილი თავისი მძლავრი კლანჭებით თავს დამაცხრებოდა, რათა წამშივე ხერხემალგადამსხვრეულ ლეშად ვექციე, მაგრამ მოულოდნელად კიდევ უფრო ახლოს მომიტანა თავისი ბინძური სიფათი და ზიზღით მომახალა:

— ეი, შენ, ძაღლის ლეკვო!.. ვხედავ, რომ არ გძინავს... აეთრიე, საქმე მაქვს...

●

— ეს წყეული პრაპარიუგა ხომ მოსვენებას აღარ გაძლევს, — ეჩურჩულება სერჟანტი სობინი ზიმას. ისინი გვერდიგვერდ წვანან ფანჯარასთან, ყაზარმის კუთხეში.

ზიმა დუმს. მერე მესმის საწოლის გულსაკლავი ღრჭიალი. ეტყობა გვერდს იცვლის.

— დარწმუნებული ვარ, ნამწვიც თავად დაგიგდო, — არ ეშვება სობინი.

— რაო?! — ხმამაღლა ღმუის ეფრეიტორი და საწოლზე ჯდება. — გაგიჟდი?!.

— ლაკიზას ოინებია, — გადაჭრით ამბობს სობინი. — ეგეთები მე მკითხე, — განაგრძობს მერე გამოცდილი, მრავალჭირგადანახადი კაცის კილოზე.

— ვითომ მართლა? — თავის თავს ეკითხება ზიმა.

— შენც აიღე და, ამის მერე, ჯანდაბაში გაგზავნე.

— ჰმ, ჯანდაბაში გაგზავნე!.. საინტერესოა, შენ თავად რას მოიმოქმედებდი ჩემს ადგილზე, — ზიმა ღელავს, შიგადაშიგ ხმა უწყდება.

ყაზარმა ნელ-ნელა ეშვება, იძირება ძილის ოკეანეში. ღამღამობით იგი დროებით ჩამქრალ ვულკანს წააგავს; ქშინავს, ხროტინებს, ღუღს, ფშვინავს, იგინება, აბოდებს, იცინის... ერთი სიტყვით, ათასგვარ უცხო ბგერას ისვრის თავისი მყრალი ხახიდან და ყოველ წამს მზადაა ამოსაფრქვევად...

ჩემს გვერდით საბერველივით ქშინავს ამაევი. მე მგონი, კუჭი აწუხებს; უზომო ჭამა იცის, გასკდება და მერე მოსვენება აღარა აქვს.

— ნუ ხტიხარ, გრიშა, მოისვენე, ბოლოს და ბოლოს, — ვუღრენ ძაღლივით.

— ჩამომეხსენი... შენ, რა, ლაკიზამ დაგცოფა?! — გესლიანად ბურტყუნებს ამაევი და ერთხელაც იცვლის გვერდს.

ბნელა. სარკმლიდან სავსე, გაბადრული მთვარე იჭყიტება და სუსტად ანათებს ოთახის ერთ პატარა მონაკვეთს. იქ, სადაც მთვარის შუქი აღწევს, ახლად გადალებილი საწოლის ფეხები ლაპლაპებს...

— ერთი მითხარი, თავად როგორ მოიქცეოდი ჩემს ადგილზე, — არ ცხრება ეფრეიტორი.

— ავდგებოდი და ჯანდაბაში ვუკრავდი თავს, — პასუხობს სობინი ისეთი ტონით, რომ ზედვე ეტყობა, თავადაც არ სჯერა საკუთარი ნალაყბევის.

— მიჭქარავ! — ზიმა გულაღმა იშოტება საწოლზე.

— შენცა, ხარ, რაღა... მაშ, როდემდე გინდა, ეგრე იცხოვრო, ხომ იცი, თუკი ვინმე აითვალწუნა, საფლავშიაც არ მოასვენებს.

— ცოტაღა დამრჩა, ძმობილო... უკვე აღარ ღირს ცხოვრების უარესად მოწამვლა. დაე, ის წყეული პრაპარიუგა მთლად გადავიდეს ჭკუიდან... მე მაინც ავიტან.

— როგორ ფიქრობ, გაგიშვებენ?

— წესით, უნდა გამიშვან... სხვა რა გზა აქვთ!

— ჭკვიანი კაცი ხარ, ზიმა, — შურს ვერ ფარავს სობინი. — მაშ რამოდენიმე თვეც და...

— ვფიქრობ, — ხმადაბლა ბურტყუნებს ზიმა. — ისე კი, ძუკნა ძაღლზე აგვიანებს. ძუკნამ დამღალა. არ იქნა და არ ისროლა ძაღლის ლეკვი.

— ყველაფერს თავისი დრო აქვს, ბრიყვო.

— ყველაფერს ბედიც უნდა, — ღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზიანდება ზიმა. — შვიდთვიანებიც ხომ იბადებიან, რა?

ეფრეიტორი მეორე შვილს ელოდება, პირველი არმიაში მოსვლიდან რამდენიმე თვის შემდეგ შეეძინა, მაგრამ შვებულება არ მისცეს. ერთი თვის შემდეგ ზიმამ დეპეშა მიიღო შინიდან დედის გარდაცვალების შესახებ. წესით, ახლა მაინც უნდა მიეცათ შვებულება, მაგრამ მისი ალმატებულება რატომღაც აჭიანჭლებდა. გაიძვერა ეფრეიტორმა ტაქტი გამოიჩინა და პოლკის პოლიტხელთან წარსდგა რაპორტით. ამის მერე კი იკადრა და დართო ნება პოდპოლკოვნიკმა, მაგრამ სულ რაღაც შვიდი დღით. ზიმა გაემგზავრა და ერთი კვირა კიდევ გადააჭარბა შვებულების დღეებს. სანაცვლოდ, დაბრუნებულმა ხუთი რიგგარეშე განაწესი გაირტყა მისი ალმატებულებისაგან. ყაზარმაში ამბობდნენ, თითქოს ზიმას დეპეშა ყალბი იყო. შეიძლება ასეც იყო, რადგან დაბრუნებულ ეფრეიტორს დარდისა და მწუხარებისა არაფერი ეტყობოდა. პირიქით, მომეჩვენა, რომ რაღაცით ძალზე კმაყოფილიც კი იყო. „რატომ დააგვიანე?“ — ჰკითხა ერთხელაც ამაევმა. „სანამ გული საგულეში არ დავიგულე, არ წამოვედი“, — ეშმაკურად ჩაიცინა ზიმამ... ცხადი გახდა მხოლოდ მოგვიანებით, რომ ის გადამეტებული დღეები, რომელთა გამოც აითვალწუნა სწორედ პრაპორშჩიკმა ლაკიზამ, ეფრეიტორმა მეორე, თავისთანა ლაწირაკის წამოწყებას მოანდომა...

— ჰო, მართალი ხარ, შენს ადგილზე მოთმენა ყველაზე ჰკვიანურია, — ეთანხმება სობინი.

— აკი ჯანდაბაში უკარი თავიო!.. შენ დამასწრებდი, ამაში რომ რაიმე ხეირი იყოს? გგონია, იმ წყეულს რითიმე შეაშინებ!.. შენც არ მომიკვდე, ეგეთებს სიკვდილისაც კი არ ეშინიათ. ხომ ხედავ, ისევ ავღანეთში გაგზავნას ითხოვს თავგამოდებით.

— აბა! — სობინი ლაყბობის ხასიათზე დგება. — შენ თუ შეამჩნიე, რომ ავღანეთიდან ყველანი როგორღაც შერყეულნი და გაბოროტებულნი ბრუნდებიან... სადისტებად ბრუნდებიან. გინდაც პოდპოლკოვნიკი ვალკალუპი აიღე, წმინდა წყლის გიჟია, ქოფაკი ძაღლი! — ორიოდ დღის წინათ, მისმა ალმატებულებამ, სობინს ორი დღე-ღამით ჰაუპტვახტში პატიმრობა გამოუცხადა მწყობრში დაგვიანების გამო.

— ყველანი ისედაც ხომ ქოფაკები არიან?! მაგრამ თავით-ფეხებამდე რომ ყარან... თფუ! — ზიმა იატაკზე აპურჭყებს.

— ნუ იპურჭყები კატასავით, პირუტყვო! — უტევს ზიმას ამაევი და ბორგავს, — ხომ იცი, დილით ენით აგალოკინებ.

— წადი შენი! — ილრინება ეფრეიტორი.

გრიშა თავისთვის ფხუკუნებს.

— ომი ადამიანებს აბოროტებს, — ასკვნის სერჟანტი.

— ცხადია, მაგრამ მე რატომღაც მაინც მგონია, ჩვენთვის, ყველასათვის იქ გაცილებით უკეთესი იქნებოდა სამსახური, — ხმამაღლა ფიქრობს ზიმა. — იქ ასე ძაღლებივით როდი ცხოვრობენ ბიჭები, გმირებად ბრუნდებიან... ამ დასაწვავში ფეხზე ვდგავართ და მაინც გამუდმებით ვიხრწნებით...

— მერედა, რა თავში იხლი ამ გმირობას, თუკი ოცი წლის ასაკში ინვალიდი ხარ? — არ ეთანხმება ზიმას სობინი, — მიმიფურთხებია გმირობისათვის... მიმიფურთხებია, საერთოდ, ომისათვის, გინდაც ინტერნაციონალურისათვის, მიმიფურთხებია ყველაფრისათვის, რაც... — სობინი არ ამთავრებს, უფრო სწორად, ველარ ამთავრებს. წუთიერი სიბრაზე ყელში უჭერს და სიტყვის თქმის საშუალებას აღარ აძლევს.

— ეი, თქვენ მანდ, დროა მორჩეთ, — ყაზარმის შორეული კუთხიდან ილრინება კოჩურენკო.

— კრასნიუკი გაიგებს, გეყოფა, ქვეწარმავლებს როდი სძინავთ, — ზიმა საწოლში წრიალებს.

— მიმიფურთხებია!.. მიმიფურთხებია

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვით კრასნიუკისათვისაც ბებერი ქოფაკი. — სობინი ლამისაა ატირდეს.

— შეიშალა! — ჩურჩულებს თავისთვის ეფრეიტორი. მერე ზეწარში თხუნელასავით იმალება და ძილისათვის ემზადება.

— ლევიტ, — ვეძახი.

არავინ მპასუხობს.

— ლევიტ! — ვეძახი უფრო ხმამაღლა და ფეხით ზემო იარუსს ვანჯღრევ. იგი ჩემს ზემოთ წევს.

— რა მოხდა? — მესმის ლევიტის ნამძინარევი ხმა.

— გეძინა? — ვეკითხები სხვათაშორის. — წყალი მომირბენინე.

იგი მორჩილად მოძვრება ქანდარიდან და საცვლების ამარა, შიშველი ტერფებით მიტყაპუნებს საწოლებს შორის.

— მაგას ახლა პრაპორშჩიკი გამოიჭერს, — მაფრთხილებს გრიშა ხვნეშა-ხვნეშით.

— დარდი ნუ გაქვს. ლაკიზა კარგა ხანია წაიძურწა, — აგდებულად ვპასუხობ.

— სად?

— ლაზარეთში.

— რაო?

საწოლზე ვჯდები.

— ჰო, დღეს ის თხა მორიგეობს.

— ლილია? — თავს იქნევს ამაევი და იცინის.

— ჰო, რა იყო? — ვეკითხები.

— ვოტ სუკინ სინ, — კვლავ თავს იქნევს ამაევი.

— ამოთქვი, რა მოსვენება დაკარგე, — ინტერესი მიპყრობს.

— აქამდეც დადიოდა? — კითხვითვე მპასუხობს გრიშა.

— ჰო, ამოღერღე, რისი თქმა გინდა.

— არა, არაფერი...

— გრიშა, ენას ამოგაგლეჯ! — მოთმინება მეკარგება.

— არაფერი ისეთი-მეთქი... ამბობენ, იმ კახპას რაღაც უბედურება სჭირსო, — გაუთავებლად თავს იქნევს გრიშა, — ვოტ კუსოკ,[1] ისვრის პრაპორშჩიკის

---

[1]. პრაპორშიკების მეტსახელია.

მისამართით და ისევ გულაღმა წვება.

— ვინ გითხრა?

— ერთმა ძმაკაცმა... თვითონ უკვე შავ დღეშია.

— მაგისგან?

— აი. ეგ კი დანამდვილებით არ იცის, ახლა გამოჩნდება.

— ტყუილია. გრიშა! — მინდა. რომ ტყუილი იყოს.

— ლაკიზა დაამტკიცებს, — ქირქილებს ამაევი.

ნაწლავებში ზანტად დასრიალებს გველის ცივი სხეული.

ლევიტიც ბრუნდება და წყლით სავსე ჭიქას მაწვდის.

— ყოჩაღ. დაიძინე, კოსტია. — ჭიქას ვართმევ.

რა საოცარი ღამეა! — ზემოთ მიბობღავს ლევიტი.

ჭიქას პირიდან ვიშორებ და ფანჯრისაკენ ვიყურები;

მართლაც, რა საოცარი ღამეა!..

## მგლის ალსარება

ყოველი ახალი შევსების მოყვანისთანავე, ყაზარმაში იწყება როგორც ფარული, ისე აშკარა, მაგრამ უაღრესად დაუნდობელი, თავისი ბუნებით საშინელი და შემზარავი ბრძოლა ახლად გამომცხვარ ჯარისკაცებსა და „ხანდაზმულებს“ შორის. „ხანდაზმულებში“ ერთიანდება ყველა ის „ღვაწლმოსილი“ ჯარისკაცი, რომელთაც, თუნდაც ორიოდეჯერ მეტად ჩაუყლაპავთ ყაზარმის ბინძური, დამყაყებული ჰაერი, ვიდრე „მწვანეებს“. მართალია, ბრძოლა ყველაზე უფრო მძვინვარე ფორმებით ახალბედებსა და „მოხუცებს“ შორის (იგულისხმება თაობებს შორის. არასაწესდებო დამოკიდებულება) ვლინდება, მაგრამ მასში არანაკლები თავგამოდებითა და აქტიურობით მონაწილეობენ „კარასთა“[1] და „ჩერპაკთა“ თაობის წარმომადგენლები. ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, „დემბილებიც“ კი.

---

[1]. ჯარისკაცი, რომელსაც არმიაში სამსახურის ექვსი თვე შეუსრულდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა იწყება „მწვანეთა“ მოსვლის პირველი დღიდანვე, ასე განსაჯეთ, პირველივე წუთებიდან და ყველაზე დაუნდობელ ხასიათსაც სწორედ ამ პირველ ეტაპზე ღებულობს. ეს ბრძოლა არის მამოძრავებელი ძალა, მას მოქმედებაში მოჰყავს ათასობით მექანიზმი, ათასობით ჯაჭვი, რომელთა ერთობლიობა ქმნის სწორედ ამ ურთიერთობათა სისტემას, რასაც ა რ მ ი ა ეწოდება. თაობათა ამგვარი ცვლა არის არმიულ ურთიერთობათა მარადიული განახლების პროცესი, ანუ მისი „მუდმივი მოქმედების ძრავი“.

თაობათა ცვლა, ჩვეულებრივ, წელიწადში ორჯერ ხდება, — გაზაფხულსა და შემოდგომაზე, ესე იგი, იმ დროს, როდესაც ადამიანის შინაგანი სამყარო დამუხტულია რაღაც უჩვეულო, აუცილებელი, გარდამავალი ცვალებადობის მძაფრი იმპულსით... იქნებ, წელიწადის ეს დრონი როგორღაც კიდეც ახდენს გარკვეულ გავლენას იმ პროცესებზე, რომლებსაც ამ ეტაპზე ადგილი აქვს არმიაში. არ ვიცი...

ახალწვეულები ძირითადად ეტაპებად მოჰყვათ, ასკაციან, ორასკაციან, შესაძლოა, უფრო მცირე, ან მოზრდილ ჯგუფებადაც და, სპეციალური კარანტინის გავლის შემდეგ, სხვადასხვა მოქმედ ქვედანაყოფებში ანაწილებენ. კარანტინი გახლავთ ერთგვარი „განსაწმენდელი“, ხანგრძლივობით — ასე, ორ კვირამდე, — სადაც „მწვანე“ უნდა დაიცალოს „სამოქალაქო ცოდვებისაგან“, ან, უფრო ზუსტად, გათავისუფლდეს შინიდან გამოყოლილი ტკბილი მოგონებების, ჩვევების, წარმოდგენებისაგან, თვალი შეაჩვიოს მისთვის თვისობრივად ახალ გარემოს და შინაგანად განეწყოს მომავალი, მძიმე სამსახურისათვის. კარანტინში ყოველთვის უფრო „მოქალაქეობრივი“ სჭარბობს, ვიდრე ნამდვილი, ყაზარმული, მაგრამ ახალწვეულთა უმრავლესობა მაინც ახერხებს სწრაფად გაერკვიოს მოვლენებში, ერთი თვალის გადავლებით შეაფასოს რეალურად ნახ-განცდილი და გააკეთოს მომავლისათვის საჭირო დასკვნები, ანუ, იწყოს გამოცდილების დაგროვება. ამ პერიოდში „მწვანეს“ შესაძლებლობა ეძლევა, მოახდინოს ღირებულებათა ერთგვარი გადაფასება, რაც ძირითადად ემყარება სამოქალაქო და არმიული ყოფის კრიტერიუმებს შორის თავისებურ შეპირისპირებას. ეს შეპირისპირება როგორღაც თავისთავად, ინსტინქტურად წარმოიქმნება ახალწვეულის ცნობიერებაში და საოცარი სისწრაფით მიმდინარეობს. ახალწვეული ამჩნევს, რომ ბევრი „რამ“, რაც „იქ“ მას სჭირდებოდა და ურომლისოდაც წარმოუდგენლად ეჩვენებოდა არსებობა, აქ სრულიად ზედმეტია, არაფრად გამოადგება და, ცხადია, დროებით კიდეც უნდა თქვას მასზე ნებაყოფლობით უარი. სანაცვლოდ კი, ცდილობს, რაც შეიძლება სწრაფად შეითვისოს ახალ-ახალი ჩვევები და გამოცდილება, რომლებიც, მისი აზრით, მომავალი სამსახურისათვის უნდა გამოადგეს.

სამხედრო წესდების თანახმად, სპეციალური კარანტინის გავლის გარეშე, დაუშვებელია, ახალწვეულთა პირდაპირ მოქმედ ნაწილებში გადაგზავნა, მაგრამ დივიზიონში ეს სავსებით ჩვეულებრივი მოვლენა იყო; ახალწვეულთა ყოველ მორიგ ეტაპს პირადი შემადგენლობის ნაკლებობის გამო პირდაპირ ყაზარმებში არიგებდნენ... მოჰყავდათ ისინი უშუალოდ ქუჩიდან, თბილი ლოგინებიდან აყრილნი, დედილოების ალერსიან კალთას აგლეჯილნი, სამოქალაქო ძველმანებში ჩაცმულნი თუ ათასგვარ ზიზილ-პიპილებში გამოწყობილნი, თავგადაპარსულნი, მხრებჩამოყრილნი, დაღვრემილნი და დამფრთხალნი...

მათი გამოჩენა იყო ყველაზე დიდი დღესასწაული, რომელიც კი შეიძლება არსებობდეს ყაზარმის ბინადართათვის. ეს იყო გულის სიღრმეში თვეობით სათუთად ნატარები ოცნება, რომლის ახდენასაც მოუთმენლად, გულის ფანცქალით ელოდა ყოველი ჯარისკაცი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩ.

— ეი, შენ, ძაღლის ლეკვო!... ვხედავ, რომ არ გძინავს... აეთრიე, საქმე მაქვს!..

მისმა სიტყვებმა საბოლოოდ გამოაფხიზლა. თვალი გავახილე და, მართალია, წინდაწინ ვიცოდი, ვინც იდგა ჩემს წინაშე, წუთით მაინც დამრია ხელი გამანადგურებელმა ელდამ:

— ტოლსტიაკ?!. საიდან გამოტყვრი, სატანავ?..

●

გამთენიისას რაღაც საშინელისა და ამაზრზენის წინათგრძნობით შეპყრობილი ვიღვიძებ. თვალს ვახელ. დერეფნიდან მორიგე ჯარისკაცების ხმადაბალი ჩურჩული და სველი ჩვრის ბეტონის იატაკზე ტლაშუნი მოისმის. ჩანს, ყაზარმა დილისათვის მოჰყავთ წესრიგში სადღესასწაულო — ? სადღეღამისო გუშაგებს. ალბათ, არც ადგომამდე არის დარჩენილი დიდი დრო.

— საიდან გაჩნდა თაბაშირის ნაფხვენები, სტიოპა? — გაკვირვებით კითხულობს ერთი მათგანი.

— ეშმაკმა დალახვროს!.. აქ ხომ ესესაა მოვწმინდეთ? — მხარს უბამს მეორე.

— ჭერიდან ცვივა, ვითომ? — ბუზღუნებს ისევ პირველი. — შეხე, შეხე სტიოპა, ჭაღი რა დღეშია! — ჯარისკაცს ხმაში შიში ერევა.

დერეფნისაკენ ვიჭყიტები, ფართო გასასვლელიდან ვხედავ, როგორ ძაგძაგებს და ქანაობს ჭერზე დაკიდული ფერადი მინის ჭაღი.

მესმის რაღაც ბუნდოვანი, უცხო, ყრუ ღრჭიალიც...

— მე მგონი, მიწისძვრაა, — შემკრთალი ბუტბუტებს მეორე, მაგრამ ხმა უწყდება. ძლიერი ბიძგი ყაზარმას არყევს. სახეზე მეყრება ჭერიდან ჩამოცვენილი თაბაშირისა და ცემენტის ნაფხვენები.

— მორიგევ!.. მორიგევ, მიწისძვრაა!..

ყაზარმა ყურისწამღებად ღრჭიალებს, თითქოს მიწის წიაღიდან საზარელი, გულსაკლავი ხმით ქვითინებს ვიღაც...

— პადიომ!!! — ვღრიალებ, რაც შემიძლია და, საწოლიდან ვხტები.

— დივიზიონ!.. ზემლეტრესენიე, ვიხოდი ნა ულიცუ! — მთელი ხმით გაჰყვირის დერეფანში მორიგე სერჟანტი.

ზედმიყოლებული რამდენიმე მძლავრი ბიძგი აქეთ-იქეთ მაქანავებს. გაჭირვებით მივიკვლევ გზას საწოლებს შორის და ისეთი შეგრძნება მეუფლება, თითქოსდა პირველად ჩემს სიცოცხლეში ციგურებით ვიდგე ყინულის მოედანზე.

ყაზარმა ზანზარებს. ისმის ათობით შეშინებული, ნამძინარევი ხმა, გინება, საწოლების ჭრიალი, ტაბურეტების ბრაგვანი, შიშველი ფეხისგულების ტყაპუნი; დერეფანი გაჭედილია თეთრ საცვლებში გამოკრული სხეულებით... მინდა კიდევ რაღაც დავიყვირო, მაგრამ პირი მტვრითა და თაბაშირის ნაფხვენებით მევსება. გასასვლელთან ზედახორა დგას. ვიღაც ეცემა, მაგრამ წამოდგომას ვეღარ ახერხებს; დანარჩენები დაუბრკოლებლივ გადადიან მის სხეულზე და ჯიუტად მიიწევენ წინ.

მუჯლუგუნებით მივიკვლევ გზას. ვაღწევ გასასვლელამდე, მაგრამ აქ უკვე მყარ, გადაულახავ ზღუდეს ვაწყდები. სადარბაზო გაჭედილია თეთრი, მოძრავი ლანდებით. არავის მოსდის აზრად შუქის ანთება. ლანდები თავ-პირის მტვრევით ჩამორბიან კიბეზე ზემო სართულებიდანაც. კიდევ უფრო იჭედება სადარბაზო. თავისუფალი ადგილი აღარ რჩება...

გმინავს, ღრიალებს, ღელავს, გაჰკივის, იგინება ყაზარმა...

ჯიუტად ვცდილობ ცოცხალი კედლის გარღვევას, მაგრამ უეცრად მკერდის არეში საშინელი სიძლიერის დარტყმას ვგრძნობ, მოწყვეტით ვეცემი, კეფით ბეტონის მკვრივ იატაკს ვენარცხები და მთელს არსებაში მდოვრედ ისადგურებს კაშკაშა, აუტანელი სიყვითლე.

მოგვიანებით, ბუნდოვნად აღვიქვამ, რომ ვიღაც ჩემს წამოყენებას ლამობს. მგონი, აღწევს კიდეც საწადელს. თვალები ღია მაქვს, მაგრამ ვერაფერსაც ვერ ვარჩევ ჩემს ირგვლივ; გარემომცველი

ეროვნული ბიბლიოთეკა

სამყარო მძიმედ დაცურავს ყვითლად მოლივლივე, ბლანტ ნისლში.

მოულოდნელად ჩამესმის საზარელი ხარხარი. არასოდეს არავისაგან მსმენია, რომ ადამიანს უნარი შესწევს, ამგვარად იცინოს. არა, ადამიანები ამგვარად არ იცინიან!.. ასე მხოლოდ ეშმაკეულები ხარხარებენ... ო, ღმერთო, ჩემო... მახსენდება ძილში ნანახი სიზმარი, თუმცა კი დეტალებში ვეღარ ვაცოცხლებ. მახსენდება, — წუხელ მე ვიდექ ჯოჯოხეთის ალმოდებულ კართან და საკუთარი თვალით ვიხილე, როგორ გაიხსნა ცეცხლის ენების მიღმა ვეება კარი და როგორ გამოტყვრა შემზარავი უფსკრულიდან სატანა... აი, სწორედ ამ ბოროტმა, შიშის მომგვრელმა ხარხარმა გამომაღვიძა დილით...

— რა მოგდის, თავი ასწიე, — ჩამყვირის ვიღაც და გამეტებით მაწნავს სილას.

გონებიდან უეცრად იფანტება სიყვითლე. ვამჩნევ, როგორ იკვეთება ჩემს თვალწინ იურა კოჩურენკოს ფერმკრთალი, მოღიმარი სახე.

— მიწისძვრაა, იურა, თავს უშველე! — ვჩურჩულებ ულონოდ და სუნთქვა მეკვრის. მკერდის არეში საშინელ ჩხვლეტას ვგრძნობ.

— ყველაფერი მორჩა, დაწყნარდი, — მიღიმის.

— იურა, ვიღაცამ ჩამარტყა, თუ შენიშნე, — ენას ძლივს ვიბრუნებ.

— გიჟი ხარ?.. ალბათ, მოგეჩვენა...

„არა, მე არ ვარ გიჟი, მე არაფერიც არ მომჩვენებია... ნამდვილად ჩამარტყეს და გარკვევითაც დავინახე ის“, — განუწყვეტლივ მიტრიალებს ერთადერთი აზრი გონებაში, თუმცა კი არ შემიძლია აღვიდგინო მისი სახე, ვინც დამარტყა... ფეთიანივით ვათვალიერებ ყაზარმას; გასასვლელი ცარიელია. ერთის შეხედვით, ყველაფერი თითქოს მართლაც მორჩა. ვაყურადებ ჩამოწოლილ სიჩუმეს... ეზოდან სუსტად აღწევს ჯარისკაცთა შეშფოთებული, მღელვარე ხმები, მაგრამ იმავე წამს ყურებში საშინელ შხუილს ვგრძნობ; შხუილი მატულობს, თანდათან იკვეთება და ყაზარმის მტვრიან ჰაერს ისევ ის ყურისწამღები ხარხარი ფატრავს.

— ვოტ ი მანდავუშკი!.. ნი რაზუ ვ ჟიზნი ნე ვიდელ ტაკოი ბეზუმნიი სტრახ სრედი ლიუდეი... ნო ვ სამომ დელე ანი ჟე ნე ლიუდი, ა ტოლკო ჟალკიე მანდავუშკი, — გრგვინავს ვიღაცის ზარისებური ხმა. მერე ამ სიტყვებს კვლავ ხარხარი მოსდევს.

ვხედავ, როგორ მიახლოვდება ვიღაცის ვეება აჩრდილი. აჩრდილი ერთიანად სიყვითლითაა მოცული. თავის გარშემო ეს სიყვითლე ყველაფერს აფერმკრთალებს და აუფერულებს...

„აი, ისიც!“ — ჩამძახის აბეზარი შინაგანი ხმა.

იგი მთელ ვედრო წყალს მაცლის თავზე; მოულოდნელობისაგან ვკრთები და წამსვე ვეგები გონს. მიბრუნდება აღქმის უნარიც. ეგაა, კვლავ საშინლად მტეხს კეფა და მკერდიც ისე მტკივა, რომ უსაშველოდ მიჭირს ჩასუნთქვა.

— შენ რა, ჩაძაღლება მოინდომე? — ზიზღით დამყურებს უცნობი.

— წადი შენი, — სიცივისაგან კანკალი მიტანს.

— ვოტ ი სჩასტლივჩიკ, — ხარხარებს. — პერეჟილ, რაზ რუგატსია ზახოტელ, — ცარიელ ვედროს ყაზარმის კუთხისაკენ ისვრის. ბეტონის იატაკზე დანარცხებული თუნუქის ჭურჭელი ძარღვებისამშლელად ზრიალებს და მის ხმაზე ტანში მბურძგლავს.

სიძულვილით ანთებული მზერით შევყურებ უცნობს. მას სახე გორილას მიუგავს. ვეება, მძლავრი ყბები და მეჩხერი, მოყვითალო კბილები აქვს. მარჯვენა წარბს ნახევრად უფარავს შუბლზე ბლუჯად ჩამოშლილი ქერა თმა. მრისხანედ ბრიალებს მომწვანო, მბრწყინავი და დაუდგრომელი გუგები.

— ვინა ხარ? — შუბლზე ოფლის ცივი წვეთები მაყრის.

— ვინა ვარ?! — მოულოდნელად სერიოზულდება.

ინტერესითა და ფარული ძრწოლვით შევყურებ. უცნობი არ ჩქარობს. ვეება

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხრებს უცნაურად არხევს, თავს დაუდევრად ხრის გვერდზე, თმის ბღუჯას შუბლიდან ზემოთ იყრის და მშვიდად მპასუხობს.

— მე ტოლსტოიკი ვარ... ჯოჯოხეთიდან მოვლენილი, — ყურისწამღებად ხარხარებს. მის ხარხარზე სული მიგუბდება. მინდა ვიყვირო, მთელი ხმით ვიღრიალო, მაგრამ ჰაერი არ მყოფნის და კრინტის დაძვრასაც ვერ ვახერხებ... უაზროდ ვაცეცებ თვალებს და მოულოდნელად მის მზერას ვაწყდები... ოი, საშინელებავ!!! ვხედავ, როგორ იკლაკნებიან მის მწვანე გუგებში პაწაწკინტელა წითელჩაჩიანი ქონდრისკაცები... ეს ქონდრისკაცები თავის ირგვლივ რაღაც უსახური, ელდის მომგვრელი სხივით არიან მოცულნი; სადაცაა, გადმოხტებიან კიდეც...

— იურა... დივიზიონს სატანა ესტუმრა, — ნაწყვეტ-ნაწყვეტ ვისვრი და მუხლები ულონოდ მეკეცება...

### მგლის აღსარება

(გაგრძელება)

აი, შემოდის „მწვანეთა" პირველი ჯგუფი:

— სმენა! — გაჰყვირის მთელი ხმით მორიგე ჯარისკაცი და მთელი ყაზარმა ბრძანებისამებრ შეშდება: ვისაც სად, როგორ, ან რა მდგომარეობაში და პოზაში მოუწევს, ისე. თითქოს დრო და სიცოცხლე ერთ ადგილზე იყინება ყაზარმაში... მაგრამ რამდენიმე წამში გაისმის იგივე ჯარისკაცის საზეიმო ხმით წარმოთქმული სიტყვები:

— დემბილია სავეტსკოი არმიი ი ვაენნო-მორსკოგო ფლოტა, პრიიმიტე ვაშუ ზამენუ!..

... და იწყება...

თუმცა კი შეუძლებელია ჩვეულებრივი სიტყვებით აღწეროს ადამიანმა ყოველივე ის, რაც ამის მერე ხდება ყაზარმაში, აი, ხომ არსებობს ამქვეყნად ისეთი რამ, რაც, არათუ შეუძლებელია აღწერო კალმით, არამედ აღბეჭდო თუნდაც ფირზე... დარწმუნებული ვარ, რომ ეს მომენტი, გინდაც ფილმად გადაღებული, ყოველგვარი ნიუანსების, დეტალების გათვალისწინებითა და დაცვით, ვერ მოჰფენს სრულად ნათელს იმ მოვლენის არსს, მაინც ვერ იქნება რეალური, ნაღდი, უჩრდილო სურათი იმისა, რაც ამ დროს, სინამდვილეში ხდება. იმისათვის, რათა მთლიანობაში აღიქვა, სიღრმეებში ჩასწვდე, გაიგო, დაინახო, რაც დაფარულია ყოველივე ამის მიღმა, — უნდა აუცილებლად საკუთარი თვალით იხილო და შეაფასო, უნდა შენ თ ვ ი თ ო ნ განიცადო, თვითონ იყო ამ უცნაური დღესასწაულის ერთ-ერთი მონაწილე...

ყაზარმაში მოულოდნელად შემოჭრილ უსუსურ, დაბნეულ, ელდანაკრავ ადამიანთა ამ უფორმო მასას შემოაქვს ენით აუწერელი, არაბუნებრივი, მძვინვარე რიტმი... ყაზარმა, როგორც აქამდე უძრავ კლდეზე მიჯაჭვული გოლიათი, ერთი დაკვრით ნაკუწებად აქცევს სულისშემხუთველ ბორკილებს და დგება..., ყაზარმა-თავს იწყვეტს, კიდევ უფრო იზრდება, წელში იმართება, მხრებს ათამაშებს, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევს... ცოტაც და, ალბათ, ყველაფერს წალეკავს თავის ირგვლივ, ნაცარტუტად აქცევს, მოსპობს, დასწვავს, სივრცეში გაფანტავს.

„ვოტ ი ანი!.. ანი პრიშლი, ხლოპცი!.. პრიშლი სუკინნიე დეტი! დოლგო იხ ნე ბილო ვიდნო, ნო, ვსიოტაკი პრიშლი... ი დემბილ ბლიჟე, ზემლიაკი!.. ურაა!"

ათობით ხმა ერთმანეთში ირევა, ესაა სრული ქაოსი, მაგრამ მართვადი რაღაც შინაგანი წესრიგით... ყაზარმას მართავს რაღაც საერთო იმპულსი, საერთო სული, რომელიც თითოეულში სულ სხვაგვარ, ერთიმეორისაგან განსხვავებულ განსხეულებას განიცდის... ყ ა ზ ა რ მ ა, იწყებს სუნთქვას... სუნთქავს, როგორც ცოცხალი ორგანიზმი და აქამდე მოდუნებული, ჩაჟანგებული მისი სხეული თანდათან იწყებს მოძრაობას...

ისინი მოედინებიან ბრიყვული, გაოგნებული, შემკრთალი სახეებით, სუფ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თად გადაპარსული თავებით, სამოქალაქო ტანისამოსში გამოწყობილნი, სანოვაგით გატენილი ზურგჩანთებით და შენ გრძნობ ნანატრ, ნაცნობ და ძალზე მიმზიდველ სუნს — ყვავილების, ქუჩის, ლუდხანების, სუფთა თეთრეულის, სამზარეულოს, უზრუნველი ცხოვრების, მტვრის, მანქანების, სუნამოს, ზღვის და ქალის სუნსაც კი... უცქერი, ლამისაა თვალებით შეჭამო ეს შემკრთალი, გაფაციცებული, ელდანაკრავი სიფათები და ბოლმისაგან იხრჩობი... ნებისმიერი მათგანი, აი, თუნდაც ის, განაპირა, ხბოს თვალებში ერთდროულად სევდანარევი ცნობისმოყვარეობა და ფარული შიში რომ ჩასდგომია, ჯერ კიდევ გუშინ თავის საცოლეს ეხვეოდა და მდუღარე ცრემლებით უსველებდა კალთას, *დღეს* კი ჯარისკაცია!.. ჰმ!.. იქნებ და, არც იყო ის გოგო ამ ვირთხის საცოლე?!. იქნებ, სულაც ქუჩაში შემთხვევით გამოჭერილი კახპა იყო?! ჰა?.. ასეთ დროს ვირთხები არაფერს ერიდებიან, ოღონდაც ქალი ერქვას და, მათთვის სუყველა ერთია... ასეთები წამოსვლის დღემდე უბიწო ცხოვრებას ეწევიან და მაინცდამაინც გამომგზავრების წინ უჩნდებათ სურვილი, სრულყოფილ მამაკაცებად იქცნენ... თითქოსდა ამით რაიმე შეემატებოდეთ!.. არა ნამდვილად ძუკნა იყო ის გოგო... გოგო?! გოგო არც ეთქმის... ფულიც კარგა ბლომად გამოლღლიტა, ალბათ. ასეთებს ხომ მუდამ სავსე აქვთ ჯიბე, მამილოებს სცინცლავენ, თუმცა მათი ხეირიანად დახარჯვის შნოც კი არა აქვთ; მოვლილი ჩანს, დიდი მამიკო ეყოლება — „შიშკა!“ მაგრამ მიმიფურთხებია!.. მიუფურთხებია მაიორ კრასნიუკსაც... აქ, მაგის მამილო, ამიერიდან პრაპორშჩიკი ლაკიზა იქნება, — საარტილერიო დივიზიონის პირველი ბატარეის გოროზი ზემდეგი... აი, ლაკიზა კი გვარიანად ამოსწოვს სისხლს... თუმცა მაგის სისხლი ვის რა ჯანდაბად უნდა, საშიშია უკვე... ის ძუკნა უთუოდ რასმე აჰკიდებდა... ჰა, მაინც, როგორ კოცნიდა, თფუ!.. კარგად დააკვირდი, კოცნის კვალიც კი გამოჰყოლია; ლოყაზე შეხე, მარცხენა ყურის ძირში... ნიკაპთანაც პომადა სცხია... აი, ნამდვილი ლორი!.. ერთი კვირა ისე გაივლის, პირსაც არ დაიბანს, — კოცნის კვალი რომ არ წაეშალოს... არა, ნამდვილი ლორია... დარწმუნებული ვარ, მაგას გულის ჯიბეში სარკეც ედება, რათა, როგორც კი დროს გამონახავს, მძიმე წუთების გასაქარწყლებლად თავის ლორულ სიფათს დააშტერდეს, რომ პომადიანი ბაგეების ნაკვალევმა წარსულის ძვირფასი წუთები გაახსენოს და შვება მოჰფინოს მის გულს... თფუ! მიხრჩობადაც კი არ ღირს!.. ნეტავ, რამდენ კბილს ჩავუმსხვრევდი ერთი დარტყმით... ჰა..., მიმიხვდა, მგონი, პირი იბრუნა... „გაალე!..“ ხედავ?..“ ეე, გაალე-მეთქი, შენი!..“ არ აღებს? შეხე, არ აღებს!.. ვითომც აქ არაფერი... „ჰეი, სერდიუკ!.. სერდიუკ, საღამოთი ამ მძორს მომიყვან... მაგის კბილები რაღაც არ მომწონს... თავად ვერაფრისდიდებით მოიფიქრებს, უკეთესი ჩაისვას... სიამოვნებით დავეხმარები!“ ჰა, კარგი რამეა, არა... შეხე, ზურგს გაქცევს... აი, ყოჩაღ! კარგი „სპილო“ დადგება შენგან, საბრძოლო „სპილო“... საბჭოური საბრძოლო „სპილო!..“ დიდი პარტყუნა ყურებითა და ეშვებით პირდაპირ შუბლზე... ჰა, მაგარია, არა?!. ერთი იმ მეორე ძაღლიშვილს დამიხედეთ, სათვალე რომ წამოუსკუპებია ცხვირზე, თითქოს თავით გადამჯდარა ველოსიპედზე... სამ დღეში ის ამ სათვალეს დაკარგავს და მერე მთელი თვე მაწანწალა ძაღლივით ირბენს ყაზარმიდან ჰოსპიტალში და ჰოსპიტლიდან პირიქით, აქეთ, ყაზარმისაკენ... ისწავლის ეშმაკობას ძაღლის ლეკვი! ეგეთები, დანარჩენებთან შედარებით, გაცილებით ადრე ითვისებენ ცხოვრების შინაგან მხარეებს; თითქოს თანდაყოლილი, ბუნებრივი უნარიც კი აქვთ საამისოდ... მაგრამ აქ ვერავინ ასცდება თავის ხვედრს. ყველამ თავისი წილი ფაფა უნდა მოხარშოს!.. აქ ის საოცრად სწრაფად მიხვდება ამას; მიხვდება, რომ *სისულელეა* და არ ღირს, განგებ დაკარგოს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის ეშმაკის ველოსიპედი, ხოლო „შემთხვევით“ მართლა რომ დაკარგოს, — ეს უკვე ძალზე დიდი უბედურება იქნება! ჰო, ძალზე დიდი უბედურებაა, რადგან აქ არ ხუმრობენ, არც თამაშობენ, რასაკვირველია... აქ მხოლოდ უ რ ტ ყ ა მ ე ნ, — გამოზომილად და ზუსტად იმ წერტილში, სადაც ყველაზე მეტად საჭიროებენ ამას ძაღლის ახლად შობილი, თვალაუხელელი ლეკვები... ისინი, ვისაც ცემა ევალებათ, წინასწარვე გრძნობენ გუმანით, სხეულის რომელი ნაწილი ექავება ყველაზე მეტად ახალბედას... თუმცა კი ამაზე ხელს ვინ შეისვრის!.. ერთი გადაფურთხებაღაა დარჩენილი კიდევ... ჰა-ჰა-ჰა... კეთილი!.. სერდიუკ, აი, იმაზე რას იტყვი, მწყობრის თავში რომ დგას?.. შეხე, კისერი ბუღა ხარს მიუგავს, ამტანი იქნება, მაგრამ სამაგიეროდ — ლაჩარზე ლაჩარი!.. ეგეთებს, შეგიძლია, ყველაფერი დაავალო, არაფერს ითაკილებენ... ეგეთები პირველნი ჩადგებიან სამსახურში და ყველაზე უმალაც გაიგებენ მის მთელ სიმწარეს...

— დაიშალეთ! — ისმის კაპიტან ოზერიანის ბრძანება.

ყაზარმა უეცრად ცხრება.

— არც ერთი ნაბიჯი წინ... ყველანი თავ-თავიანთ ადგილებზე, ცოცხლად!

ყაზარმა უკან იხევს, იკუმშება... ძარღვებისამშლელად ჟღარუნებს ბორკილები, გოლიათი თანდათან ცხრება, ბრძოლის ჟინსა და სიცოცხლის ხალისს კარგავს, დუნდება, შენობის კუთხეში იყუჟება და შორიდან უთვალთვალებს უცხო გარემოდან შემოსულ სტუმრებს. ისინი აუღელვებლად, ყოველგვარი ფაციფუცის გარეშე ეწყობიან მრუდე, უსწორმასწორო მწკრივად... მათ ჯერ კიდევ არა აქვთ წესრიგი გამჯდარი სისხლსა და ხორცში... ისინი ჯერაც ქაოსიდან მოფრენილ უცხო ფრინველებს ჰგვანან!..

ყაზარმა იშლება ათეულობით ცალკეულ ნაწილაკებად — ა დ ა მ ი ა ნ ე ბ ა დ... თითოეული მათგანი იბრუნებს თავის ჩვეულ სახესა და გარეგნულ იერს. სერდიუკი ახლა მხოლოდ სერდიუკია და არა წელანდელი გაბოროტებული გოლიათის რომელიმე მოქმედი ორგანო...

— ია, ვამ რაზ უჟე სკაზალ, მატ ტვაიუ!.. ნი ადნოვო შაგა ვ პერიოდ, სუკი!..

ჩანს, ვიღაც მაინც ცდილობს გაძვრეს წინ, მაგრამ კაპიტანი უხეში მუქარით აბრუნებს უკან...

გრძნობ, როგორ ცვლის წელანდელ პოეზიას თანდათან უხეში, მდარე, ძარღვებისამშლელი პროზა...

არა, შენ გძულს ყველაფერი ეს! წუთის უკან განცდილი სიხარულისმაგვარი თრთოლაც მხოლოდ და მხოლოდ მოჩვენება იყო; განა მართლა გიხაროდა!.. რა სისულელეა!.. სიხარული?!. თუმცა, ან კი რა მნიშვნელობა აქვს წუთის წინ მართლა გიხაროდა, თუ არა... სულ ერთია, ახლა უკვე გძულს; გძულს მთელი არსებით, როგორც კი შეუძლია სძულდეს ადამიანს... შენ გაღიზიანებს უკვე ის „სამოქალაქო სუნიც“, წელან ნეტარებით რომ ისრუტავდი... მოვიდნენ? მერე რა, რომ მოვიდნენ, ჯანდაბამდისაც ჰქონიათ გზა!.. ეგენი მარტოოდენ იმისათვის გამოგვეცხადნენ, რათა სული მოგიწამლონ და შიგნეული ერთიანად ამოგიტრიალონ, ბოლმისაგან გულ-გვამზე გაგფატრონ... არა, შენ გძულს, გძულს და გეზიზღება... იმდენად გძულს და გეზიზღება, რომ საკუთარი თავი გაშინებს... გაშინებს და მერე ეს შიშიც გეზიზღება და საკუთარი თავიც!.. გეზიზღება მხოლოდ იმიტომ, რომ არაფრით შეგიძლია, დაეხმარო მას!.. შენ არ შეგიძლია, შენ უ ძ ლ უ რ ი ხარ, აქციო იგი ახლავე, ამ წუთიდანვე იმად, რაც იყვნენ შენს წინ ერთმწკრივად მდგარ ძაღლისგაგდებულთაგან ჯერ კიდევ გუშინ... არ შეგიძლია და შენ მზადა ხარ, შური იძიო!.. შური იძიო? კი მაგრამ, ვისზე, რის გამო?!. იმის გამო, რომ თქვენ, ყველანი, შენც და შენთან ერთად, ისინიც, მსხვერპლნი ხართ ერთი და იგივე ნებისა და კანონისა?!. ნუთუ მხოლოდ იმის გამო, რომ ეს ნება უზენაესია, კანონი კი დამთრგუნველი და შენ არ შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გწევს ძალა ებრძოლო მათ... რომ შენ უძლური ხარ დაამარცხო ორთავე?!. ამის გამო, არა?!. ჰმ!.. სამაგიეროდ, მზადა ხარ, ათთარივით დააცხრე ამ საცოდავ არსებებს, რომელთაც არაფერში მიუძღვით ბრალი... არ მიუძღვით ბრალი არც შენს და არც თავიანთ უბედურებაში... მეტიც, ისინი გაცილებით უმწეონი და უძლურნი არიან შენთან შედარებით, ვინაიდან ისინი მხოლოდ ი წ ყ ე ბ ე ნ დღეს... მაგრამ შენ არ ფიქრობ ამაზე; არც შეგიძლია, იფიქრო... შენ მიაფურთხე ყველაფერს, რადგან ასე გექცეოდნენ თავადაც და შენც ასევე უნდა მოექცე ყველას... — სხვა გზა არა გაქვს... არც იმაზე შეგიძლია იფიქრო, რომ ის სუსტია, უმწეოა, — შენ კი მხეცური განზრახვით შიგ სულში აფურთხებ სატანის ნერწყვს, რყვნი, აბუჩად იგდებ, ადამიანისადმი რწმენას უკარგავ, სიკეთისადმი სიყვარულს უკლავ, გულმოწყალებისადმი ზიზღით ავსებ... შენ მტერი ხარ ამ წუთში ყოველივე იმის, რასაც წმინდანები ქადაგებდნენ და ასწავლიდნენ კაცობრიობას... შენ აგინებ შენი მოქმედებით მასაც კი, ვინც ღმერთის სახელით ელაპარაკებოდა და მოძღვრავდა ცოდვილთ... შენა ხარ ადამის მოდგმის მტერი, რადგან შეურაცხყოფ, ფეხქვეშ თელავ ადამიანურ ღირსებებს... და მაინც, ყველაზე დიდი მტერი შენ ხარ საკუთარი თავისა, რადგან თავადაც სხვა არავინ და არაფერი ხარ, ყოველი შენი მოქმედებისდა მიუხედავად, თუ არა ა დ ა მ ი ა ნ ი!.. მაგრამ გაქვს კი უფლება, იწოდებოდე ამად?!.

7.

— ტოლსტიაკ?!. საიდან გამოტყვერი, სატანავ?..

ტოლსტიაკი ცალი მხრით საწოლის ზედა იარუსს ჩამოყრდნობოდა, ტუჩის კუთხეში სიგარეტის ანთებული ნამწვი გაეჩარა და სუსტი ცეცხლი სანახევროდ უნათებდა მოკლე, ხშირი წვერით დაფარულ სახეს.

— საიდან?!. — ჩაიქირქილა მან და მე მივხვდი, ეს იყო კამარაშეკრული მახრჩობელა გველის სისინი: — საიდანაც შენისთანა ილბლიანები იშვიათად ბრუნდებიან...

●

სადილი პარკშივე მოაქვთ. საკომენდანტო ოცეული და ჩვენი ბატარეა ადრიანი დილითვე გადმოისროლეს „განგაშით“ დივიზიონის კუთვნილი სამხარი ტექნიკის სრულ საბრძოლო მზადყოფნაში მოსაყვანად.

დივიზიონის მთელი პირადი შემადგენლობა გამაღლებულ ფაციფუცშია. წესრიგზე მოჰყავთ სამხარი ტექნიკა, ამზადებენ საველე კარვებს, თბილ ტანისამოსსა და პირად აღჭურვილობას, წმენდნენ განკუთვნილ იარაღს. მეორე საარტილერიო ბატარეა უკვე პოლკის საწყობებსაა მოდებული, „მშრალი“ ულუფებისა და თეთრეულის მისაღებად; მესამე კი, მაიორ კრასნიუკისა და პრაპორშჩიკ გოგოლის თაოსნობით, საველე „ლენინის ოთახს“ ამზადებენ პოლიგონისათვის. მესამე ბატარეას თითქმის მუდამ ბედი სწყალობს. მას ყოველთვის „საპატიო საქმეზე“ ანაწილებენ.

სადილი, როგორც ყოველთვის, ცივი და უგემურია. ფაქტიურად, ეს არის მყრალი ნარჩენების ნაზავი, რომელიც რის ვაი-ვაგლახით გამოჰგლიჯეს პოლკის ვეება, უძირო ხახას. „ზილ-131“-ის ძარაზე თეთრხალათიანი მზარეულები შემოსკუპებულან და სასადილოს უფროსი პრაპორშჩიკის მკაცრი მეთვალყურეობით არიგებენ საველე მათლაფებში თითო-თითო ჩამჩა წყალწყალა ბორშჩს. თეთრი პური საერთოდ არ არის; მისი მკაცრად განსაზღვრული მარაგიც პოლკმა ამოწურა, ალბათ. მიუხედავად ღარიბული სადილისა, ჯარისკაცთაგან არავინ გამოთქვამს უკმაყოფილებას. ყველა გონიერი ჯარისკაცი, ამგვარ ვითარებაში, საოცარ მიხვედრილობასა და მოთმინების უნარს ამჟღავნებს. მათ არ ძალუძთ, იყვნენ უკმაყოფილონი, არც პროტესტის გამოხატვის უნარი შესწევთ ერთი მეტად უბრალო მიზეზის გამო: შენ გა-

ნაცხადებ ასეთ სადილზე უარს, — სულ ერთია, მეორე ჯარისკაცი სიამოვნებით ჩახვრიპავს შენგან დაწუნებულ ძაღლის კერძს. შენ კი, ამ დროს, არ არის გამორიცხული, რომ სულაც მშიერი დარჩე; განმკითხავი არავინ იქნება: „ჭამე, რაკი იძლევიან და რასაც იძლევიან... თორემ ამასაც დაკარგავ!..“ და ჯარისკაციც იჩენს გონიერებას: იგი ჭამს ყველაფერს, რასაც კი უწყალობებენ, რადგან თავს ზემოთ სხვა გზა აღარ დარჩენია. არმიაში არსებობს ერთი ასეთი ფრთიანი გამოთქმა, რომელსაც უმეტესწილად, ბუნებით ცინიკოსი ჩინოსნები ხმარობენ, რათა კიდევ უფრო დაამცირონ, ისედაც დამცირებული და გათელილი საბჭოთა ჯარისკაცი: „იგი (საბჭოთა ჯარისკაცი) ჭამს ყველაფერს, რასაც სუნი ასდის; სვამს ყველაფერს, რასაც ცეცხლი ეკიდება და რაც იწვის... და სიამოვნებით იძინებს ყველგან, სადაც კი ამის საშუალება მიეცემა!..“

ულუფის მიღებისთანავე, ყველა მოხერხებულ ადგილს ეძებს. ზოგი თვითმავლის ძარაზე მიდოღავს მათლაფით ხელში, ზოგი სატვირთოების ფართო ფრთაზე შლის თავის ღარიბულ სუფრას და ფეხზე მდგომი შეექცევა სალაფავს.

პარკში სადილობა ყველა ჯარისკაცს სიამოვნებას ანიჭებს. ჯერ ერთი, იმიტომ, რომ აქ სუფთა ჰაერია, შედარებით სიმყუდროვე სუფევს და გარემოც უფრო ბუნებრივად გამოიყურება, ვიდრე სასადილოში. მეორეც, და, რაც ყველაზე მთავარია, ჯარისკაცს აქ არავინ აჩქარებს; საშუალება ეძლევა, სულ რაღაც ხუთიოდე ყლუპ ბორშჩს, რაც შეიძლება, დიდხანს შეექცეს, საჭმლის მიღების დრო გაიხანგრძლივოს, ანუ შეუქმნას საკუთარ თავს გვარიანად დანაყრების ილუზია. ესეც, რა თქმა უნდა, ჯარისკაცური ცხოვრებით გამომუშავებული რეფლექსია... ჯარისკაცს ღრმად სწამს, რომ რაც უფრო დიდ დროს მოანდომებს ჭამას, მით უფრო დანაყრდება...

— ზიმა! — მესმის მათლაფაში თავწარგულს პრაპორშჩიკ ლაკიზას ირონიული ხმა, — თქვენ შეგიძლიათ მოითხოვოთ დამატება.

— მეე?!. რატომ? — კითხულობს ეფრეიტორი.

— ენერგია რომ დააგროვო, მისტერ. ვფიქრობ, ნასადილევს კარგა გვარიანი წამუშავება მოგიწევს.

ზიმას სახის გამომეტყველება წამშივე ეცვლება. იგი „ბტრ“-ის ნახმარ საბურავზე ზის და ხარბად ხვრეპს წვნიანის ნარჩენებს მათლაფიდან.

— მორჩი? — არ ისვენებს პრაპორშჩიკი.

— მოვრჩი, — უხალისოდ პასუხობს ეფრეიტორი ზიმა.

— კეთილი კარპოვ! — გასძახის ლაკიზა სატვირთოს ძარიდან გადმოყუდებულ ულვაშიან მზარეულს. — მოიღე მოწყალება და მიეცი კიდევ ერთი ჩამჩა განავალი ამ „სპილოს“.

— სიამოვნებით. თუღა დარჩა რამე, — კარპოვი ბორტს მიღმა უჩინარდება. ისმის ქვაბების რახარუხი.

— მათლაფა მოიტა, — მშვიდად ამბობს კარპოვი. გამურული სახე კეთილი ღიმილით ებადრება.

ზიმა წელმოწყვეტილი დგება. მანქანამდე მიდის და კარპოვს მათლაფას აწვდის.

— პური გაქვს? — ეკითხება იგი ეფრეიტორს.

— არა, გამითავდა.

— აი, პარაზიტი, — თავს იქნევს მზარეული. მერე ისევ უჩინარდება ბორტს მიღმა და ზიმას წვნიანით პირთამდე სავსე მათლაფასა და შავი პურის მოზრდილ ნაჭერს უწვდის:

— მიიღე!..

ზიმა ართმევს და თავის უწინდელ ადგილს უბრუნდება. მათლაფას მიწაზე დებს, ქამარს იხსნის და მხოლოდ ამის მერე იწყებს ალუმინის ვეება კოვზით უგემური ბორშჩის ხვრეპას.

— ლევიტ! — გავძახი თვითმავალის მუხლუხებთან ჩაცუცქულ ლევიტს.

— აქა ვარ, — ლევიტი სწრაფი ნაბიჯებით მოძუნძულებს ჩემკენ.

— მოიტა ჩემი სიგარეტები.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევიტი ჯიბიდან სიგარეტის დაჭმუჭნილ კოლოფს იღებს და მაწვდის. ერთ ღერს ვიღებ, ვუკიდებ და ნეტარებით ვაბოლებ. ბოლი მწკლარტეა და ოდნავ მახრჩობელა, მაგრამ ეს კიდევ უფრო მომწონს, — ბორშჩის მჟაუე გემოს მიქრობს პირში.

— შეიძლება, მეც ავიღო... ამ ერთხელაც, რა თქმა უნდა, — ლევიტს სიწითლე უვლის.

— აიღე, აიღე სულელო... ამას რა კითხვა უნდა, — აქამდე არასოდეს ვყოფილვარ ესოდენ გულმოწყალე რომელიმე ახალბედის მიმართ. ლევიტი სიგარეტს იღებს და, მადლიერებით აღვსილი, შემომყურებს. მშვენიერ ხასიათზე ვარ და ამით უაღრესად გაოცებულიც... იქნებ და, პოლიგონის მოახლოება მიჩქროლებს გულს, ჰა... ეშმაკმა იცის! ისე კი, პოლიგონი ამ დამყაყებული ყაზარმული ყოფის შეცვლის პატარა შანსი მაინცაა... ყოველდღიურმა ერთფეროვანმა ცხოვრებამ თავი მომაბეზრა...

— გმადლობთ, — ლევიტი ღრმად ისუნთქავს ბოლს და, ხანმოკლე დაყოვნების შემდეგ, ცხვირის ნესტოებიდან უშვებს.

სიბრალულით შევყურებ, მაგრამ იგი ჩემს მზერას ვერ ამჩნევს.

— მე ვიცი, ვინ გაგარტყა გუშინ დილით, — მოულოდნელად ჩემკენ იხრება ლევიტი და საიდუმლო ხმით ჩამჩურჩულებს.

სიგარეტის მწარე ბოლი საყლაპავ მილში მცდება და ხველების მძლავრი ტალღა მივლის; ლამისაა დამახრჩოს... ანთებულ სიგარეტს ქვიშაზე ვისვრი... ნამწვი ოდნავ შესამჩნევად ბოლავს, მაგრამ მერე ბოლი თანდათან იზრდება, მატულობს და ყვითელ ნისლში ახვევს გარსშემოჯარულ ჯარისკაცთა სხეულის კონტურებს... ქვიშას უეცრად ედება ცეცხლი... იწვის მთელი პარკი; იწვის ვეება მანქანები და გაშეშებული სხეულები. ცეცხლის ენები მოიწევენ ჩემკენაც და ანცად მილოკავენ სახეს... მაგრამ მე ვერ ვგრძნობ ვერავითარ სიმხურვალეს, ვერც ვერავითარ წვას, მე არ ვიწვი, მიუხედავად იმისა, რომ ერთიანად ცეცხლის ალში ვარ გახვეული... ნელა იხსნება ქვესკნელი... ხველების ახალი ტალღა სუნთქვას მიკრავს... სადაცაა ფილტვები დამისკდება... ცოტათი ვწყნარდები და ვხედავ, როგორ გამოდის ბოქსის[1] ღია ალაყაფიდან მედესანტის უსახელო, ლურჯზოლიან მაისურში გამოკვართული ვეება სხეული...

— აი, იმან, — თავით მანიშნებს ლევიტი ტოლსტიაკისაკენ. იგი თვითმავლის ძარაზე მიბობღავს და ზედ გულაღმა იშხლართება.

— შენ რა იცი, — ვეკითხები ანგარიშმიუცემლად.

— საკუთარი თვალით ვიხილე ყველაფერი.

— წაეთრიე! — ვუყვირი.

ლევიტი დგება და მიდის. მერე ისევ თვითმავლის მუხლუხებთან ჯდება ფეხმორთხმით...

— დაეწყე! — ისმის პრაპორშჩიკ ლაკიზას ბოხი ხმა.

ბატარეა ზანტად, წელმოწყვეტილი დგება და ბოქსის წინ ერთმწკრივად ეწყობა.

მზარეულების მანქანა პარკის გასასვლელისაკენ მიღოღავს. საკომენდანტოსეულის ჯარისკაცები რომელთაც პრაპორშჩიკ ლაკიზას ბრძანება არ ეხებათ, უფრო მოხერხებულ ადგილს ირჩევენ სეირის საყურებლად.

— ბატარეა, სწორდი!. სმენა! — იძლევა ხმამაღალ განკარგულებებს ლაკიზა, — ეფრეიტორო ზიმა, ერთი ნაბიჯით წინ!..

ზიმა მკვირცხლად გადის. ზურგისაკენ ტრიალდება და უტყვი მზერით ათვალიერებს მწკრივს. ამ წუთში მას სიკვდილმისჯილის სახე აქვს. მგონი, წინასწარვე გრძნობს, რაც ელის.

— თავისუფლად, — გვიან-გვიან იძლევა მორიგ განკარგულებას პრაპორშჩიკი ლაკიზა.

ბატარეა მდოვრედ ეშვება. ლაკიზა გიმნასტურის შიგა ჯიბიდან დიდი სიფ-

---

1 სიომარი ტექნიკის სადგომი შენობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთხილითა და მოწიწებით იღებს პატარა შეკვრას. შლის და მიწაზე დებს. ქაღალდის გაშლილ ნაგლეჯზე ავისმომასწავებლად მოჩანს გაყვითლებული ნამწვი.

— ამაევ, ნიჩაბი! — ლაკიზა გამანადგურებელ მზერას არ აშორებს ეფრეიტორს.

გრიშა მწკრივს სტოვებს და თვითმავალის კორპუსზე მიბობღავს. მერე ლიუკიდან მის სიღრმეში ძვრება და ორიოდე წუთის შემდეგ მესანგრის მოკლეტარიანი, ალესილი ნიჩაბითურთ ბრუნდება უკან.

პრაპორშჩიკი ღიმილით ართმევს და, ნამწვისაგან მოშორებით ქვიშაში, ნიჩბის ბასრი პირით მოზრდილ მართკუთხედს ხაზავს. მართკუთხედი სიგრძით მეტრნახევარი იქნება, სიგანით, — ასე, ერთ მეტრამდე. ლაკიზა მკვეთრად იქნევს ნიჩბიან ხელს და პირდაპირ მართკუთხედის შუაგულში ასობს. სახეზე კმაყოფილი იერი დაჰკრავს.

— ასე!.. დაკრძალვაში მონაწილეობს ყველა უკლებლივ... ვფიქრობ, რომ მეზღვაურთა წესი ყველა თქვენგანისათვის ცნობილია: დაე, ასიმემ პასუხი აგოს ერთი ძაღლისგაგდებულის საქციელისათვის!.. ზიმა აიღე ნიჩაბი.

ეფრეიტორი მორჩილად ასრულებს ბრძანებას: პილოტურას და ქამარს იხსნის და ორივე ხელით ბღუჯავს მესანგრის ნიჩაბის მოკლე ტარს.

— სნიმატ გოლოვნიე უბორი ი ნა კალენიი! — ღრიალებს ლაკიზა მთელი ბატარეიის გასაგონად.

წამის რაღაც მეათედში მთელი ბატარეა ნახევრად იკლებს სიმაღლეში.

— სიღრმე ერთი მეტრი... ეფრეიტორო, შენ აბარებ მძიმე გამოცდას მთელი კოლექტივის წინაშე. შეხედე, აი, ეს ოცდაორი ადამიანის მსგავსი არსება, — ლაკიზა თავს ჩვენკენ იქნევს. — მხოლოდ შენ შემოგყურებს, შენ ხარ მათი სასოება და რწმენა..., სწორედ ამიტომაც სამუშაო დროს თავად განსაზღვრავ, — პრაპორშჩიკი განზე დგება.

ზიმა მთელი მონდომებით ასობს ნიჩაბის პრიალა პირს ქვიშაში. ლაკიზა ყურადღებით ათვალიერებს გარემოს. ოფიცრები სადილობისას, ჩვეულებრივ, შესვენებაზე გარბიან თავქუდმოგლეჯილნი, პარკი ცარიელია. პრაპორშჩიკი სიგარეტს უკიდებს. მერე საათს უყურებს და ამაევს მწყობრიდან იძახებს:

— ამაევ, გამოდი! — გრიშა დგება და გადის. — ერთი სიტყვით, პარკის შემოსასვლელთან დადგები და თუკი რომელიმე საეჭვო რაოდენობის ვარსკვლავებს შენიშნავ, მყისვე მოირბენ და მომახსენებ, გასაგებია?

— ვსიო ფონიათნო, თავარიშჩ ფრაფორშჩიკ! — სხაპასხუპით პასუხობს გრიშა და დამსკდარ ტუჩებს მშრალი ენით ილოკავს.

— გაიქეცი!

ამაევი რეაქტიული სისწრაფით გარბის.

ვუყურებ ეფრეიტორს. იგი გამალებით მუშაობს. მუხლებზეა ჩამხობილი და თავდაუზოგავად ატრიალებს ნიჩაბს.

— ხაზებს არ შეეხო, მისტერ, — დროდადრო აძლევს შენიშვნებს ლაკიზა, — თქვენ კი, — ირონიული ღიმილით გვიყურებს, — თუკი ვინმეს ამის სურვილი აღმოაჩნდება, შეგიძლიათ ილოცოთ,.. ლოცვა სულს ასპეტაკებს...

ვათვალიერებ თანამებრძოლთა გამურულ, გაღიზიანებულ, ზიზღით აღსავსე სახეებს, მაგრამ საოცარია, რომ ეს ზიზღი და სიძულვილი ლაკიზასკენ კი არ არის მიმართული, არამედ ეფრეიტორს ეკუთვნის... არავინ გამოთქვამს უკმაყოფილებას პრაპორშჩიკის მიმართ ამ წუთში... პირიქით, საკმარისია, ზიმა წუთით შედგეს დასასვენებლად, რომ მთელი ბატარეის რისხვა დაატყდება თავს... არმია, ეს არის უზუსტესი მოქმედების მანქანა, რომლის ყოველი შერხევაც კი წინასწარაა გათვლილი და დაანგარიშებული; მისი მოქმედების საიმედოობა მთლიანად ემყარება უზომო ჯარისკაცურ ეგოიზმს (ფარის რიგითი წევრის ეგოიზმი: არაფრისდიდებით არ დაუშვებს, მის გვერდით სხვა, რომელიმე ცხვარი უკეთესად იყოს!) და ამაზრ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზენ ადამიანურ სიძულვილს მისივე ხვედრში მყოფი ადამიანისადმი... ამ მანქანის რომელიმე საჭესთან მდგარი ოფიცერი ყოველთვის წინასწარ ახერხებს, შეიტყოს მოსალოდნელი დაზიანების შესახებ... აქ, რატომღაც, ძალზე იოლია ადამიანების მართვა და ამ ადამიანებში დროდადრო აღძრული რისხვის, თუ მრისხანების მიმართულების შეცვლა, მისი მიმართვა ისევ იმ წიაღში, საიდანაც მოდის!..

ზიმა კვლავ მუშაობს. მიწა რბილია, — თითქმის მთლად ქვიშა, მაგრამ სიღრმეში თანდათან მყარდება და ეფრეიტორიც სულ უფრო და უფრო უკლებს ტემპს; სახეზე წურწურით ჩამოსდის ოფლი, გიმნასტურა ზურგზე სისველისაგან უმუქდება და მჭიდროდ ეკვრის ტანზე.

— კმარა! — ამბობს ბოლოს ლაკიზა. — დაფალი!

ზიმა გაჭირვებით მობობღავს ორმოდან ზემოთ, ნამწვს მოწიწებით უშვებს სიღრმეში და მიწის მიყრას იწყებს.

— ადექით! — შემრიგებლურად გვიღიმის ლაკიზა.

ვდგებით, დაბუჟულ მუხლებს ხელისგულებით ვიზელ, მერე მტვრისაგან ვიფერთხავ.

— ბაბკაუსკას... შეჰკარი ჯვარი უბედურის საფლავზე ალსამართავად, — უცინის ლაკიზა ჯარისკაცს.

ბაბკაუსკასი ნაძვნარისაკენ გარბის, ტოტებს ამსხვრევს, წიწვებისაგან ასუფთავებს და წვრილი მავთულით კრავს. ეფრეიტორი მოწიწებითართმევს ბაბკაუსკას სახელდახელო ჯვარს და მიწაყრილზე ამაგრებს.

— ზიმა! — ხელებს იფშვნეტს პრაპორშჩიკი ლაკიზა, — მინდა დარწმუნებული ვიყო, რომ ამის შემდეგ, აღარასოდეს მოსწევ ყაზარმაში...

— კი მაგრამ, მე ხომ არასოდეს მომიწევია, იქ ამხანაგო პრაპორშჩიკო!.. მაინც ჯიუტად იმართლებს თავს ეფრეიტორი...

— ვოტ ი გადინა... მატ ტვაიუ!.. ნიუჟე-ლი ტი პრავდა დურაკ, ა, სუკა! — ლაკიზა ზიზღითა და სიძულვილით შეჰყურებს მის წინ ასვეტილ მხრებჩამოყრილ, უშნოდ ფეხებგაჩაჩულ ჯარისკაცს და სიბრაზისაგან ულვაშებს იკვნეტს...

## მგლის ალსარება

### (გაგრძელება)

გადის დრო...

ახალწვეული თანდათან ეთვისება, ეგუება ახალ ცხოვრებას და, ზოგჯერ, ასე განსაჯეთ, თავს უფლებას აძლევს იოცნებოს, წინასწარვე დასტკბეს თავისი მომავალი ძალაუფლებითა და პრივილეგიებით... მაგრამ სანამ ეს „მომავალი“ ეღირსებოდეს, მისი მდგომარეობა თითქმის ყოველთვის მეტად მძიმე და დამამცირებელია. ხოლო მთელი უბედურება ისაა, რომ არაფრით შეუძლია, შეიცვალოს, ან გაიუმჯობესოს საკუთარი ხვედრი... მას არც საკუთარი ხვედრის შეცვლა ძალუძს და არც იმ სისტემის გადასხვაფერება, რომლის ბასრ კლანჭებშიცაა მოქცეული...

და მაინც, ახალბედათა უმრავლესობა, მართალია, ქვეშეუცნობლად, მაგრამ ნებისყოფის მთელი დაძაბვით იბრძვის... ეს ბრძოლა, არმიაში მოსვლის პირველი დღეებიდანვე რომ იწყება ახალბედასა და მთელ მის გარემომცველ სამყაროს შორის, ხშირად თვეები (წელიწადიც კი,) გრძელდება და, ახალბედა თითქმის მუდამ თავად გამოდის დამარცხებული... სისტემა ხომ არც შეიძლება დამარცხდეს პიროვნების წინაშე... მან, შეიძლება, მხოლოდ თავისი დამთრგუნველი, დესპოტური, არაადამიანური ბუნება წარმოაჩინოს, დამარცხებით კი... ერთეულები მას ვერაფერს დააკლებენ!..

ბრძოლა გრძელდება მანამ, სანამ ყაზარმული ყოფის შინაგანი დისციპლინისა და პიროვნების ჩამხშობი ვაქცინის სპილოს დოზა ახალბედაში არ ჩაკლავს არმიული ცხოვრებისათვის მეტად საშიშ ვირუსს — „შინაურული ფუნთუშების გემოს!..“ ხოლო, როდესაც

ახალწვეული „პერესტანეტ ს..ტ დამაშნიმი პეროგამი“. — ის უკვე სრულყოფილ, სრულუფლებიან ჯარისკაცად იქცევა... ამის შემდეგ, აღარ არის სათაკილო მასთან საქმის დაჭერა. შენ, მოხუცმა, — შეგიძლია ზოგჯერ მაინც დართო ნება და დაიყენო გვერდით... მას უფლება ეძლევა, მოუსმინოს თქვენს საუბარს, გააბოლოს თქვენთან ერთად, ან სულაც მოგემსახუროთ, თუკი, რასაკვირველია, თავად მოიწადინებს ამას... ისე კი, „მწვანესათვის“ გაცილებით უკეთესი იქნება, რომ „თავადვე მოიწადინოს,“ წინააღმდეგ შემთხვევაში, „მოხუცს“ არაფერი დაგრჩენია, გარდა იმისა, რომ აიძულო... საერთოდ, როგორც წესი, თუ ზემოხსენებულმა დოზამ სასარგებლოდ იმოქმედა, „მოხუცს“ აღარ უნდა დასჭირდეს, მიმართოს თავის ერთადერთ, შეუცვლელ დასაყრდენს — მუშტს, — არმიული სევდიანი ჰიმნის ამ ნაზ მისამღერს...

ზოგჯერ ისეც ხდება, რომ, რომელიმე ახალბედას ორგანიზმი მეტისმეტად „სუსტი“ აღმოჩნდება ვირუსთან შესაბრძოლებლად, ამიტომაც, მას მანამ უზრდიან „ვაქცინას“, სანამ ვირუსი საბოლოოდ არ განადგურდება...

არსებობს უამრავი ფორმა და მეთოდი, რითაც ყაზარმა თრგუნავს და იმორჩილებს პიროვნებას. ეს ფორმები და მეთოდები ყველაზე ნათლად, ყველაზე აშკარად „არასაწესდებო ურთიერთობებისას“ ვლინდება. მთავარი იმპულსიც, ამგვარ ურთიერთობებში რომ მართავს „მოხუცის“ ფსიქიკას, მის ნებისმიერ მოქმედებას, არის ის, რომ იგი თავს მოვალედ თვლის, აღზარდოს მომავალი თაობა, რადგან ღრმადაა დარწმუნებული — და ვერც ვერავინ შეურყევს ამ რწმენას — რომ თუ არა თვითონ, სხვა ვერავინ შეძლებს ზედმიწევნით ზუსტად შეასრულოს ეს მისია. მან მშვენივრად იცის, რომ არც დორბლებისმფრქვეველ, ცოფიან, სიმკაცრით სიგიჟემდე მისულ ოფიცერს, არც მის აზრის დაკარგვამდე პედანტურ განკარგულებებს, არც მშრალი დოგმებითა და პიროვნების უარყოფით უაზრობად ქცეულ წესდების მუხლების უწესრიგო გროვას, მისი მონაწილეობის გარეშე, არ შეუძლია, თავი გაართვას არმიისათვის ამ ფრიად საჭირო და სასიცოცხლო მნიშვნელობის საქმეს... „მოხუცი“ ახალბედათა სრულფასოვან ჯარისკაცებად ჩამოყალიბების ხანგრძლივ პროცესში ცენტრალური ფიგურაა; მის როლს ამ თამაშში აქვს ერთგვარი ღირსება, — ის ღირსება, რომელიც არ გააჩნია არც ერთ, ვარსკვლავებითა და ჩინმედლებით მკერდდამძიმებულ, ტვინგამომშრალ სამხედრო პირს... „მოხუცს“ ესეც მთელი სიღრმით აქვს გათვითცნობიერებული და ამიტომაც თავს მოვალედ თვლის, ითამაშოს, იბრძოლოს მთელი გატაცებით...

მეორეც, „მოხუცი“, — მრავალჭირგადანახადი, გატანჯული, მძიმე, ერთფეროვანი სამსახურისაგან თავმობეზრებული, სატანისაგან დანერწყვილი, გაბითურებული, მხეცად ქცეული არსება, — არაფრისდიდებით არ დაუშვებს, რომ ვიღაც, მის შემდგომ, ყაზარმული ყოფის ლაბირინთებში გაძვრეს ისე, რომ არ გაიაროს ის ეკლოვანი, ფურთხითა და ცინიზმით მორწყული გზა, რომლის მნიშვნელოვანი მონაკვეთი, არცთუ ისე დიდი ხნის წინ, თავად გაიარა... ადამიანებს არ უყვართ, როდესაც მათ გვერდით ეშმაკობენ, როცა იოლი, აკრძალული გზებით ცდილობენ ფინიშამდე მისვლას... მათ არც ის შეუძლიათ აიტანონ, რომ იმ სიბინძურიდან, თავად ერთიანად ლაფში ამოთხვრილნი რომ ამოვიდნენ, ვიღაც სუფთა და დაუსვრელი ამოძვრეს... ესაა სასტიკი ადამიანური ეგოიზმი, რომელიც მთელი თავისი სიმძაფრითა და საშინელებით ვლინდება არმიაში, დიახ, ყაზარმაში არ უნდა არსებობდნენ ადამიანები, რომლებიც ღირსნი იქნებოდნენ რაიმე განსაკუთრებული პრივილეგიებისა... არა!.. თითოეული ჯარისკაცი უნდა იყოს მხოლოდ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მხოლოდ იმ მდგომარეობისა, იმ ყოფისა, რომელშიაც მას უხდება ცხოვრება. არმიაში არ უყვართ ბედისაგან განსაკუთრებულად გამორჩეულნი; ყაზარმაში ყველა ერთი პრინციპით, ერთი ცხოვრებით უნდა ცხოვრობდეს!

*მესამეც*, „მოხუცს“ არ შეუძლია, — არა აქვს უფლება, — იყოს გულმოწყალე. ეს თავის საფუძველშივე დაუპირისპირდებოდა არმიულ მორალსა და მისი დაუწერელი ზნეობის კოდექსს, რომლის დარღვევისა და გადასხვაფერების უფლება არავისათვის მიუცია განგებას... ის, ვინც არღვევს ისჯება მკაცრად, შეუბრალებლად, ყოველგვარი დათმობებისა და კომპრომისების გარეშე, — თავისივე ამხანაგებისა და თანამებრძოლების მიერ.

ყველასათვის ცნობილია, ალბათ, როროგ ხედნიან ველურ ფაშატებს!..

არმიაში „ველური ფაშატის“ ხედნას აქვს თავისი რკინის ლოგიკა:

„მწვანე“ ისე უნდა იქცეს „გახედნილ ფაშატად“, რომ არ იცოდეს, ვისი ხელით გაიხედნა იგი!.. ეს აუცილებლად უნდა გაიხედნოს, მაგრამ უნდა გაიხედნოს... *არავისაგან*, ანუ იმავდროულად, — ყველასაგან!!!. და რახან ყველასაგან, მაშასადამე, თვით ყაზარმისაგან, თვით არმიული გარემოსაგან... ამით მიღწეული და განხორციელებულია თავის საფუძველში გახედნის დაფარული არსი: „ფაშატი“ თავის მხედრად აღიარებს ყველას, ვინც კი ზურგზე მოახტება... „არმიული ხედნის“ ერთადერთი შედეგიც ხომ ესაა, „ფაშატმა“ არ უნდა იცოდეს, ვის დაემორჩილოს!.. თუკი გახედნილ ფაშატს არ ეცოდინება კონკრეტულად ვის დაემორჩილოს, იგი დაემორჩილება ყველას, ყველას ერთნაირი მოთმინებით შეისვამს ზურგზე.

აქედან გამომდინარე, ცხადია, რომ ახალბედამ არ უნდა იცოდეს, ვისა აქვს მასზე ყველაზე დიდი უფლება. დიახ, ყმამ არ უნდა იცოდეს ვინაა თავისი ბატონი! ის, რომ ყმამ არ იცოდეს თავისი უშუალო ბატონი, — უაღრესად *ადამიანურიცაა*, რადგან ახალბედა, რომელიც დაემორჩილება „მოხუცს“ ზოგადად, როგორც ყაზარმის უმაღლეს კასტას, დაემორჩილება ყველას, დაემორჩილება ერთ საყოველთაო წესს, ერთ გარკვეულ კანონს, არსებულ სისტემას... ხოლო, როდესაც კონკრეტული ადამიანი ემორჩილება ერთ გარკვეულ წესს, მისი ეს მორჩილება, მიუხედავად იმისა, რომ შესაძლოა, ათასჯერ უფრო მძიმე და ამაზრზენი იყოს, მაინც ნაკლებად დამამცირებელია, ვიდრე მორჩილება ერთი რომელიმე კონკრეტული პირისადმი.

(ყველანი ისედაც ხომ სახელმწიფოს მონები ვართ?!)

გარდა ამისა, „მოხუცს“ იმიტომაც არა აქვს უფლება მოწყალედ მოეპყრას ახალბედას, რომ მისმა დაუფიქრებელმა მოქმედებამ, შესაძლოა, გამხრწნელად იმოქმედოს ამ უკანასკნელზე. თუკი, რომელიმე „ხანდაზმული“ ხანგრძლივ კეთილგანწყობილებას იჩენს „სალაბონისადმი“, „სალაბონი“, რიგ შემთხვევაში, უაღრესად კადნიერდება და თავს უფლებას აძლევს, იოცნებოს რაღაც ბუნდოვანზე, გაურკვეველზე, მაგრამ მიმზიდველსა და მაცთუნებელზე... „იოცნებოს“-მეთქი, ვამბობ, მაგრამ, მე მგონი, „ოცნება“ აქ მთლად ზუსტად არ გამოხატავს აზრს, უმჯობესი იქნებოდა, ალბათ, — „იმედი იქონიოს!..“ მე არ ვგულისხმობ, რომ მან არ იქონიოს იმედი თავის მომავალ პრივილეგიებზე, „დემბილზე“, სახლზე, თავისუფლებაზე... არა, ეს თავისთავად იგულისხმება და ბუნებრივიცაა, რადგან აქვს თავისი ლოგიკური გამართლება... ამის იმედს ჯარისკაცს ვერავინ და ვერაფერი ჩაუკლავს, რადგან ყაზარმის ბასრ კლანჭებში მოქცეული ადამიანი ქვეშეუცნობლად, ლამის ინსტინქტურადაც კი, ელოლიავება მას. თუკი ისიც დაკარგა, ყველაფერთან ერთად, რისი დაკარგვაც არმიაში უხდება, — მაშინ, მისი საქმე ერთხელ და სამუდამოდ წასულია და ამ ცხოვრებისაკენ ველარაფერი შემოაბრუნებს. „იმედი იქონიოს“,—აქ ლაპარაკია მხოლოდ იმ გულუბრყვილო

იმედზე, რომელიც, შესაძლებელია, გაუჩნდეს ახალბედას, რომ ესა თუ ის „მოხუცი“, რაკი შედარებით მოწყალედ ექცევა, მაშასადამე, სწყალობს, უფრთხილდება, ანებივრებს მას... ეს ხომ მომაკვდინებელი ცოდვაა?!. ამით, ხომ შეიძლება, ახალწვეულს გაუჩნდეს ხელშეუხებლობისა და დაუსჯელობის ერთგვარი პრეზუმფცია, რომელიც მორალური ხრწნის წინაპირობაა ჯარისკაცში. ეს „იმედი“, თუ რაღაც ამდაგვარი ჯანდაბა, მას ხდის თავნებას, ჯიუტს, ურჩს, რადგან, თუკი ერთხელვე ირწმუნა, მერე ყოველნაირად ჩაებღაუჭება თავის რწმენას, ანუ იმედოვნებას (დიახ, იმედოვნებას!.. აქ, შეუძლებელია, მოინახოს სხვა, უფრო შესაფერისი სიტყვა), ამან კი არ შეიძლება, აღაფრთოვანოს „მოხუცი“, ეს უკანასკნელი, ამ შემთხვევაში, იჩენს ერთგვარ, ჯენტლმენურ კეთილშობილებას:

ვინაიდან, მას არა აქვს სხვა რეალური გამოსავალი, გარდა იმისა, რომ მოახდინოს ფიზიკური და მორალური დაწოლა ახალბედათა თაობაზე ანუ, დაჩაგროს და იბატონოს მათზე.

ვინაიდან, „მოხუცმა“ მშვენივრად უწყის, რომ ყოველგვარი მისგან გამოვლენილი „მოწყალება“ და „ლმობიერება“ მარტოოდენ ფარსია, მოჩვენება და მეტი არაფერი; რომ დღეს სწყალობს, ხვალ კი აუცილებლად გათელავს, დათრგუნავს, რადგან სხვაგვარად შეუძლებელია;

ხოლო მას დიდსულოვნად არ სურს, რომ ვინმე, თუნდაც რომელიმე ყველაზე ბეჩავი და უღლეური ახალბედა გათელილი, გაბითურებლი იყოს მაინცადამაინც მისგან; ამიტომაც, ამჯობინებს, არ მისცეს არავის „იმედოვნების“ საშუალება და, აქედან გამომდინარე, მაშასადამე, არც არავის ჩაუკლას, არც არავის გაუთელოს იგი... მაგრამ „მოხუცი“ ამას სჩადის არა იმიტომ, რომ სიღრმეებში სწვდება სიმძიმეს იმ საზარელი დანაშაულისას, რომელსაც ერთი ადამიანის მიერ მეორის რწმენისა და ღირსების გათელა წარმოადგენს, არამედ იმიტომ, რომ თავად „მოხუცი“ სულაც არ გრძნობს თავს დამნაშავედ იმაში, რომ ჩაგრავს, რომ ბატონობს, რომ მბრძანებლობს სხვაზე... მისი ყოველი მოქმედება, — ესაა ცდა, თუმცა არა ყოველთვის ბოლომდე შეგნებული და ღრმად გათვითცნობიერებული, — უსიტყვოდ, სიმბოლურად აუხსნას ახალბედას, რომ მთავარი დამნაშავე, თავად „მოხუცი“ კი არ არის, უშუალოდ რომ ჩაგრავს და ბატონობს, — არამედ ის გარემო, ის სისტემა და ის მექანიზმი, რომელიც აიძულებს მას ამგვარად მოიქცეს...

და მაინც:

ეს არ არის მგლის აღსარება შველის წინაშე: „მომიტევე, ჩემო შველიკო... მე შენ მიყვარხარ, მაგრამ რა ვქნა?.. მე ხომ არა მაქვს სხვა გზა, გარდა იმისა, რომ უნდა შეგახრამუნო!..“

ერთი შეხედვით, მგელს აიძულებს შიმშილი და სწრაფვა გადარჩენისაკენ, ამიტომაც მას მართლა არა აქვს სხვა, რეალური გზა ხსნისა; ხოლო შველის მთელი ცოდვა მგელს კი არა, ბუნებას აწევს... მაგრამ მგელი მაინც მგელია და არაფრისდიდებით არ აუქცევს გვერდს ტყეში მშვიდად მოსეირნე შველს, რაგინდ მაძღარიც უნდა იყოს იგი...

და თუკი:

„მოხუცის“ ეს ცდა მაინც აღსარებაა მგლისა, მაშინ მგელი უნდა ლოცულობდეს ასე:

„მოწყალეო ბუნებავ, მიიღე ჩემი მოკრძალებული ხარკი, შენგნით დაწესებული... მომირთმევია შველიკოს ძვირფასი თავი შენთვის!!!“

8.

— საიდან?!. — ჩაიქირქილა მან და მე ვიგრძენი, რომ ეს იყო კამარაშეკრული მახრჩობელა გველის სისინი.

— საიდანაც შენისთანა ილბლიანები იშვიათად ბრუნდებიან...

ყაზარმა სამარისებურ სიჩუმეს მოე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცვა. დარწმუნებული ვიყავი, რომ ამ წუთში არავის ეძინა. ტოლსტიაკის გამოჩენამ ყველას თავზარი დასცა, თვით „მოხუცებსაც“ კი; თხუნელებივით მობუზულნი, საბანწაფარებულნი, საცოდავად გარინდულიყვნენ საშინელების მოლოდინში და არათუ განძრევას, სუნთქვასაც კი ვერ ბედავდნენ...

— აეთრიე!.. — მოკლედ მოსჭრა ტოლსტიაკმა. მერე სიგარეტის ნამწვი იატაკზე დააგდო და ჩექმიანი ფეხით მოსრისა.

●

საღამოს შემოწმების შემდეგ, ტოლსტიაკი უკვალოდ ქრება. ყაზარმაში წესრიგზე პასუხისმგებელი დღეს პრაპორშჩიკი გოგოლია, დივიზიონის პირველადი კომკავშირული ორგანიზაციის მდივანი. იგი ვერაფერს ამჩნევს, რადგან, როგორც კი შემოწმებას ამთავრებს და გასაყარის ბრძანებას იძლევა, მყისვე „ლენინის ოთახში“ იკეტება და ყველასაგან საიდუმლოდ, რაღაცას საქმიანობს. ვეჭვობ, ეს თავით-ფეხამდე კომკავშირელი, პირადი დღიურებითა და არმიული ცხოვრების მორიგი ხალასი შთაბეჭდილებების აღწერით იყოს დაკავებული; მათსას რას გაიგებს კაცი!.. იქნებ და, „მრისხანე სამეულის“, — მისი ალმატებულება პოდპოლკოვნიკ ვალკალუპის — „წითელი ობობის“, პოლიტხელ კრასნიუკის და „წვრილფეხა მტაცებლის,“ — პრაპორშჩიკ გოგოლის (ასე ეძახდნენ თითოეულს მალულად ყაზარმაში) თაოსნობით შეთითხნილ წესდების ხშირ დამრღვევთა და „განსაკუთრებული მდგომარეობის“ მოყვარულთა შავ სიას კიდევ რამოდენიმე ურჩი, მოურჯულებელი ჯარისკაცის გვარებით ავრცობს?!. შესაძლოა... მისგან არაფერ სასიკეთოს არ უნდა ელოდეს ყაზარმა.

ჩვენდა ბედად, პრაპორშჩიკი გოგოლი ვერ ამჩნევს ტოლსტიაკის გაუჩინარებას, თორემ, გასაგებია, რა შეიძლება მოჰყვეს ამას: ან მორიგი უძილო ღამე და „მოქმედი ლოდინი“, იგივე — „ყაზარმული მდგომარეობა“. ან კიდევ — უმისამართოდ დაკარგული ჯარისკაცის გათენებამდე მოსაწყენი ძებნა.

მთელი დივიზიონი რაღაც დიდი უსიამოვნების შეგრძნებით იძინებს, მაგრამ გუმანი ამ შემთხვევაში კეთილად ღალატობს... ტოლსტიაკი ადრიანი დილით უკვე ყაზარმაშია და სამწყობრო დათვალიერებისათვის მწკრივში ორ ფეხზე სასაცილოდ ქანაობს. ზედვე ეტყობა, რომ გალეშილი მთვრალია; ტუჩებზე დორბლი მოსდის, თვალები ებლიტება და გიმნასტურის მარჯვენა სახელო თავისივე ნარწყევში აქვს ამოთხვრილი. პილოტურა და ქამარი სადღაც დაუკარგავს, ხოლო „ხებე“ ლამისაა დაბერილ კუნთებზე შემოასკდეს. თითქოს ხვდებაო ამას, ყველა ღილს იხსნის გიმნასტურაზე და უფრო მყარად რომ დაიჭიროს თავი, ფეხებს უშნოდ ჩაჩხავს განზე.

„დივიზიონის ზემდეგი“ მაიორი კრასნიუკი ჩვეულებრივზე მეტი დაკვირვებითა და ახირებით იწყებს დილის შემოწმებას. ჯარისკაცები უკიდურესად გაღიზიანებულნი არიან პოლიტხელით. ყველა ბატარეას და მასთან, საკომენდანტო ოცეულსაც, თავისი ზემდეგი ჰყავს, რომელთაც უშუალოდ ევალებათ შემოწმებისა თუ სხვა, ყოფითი წვრილმანებისათვის თვალყურის დევნება, მაგრამ კრასნიუკი, რატომღაც, არ ანებებს პრაპორშჩიკებს, შეასრულონ წესდებით გათვალისწინებული მოვალეობანი. ამიტომ, ისინიც, კარგა ხანია, გადაეჩვივნენ ჯარისკაცებთან მოსაწყენ დავიდარაბას და თუკი, რა თქმა უნდა, ამის განსაკუთრებული საჭიროება არ არის, იშვიათად თუ შემოირბენენ დილაობით ყაზარმაში.

პირველი მწკრივი, მაიორის განკარგულებისამებრ, ორი ნაბიჯით გადის წინ და ზურგისაკენ ტრიალდება.

— შეიხსენით ზემოთა ღილები! — ისმის კრასნიუკის მორიგი ბრძანება.

ყველანი უხალისოდ ვიხსნით ჯერ გიმნასტურის საკინძეს, მერე ზედა ორ ღილს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაიორი, რატომღაც, მესამე ბატარეიდან იწყებს შემოწმებას.

ტოლსტიაკი, წესით, საკომენდანტო ოცეულთან ერთად უნდა იდგეს. მაგრამ ამ წუთში ჩემგან მოშორებით დგას, პირველი ბატარეის რომელიღაც ორ ახალბედას შორის და მალიმალ ხმამაღლა აბოყინებს. მონელებული ღვინისა და არყის სუნი ჩემამდე აღწევს და ზიზღისაგან მაჟრჟოლებს...

მესამე ბატარეით მაიორი კმაყოფილი რჩება. როგორც ყოველთვის, დღესაც ყველას ახალი საყელო მიუკერებია გიმნასტურისათვის და ახლა ოდნავ დაღლილი, გაღიზიანებული თვითკმაყოფილებით აყოლებენ თვალს მეორე ბატარეის ცოცხალ დერეფანში მიმავალ პოლიტხელს.

კრასნიუკი, სანამ ჩვენამდე მოაღწევდეს, მაინც ნახულობს მეორე ბატარეაში საწესდებო ჩაცმულობის უხეშ დამრღვევ „მოხუცს", რიგით კრილოვს, ერთი ხელის დაქნევით აგლეჯს მას შავი ძაფით მიკერებულ საყელოს და თითით „ლენინის ოთახისაკენ" უმიზნებს. ჩანს, პოლიტხელი მასთან საუბარს დამთავრებულად არ თვლის. რიგითი კრილოვის უცნაური ქცევები მე არაერთხელ მომხვედრია თვალში: „ნათლობის" შემდეგ თითქმის ყოველთვის შავი ძაფით აკერებდა საყელოს. ჯერ მთელ სიგრძე-სიგანეზე შავ, ტეხილ არშიას მოავლებდა თეთრი მიტკლის ნაჭერს, მერე კი აკურატულად გამოჰყავდა ნემსით მისთვის ბოლო ბრძანებულებამდე დარჩენილი დღეების აღმნიშვნელი ციფრი. ყველა, დარჩენილი ვადის ხანგრძლივობით დაინტერესებულ სულსწრაფ „მოხუცს", შეეძლო, თავიანთი მეგობრის, რიგითი კრილოვის საყელო-კალენდრის მიხედვით ემსჯელა ჯოჯოხეთის დასასრულის სიახლოვე-სიშორეზე. შავი ძაფით საყელოს მიკერება, ესეც ერთგვარი მისწრაფებაა „მოხუცისა", გამოირჩეს თავისი მდგომარეობითა და პირადი ღირსებით სხვა დანარჩენი ჯარისკაცებისაგან, რადაც უნდა დაუჯდეს ეს. რიგით კრილოვს ამგვარი გამორჩევა საერთო ფარიდან, მართლაც რომ ძვირად უჯდებოდა, იგი დღე-ღამის განმავლობაში ორჯერ აკერებდა საყელოს. პირველად, გვიანი ღამით, როცა ყაზარმა ღრმა ძილში ჩაეფლობოდა და ზოგჯერ თავისი ამ უაღრესად რთული ხელმარჯვეობის გამოვლინებას, — არმიული ცინიზმის შავ-თეთრი ფერებით აღბეჭდილი გობელენის შექმნას, — საათობით უნდებოდა ხოლმე... მეორედ კი „ლენინის ოთახში", მაიორ კრასნიუკის თვალწინ.

რიგითი კრილოვი ამაყად ცხვირაპრეხილი მიემართება „ლენინის ოთახისაკენ".

— სადაა შენი საყელო? — პოლიტხელი ტოლსტიაკის წინ დგას უკვე.

— ის მმე არ მჭირდება, — ხრიალებს ტოლსტიაკი და პირზე დუჟი ადგება. საკვირველია, როგორ ახერხებს ფეხზე გამართულად დგომას.

— ამხანაგო ჯარისკაცო... თქვენ ძალზე ცუდად იწყებთ! — კრასნიუკის ხმაში კატეგორიული ტონი ჟღერს.

— მმე გგაცილებით დი-ი-დი ხაანია, დავიწყე, ვვიდრე ნებისმიერმა მათთაგანმა, — ტოლსტიაკი ენერგიულად ხაზავს თითით ჰაერში გაურკვეველი გარშემოწერილობის წრისმაგვარ ფიგურას და საზიზღრად აბოყინებს.

მაიორს ეჭვი უჩნდება. სახე ახლოს მიაქვს ტოლსტიაკთან და ხმაურით იყნოსავს ჰაერს. ჯარისკაცი უკან იხრება; კრასნიუკი კი ყნოსვით ვერაფერს ხვდება; ჩანს, თავადაც გადაუკრავს ადრიანი დილით.

— სადაა თქვენი სამხრეები?

— დისბატში მათ არ ატარებენ, — უჭრის ტოლსტიაკი მკვახედ. თითქოს ლაყბობის ხასიათზეც მოდის, ენა საერთოდ აღარ ებმის.

პოლიტხელი ცბება.

— პილოტურა? ქამარი სადღაა?..

— მივაყიდე! — იღრიჭება ტოლსტიაკი.

— შენ რა, ნასვამი ხარ? — აღშფოთებას ვერ ფარავს პოლიტხელი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დიახაც, რომ ნასვამი ვარ... მერე-და, რრრრ...

ვამჩნევ, როგორ ხტება განზე მაიორი, ცდილობს თავი აარიდოს ტოლსტიაკის დაღებული პირიდან ხმაურით ამოხეთქილ თხევად, ჩანჩქერისმაგვარ ჰავლს. ფერადი მასა უცხო, მყრალი ყვავილივით იშლება ბეტონის იატაკზე და აუტანელი სიმყრალე სულს მიხუთავს.

ტოლსტიაკი ერთხელაც ისვრის ცხელ, ადუღებულ ლავას... მერე ბარბაცით მიალაჯებს ტუალეტისაკენ.

— პედერასტები!.. სულს ამოგაძრობენ... წაიღეთ, ჯანდაბაშიც ჩანთქმულხართ... ღორები!... — რატომღაც მეჩვენება, რომ ამ სიტყვების ადრესატი პოლიტხელია. ყოველ შემთხვევაში, საშინელი სურვილი მიჩნდება, მაინცადამაინც ის იყოს.

ვგონებ, ასეც არის. კრასნიუკი თავის თავზე იღებს ლანძღვას და ბრაზისაგან ერთიანად შეშლილი, მთელი ხმით იწყებს ღრიალს:

— ვოტ სკატინა!.. სვოლოჩ!.. ია ემუ პაკაჟუ, კაკ ნადო ნაჟირატსია... სუკა!.. ვოტ ნასტოიაშჩიი ბოსიაკ, ბლიად!

მერე პულტთან მირბის, ტელეფონის ყურმილს იღებს და მორიგე ტელეფონისტს საოცარი სიტყვაკაზმულობით ანთხევს გინების ახალ ნაკადს:

— დეჟურნოგო სროჩნო, ტვოეგო სობორ სოფიისკოი ბოგომატერი!..

სამიოდე წუთში პოლკის მორიგის თანაშემწე, წითელსამხრეებიანი უფროსი ლეიტენანტი და სამი პატრულის სამკლავურიანი ჯარისკაცი ყაზარმაში შემორბიან... უფროსი ლეიტენანტი ცხვირზე ხელს იჭერს და ბოროტი ღიმილით იყურება დერეფნის შუაგულში გაშლილი ხუთქიმიანი თაიგულისაკენ...

ტოლსტიაკი პირისაბნის კუთხეში გაშხლართულა და მომაკვდავივით ხროტინებს. მარცხენა თვალი ღია აქვს, უმოძრაო და ფორმადაკარგული. ცალი ჩექმა ნახევრად გასძრობია ფეხიდან. მძლავრი, ბანჯგვლიანი მკერდი საბერველივით აუდ-ჩაუდის. ვუახლოვდები და ღია თვალში ჩავყურებ ჩემდა უნებურად; მწვანე გუგიდან შეუჩერებელ ნაკადად გადმორბიან პაწაწკინტელა წითელჩაჩიანი ქონდრისკაცები...

— განზე გადექ! — მუჯლუგუნსა მკრავს უფროსი ლეიტენანტი, მერე თავდაჯერებული უახლოვდება ნაგავში გაშხლართულ ვეება მძორს და ჩექმიან წიხლს გამეტებით ურტყამს ფერდებში.

ტოლსტიაკი მგელივით ყმუის, ენერგიულად იცვლის გვერდს, მაგრამ არ ილვიძებს...

ოფიცერი ახლა იხრება, შუბლზე ჩამოშლილი ბლუჯით ითრევს ტოლსტიაკს და გამეტებით ანჯღრევს. ტოლსტიაკი გაბმულად ყმუის.

— ვედრო მოიტანე! — უბრძანებს კრასნიუკი რომელიღაც ჯარისკაცს.

ჯარისკაცი მირბის.

წითელჩაჩიანი ქონდრისკაცები კედლებზე მიბობღავენ, მერე მთლიანად ფარავენ კირით გადალესილ თეთრ ჭერს... ისინი თითქოს ჰაერშიც დაფრინავენ და ვხედავ, როგორ ვისრუტავ ყოველ ჩასუთქვაზე ათობით მათგანს.

კრასნიუკი ვედროთი უახლოვდება ტოლსტიაკს და წყალს თავზე ავლებს. ტოლსტიაკი ღრიალით იჭრება ფეხზე და მისგან ყველაზე ახლო მდგარ უფროს ლეიტენანტს პირდაპირ მკერდის არეში ურტყამს საშინელი ძალით მოქნეულ მუშტს; მესმის ყრუ ბრაგვანი. თვალს ვადევნებ,როგორ მიხოხავს გულდალმა გაშოტილი უფროსი ლეიტენანტი სველ იატაკზე. ტოლსტიაკის მორიგი მსხვერპლი ლევიტია; იგი ხერხემალგადამსხვრეული თაგვივით გდია სანაგვე ურნის გვერდით; ცხვირიდან ორტოტად წამოსული სისხლი წვრილ, მდორე ჭავლად უერთდება ბეტონის იატაკზე დამდგარი წყლის პატარა გუბეს... უცნაურად იკლაკნებიან სისხლის წვრილი ენები წყლის ზედაპირზე.

დამფრთხალ ცნობისმოყვარეთა ვეება ნაკადი დერეფანში მისვრის, მაგრამ მე მაინც ვახერხებ მაიორ კრასნიუკის გადმოკარკლული თვალებისა და პანიკური შიშით გამოთაყვანებული სიფათის დანახვას... სადაცაა, ალბათ, უკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასკნელად ამოისუნთქავს ყაზარმის მძალე ჰაერს ტოლსტიაკის მარწუხებად ქცეულ კლანჭებში აფხარკალებული მაიორი. მაგრამ, ჩემდა მოულოდნელად, ხდება დაუჯერებელი რამ: პირისაბნის კუთხიდან ზლაზვნით დგება რამდენიმე წუთის უკან ღრმა ძილში წასული უფროსი ლეიტენანტი, გზად სადალაქო სარკესთან მიდგმულ რკინის ფურცლებისაგან შეკრულ ტაბურეტისმაგვარ სკამს იღებს და არეული ნაბიჯებით უახლოვდება ტოლსტიაკს; ოფიცერს კბილის საშინელი ტკივილისაგან ზამთრის სუსხიან დილით გაღვიძებული დათვის გამომეტყველება აქვს. რატომღაც, არ ჩქარობს, გადამწყვეტი მომენტისათვის ემზადება; ბოლოს, როცა კრასნიუკი წინააღმდეგობას ადუნებს, უფროსი ლეიტენანტი ორივე ხელის ნელი, გამოზომილი მოძრაობით სწევს ტაბურეტს ტოლსტიაკის თავს ზემოთ და მთელი ძალით ურტყამს კეფაში. მაიორი და ჯარისკაცი თითქმის ერთდროულად ეცემიან; ისინი ერთმანეთის გვერდიგვერდ წვანან პირისაბნი ბაკნის შორიახლო.

— შარვლის თასმები სასწრაფოდ!“ — „იძლევა განკარგულებას უფროსი ლეიტენანტი და პეშვებით ისხამს წყალს სახეზე. მერე ბაკანზე წითლად აპურჭყებს და საპნიან სიბინძურეში ამოთხვრილ ნიკარტიან ქუდს სველი ცხვირსახოცით გულმოდგინედ წმენდს.

რამდენიმე ჯარისკაცი სანახევროდ ჩამძვრალი შარვლებით დგას. წითელსამხრეებიანი პატრულები კი საიმედოდ ბაწრავენ გონწასულ ტოლსტიაკს...

კოჩურენკო მხრებში შესდგომია ლევიტს და მოშვებული ონკანისაკენ მიათრევს. ლევიტი კეფას წყლის სუსტ ჭავლს უშვერს. მერე თავს ასწორებს და დაბნეული იყურება სარკისაკენ. სისხლის ნაკადიც ცხვირიდან თითქოს უჩერდება.

მაიორი კრასნიუკი ისევ ისე გდია. სახის ერთი ნახევარი გალურჯებული აქვს, მეორე — გაფითრებული. ტუჩები თეთრი დუჟით მოსთხვრია... არავინ ჩქარობს მის მოსულიერებას.

— მორიგევ!.. — ყვირის უფროსი ლეიტენანტი. მერე ქუდს ისწორებს და სარკისაკენ გაურბის თვალი.

— აქა ვარ! — უმცროსი სერჟანტი კუზმინი დაბნეული სახით შეჰყურებს.

— მიხედეთ მაიორს... ეს კი, — ჰაუპტვახტში,— ტოლსტიაკზე ანიშნებს თავის თანაშემწეებს, — პირდაპირ „ლასტოჩკაზე“, ამის ოხერი დედა!..

გაგრძელება იქნება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შოთა ნიშნიანიძე

# ვირის აპოლოგია

(ნიცშეს ფილოსოფიით, კავკასიონზე ომის ეპიზოდითა და გალაკტიონის ანეგდოტით)

«О святая ослиност»...

მიქელანჯელო.

კაბალისტიკაში ვირი წმინდა ცხოველად და სიბრძნის სიმბოლოდაა მიჩნეული.

ჩემი სხეული, ამბობდა წმინდა ფრანცისკი, ჩემივე სულის ვირი ძმა არისო.

ფრანცისკელთა ორდენში შემავალი ბერი ვირის ტყავით უნდა შემოსილიყო და ორდენის წევრებისათვის თხოვნით უნდა მიემართა: ძმებო ვირებო, ვირი ვარ და ვირად მიმიღეთო.

ბიჭობაში ერთ უცნაურ კაცთან ვმეგობრობდი.
პროფესიით ლიტერატორი იყო.
ცხოვრებით — ბედოვლათი,
სულით — პოეტი.
მეგობრისთვის პერანგს გაიხდიდა, სულს არ დაგიჭერდათ.
შინ კი დიდი ლოზუნგი ჰქონდა გამოკრული:
„წიგნის თხოვა აკრძალულია“.
საოცრად გულჩვილი იყო, პამართლიანი და ენამწარე.
სიცრუეს, შეცდომებსა და სისუსტეებს არავის აპატიებდა.
მთელი ქართული პოეზია ზეპირად იცოდა.
უყვარდა პოეტები, უყვარდა ძაღლები (უფრო უპატრონო);
უყვარდა ჩიტები (უფრო ბეღურები),
მაგრამ ყველაზე უფრო ვირები უყვარდა,
უყვარდა და ებრალებოდა.
ამ უცნაურ ახირებაში
იყო რაღაც ავადმყოფური, მისტიკურ-ბედისწერულიც.
რამდენჯერ უთქვამს:
ადამიანებზე უფრო ცხოველები და ფრინველები მებრალებიანო.
ღმერთმა ადამიანს ყველანაირი ნიჭი მისცა.
თუ კაცი ვირივით გაირჯება (ამას სიცილით ამბობდა),
ზეკაცი გახდებაო.
ხოლო საწყალ ვირს ღმერთმა რაც მისცა: —
ღონე, ამტანობა, სიჯიუტე —
ყველაფერი მისი უბედურების მომტანიაო.
ამ კაცის ღარიბული ოთახი ბიბლიოთეკას წააგავდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

წიგნის თაროები, კედლები
ჟურნალებიდან ამოჭრილ
სახედრის პორტრეტებს, ფოტოსურათებს, ნახატებს დაეფარათ.
მოულოდნელად გარდაიცვალა...
როცა თავდებოდა, — „გათავდა ლექსიო" — წაუჩურჩულია.
ამბობენ თითონაც წერდაო...
ეს უცნაური კაცი ხშირად ჩადიოდა კახეთში;
ხან ავტობუსით, ხან მეგობრის მანქანით,
და საყვარელი პირუტყვის სანახავად
ორღობეებსა და საძოვრებზე დაეხეტებოდა.
ეფერებოდა, შაქარსა და ბალახს აჭმევდა
ალერსით გატრუნულ პირუტყვს,
ჩუმ-ჩუმად ჩიჩვირშიც ჰკოცნიდა.
იგი ზაფხულის არდადეგებს კახეთში ატარებდა.
ამასწინათ ქაღალდების გადარჩევისას
მისი ერთი წერილი აღმოვაჩინე.
აი რამდენიმე ნაწყვეტი ანუ განდობა-აღსარება
კახეთიდან გამოგზავნილი წერილიდან:
„ჩემო საყვარელო ძმაო და მკაცრო მსაჯულო,
თუკი არ მიწყენ, ისევ ჩემს ახირებაზე უნდა გესაუბრო.
არ გაგიკვირდეს, საალსარებოდ შენ რომ ამოგირჩიე.
შენ პოეტი ხარ
და მისტიკური შეგრძნებები შენთვის უცხო არ არის.
ერთხელ ბავშვობაში ბოშა-ქალმა,
რომელიც მასხრად ავიგდე და ქილიკით გავამწარე,
ასეთი რამ წამისისინა:
შე უბედურო, ხელისგულზე ვირის ბედ-იღბალი გაწერიაო.
ვირივით ამტანი იქნები, ვირივით გამრჯე და ერთგული,
მაგრამ ვირივით არ აგცდება უმადურობა და ცემა-ტყეპა
არც კაცისაგან და არც ბედისაგანო.
და მართლაც ჩემი ენამწარობის გამო
ბევრჯერ ამიხდა ბოშას წინასწარმეტყველება.
ვირივით მარტოსული ვარ,
არც სიყვარულში მიმართლებს და არც მეგობრებში.
(თუმცა პოეტებს ვუყვარვარ)
ვაი თუ ვირისტვინაცა ვარ? ანდა ვირისტვინნაჭამი?
სტუდენტობაში ერთ ეჭვიან ქალს ვუყვარდი,
მღვმური ვიყავი,
იგი მივლიდა და მპატრონობდა ბოჰემას და ბედოვლათს.
მაგრამ საშინლად ეჭვიანობდა, კაპასობდა,
თავსაც ხშირ-ხშირად იწამლავდა.
„ვირი ვარ, ვირი ვარო" — გაჰკიოდა,
მაგრამ ეს სხვა თემაა და ისევ ბოშას მივუბრუნდები.
ბოშას ნამკითხავები ძაღლის ნაკბენივით შემომრჩა.
ბავშვობიდან ცრუმორწმუნე ვარ,
მწამს იდუმალი ქვეყნების არსებობა,
თეთრი და შავი მაგიის სასწაულები,
სულთა გადასახლება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერში — (სიზმრებშიაც კი) — ბედისწერის ნიშან-სიგნალებს დავეძებ.
ბავშვობიდან დავიწყე ჩოჩორ-ვირის შესწავლა.
სულ მალე ბევრი საერთოც აღმოვაჩინე.
მეც ჩოჩორივით დიდთავა და დიდყურება ვიყავი,
ჩოჩორივით მარტოსული.
ჯიუტი და თვალებნაღვლიანი.
ვიცოდი, გავიზრდებოდი და ჩოჩორივით ვირი გავხდებოდი.
საათობით ჩავყურებდი ვირს თვალებში,
ჩავყურებდი დაღლამდე... გაოგნებამდე.
ჩავყურებდი, ჩავყურებდი და...
თანდათან ვიძირებოდი თვალებში, როგორც მისტიკურ ღამეში,
როგორც უსასრულობაში, როგორც ნირვანაში,
ან იქნებ სამყაროს გაჩენამდე არსებულ არარაობაში,
მაგრამ რაღაც მშობლიურში, რაღაც დავიწყებულში,
მშობლიურ მყუდროებასა და სითბოში,
როგორც ძუძუნაწოვი თვლემამორეული ჩვილი დედის უბეში.
იქ დრო აღარ არსებობს,
ანუ ფიზიკური დრო მისტიკური დროით არის შეცვლილი.
სახედრის თვალების ფაზული დღე-ღამის მონაცვლეობად აღიქმება.
თენდება და ღამდება...
ღამდება და თენდება...
თუმცა არ იცი, წამები გადის თუ საუკუნეები.
აფახულებს თვალებს სახედარი, აფახულებს და...
როდის როდის ცრემლივით გადმომაგდებს
და ასე ვუბრუნდები ამ წუთისოფელს.
დიახ, მე ვირის ცრემლი, ტანჯული არსების ცრემლი.
პოეტი დალხინებული არსების ცრემლი ვერ იქნება.
ჩემზეა არეკლილი ორივე ქვეყნის ტანჯვა და სიხარული.
მისტიკამ და პოეზიამ ეს ტანჯვა-სიხარული
უნდა დაუჩაშნიკონ ადამიანებს,
რათა განიწმინდონ ცოდვებისაგან და განიკურნონ ბიწიერებისაგან.

ღმერთო ჩემო, არაფერი ვირული არ მეუცხოვება:
არც წიხლი,
არც სიმწრისაგან ყროყინი,
არც უმადურობა,
არც მარტოობა.
ო, ნუთუ ოდესღაც ვირის სხეულში ვსახლობდი?
მაგრამ ეს კიდევ არაფერია, რაკიღა წარსულის ამბავია.
უბედურება ის არის,
ვაითუ ამჟამად ვირის სულია ჩემში ჩასახლებული!

(სპინოზას ისიც კი ახსოვდა ერთ დროს მამალი რომ იყო !)

არა, ნამდვილად ვირის ტვინი მაქვს ნაჭამი!
აბა საიდან მომდის ასეთი აზრები?

ჩემო მსაჯულო, ვირი ბუნების შედევრად ვერ ჩაითვლება, ცხენის შარჟია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირი დებილ ბავშვსა ჰგავს... ჰოდა...
დებილი შვილი მშობლებს ავადმყოფურად უყვართ.
როგორც ჩანს, ჩემი სიყვარული ვირებისადმი მართლა მშობლიურია.
ვირი სინამდვილეში ულამაზო ცხოველია,
(მახინჯია-მეთქი, ამ სიტყვას ვერ ვამბობ),
ვირის ბოთე სახეზე აზრის ნიშან-წყალი არ გატოკდება.

— „ამ კაცს ვირის ტვინი აქვს ნაჭამიო" —
იტყვიან ხოლმე ცოლის დამჯერე „ვაჟკაცზე".
ეჭვიანი ქალები მკითხავებთან დაძუძგურობენ მალულად.
მერე მამასისხლად ყიდულობენ ვირის ტვინს და
ქმრების დასასჯელად კერძებში ურევენ ამ ეშმაკის საკმაზს.
ალბათ ცოლებს ჰგონიათ, ქმრები ვირივით მორჩილნი გახდებიანო,
ან ტვინგამოლაყებულებს არცერთი ქალი აღარ გაეკარებაო.

— ქალებო, ქალებო, (დედაკაცებო!!!)
რად გინდათ ვირისტვინა კაცის ცოლობა?
ვირისტვინა კაცის სიყვარული!
ნუთუ გონიერ ქმარს ვირისტვინა გირჩევნიათ?
ნუთუ საყვარელი ადამიანის გამოთაყვანებით უფრო ბედნიერი იქნებით!
ქმრები სიყვარულის გამო სჩადიან ცოდვას,
(ისიც საკითხავია სჩადიან თუ არა),
თქვენ კი — ეჭვიანობის გამო!
ისინი მსხვერპლნი არიან, თქვენ — ჯალათები.

მაგრამ ყოველგვარი მსხვერპლი წმინდაა,
და ყოველგვარი ჯალათი — უგუნური!
— ქალებო, ქალებო (არადედაკაცებო!) გამოტყდით:
თქვენ ხომ მამაკაცებზე უფრო ჭკვიანებად მოგაქვთ თავი?
მამაკაცებზე ბატონობა გინდათ?!
იბატონეთ ძვირფასებო,
მაგრამ იბატონეთ სიყვარულით!
სათნოებით!
სილამაზით!
ო, ჩემო საფიცრებო,
დედაო,
დაო,
მეუღლეო,
კაცის ნეკნიდან შექმნილები კაცზე მეტი როგორ იქნებით!
(ქალბატონმა ევამ სამოთხე ვაშლზე გაცვალა.)
როგორც უფალი ამაღლდა სახედარზე
ასევე ავმაღლდეთ საკუთარ სისუსტეებზე!

ო, ვირო, ვირო, რა დათარსული ბედისა ხარ:
სანამ ცოცხალი ხარ —
შენი უტვინობით თავზე იტეხავ პატრონის რისხვას,
მოკვდები და —
შენი ტვინით ზოგ-ზოგს ცხოვრებას უწამლავ!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემო მსაჯულო,
შენ ხომ კარგად იცი ჩემი ვირული უწყინარობის ამბავი.
რამდენჯერ გითქვამს:
ისეთი კაცი ხარ, ჭიანჭველას ფეხს არ აბიჯებო.
მაგრამ მე რომ ვირის ცემას გადავეყარო,
საქმე საციხედ გამიხდება; ასეთ მუტრუკს ალბათ შევაკვდები.

საზოგადოდ ვირის სახე უაზრობის სარკეა,
ვირის თვალებში კი უძირო სევდაა ჩაგუბებული.
სევდა თავისთავად უკვე საზრიანობაა,
ნუთუ ვირს სხვისი თვალები აქვს, კაცის ან კაცზე მეტის?
ღმერთო ჩემო, რა შეუსაბამობაა!

ვირი ნაადრევად ბებერი მეჩვენება.
ასე მგონია, ჩოჩორიც ბებერი იბადება,
დარდმა იცის ნაადრევი სიბერე.
(ლეგენდის მიხედვით ლაო ძი ჭაღარა დაბადებულა.
შთამომავლობამ ლაო ძის გრძელყურა უწოდა,
ე. ი. სამყაროს საიდუმლოებათა მოყურადე).
ვირი დარდით გაფუებული ღრუბელია,
საიდანაც ერთდროულად წვიმს;
სირეგვნე და სისაწყლე,
მორჩილება და უტეხობა
და მეხად გრგვინავს ყროყინი...
ვერაფერი ვერ ამოხაპავს ვირის თვალებიდან მწუხარებას,
ვერც ლორთქო ბალახი,
ვერც სურნელოვანი თივა,
ვერც ბალღების ფერება.

ამბობენ: ქრისტე არასოდეს იცინოდაო.
ყველაფრის მცოდნე მოცინარი როგორ იქნებოდა!

2.

— „მე ანტი ვირი ვარ" — ამბობს ნიცშე.
ე. ი. მე ის ვარ, რაც არააზროვნებას, რაც უაზრობას გამორიცხავსო.
მაშინ რა გამოდის? ვირი ანტინიცშეა?
ხოლო ის ვინც ამ ფილოსოფოსს ვერ გაიგებს, ვირია?

„მე ანტი ვირი ვარო" —
ე. ი. მე არავის მორჩილი არ ვიქნები,
არავის მსახური
და არც არავის სიბრალულის საგანიო.

ნიცშევ ბატონო,
ღმერთმა აშოროს კაცობრიობას
ფილოსოფოსის ვირობა და ვირის ფილოსოფოსობა,
ანუ წიხლაობა აზროვნებით
ანუ აზროვნება წიხლებით

ფორმულა „ადამიანი ადამიანისათვის მგელია"
დრომ შეასწორა:
„ადამიანი ადამიანისათვის ამხანაგი მგელიაო".
— ადამიანი ადამიანისათვის ზეკაცია — ამბობს ნიცშე.
— ადამანი ადამიანისათვის ღმერთია — ამბობს ქრისტიანობა.

ნიცშე სიბრალულს უკრძალავდა ქერათმიან არიელ ალქაჯებს.

ნიცშეს ფილოსოფიით რაც ძლიერია, სიბრალულს არ იმსახურებს —
არც ლამაზი,
არც ჯანმრთელი,
არც მდიდარი,
არც სინდისიერი და ნიჭიერი.

ნიცშეს ფილოსოფიით სიბრალულს სუსტი იმსახურებს:
მახინჯი,
ავადმყოფი,
მათხოვარი,
უსინდისო და უნიჭო!

— არ მინდა ვინმეს ვებრალებოდე!
— არ მინდა ვინმე მებრალებოდეს! —
ამბობს ზეკაცობის აპოლოგეტი.

ზეკაცობის აპოლოგეტს უთუოდ უნდა ყვარებოდა:
სახედრის ამტანობა,
სახედრის ძალღონე,
სახედრის მუშაკობა,
სახედრის უტეხობა.
ზეკაცობის აპოლოგეტს უთუოდ უნდა სძულებოდა:
ვირის სიბეჩავე,
ვირის სიმახინჯე,
ვირის მორჩილება,
ვირის სირეგვნე
და, რაც მთავარია: ვირის შესაბრალისობა.

თუ ასეა —
უფალო, მიუტევე ნიცშეს.

ნიცშემ სადღაც დასვა კითხვა:
არი თუ არა ვირი ტრაგიკული?
მაგრამ პასუხი არ გაუცია...

სიყვარული სიბრალულის გარეშე
არც ღვთიურია,
არც ქრისტესმიერი,
და არც ქართული!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიყვარხარ, ვირო, იმიტომ რომ მებრალები
და
მებრალები, ვირო, იმიტომ რომ მიყვარხარ...

ერთი მხატვარი ვირს აიძულებდა, კუდი ჩაეყო საღებავიან კასრებში
და ფუნჯივით მიესვ-მოესვა ტილოზე.
ასე იქმნებოდა აბსტრაქციონისტული „შედევრები".
ფუნჯის დიდოსტატებო,
ეს ამბავი სახედრის აპოლოგიაა თუ ხელოვნების დაცემა.
ვინ უფრო ვირია, მეგობრებო, სახედარი თუ
ყალბი ორიგინალობით გასულელებული მხატვარი?
იქნებ იმ მხატვარს ცოლი ჰყავდა ეჭვიანი?

ვირები სხვა ცხოველებივით არ თამაშობენ,
არ ბუსკნაობენ, არ ბუღრაობენ.
ვირი თავისთვისაა,
უფიქროდ ჩაფიქრებული,
მარტოსული,
ბერად დაყუდებული შინაურ ცხოველთა შორის,
გლადიატორიც და წმინდანიც.

ბუნებამ ვირს დასცინა, ვირი ცხენის შარჟია.
განა სილამაზეა
პატარა ტანზე ვეება თავი და კურდღლისხელა ყურები?
ანდა ჰარმონიული
ერთდროულად მონური მორჩილება და სიკერპე-სიჯიუტე?

ო, ყოველთა არსთა მშობელო,
რატომ გააჩინე ვირი?!
რა საჭირო იყო, რა აუცილებლობა?
განა ცხენს, ხარ-კამეჩს ვირის შეშველება უნდოდა?

შინაურ ცხოველთა შორის მხოლოდ ვირია შესაბრალისი.
უფალო, რა მადლი აქვს ასეთი ცხოველის ჯაფას?
რაც უფრო პატიოსანი და მუყაითია შრომა,
პატივიც უფრო მეტი უნდა მივაგოთ.
ო, რა ამაზრზენია ვირის ყროყინი...
ყროყინი გლადიატორის ამბოხებაა,
წმინდანის პროტესტია.

ო, რა შთამბეჭდავია ეს ქართული სიტყვა „ყროყინი".

ო, ამ ყორესავით ნაქვიტკირალ ბგერებში
ხვიფლივით ჩაჟანგულა ვირული განწირულებაც,
ვირული სირეგვნეც.

— ჰეი, ჰეი, შე ორფეხა ვირო,
რატომ ურტყამ მაგ საწყალ ცხოველს

ეროვნული ბიბლიოთეკა

რატომ ურტყამ შენს ერთგულ მსახურს?
რა ვუყოთ რომ უგნური და ჯიუტია,
რა ვუყოთ რომ ძალღივით არ ეხერხება ლაქუცი
და თავს ვერ შეგაბრალებს.
აპატიე სიჯიუტე!
გებრალებოდეს ჯაფით კისერგახეხილი
და ამაგდარი პირუტყვი.
წამოდი, ვირო, გავიპაროთ...
მდინარეზე ჩაგიყვან და გაბანავებ.
სველ ფოთლებში გამოგახვევ —
ეგებ დაგიამდეს ნაცემი სხეული...
კუდსაც დაგიწნავ...
მუცელსაც მოგფხან...
ბევრ, ძალიან ბევრ ბალახს დაგიყრი,
გამოდი, მაგ მარტოობიდან,
გამოდი, გამოდი დარდიდან.
წამოდი, ვირო, გავიპაროთ,
წამოდი, ნუ გეშინია...
თითონ უფალმა მიაგო პატივი მაგ პატიოსან ცხოველს.
თითონ უფალი ამაღლდა სახედარზე,
(და არა რაშზე ან ბედაურზე),
და ისე შევიდა მარადიულ ქალაქში.
რაო, ერევი, იჯაბნიებ?
აბა, ერთი ლომს ან ვეფხვს გაუბედე
ხელის აღმართვა!

ბავშვებო, გებრალებოდეთ ბეჩავი ცხოველი.
ბალახი დაუყარეთ,
მოეფერეთ,
მძიმე ბარგს ნუ აჰკიდებთ.
დიდი რომ გახდებით, ნურც მაშინ გალახავთ.
თქვენი ბალღობა გაიხსენეთ, თქვენი ალერსი.
გახსოვდეთ, ცხოველები ჩვენი უმცროსი ძმები არიან.
გახსოვდეთ, გახსოვდეთ ჩვენ ცხოველებს ვუყვარვართ,
ცხოველებს ღმერთები ვგონივართ.

ბალღებო, ბალღებო, თქვენამც გაუმრავლდით საქართველოს,
თქვენამც დაგანათლოთ უფალმა...
ვირის ამტანობა!
ვირის ღონე!
შრომის უნარი!
სხვა ყველაფერი ვირული ღმერთმა გაშოროთ!
ვირი ყველას როდი ებრალება,
ვირი მხოლოდ პოეტებს უყვართ,
პოეტებს,
ბავშვებს
წმინდანებსა და ჩაგრულებს.
ამიტომ ვირი პოეტების გადია,

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოეტების გამზრდელი დედობილია.
ზოგიერთი იმიტომ გვიხსენიებს ვირიშვილებად
(სიმართლის თქმისთვის, რაღა თქმა უნდა!)
იმ ქვეყნებში სადაც ვირები არიან,
კარგი პოეტები იბადებიან.
მე უფრო კარგი პოეტი ვიქნებოდი, კახეთში რომ გავზრდილიყავი...

ვირები და პოეტები რომ არ არსებობდნენ,
მშიერი ძაღლები და ჩიტები რომ არ არსებობდნენ —
სიბრალული და სათნოება ძალიან ცოტა იქნებოდა ამ ცოდვილ მიწაზე...

3.

(ეგვიპტის ლაშქრობისას ნაპოლეონს არმიის შუაში განლაგებული
ჰყავდა ვირები და მწიგნობარნი)

მეორე მსოფლიო ომში კავკასიის ფრონტზე ვირებიც გაიწვიეს.
ცხენი და ხარ-კამეჩი მგლის ბილიკებზე ვერ გაირჯებოდა,
კუდსაც ვერ მოიქნევდა.
სახედარი კი, იცოცხლე, მისწრება იყო.
და, ჰა, ქარაფ და ქარაფ ყროყინივით გაკლაკნილ ბილიკებზე
სულ მალე გაწალიკდა ქართლ-კახეთიდან მოდენილი
გამრჯე და მუხლმაგარი საქონელი.
ჩუმად, უხმაუროდ გადაჰქონდათ თოვლსა და წვიმაში
ტყვია-წამალი თუ სურსათ-სანოვაგე.
საქმე კარგად მიდიოდა...
მაგრამ დრო და დრო ამ უწყინარ ცხოველებს ალქაჯი შეუჯდებოდა:
კუდებს აიპრეხდნენ, თავებს აიღერდნენ და
ისეთ გამაყრუებელ ყროყინს ატეხდნენ,
კაცს თავი ჯოჯოხეთში ეგონებოდა.
რა იყო, ვითომ ნოსტალგია? მშობლიური კარმიდამოს მონატრება?
ეს სოდომ-გომორი, ეს თავზარდამცემი ყროყინი
ერთდროულად წყევლა-კრულვაც იყო და გაბმული ზარიც,
გაფიცვაც და აჯანყებაც...
ვის უჯანყდებოდენ ვირები?
იქნებ ბედისწერას ან ადამიანებს,
იქნებ ბუნების უსამართლობას ან კაცთა სისასტიკეს?
ჯერ ვირად გაჩენა იყო თავისთავად უსამართლობა,
მერე ვირების გასამხედროება და ომში გამორეკვა.
თქვენ ომობთ, ადამიანებო, ერთმანეთს ხოცავთ.
მაგრამ ცხოველებს რას გვემართლებით, რატომ გვრევთ მაგ ულვთო საქმეში?
ტლინკებივით მიყრილი ყროყინი ტორავდა, უროსავით ამტვრევდა
კლდოვან ქარაფებს.

ყროყინმა დალმურძლა ბილიკები,
ყროყინმა გამოლეჭა ნაპრალები,
გამოფშვნიტა ფლატეები,
გრიალ-გრიალით მოდიოდა ქვა-ღორღი...
ხათქა-ხუთქით ცვიოდა ლოდები... მოთხრილი ხეები. ბუჩქნარი...
მტვრითა და ბუღით ცა ბნელდებოდა...
ექო ექოზე გადამრავლებული მორევივით დგანდგარებდა უფსკრულებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თითქოს ქვესკნელი ამოვიდაო დედამიწაზე,
ანდა ჯოჯოხეთის „სიმფონიამ“ დედამიწის ქერქი ამოხეთქაო...
გადარაჯებული გერმანელები იმ ადგილებს ბომბავდნენ...
ბომბავდნენ და ნაცარ-ტუტას აყენებდნენ...
დიდი ზარალი მოგვივიდა...
დამფრთხალი პირუტყვი ერთმანეთს აწყდებოდა და ნაპრალებში იჩეხებოდა...
სარდლობა შეშფოთდა...
აღარ იცოდნენ რა ეღონათ, როგორ აელაგმათ ვირების ყროყინი.
ჯარისკაცებმა საწყალ სახედრებს გერმანელთა ჯაშუშები შეარქვეს.
ზოგი მათ დახოცვას მოითხოვდა, ზოგი — დაკვლას.
ვირები ყროყინობდნენ...
გერმანელები იცინოდნენ...
კავკასიის დამცველები ტირილის გუნებაზედ დგებოდნენ...
ოპერაციები იშლებოდა...
მარცხს მარცხი მოსდევდა...
კავკასიის ფრონტი ტელეფონების განგაშმა მოიცვა.
ეძებდნენ ქართლ-კახეთიდან მობილიზებულებს,
ვირის ავან-ჩავანის მცოდნეებს.
ეძებეს, ეძებეს და, ბოლოს როგორც იქნა,
ერთი ვაქირელი ქიტესა აღმოაჩინეს,
რომელმაც თურმე სიცილითა და ღრეჭა-ღრეჭით მოახსენა გენერალს:
— „ამხანაგო გენერალო,
რა დიდი სიბრძნე უნდა მაგ მუდრეგების გარუმებასა.
სახედარი ვერ აყროყინდება, თქვენი ჭირიმე, კუდის აუწევლადა.
თქვენც ადექით და პატარა ქვები დააკიდებინეთ იმ სამგლე კუდებზედა,
მორჩა და გათავდა!
დედიმისი შვილია ხმას ამოიღებს რომელიმეი.“

მართლაც იმ დღიდან კუდზე ქვადაკიდებული ვირები
დინჯად მიწალიკობდნენ კავკასიის ბილიკებზე...
იმ დღიდან გერმანელები აღარ იცინოდნენ.
ქიტესა მედლით დააჯილდოვეს,
ფრონტულმა გაზეთებმა
მთელი კვირა ბეჭდეს მისი პორტრეტი და რჩევა-დარიგებანი.

ეჰ, ქიტეს, ქიტეს, შე კაი დედმამიშვილო,
მეზვრე იყავ თუ მეცხოვნე,
მწყემსი იყავ თუ გუთნისდედა,
შენ გენაცვალე შენა,
რა ლექსები არ გიმღერია ფანდურ-სალამურზედა,
ვაზზე თუ ხარზე,
იასა თუ ტოროლაზე.
ბარემ ერთი პატარა ლექსი უბედურ ვირზედაც გეთქვა,
ერთი მადლობის სიტყვა მაინც, ბიჭოოო!!
და სულ აიყარეთ ჯიგარი სახედარზედა კახელებმა, ჰა?!

ჰეი, ჩვენებურო!
რამდენჯერ აღარ მობრუნებულხარ შინა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენი დიდგორიდან, რამდენი კრწანისიდან...
ეეჰ, შენ კი დაურჩი დედაშენსა...
წმიდაო გიორგი,
ვენაცვალე შენს მადლსა,
შენ დააბრუნე მშვიდობით ჩვენი ქიტესა...

4.

წვიმდა...
ქაშვეთის პირდაპირ სახინკლეში
გალაკტიონს რამდენიმე ახალბედა მგოსანი და
ცნობისმოყვარე უცნობი შემოხვეოდა.
ხინკლის ოხშივარში გახვეული პოეტი
გამოქვაბულში მოქადაგე მოციქულს წააგავდა.
ცმუკავდა, თვალებს წკურავდა,
გრძელი არტისტული თითებით წვერებს იჩეჩავდა.
— „არც კი დამიჯერებთ, ძამიკოებო,
რასაც მოგიყვებით, არც კი დამიჯერებთ.
პირდაპირ ანეკდოტია, ანეკდოტი.
ეს ამბავი შუა აზიაში მოხდა...
რომელიღაც აკინის იუბილეზე ქართველებიც მიგვიწვიეს, ძამიკოებო,
სულ ხუთნი ვიყავით, ხუთად ხუთი კაცი.
ყველა სახელგანთქმული და დიდებული მამულიშვილი.
ერთი — მხატვარი — ფერწერის სასწაული, ძამიკოებო,
ერთი — მსახიობი — სცენის ჯადოქარი.
ერთიც — მეცნიერების ჩირაღდანი.
ქართული მწერლობიდან მარტო თქვენი გალაკტიონი გახლდათ მიწვეული,
ხედავთ, ძამიკოებო, როგორ ყვარებია ერს გალაკტიონი?!
ქადაგად დავარდნილმა ჩაიხითხითა, თვალები უცნაურად უბრწყინავდა.
მუშტში ჩაბღუჯულ წვერს ისე დასცქეროდა,
თითქოს ოქროს თევზი ჰყოლოდეს დაჭერილი და
რასაც უბრძანებს უმალვე აისრულებსო.
დელეგაციას, ერთი დიდი კაცი ხელმძღვანელობდა,
რევოლუციის არწივად ცნობილი ისტორიული პიროვნება.
რკინის კაცი, ძამიკოებო.
დიდებული პატივი გვცეს მასპინძლებმა, დიდებული,
სუფრას, არა თუ ჩიტის რძე,
როგორც მალე გაირკვა, არც ვირის რძე ჰკლებია თურმე.
მთავარი ამბავი, ძამიკოებო, ახლა იწყება.
იქაური ადათის მიხედვით,
სტუმარმა პირველი ჯამით ვირის რძე უნდა დალიოს,
ნუ იცინით, ძამიკოებო.
ყველა ქვეყანაში ნადიმის თავისებური წესი და ადათი არსებობს.
იმ ქვეყანაში, ვირი წმინდა ცხოველად ითვლება,
როგორც კატა ეგვიპტეში ან სპილო ინდოეთში.
ვირის რძე სამკურნალო და დიდად სასარგებლო რამაა.
ჰოდა, ბევრი რომ არ გავაგრძელო —
მასპინძლებმა ვირის რძე შემოგვთავაზეს.
როგორი საქმეა!"

ეროვნული ბიბლიოთეკა

გალაკტიონმა ლუდი მოსვა,
ერთხელ კიდევ იტაცა ხელი წვერებზე და ქირქილით ჩამომარცვლა:
რევოლუციის არწივმა არჩევანი თქვენს გალაკტიონზე შეაჩერა:
— ამხანაგო გალაკტიონ,
თქვენ საქართველოს პირველი პოეტი ბრძანდებით და
პირველი სასმისიც თქვენ გეკუთვნით.
სწორედ ასე თქვა, ძამიკოებო, პირველი პოეტიო.
ვაი შენს გალაკტიონს!
რა უნდა მექნა?
ავდექი, მადლობა მოვახსენე
და
ეს ჩემი ცოდვით სავსე ვირის რძე არაყივით გადავხუხე.
თქვენს მტერს, რაც მე დამემართა, ძამიკოებო,
დედის რძე არ შემრჩენია...
თავ-ბედი ვიწყევლე, ძლივს მომასულიერეს...
რა წვეთები აღარ მასვეს შეწუხებულმა მასპინძლებმა
ასევე ცუდად გახდა სცენის ჯადოქარიც, ძამიკოებო.
დიდი მხატვარიც,
მეცნიერების ჩირაღდანიც,
ყლუპს მოსვამდნენ თუ არა,
პირზე იტაცებდნენ ხელს და
კარვიდან გარბოდნენ.
გაოცებული მასპინძლები ხელებს ასავსავებდნენ,
ალაჰს იმოწმებდნენ ცისკენ თვალებაპყრობილნი:
— იახშიოლ, იახშიოლ, რა მოგდით ყონაღებო,
ვირის რძე სამკურნალო და სასარგებლო სასმელიაო.
მთელი დელეგაცია ნირწამხდარი და მოჩვარული ვესვენეთ ბალიშებზე.
ტყავის ქურთუკიანი ხელმძღვანელი თვალებით გვგმირავდა,
საწვიმარი ღრუბელივით იჯდა ხალიჩაზე, ულვაშს იწიწკნიდა.
უცებ წამოიჭრა,
ერთი კი დაგვჭყივლა თავჩაღუნულ ინტელიგენციას
— თქვენ კი შეგარცხვინათ ღმერთმაო და...
(გვასახელა, ძამიკოებო, გვასახელა ქართველები!)
ბოლომდე გამოსცალა ვირის რძით გაპიპინებული ჯამი.
ამოვისუნთქეთ... ყიჟინა შევაგებეთ... მივულოცეთ...
სასწაული მოხდა, ძამიკოებო, პირდაპირ სასწაული!
ვითომ არაფერიო,
ხელმძღვანელმა საჯდომქვეშ ბალიშები ამოიკეცა.
ხისბუდიანი ეშმაკის ჭალიკი ლაჯებშუა ამოიდო,
თამადობაც ითავა და
მერე და მერე რუსული მარშებიც გვიმღერა.
მგონი „ინტერნაციონალიც" კი წაიღიღინა.
დიახ სასწაული მოხდა:
თამადამ, დამატებით მოითხოვა ვირის რძე!!!
ყველანი პირდაღებულნი მივშტერებოდით:
იმ შერჩენებულს

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვირის რძე დედის რძესავით შეერგო,
დედის რძესავით, ძამიკოებო!.."

გარეთ ჟინჟღლავდა....
ოხშივარში გახვეული სახინკლე ქშუოდა... ირწეოდა...
ლუდით და სიამოვნებით დაბრეცილი სახეები,
გალაკტიონს შეჰღიმოდნენ...
ის კი ქირქილით იფოცხავდა ბიბლიურ წვერებს...
„ძამიკოებო, ძამიკოებოს" ძახილი
გალიიდან თავდახსნილ ჩიტებივით მიფრინავდნენ ქაშუეთისკენ...

5.

სადღაც კახეთში სახედარმა ყროყინით ამცნო სამყაროს
ჩოჩორის დაბადება...

ეროვნული ბიბლიოთეკა

რევაზ მიშველაძე

# ორი ნოველა

## დრამატურგ გაგაძის ჩვენება

**რეჟისორი** ლასურიას თეატრიდან ხუთმა ნერვებმოშლილმა კაცმა გამოსდია.

ლასურია შესაშური სიმშვიდითა და სიჯიუტით მიიკვლევდა გზას მანქანისაკენ.

გამომყოლ-გამომდევნებელნი ერთმანეთს ლაპარაკს არ აცლიდნენ. თავის სათქმელს ჩრიდნენ ყურებში რეჟისორს. ქაქანებდნენ, ადამის ვაშლებზე წამდაუწუმ სამ თითს ისვამდნენ, აქეთ-იქით აწყდებოდნენ. ზოგჯერ აშკარად ხელითაც აჩერებდნენ რეჟისორს. ცმუკავდნენ და უცნაურად ხტოდნენ.

ეს იყო სულ. სხვა არავითარი საბუთი არ გააჩნდა ამ ნოველის ავტორს ხუთი საქმიანი კაცისთვის „ნერვებმოშლილი“ რომ ეწოდებინა.

ლასურიამ გამოსვლისთანავე შენიშნა ტელეფონის ჯიხურთან მდგარი, ხელჩანთოსანი დრამატურგი გაგაძე. მისი უცნაური, ნაძალადევი ღიმილი აშკარად არ მოეწონა და თვალი აარიდა.

ღიმილიც რომ მოსწონებოდა, რეჟისორი გაგაძეს თვალს მაინც აარიდებდა. რატომ და რისთვის, ამას ქვემოთ დავინახავთ. ამჯერად კი იმით დავკმაყოფილდეთ, რომ თვალი აარიდა იმ უბრალო მიზეზის გამო, რა უბრალო მიზეზის გამოც, რეჟისორები დრამატურგებს საერთოდ თვალს არიდებენ.

მანქანამდე შვიდი ნაბიჯიც არ იყო დარჩენილი. ლასურია რომ შედგა და შემოტრიალდა. ორივე ხელის ანტიკური შემართვით მდევარი ადგილზე გააშეშა და ღაღადჰყო:

— კლიმენტი! ხუთშაბათს მოვილაპარაკოთ, დღეს მზად არა ვარ! ჩხართუა სამ საათზე!

— დღეეს?! — იყვირა გახარებულმა ჩხართუამ.

— დღეს არა, იმ კვირაში, სანჩო, ბოდიშს ვიხდი, ვერ მოვასწარი, ზეგ ორ საათზე, თუ შეძლო. დამირეკე მაინც წინასწარ. ნაყინაძე ჰექტორთან მიდი და მოილაპარაკეთ. ამება, შენ რა გინდოდა? პარასკევს შევხვდეთ, ხომ არ გვიანდება, პარასკევს, პარასკევს, კარგი ხუთშაბათს იყოს. გაწყობს? ოლონდ სამ საათზე. სამამდე არაფრით არ შემიძლია!

ვულდამღუღრული მდევნელნი უფრო ენერგიულად ახტუნავდნენ. ყველა, ყველა და, მათ ძალიან კარგად იცოდნენ, რომ „ის კვირა“ და „ხუთშაბათ-საშაბათი“ უგემური სატყუარა იყო, რადგანაც ხვალ დილით ლასურია მოსკოვს, ხოლო მოსკოვიდან იმ საღამოსვე სამი თვით რიო დე ჟანეიროში მიფრინავდა.

ლასურიამ ჯერ მანქანის უკანა კარი გამოაღო და ტყავის საქაღალდე შეისროლა. მერე წინა კარი გაატკაპუნა და რომ ჯდებოდა, სწორედ მაშინ მოხვდა ზურგში იმ ზომის ქვა, რა ზომის ქვითაც კაცის მოკვლა თავისუფლად შეიძლება, თუ თავში მოვარტყამთ, რასაკვირველია. ხოლო ზურგში როცა ვდრუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩავთ დამნაშავეს, მხოლოდ კუნთს შეუშინ-შეულურჯებს და მეტი არაფერი; თუ შეურაცხყოფით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ ზემოქმედებას და, რაც მთავარია, შიშს მხედველობაში არ მივიღებთ, ძვირფასო მკითხველო.

ხუთეული ელვისსისწრაფით დააცხრა დრამატურგ გაგაძეს და განაიარაღა, რადგანაც ბრძოლის ჟინით ანთებული დრამატურგი ჩანთის გახსნას და მეორე ქვის ამოღებას აპირებდა. ხოლო ჩანთა, როგორადაც არ უნდა გაგიკვირდეთ, ქვებით ჰქონდა სავსე.

ლასურიას სიარული მშვენივრად შეეძლო, მაგრამ სასწრაფო დახმარების საკაცეზე წოლა არჩია. ამჯერად საკაცეზე წოლა უფრო შთამბეჭდავი და თეატრალური იყო.

ტრამვირებული ხელოვანი მანქანისკენ რომ მიჰქონდათ, ლასურიამ მზეს ახედა.

მზე ჩვეულებრივზე უფრო დაშორებოდა დედამიწას. ყოველშემთხვევაში, რეჟისორს ასე ეჩვენა.

●

გამომძიებელი და ბრალდებული ერთად შევიდნენ კაბინეტში.

— დაბრძანდით, ბატონო ჯანრი.

სიმართლის დამდგენი, ახალგაზრდა, ზღვისფერთვალება ბიჭი იყო. პიჯაკზე სამფეროვანი ქართული დროშის სამკერდე ნიშანი ეკეთა. ურჩი თმა მოკლეზე ჰქონდა დაყენებული, ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. მარჯვენა ხელზე ცერა თითი არ აკლდა, როგორც სხვა მოთხრობებში ჩვეულებრივ აკლიათ ხოლმე თითები გამომძიებლებს.

ბრალდებული შუახანსმიღწეული კაცი იყო. ჯინსის შარვალი ეცვა, გახამებული თეთრი პერანგი, წითელი ჰალსტუხი და ირისისფერი პიჯაკი. რა ამ სტრიქონების ავტორის საქმეა სხვის გემოვნებაში ჩარევა, მაგრამ იგი მაინც ჯიუტად ფიქრობს, რომ ჩაცმულობაში კოვბოური და ევროპულ-ელეგანტური სტილის არევა მთლად კარგი ტონი არ უნდა იყოს.

— ესა ვართ სულ, ბატონო ჯანრი?

გამომძიებელს საუბრის დაწყება უჭირდა. იგი განზე იხედებოდა, დრამატურგის შეწუხებული სახე რომ არ დაენახა.

— როგორც ჩანს, — მოჩვენებითი სიმშვიდით უპასუხა გაგაძემ. „ახლა ამ ლლაპმაც თუ ჭკუის რიგება დამიწყო, ეგა თქვი შენო“, — გაიფიქრა.

— თქვენი ჩანთაა ამოღებული ნივთმტკიცებად.

— კი ბატონო.

— ქვებით იყო სავსე.

— მერე ვინ უარყოფს.

— სად იშოვეთ იმდენი ქვა, ბატონო ჯანრი.

— რა ლაპარაკია ახლა ეგ, ჩემო, თქვენი სახელი?

— ჰამლეტი.

— რა ლაპარაკია ახლა ეგ, ჩემო ჰამლეტ. მე შენ სერიოზული კაცი მგონიხარ. ქვების მეტი რა ჰყრია რიყეზე.

— მერე ვარგა ასე, ბატონო ჯანრი??

— ვერ გავიგე?

— ქართველებმა ქვები ვესროლოთ ერთმანეთს?

— თუ ძმა ხარ, ქართველები ერთმანეთს როგორ უნდა მოვექცეთ, მაგას ვასწავლი მე სხვებს ოცდაათი წელია. შენ ეს კონკრეტული ამბავი გაინტერესებს, ხომ? ამ ამბავზე ვილაპარაკოთ.

— რატომ მეჩხუბებით, ბატონო ჯანრი, თქვენთვის ცუდი ხომ არაფერი მიკადრებია?

— ჩემს მდგომარეობაში მყოფი კაცი, აუღელვებლად ვერ ილაპარაკებს და ბოდიშს ვიხდი, ჰამლეტ ჩემო, წონასწორობის დაკარგვისათვის ხანდახან. თუ დაკითხვაა დაწყებული, დამკითხე, როგორც წესი და რიგია. თუ არა და ეს ლირიკული საუბარი „ქართველმა ქართველს და ესაა ჩვენი ქართველობას“ თემაზე ნერვებს მიშლის და სხვა დროისთვის გადავდოთ.

— ჯერ თქვენს მიმართ საქმე არაა აღძრული. ჯერ დაზარალებულის ჯანმრთელობის მდგომარეობა არ შეგვიტყვია. იქნებ, არ გიჩივით ის კაცი. მე მო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიგე ვარ და უბრალოდ ჩემთვის მაინტერესებდა, რა უნდა მომხდარიყო ისეთი, რომ თქვენ, ცნობილ, სერიოზულ კაცს დილით ჩანთა ქვებით გაგევსოთ, მოსულიყავით რუსთაველის პროსპექტზე და ყველას თვალწინ ქვა გესროლათ ასევე ცნობილი, პატივცემული რეჟისორისათვის, რა მაგალითს გვაძლევთ ამით ჩვენ, ახალგაზრდობას?

— კიდევ ერთხელ გთხოვ, ჩემო ჰამლეტ, ამ საქციელის სამაგალითო და მისაბაძ მხარეზე სხვა დროს ვილაპარაკოთ. არა ხართ თქვენ ის ხალხი, ჩვენი თაობის ქმედებაში, მისაბაძ მაგალითებს რომ დაეძებდეთ. დაწვრილებით გიამბობთ ამ ისტორიას და შენ თვითონ განსაჯე — როგორც კაცმაც და როგორც მართლმსაჯულების წარმომადგენელმაც. მე, ჩემდა თავად, ახლაც, ამ წუთშიც, ღრმად მჯერა, რომ სწორად მოვიქეცი.

— გისმენთ ყურადღებით, ბატონო ჯანრი.

გამომძიებელი, ცოტა არ იყოს სიმპათიითაც კი განეწყო კაცისადმი, რომელიც თავის საქციელს აფექტურ მდგომარეობას კი არ აბრალებდა, ან, საერთოდ, დანაშაულს კი არ უარყოფდა, პირიქით, პირდაპირ ამბობდა: კაცს მოსაკლავად ქვა ვესროლე და მართალი ვარო.

— მე ადრე ლექსებს ვწერდი, — დაიწყო გაგაძემ, — შეიძლება წაკითხულიც კი გაქვთ ჩემი ლექსები. არაფერი სასწაული ეგ არ იქნება, წაკითხული რომ გქონდეთ. არ უნდა ვიყო მთლად ურიგო და უკანასკნელი პოეტი. ამ ოთხი წლის წინ, სწორედ იმ ადგილზე, დღეს რომ ქვა ვესროლე, რეჟისორი ლასურია შემხვდა. ტოლები ვართ ჩვენ. კარგი ნაცნობებიო, რომ იტყვიან, ისე ვიყავით ერთმანეთთან. სულ მეგონა, რომ ერთმანეთის წარმატებები გვიხაროდა. ან რატომ არ უნდა გაგვხარებოდა, კაცმა რომ თქვას, მე ჩემთვის ლექსებს ვწერდი, ეგ თავისთვის პიესებს დგამდა. თეატრი ბავშვობიდანვე მიყვარდა და ხატზე შემიძლია დავიფიცო, რომ, ჩვენ ქალაქში სპექტაკლი არ გამიშვია უნახავი. თუ ვინმე იყო ჩვენი თეატრის ტაშის დამკვრელი, მეც ვიყავი. ეს იყო თეატრთან ძირითადად ჩემი დამოკიდებულება.

შენ გეძებდიო, ლასურიამ, ბინა გამოგიცვლია და შენი ტელეფონი ვერაფრით დავაზუსტეო. სალაპარაკო მაქვს შენთან, თუ გცალიაო. გისმენ მეთქი. წავიკითხე შენი ლექსები და დარწმუნებული ვარ, კარგ პიესას დაწერო. რაც მთავარია, ცხოვრებასთან კრიტიკული დამოკიდებულება გაქვს, თანამედროვე აზროვნება, კალამი გიჭრის და უნდა მოხედო ქართულ თეატრსო. ეს მარტო ჩემი კი არა, მთელი დასის სათხოვარიაო. ვიმსჯელეთ, ვითათბირეთ და არჩევანი შენზე შევაჩერეთო. არ გვითხრა უარი, თორემ ვიღუპებითო. კი მაგრამ რანაირად, მე, საერთოდ....... სიტყვაზე...., მაგალითად მეთქი. შეძლებ, შეძლებო. მანქანიდან ჩემი ბოლო წიგნი გადმოიღო, სარჩევი ჩამიკითხა, ამ, ამ და ამ ლექსების მოტივები მინდა იყოს პიესაშიო, თანაც დინამიკაში უნდა ჩანდეს ყველაფერიო.

დრამატურგიაში მთლად უცხოდ რომ მეგრძნო თავი, რასაკვირველია, არ დავეთანხმებოდი ლასურიას. მართალია, საუბარში თავი ნამეტანი მოვიმონაფე, მაგრამ არც ისე იყო საქმე. ჩვენში დარჩეს და, თეატრი იმდენად მიყვარდა, რომ პიესის დაწერის სურვილს მეც ვატარებდი გულში ფარულად.

ლასურიამ ვადაც კი დამითქვა: ახლა აპრილია, ივლისში ბორჯომში ვიქნები და პიესა იქ ამომიტანეო. იცოდე, შენს იმედზე ვარ, ოქტომბერში უნდა ჩავუშვა და არ დამაღალატოო.

ასეთ სიტყვას რომ გეტყვის კაცი, დააღალატებ? ქვას არ გახეთქავ და შეუძლებელს არ შეეჭიდები? გადავდე ყველაფერი განზე და ივნისის ბოლოსათვის პიესა უკვე მზად მქონდა. მე ვერ გეტყვი, რა გამომივიდა, მაგრამ ცდა არ დამიკლია. საერთოდ, ჩემს საქმეში პროფესიონალად მომაქვს თავი, ლიტერატურული ხალტურა და მწერლური

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნახევარფაბრიკატი, ჰირივით მძულს. ხოლოდ არასოდეს არ გავსულვარ. ფონი არ მიძებნია, სანამ ჩემებუ ლარ-თარგზე არ მოვიყვან საქმეს, არ მოვეშვები. რალა ბევრი გავაგრძელო, სამი თვე თავი არ ამილია. გადავაკვდი პიესას და, ჩემი ჰკუით, დავამარცხე. გულის კანკალით ვეახელი ლასურიას ბორჯომში. მუსიკოსების კოტეჯში ჩამომხტარიყო. ასე, ნაშუადღევის ხუთი საათი იქნებოდა, ძლივს მივაგენი, იწვა და რაღაცას კითხულობდა. მინის კედელთან ედგა საწოლი და თვალი მოვკარი, არ ეძინა, თორემ როგორ შევაწუხებდი. შემოდიო, დამიძახა. ვერ დავუკარგავ, ლოგინიდან არ ამდგარა და არ გამომგებებია, ალბად შეუძლოდაა-მეთქი და ვინანე, რომ შევაწუხე. შევედი. ხომ კარგი სურათია თავისთავად: მწერალს რეჟისორისთვის მიაქვს შეკვეთილი, დანაპირები პიესა. წამოუდგომლად გამომართვა პიესა ლასურიამ. არც გადაუფურცლავს, გვერდზე გადადო.

თვრამეტი ივლისი იყო. სექტემბრამდე ვერ წავიკითხავო. სექტემბერში მე თვითონ დაგირეკავო. არა უშავს, მე მოგაკითხავ-მეთქი. ნუ შეწუხდები, მე თვითონ დაგირეკავო. ტელეფონი შემახსენეო. პიესას დიდი ასოებით დააწერა ჩემი ტელეფონი და კითხვა განაგრძო. ალბათ ძალიან საინტერესო ადგილზეა-მეთქი და ხელი აღარ შევუშალე. კარგად ყოფნა ვუსურვე და გამოვტრიალდი. გაკვირვებით კი გამიკვირდა, ცივად შეხვედრა და უყურადღებობა, მაგრამ წყენით არ მწყენია. რა ვუყოთ მერე, თუ ყურადღებით ვერ შეგხვდა, ხელოვანი კაცია, ათასი ფიქრი უტრიალებს, თანაც, როგორც ჩანს, დიდ ადამიანებს თავისი უცნაურობები უნდა ჰქონდეთ-მეთქი.

მოვიდა სექტემბერი. არ შეიძლება იმის აღწერა, როგორ გაიწელა ეს თვენახევარი. რა გულისფანცქალით ველი მსჯავრს ჩემს პიესაზე. ჩამოიფურცლა სექტემბერიც. ლასურია არ მირეკავს. არა და, მერიდება მისვლა. იქნებ ვერ მოასწრო კაცმა წაკითხვა, ან სხვა საქმეები გამოუჩნდა, რა მოხდა მერე.

ოცდაცხრა სექტემბერი იყო, მე თვითონ მივედი. ოთხი წლის წინანდელ ამბავს გიყვები.

თეატრში ერთი ხანშიშესული, უაღრესად ყურადღებიანი, რომ იტყვიან, ტკბილი კაცი მუშაობს, დირექტორ-განმკარგულებლად — ჰილაიაა გვარად.

მობრძანდი, ჩემო ჯანრიო. სასიხარულოა შენი გამოჩენა ჩვენს თეატრშიო. ლასურიამ თუ იცის, დღეს რომ უნდა მოსულიყავიო. თავი გავაქნიე, შეწუხდა, ვაი თუ დააგვიანოს და დიდხანს დაგჰირდეს ლოდინიო.

არა უშავს-მეთქი. იმ დღეს კარგა ხანს ველოდე. მაგრამ არ მოვიდა. როგორც კი გამოჩნდება, ვკითხავ, შევუთანხმებ და მე თვითონ დაგირეკავო, — ჰილაიამ.

აშენდა მისი ოჯახი, იმ საღამოსვე დამირეკა. ხვალ, თუ არ შეწუხდები, თორმეტზე მოდი ლასურიასთან შესახვედრადო.

თორმეტს ათი წუთი აკლდა, რომ მივედი. სამამდე ველოდე. არ ჩანს. წუხს ჰილაია. ოთხის ნახევარზე დარეკა. გაგაძე გელოდებათო, — დირექტორმა, ზეგ ორზე მოვიდესო, დაიბარა.

ბოდიშს მიხდის ჰილაია სხვის მაგივრად. არ გეწყინოს, ჩემო ჯანრიო, ვერ მოძებნა ალბად დრო. დაკავებულია ძალიანო.

„ზეგ“ მივედი ორ საათზე და ოთხამდე ვიცადე.

ახალგაზრდა რეჟისორმა შემოირბინა და ჰილაიას რაღაც უჩურჩულა. კი მაგრამ, ბატონი ჯანრი დაიბარა და არ აპირებს შემოსვლასო? გაწყრა ჰილაია.

ფერმკრთალი რეჟისორი საწყალი თვალებით შემომაჩერდა. არ გამცეთ ბატონო და ახლა მანქანასთან დგას. სანამ წავიდოდეს მიუსწარით, თორემ მერე ხუთ დღეს აღარ იქნება თეატრშიო.

გავვარდი და ზუსტად იმ ადგილას, სადაც დღეს ქვა ვესროლე, მანქანაში მჯდომს მივუსწარი.

შემომხედა. მანქანიდან არც გადმოსულა. წავიკითხე ჯანრი, შენი პიესა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძალიან მომეწონა. ოქტომბერში მუშაობას ვიწყებ. ალბათ დეკემბრის ბოლოს, საახალწლოდ გამოვუშვებო.

ხომ არაფერია შესასწორებელი-მეთქი, არაო, როგორიც მინდოდა, ისეთი პიესააო.

დაიძრა მანქანა. დიდხანს ვიდექი სიხარულისაგან გახევებული.

— „აი, კაცი მეთქი ვფიქრობდი, აი რეჟისორი, ყოველგვარი ჭირვეულობის გარეშე, უბრალო და საქმიანი. მოეწონა პიესა და დგამს. ამაზე კარგი რა იქნება მეთქი".

ოქტომბერი მიიწურა, შუა ნოემბერია. გარს ვუვლი ჩემს საყვარელ თეატრს, გაფრთხილებული მაქვს, რეჟისორებს არ უყვართ, როცა ავტორი რეპეტიციაზე გამოჩნდება. ვინმეს თვალში ცუდად არ შევეფეთო-მეთქი. დეკემბერმაც რომ ლევა იწყო, დავუწყე ანონსის აფიშებს თვალიერება. მგონია, ახლა გახურებული იქნება მუშაობა ჩემს პიესაზე. მხატვრის ესკიზები უკვე დამტკიცებული და შეკვეთილია ალბათ. მუსიკაც უკვე მზად ექნება კომპოზიტორს... ახალი წლის წინა დღეებში გულმა არ მომითმინა და შევიარე თეატრში. როგორაა მეთქი საქმე, პირველივე ნაცნობს ვკითხე, სანამ ჰილაიას კაბინეტამდე მივაღწევდი. ნაცნობი სალიტერატურო ნაწილის გამგე აღმოჩნდა, მშვენიერი, კდემით აღსავსე ქალბატონი. კარგადო, ღვთის წყალობით წინ მივდივართო. მე ჩემი პიესის შესახებ გეკითხები-მეთქი. რომელი პიესისო, გაიკვირვა. როგორ არ იცი, ორი თვეა რეპეტიციობს დასი. თვითონ ლასურია დგამს მეთქი, გულმა რეჩხი მიყო. გაეცინა ქალბატონს: ჯანრი ბატონო, რისი რეპეტიცია, რა რეპეტიცია, ლასურია ხუთ ოქტომბერს რომ გაემგზავრა საბერძნეთში, იმის მერე თვალითაც არ გვინახავს. მომავალი წლის რეპერტუარის პიესები დამიტოვა წასაკითხად, იქ შენი პიესის მსგავსი არაფერია, საერთოდ, ქართული პიესა არცერთი არ არისო. არ მოსწონს ამ კაცს ქართული პიესები და რა ვქნა მეო. ეტყობა, სასოწარკვეთილი სახე მქონდა ამის გამგონეს, რაკილა შევეცოდე და დამიყვავა — არ ვიცი, იქნებ მართლა გადაწყვეტილი აქვს შენი პიესის დადგმა. ასე იცის ხოლმე, დასადგმელს შინ ინახავს, უეცრად გამოაჩენს და დაიწყებს მუშაობასო.

გულჩამწყდარი გამოვბრუნდი თეატრიდან.

აპრილში დაბრუნდა ლასურია საბერძნეთიდან და, რასაკვირველია, ლოდინით დაღლილი ჟურნალისტების ყურადღების ცენტრში მოექცა. არ დაუმალავს, ტელევიზიითაც გამოაცხადა და სამ გაზეთში კორესპონდენტს კითხვაზე, რას შემოგვთავაზებთ ახალსო, უპასუხა: პირველ რიგში ჯანრი გაგაძის პიესა უნდა დავდგა. პოეტმა ჩვენი დაკვეთით საინტერესო პიესა შექმნაო.

თავი ქუდში მაქვს. გახარებული როგორ არ ვიქნები, კაცმა ქვეყანას მოსდო, რომ ჩემს პიესას დგამს, ლასურია ის კაცი არ არის, თქვას და არ შეასრულოს, დანაპირები არ გაანაღდოს-მეთქი, ვფიქრობდი.

დამთავრდა მეორე სეზონიც. თეატრმა ორ „იმპერიალისტურ" სახელმწიფოში ტრიუმფალურად იგასტროლა და როგორც საკუთარი ტრადიციულ-განუშორებელი შტატიანი პოლიტიკური ხელმძღვანელი და საგასტროლო მიმომხილველი თეატრმცოდნე წერდა — ლამის ჭკუიდან შეშალა ნოსტალგირებული ემიგრაციით ნახევრად სავსე დარბაზები.

სექტემბერში გამოჩნდა თბილისში ლასურია. ორი დღე ვაცალე აკლიმატიზაცია და ავეტუზე კაბინეტის კართან. ახლა იმდენად პიესის დადგმა აღარ მაინტერესებს, რამდენადაც რეჟისორის სახის დანახვა, და მისი დასაბუთებული პასუხის მოსმენა. მეტყვის მიზეზს, ტყუილს ან მართალს. ბოდიშს მომიხდის, ვერ ვახერხებთ შენი პიესის დადგმასო, დავმშვიდდები და წავალ შინ. მეცოდინება, რომ არ იდგმება. რა მოხდა მერე. ჩემისთანების პიესები არ დადგმულა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათი დღის მანძილზე ჯიუტად, მაგრამ ამაოდ ველოდე ლასურიას. აშკარად ჩანდა, მემალებოდა. შემოირბენდა თურმე თეატრში, იკითხავდა: გაგაძე ხომ არ მელოდებაო, რომ ეტყოდნენ, შენს კაბინეტთან ზისო, შეძვრებოდა სხვა სათადარიგო კაბინეტში, უსაქმობით დაღლილი, თეატრს სახელმძღვანელო მითითებებს მისცემდა და გაიპარებოდა.

მეთერთმეტე დღეს, როცა სწორედ იმ ადგილას დავუდარაჯდი, სადაც დღეს ქვა ვესროლე, (იმჯერად რა თქმა უნდა ქვების გარეშე), შევიტყვე, რომ წუხელის ამწაპნა იმპერიის ცენტრმა: ორი თვითო მოსკოვმა გაითხოვა დიდ ლენინზე და მის ბანდიტ თანამებრძოლებზე პიესის დასადგმელადო.

რუსული გაზეთები აღფრთოვანებით გვატყობინებდნენ ლასურიას მოსკოვურ წარმატებებს. რეჟისორი ისე დათვრა ურდოში გამარჯვების ალლუმზე, რომ თავისი თვისტომი (სამწუხაროდ მოსკოვმა იცის ასე) მიავიწყდა და მასზე შეყვარებულ რუსებს სახეგამთვარულმა შეაგება: სამშობლოს სიყვარული პროვინციალიზმია, რაც შემეხება მე, ადამიანის სიყვარული პუშკინმა მასწავლაო.

შარშან, თვრამეტ აპრილს, ჰილაიამ დამირეკა: ჯანრი წუხელის ჩამოსულა, აქ არის, სასწრაფოდ ნახე, თორემ, მგონი, სადღაც აპირებს წასვლასო.

იმ ადგილას, სადაც ქვა ვესროლე, დავუდარაჯდი, და შემოვიდა თუ არა, წინ გადავუდექ. გამიღიმა, გაუხარდა ჩემი დანახვა. როგორაა ჩემი საქმე-მეთქი. მე შენთვის უნდა მეკითხაო. მე დავუტოვე ყველაფერი ბრაიძეს, დავალება მივეცი, როლები უნდა გაენაწილებინა და რეპეტიციები დაეწყო, ნუ დამიმალავ, თუ კაცი ხარ, არ დაუწყია მუშაობაო?

ბრაიძის გვარი პირველად გავიგონე, იმ დღეს. ხვალ მოდი, გავარკვევ ყველაფერს და გეტყვი პასუხს. ახლა უკვე ალარსად მივდივარ და მე თვითონ შევუდგები საქმესო.

რა თქმა უნდა, ვერც ხვალ და ვერც მომდევნო ცამეტ დღეს ლასურიას მოხელთება ვერ შევძელი. თერთმეტ მაისს თეატრალური საზოგადოების კიბეზე შემთხვევით შემეფეთა. მე თვითონ მინდოდა გვერდის აქცევა, ჯერ ერთი, არ მინდოდა მორიგი ტყუილით დავეპურებინე, და კიდევ უფრო შემძულებოდა, მეორეც, არ მსურდა უხერხულ დღეში ჩამეყენებინა. ორივე ხელით ჩამაფრინდა მხრებზე, ხომ არ მემდურიო. ხუთი დღეა გეძებ, მთელი ქალაქი შევძარიო. შენი ტელეფონი გამებნა სადღაც და ჯავრით აღარა ვარო კაცი. დავანებოთ იმ ძველ პიესას თავი, ახლა, ხომ ხედავ, რა მოვლენები ხდება, — სასწრაფოდ უნდა დამიწერო ცხრა აპრილზე პიესა, ივნისში ვიწყებ რეპეტიციებს. ამას წყალი არ გაუვაო. არ დამალალატო თუ ძმა ხარ, შენს იმედზე ვარო.

ერთბაშად გამიარა ყოველივე წყენამ და ლასურიას აღტკინება გადმედო. ისედაც ვაპირებდი, ჩემთვის, ცხრა აპრილზე პიესის დაწერას და ახლა როგორი საქმეა! თეატრი მოუთმენლად გელოდება. რეჟისორი ხელებს იფშვნეტს შენი პიესის მოლოდინში.

გავასწორე დღე და ღამე და ივნისის პირველ რიცხვებში ვაახლე თეატრს პიესა. გულში ჩაიხუტა ლასურიამ მიტანისთანავე. რომ იცოდე, რამოდენა პატივი მეციო. რა კარგია, ყველას დავასწრებთ ცხრა აპრილის ტრაგედიაზე სპექტაკლის შექმნასო. წაიღო სახლში და ჰოი, საკვირველებავ! მეორე დილით დამირეკა: ყველაფერი რიგზეა, პიესა ძალიან მომეწონა, ხვალიდან ვიწყებ მუშაობასო.

ყურებს არ დავუჯერე. ნუთუ თვითონ ლასურია მირეკავს-მეთქი, ისე ვიყავი გაწამებულ-გულდასერილი ამ სამი წლის განმავლობაში მისი გასხლტომა-გაქცევებისაგან.

დაიწყო ხმაურით მუშაობა ლასურიამ. ცხრა აპრილზე პიესას ვდგამო, უკვე სცენაზე ვართო. ჩვიდმეტ ოქტომბერს პრემიერას ვითამაშებთო. რატომღაც ინტერვიუებში პიესის ავტორად არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მასახელებდა, მაგრამ გული არ დამწყვეტია. ესეც ხელოვანის უცნაურობას მივაწერე.

სპექტაკლის ჩაბარების დრო რომ მოახლოვდა, ერთი-ორჯერ დავურეკე, როგორ მიდის მეთქი საქმე? კარგადო. რეპეტიციაზე ხომ არ მოვიდე-მეთქი, არა, რა საჭიროაო.

გაჩნდა აფიშები ქალაქში. აწერია ცხრა აპრილის ტრაგედიის ამსახველი პიესა. დამდგმელი ლასურია, პიესის სახელწოდება შეცვლილია (არა უშავს არც ამით დაქცეულა ქვეყანა), მაგრამ მაგარი ის არის, რომ აფიშაზე ჩემი გვარი არ ჩანს.

არც გენერალურ რეპეტიციაზე მეძახიან.

ქუჩაში მხვდებიან სპექტაკლის მონაწილეები, მაგრამ სალაპარაკოდ არ მიჩერდებიან. ხელის აწევით მესალმებიან ხოლმე და სწრაფად გამეცლებიან.

დაუპატიჟებლად მივედი სპექტაკლის გასინჯვაზე.

ლასურიამ რომ დამინახა, აშკარად შევატყვე, ნირი წაუხდა, ფერი დაჰკარგა, შეცბა.

სანამ სპექტაკლი არ დამთავრდა, ვერ მივხვდი რაში იყო საქმე.

რეჟისორების უცნაურობის ამბავი რომ ვიცი, ალბად ჯერ პანტომიმის შესავალი გაუკეთა სპექტაკლს და აგერ-აგერ ამოიღებენ ხმას ჩემი საყვარელი მსახიობები მეთქი.

თქვენც არ მომიკვდეთ.

ჩემი პიესიდან მარტო მიზანსცენები აულია და მუნჯური სპექტაკლი დაუდგამს. დაშლიგინებდნენ, გადი-გამოდიოდნენ გიჟებივით ლამაზი მსახიობები სცენაზე. უსიტყვო სპექტაკლი ანაქრონიზმობდა ქართული სიტყვის უპირველეს თეატრში.

რეჟისორს, რასაკვირველია, ნება აქვს უსიტყვო, უმუსიკო, უდეკორაციო და უმსახიობო სპექტაკლიც დადგას მისი სურვილისა და გემოვნებისამებრ. მაგრამ მე რა შუაში ვიყავი?

ნუთუ ასე ძნელი იყო, ამ ოთხი წლის განმავლობაში, ერთი მართალი სიტყვა გაემეტებინა: ჯანრი, არ მომეწონა შენი პიესა და ვერ დავდგამო?

როგორ ხასიათზე წამოხვიდოდი შენ ჩემს ადგილზე, იმ გენერალური რეპეტიციიდან?

ხვდები ახლა რატომ ვესროლე ქვა? მე მას როგორც რეჟისორს კი არ გავუჯავრდი, როგორც კაცს, როგორც აბუჩად ამგდებს.

ახლა, ამ ქვის სროლისათვის დახვრეტას რომ არ მომისჯიან, ვიცი. პირობას გაძლევ, დღეს იქნება თუ გაისად, სადაც შემხვდება, აუცილებლად სილას გავაწნავ.

# მეტეორი

სისულელეების ჯამი იყო ჩემი სიყმაწვილე და ასე სისულ-სისულელეებით გავედი ბოლომდე. შენ არ მომიკვდე, მე დაჭკვიანება და დაბრძენება არ მეგრძნოს.

შეცდომების ჯაჭვი ყოფილა ადამიანი, მეტი არაფერი.

ახალგაზრდობა იმიტომაა ყველაზე ლამაზი ასაკი, რომ ანგარიშებით არ გაქვს თავი დამძიმებული. ამკრძალავ ნიშნებს მაინცდამაინც დიდ პატივს არა სცემ. გაბედული ხარ. ჯიქურ ასკდები ცხოვრების ბარიერს სიფრთხილისა და წინდახედულების ბორკილი ვერაფერს გაკლებს.

ახლა? ჩემს ასაკში? დამანებე თავი, თუ კაცი ხარ. „ეს არ შეიძლება", „ეს არ მეკადრება", „ეს დაგვიანებულია" ლამის შემჭამოს და სული ამომართვას.

ამ ორი კვირის წინათ ისეთი სისულელე ჩავიდინე დარჩენილ ორ პარასკევს რომ მეყოფა საკვნესად და სანანებლად გიამბობ ისე, გულის დასაბერტყავად, თორემ შველით რას მიშველი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დეკემბერი იწურებოდა.

უსიამოვნო, ქარყინვიანი ამინდი იდგა. ტროლეიბუსიდან ჩამოვედი, ტალახიანი გვირაბში გავძვერი და ჩვენი კანტორისაკენ მივაბიჯებ. თავჩაქინდრული, რომ იტყვიან, მხრებაწურული.

ვფიქრობ, რა გაძლებს მეთქი ამ სიცივეში ჩემს კაბინეტში რვა საათს. რაც მოსკოვმა გაზი და ელექტრონი შეგვიწყვიტა, მოგეხსენება, არსად არაა წესიერი გათბობა და ჩვენთან იქნება? ძველთაძველი შენობაა, ომამდე დამონტაჟებული მილგაყვანილობა და რადიატორები უდგას.

კიბე რომ ამოვიარე, მაშინვე შევნიშნე ქერათმიანი, დიდტუჩება ლამაზი გოგო. ბუკლეს ჭრელი პალტო ეცვა და ქუდი, რასაკვირველია, არ ეხურა.

პურის მოგრძო ნაჭერი ჩაებღუჯა და ისე მადიანად ჭამდა, თვალს ვერ მოვწყვეტდი. ჭამდა თავის სილამაზეში თავის თვალმოუწყვეტლობაში დარწმუნებული. თითქოსდა ახარბებდა ქვეყანას თავის ოც-ოცდაორ წელს. ჭამდა თამამად და უფრო თამამად აყოლებდა თვალს გამვლელ გამომვლელთ. ადრე არასოდეს შემინიშნავს. არც სიცივე აწუხებდა, არც ჩემი შეტყობით, დიდი რამე დარდ-საზრუნავი.

იდგა ახალი ადამიანი. საზოგადოებას შემატებული ლამაზი გოგო, თითქოსდა იმ თავაწეული თამამი დგომით და სუფთა თვალებით მთელ ქალაქს აფრთხილებდა, მოვედი მე და ანგარიში გამიწიეთო. ჩემი წილი, რაც მეკუთვნის ამ ცხოვრებიდან, კეთილი ინებეთ და გამომიყავითო, თავის ადგილს ითხოვდა, მეტს არაფერს.

თქვენ ვერ წარმოიდგენთ რა სილამაზეა, ერთი და იგივე ხალხით გაბეცებულ, გახუნებულ ქუჩაზე უეცრად რომ გამოჩნდება ახალი სახე, ახალი პიროვნება. გუშინ იგი ბავშვი იყო და ვერ ვამჩნევდით. შეიძლება აქაც ბევრჯერ შეგხვედრია მოწაფის ჩანთით და წითელი წკაპუნებით, ახლა ერთბაშად წამოიმართა ჩვენს წინაშე და, ბიჭი ხარ, არ შეხედო, თვალი არ გააყოლო, თუ მოინდომა ტვინს გადმოგიბრუნებს და ფეხს აგარევინებს.

შევხედე და ჩავუარე. მეტი რა. მე ორმოცდაათი წლის კაცი ვარ. სხვა არაფერი მეხება.

ჩემი წილი სისულელეები ჩადენილი მაქვს.

თვალს ხომ არ გავუსწორებ ოცი წლის ანგელოზს და სასაცილო მდგომარეობაში ხომ არ ჩავიგდებ თავს.

იგი სხვა გაზაფხულებს მოჰყვა. სხვა თაობას ეკუთვნის, თავის ჩანჩქერებს ათამაშებს.

ვტუცავ ახალ ჩემს კარებში თავს და ვაჩხაკუნებ საღამომდე ჩემი მოწყენის ჩოთქს.

ეს ყოფილა ჩემი ბედი.

კარებამდე ათიოდე ნაბიჯი არ მექნებოდა გადადგმული, რომ მკლავზე ვილაც შემეხო.

— თქვენ, თქვენ!.. — მოვიხედე, ის არის. ცალ ხელში პურის დარჩენილი ნაჭერი უჭირავს, მეორეთი ჩემს ძველთაძველ, გაცრეცილ ხელთათმანს მაწოდებს.

— მე მგონი, თქვენ დაგივარდათ.

— დიდი მადლობა, საყვარელო, — რა ჯანდაბამ ამოაგდო, ჯიბეში მედო, გამოვართვი.

არ მიდის. პურს ჭამს, ისევ ისე, მადიანად და გემრიელად.

— ნახეთ, მეორეც ხომ არ დაკარგეთ.

ჯიბე მოვიჩხრიკე.

— მეორეც ამომვარდნია, ეს ოხერი იქვე იქნება, ეს სად იპოვეთ?

გვერდით მომყვება, ჭადრებთან არ ჩანს ჩემი ხელთათმანი. იქნებ გვირაბში დამივარდა.

მოვიხედე, მომყვება.

— არა უშავს. თქვენ წაბრძანდით, ვიპოვი როგორმე. თუ არა და თქვენი ჭირი წაუღია, ტროლეიბუსში ისეთი ქიჩაობაა, სული არ შეგრჩება კაცს. შეიძლება ტროლეიბუსშიც ამომივარდა.

ავიარეთ გვირაბი. გაჩერებამდე მივედით და უკან გამოვტრიალდით.

შეწუხებული სახე აქვს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რას უზამთ ახლა ამ ცალ ხელთათმანს?

დავაკვირდი, ხომ არ დამცინის.

— რა უნდა ვუყო, გადავაგდებ.

— ჯერ ნუ, იქნებ აღმოჩნდეს — გაიცინა — სხვათაშორის, ერთხელ, დედაჩემმა ცალი საყურე დაკარგა. უბრალო ბიჟუტერია იყო, მაგრამ ძალიან ლამაზი. ისე მიყვარდა ის საყურე. ეძება, ეძება და რომ ვეღარ იპოვა ადგა და გადააგდო. ერთი კვირის შემდეგ ბებიაჩემის ოთახს რომ ალაგებდა, არ იპოვა ის პირველი დაკარგული? რაღას იზამდა, იქნებ ვინმემ... ან იქნებ სახლში დარჩათ.

— გამორიცხულია, — ამოვიხვნეშე.

— ძალიან გცივათ ხელებზე?

ეს უკვე მეტისმეტია. ნამდვილად დამცინის.

— არც ისე.

— ცალ ხელზე რომ გეკეთოთ და. ცალი ჯიბეში ჩაიდოთ? — იღიმება

— რაღაცას მოვიფიქრებთ. ცალი ხელთათმანი შარშან დავკარგე და, თუ ძალიან გამიჭირდა, ცალ-ცალს გავიკეთებ.

— გენიალურია! — აღტაცებული თვალები შემომანათა, — თქვენ იუმორის გრძნობა გაქვთ. რა ფერისაა ის ძველი, ცალი ხელთათმანი?

— მწვანე!

— გენიოსი ხართ! დედაა! ასეთი ტონკი მამაკაცი არ შემხვედრია, — გულიანად იცინის — მაშ მწვანეა? არა უშავს, სხვათაშორის, ორიგინალური იქნება შავი და მწვანე ხელთათმანი! ერთი სული მაქვს, სანამ ამ ამბავს დალის ვუამბობ.

— დალი ვინ არის?

— ჩემი დაქალია. სამნი ვართ ჩვენ, სამი დაქალი, მე — თამთა, დალი და ქეთი. ქეთი ყველაზე ჭკვიანია ჩვენს შორის.

— რაზე ატყობთ ხოლმე გოგოები, რომელი უფრო ჭკვიანია?

— რა ვიცი... ვატყობთ... ქეთი მაგალითად, ყოველთვის უფრო ჭკვიანურად ლაპარაკობს და კიდევ მომენტებში ჩვენსავით არ იბნევა. სულ იცის, რას რა მოჰყვება.

— ააა... ჰოოო... წავედი ახლა მე, თამთა, დიდი მადლობა ყველაფრისათვის.

ხელი გავუწოდე

— აქ მუშაობთ?

მოიწყინა.

— ჰო.

— რაზე?

— ბუღალტერი ვარ

გაიცინა.

— სატინის სამკლაურები გიკეთიათ ხოლმე?

— შიგადაშიგ.

— ასე მგონია, ძალიან მოსაწყენი პროფესიაა.

— საერთოდ კი დღეს, ალბათ, მოწყენილი არ ვიქნები.

— რატომ?

— გამახსენდება, რომ ქვეყანაზე არსებობს ერთი ლამაზი გოგო, რომელიც ძალიან შეაწუხა ჩემი ხელთათმანის სავალალო ისტორიამ.

რა მერომანტიკულებოდა, მაგრამ, ხანდახან, მეც ვიცი ხოლმე მაღალფარდოვანი ლაპარაკი. იმ წუთში ცამდე მართალი ვიყავ. გულიდან მოდიოდა ეს ფიქრი, მაგრამ ახლა რომ ვუკვირდები, არ უნდა მეთქვა. და საერთოდ, რატომ არ უნდა თქვა კაცმა ის, რასაც ფიქრობ?

ბევრი რომ არ ვიფილოსოფოსო, ეს ფრაზა საკმარისი აღმოჩნდა, რომ თავი მორცხვად ჩაექინდრა და ფეხის წვერი ნაზად გაესვა ასფალტისათვის. გაესვა რაღაცნაირად, ტანის ლამაზი რხევით, როგორც ამ ასაკის გოგოებმა იციან

ჩანთა გახსნა და ლურჯი უბის წიგნაკი ამოიღო.

თუ შეიძლება, თქვენს ტელეფონს ჩავიწერ.

— რად გინდათ?

— დაგირეკავთ.

— და რას მეტყვით?

ეშმაკურად მოწკურა თვალი და განზე გაიხედა.

— გკითხავთ, ხელთათმანი ხომ არ იპოვეთ-მეთქი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— მეტს არაფერს?

— როგორ ბრძანდებით-მეთქი.

— ო, ეს უკვე საქმეა. ჩაიწერე; „ოცდაცხრა ნოლ რვა ოცდათექვსმეტი."

ჩაიწერა, ბლოკნოტი ჩანთაში ჩაიდო.

— აბა ნახვამდის, თამთა, მოიწერე ხოლმე.

მომწვანო-მოთაფლისფრო თვალები გაოცებით შემომანათა.

— რა მოვიწერო?

— არაფერი. ეს სიტყვები აჩემებული მაქვს. ოსტაპ ბენდერი ხომ გახსოვს, — „მოიწერეთ ხოლმეო" და მისამართს არავის უტოვებდა.

თვალებში შევატყვე რომ ოსტაპ ბენდერმა დიდად არ დააინტერესა.

უბრალოდ ვერ გაიგო. ნახვამდისო თავი დამიქნია და წავიდა. მე საათზე დავიხედე და მაშინვე კარებში ვტუცე თავი, ამიტომაც, ცოდვას ვერ დავიდებ არ დამინახავს, როგორ მიაბიჯებდა

არ მიყვარს გოგოებისათვის თვალის გადევნება.

მიდიოდა ალბათ ჩანთის ქნევით, ლამაზად, ოღონდ ცოტა უფრო დაფიქრებული, ვიდრე ამ ოცი წუთის წინ, როცა პურის ნაჭერს მადიანად ჭამდა და თავისი ფართო, ქართული თვალებით მთელ ქვეყანას ზედ აყოლებდა.

მეორე დღეს არაფერი და მესამე დღეს დამირეკა.

თამთა ვარო.

რომელი თამთა მეთქი.

გითხრა სიმართლე აღარც ის გოგო მახსოვდა და, მითუმეტეს, აღარც ხელთათმანი.

როგორ რომელი. ასე ბევრი „თამთები" გყავთო?

ცოტა არ იყოს გულმოსულად, პრეტენზიულად მითხრა; აქაოდა, ეს როგორ მოგივიდა, ასე ჩქარა როგორ დაგავიწყდიო.

ჰადრებს ქვევით, ტელეფონის ჯიხურთან ვდგავარ, ძალიან მოწყენილი ვარ, თუ შეგიძლიათ, გამოდით, გელოდებითო.

ხელში პურის ყუა თუ გიჭირავთ მეთქი.

არაო, გაიცინა.

ერიჰაა! მოწყენილია „ქალბატონი" და გამრთობი მოუნდა.

საათს დავხედე, სამს აღარაფერი აკლია.

ახლა მე გაგანია მუშაობაში ვარ, ვინ გამომიშვებს- მეთქი.

რომელზე ამთავრებთო?

საერთოდ, ხუთზე მეთქი.

კარგი ხუთამდე დაგელოდებით.

ყურმილი დამიკიდა ისე, რომ ჩემს პასუხს არც დაელოდა.

ოთხზე თოვა დაიწყო. ჯერ წვიმაში ურევდა, მერე ისე ხვავრიელად წამოუშინა, რომ ჩემს ფანჯრებთან ნაძვის ტოტებს თეთრად წაეფარა პირველი წვრილი, ხოშკაკალასებრი თოვლი.

დამინახა თუ არა ჩემსკენ გამოიქცა, ჯერ ხელებზე შემავლო თვალი, მერე- როგორ ბრძანდებით, დღეს ბევრი იმუშავეთო? — ისე, ზრდილობის გულისთვის მკითხა.

ფეხი ავითრიე.

აქეთ პანსიონატის ეზოში, ან ვარაზისხევში ჩავისეირნოთ, ხალვათობაა მეთქი.

გაგიგონია?

არაო. მე სწორედ აქეთ, რუსთაველისკენ მინდა გავლა. ბოლოსდაბოლოს ხომ დავიმსახურე, ორი საათია ამ სიცივეში გელოდებითო.

კი ბატონო, მაგრამ თქვენთვის ვამბობ, დაგვინახავენ და ჭორს მეტი რა უნდა მეთქი.

სინამდვილეში ჩემი გასაჭირი მაქვს, რუსთაველზე ხელკავით ანგელოზივით გოგოს მიჰყვებოდაო, აიმის გაგება უნდა ჩემს ცოლს?

დანარჩენს შენ თვითონ მიხვდები და აღარ გაგაცდენ.

იყო, ყველაფერი იყო.

კინოებში ჯდომა და თავის მხრებზე ჩამოდება, ჩემი უცოლო კოლეგებისათვის ორი საათით ოთახის გასაღების ჩამომათხოვრება, რეკვები და ცრემლის ღვრა, გადარეული მონატრება ეჭვიანობა და ყველაფერი, რაც მოპარულ სიყვარულს მოჰყვება ხოლმე.

ახლა იმას გეტყვი, რა სისულელეზე ვამბობდი წელან და რომელ შეცდომათა წყებაზე მოგახსენებდი.

ჩემი თავი მეზიზღება, რომ გამახსენდება, რა სერიოზულად ვარიგებდი: ძალიან ბავშვური ხმა გაქვს და სამსახურში ხშირად ნუ მირეკავ, ეჭვს აიღებენ, შინ კი მითუმეტეს აღარ დამირეკო — ჩემს ცოლს ვერაფერს გამოაპარებ მეთქი.

რაც მე თამთას „ჩემო ვაჟა“ და „ჩემო სოსო“ ვუძახე ტელეფონში, რაც მე სხდომები და თათბირები ვიმიზეზე, რაც მე საქვეყნო საქმეები დავიბრალე; ხვალ არ მცალია, ზეგ ქალაქში არ ვიქნები, მაზეგ გნახავ მეთქი.

მერედა, რისთვის, რატომ?

ღმერთო, რა სახე მქონდა მაშინ, კატეგორიული ტონით რომ ვსაყვედურობდი; გოგოებს, საერთოდ, ცოტა ჭკუა გაქვთ და უნდა დამიჯერო, თორემ მეტს აღარ გნახავ. სულ შენს გვერდით ხომ არ ვიქნები, საერთოდ, რა წესია სამსახურში მოკითხვა, საიდან გაქვს ეს ავანტურული ჩვევები მეთქი.

მძულს ჩემი თავი, როცა გამახსენდება, ცალი ხელით რომ ვეფერებოდი და მეორე ხელს საწოლის მიღმა, სკამისაკენ ვაპარებდი; რომელი საათია, „მოამბეს“ხომ მოვუსწრებ-მეთქი.

როგორ შეიცხადებდა; ავდგეთ, ჩავიცვათ, დამაგვიანდა-მეთქი, როცა ვიტყოდი.

ენას რატომ არ მიხმობდა ღმერთი და ხელებს რატომ არ მიქვავებდა მე თვითონვე რომ ვპასუხობდი ტელეფონზე, სხვაგან მოხვდით-მეთქი.

ორთვენახევარი ვხვდებოდით ერთმანეთს.

მერე, თავის დაქალებთან რომ წარმადგინა, და, ჩემთანაც სამსახურში კანტორის მოლაყბეებმა ერთი-ორჯერ რომ ჩამომირაკუნეს; ვიცით, ვიცით შენი გატაცების ამბავიო, გავბრაზდი და ამ ორი კვირის წინათ პირდაპირ განვუცხადე.

— ნუ დამღალე, თამთა. შენ მოტლიკინე გოგო ყოფილხარ. მთელ ქვეყანას მოსდევი ჩვენი ამბავი. ბოლოსდაბოლოს, ემ ოჯხი მიქვს და არავითარი სურვილი არა მაქვს, ქვეყნის ყბაში ჩავვარდე-მეთქი,

იტირა, იტიტინა, გამტყუნა, მეჩხუბა, მომეფერა, ისევ მეჩხუბა, თუ ეგ იყავი სულ, თავიდანვე გეთქვაო. ყველაფერს ვაპატიებ მამაკაცს მშიშრობის გარდაო.

ადგა და წავიდა.

ორი კვირა არ დაურეკავს.

რა მოვიგე?

ტელევიზორთან ჩაძინებები, პოლიტიკაზე ენის მოტეხვამდე უსაქმო კამათი, გულისამრევი ერთფეროვნება, თვალებდაბერილი გაღვიძება, ტროლეიბუსში ჰყლეტა და ჩოთქის ჩხაკუნი. დუმს ტელეფონი.

ცხოვრებამ დაგიძახა, სიცოცხლემ მოგაკითხა ამ შენს დამცხრალ შემოდგომაზე და ვერ შეიშვნე, შე უბედურო, ვეუბნები ჩემს თავს.

მუხლებზე უნდა მოხვეოდი, ფეხის ტერფები უნდა დაგეკოცნა, ყველაფერი უნდა გადაგედო. მგლის მუხლი უნდა მოგეგება, ნაბიჯზე არ მოშორებოდი, არ უნდა გაგეშვა, ჩაბღაუჭებოდი, გულში ხუტებით გონს მოსვლის განზე გახედვის საშუალება არ უნდა მიგეცა.

განა რამდენი გაზაფხული დაგრჩა კიდევ, ნამდვილი ცხოვრების რამდენი საათი?

ეჰ...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ტაგუ მებურიშვილი

## გალაკტიონის მესამედ დასიზმრება

იდგა მწერალთა სასახლის კართან
წინაშე წულთა და წულის წულთა...
და ისეთ რამეს ამბობდა, ქვათაც
კი ატირებდა აგერ, ამ წუთას...

მითხრა: „დროს რომ არ ამოეხადა
სული,
ავდექ და ლექსებს შთავბერე,
სიმღერა ვალად უნდა მეხადა,
რომ არ წაველე სისხლის ლანქერებს".

მერე მიიღო ჩვეული პოზა
და ბედისწერას ლექსად ტიროდა,
თვითონ ნათობდა, ვით პოეზია,
დარდის და ლხენის რილო-ჭრილოდან.

გალაკტიონი მესამედ ვნახე,
გალაკტიონმა მნახა მესამედ,
შემოუმატა ჩემს მცირე ნაღველს
დიდი ნაღველი მიწყივ მკვნესარე.

ის ისევ იდგა სასახლის კართან
წინარე წულთა და წულის წულთა
და საქართველოს საწუხრის გარდა
კიდევ ერთს, – ღმერთის საწუხარს
წუხდა.

•

ზაფხულია, მივუყვები გზაწვრილს,
ზედ ცხვირისწინ ამიფრინდა ჩიტი,
უნებლიედ ქვას დავუწყე ძებნა
ავილე და... ჩემს თავს დავაკვირდი.

გავშრი.
ჩიტებს ბავშვობაში ვდევდი
ქვებით,
მქონდა მაკვარანცხი ხელი...
ახლა ჩემს თავს იმ ცოდვათა გამო
ვარცხვენ,
მართლაც კი ვარ შესარცხვენი.

მაგონდება ფეტვის მარცვლისხელა ჩიტი
ბუჩქში ბუდის ახლოს მსტვენი...
და დღეს გვიან, ორმოცი წლის მერე,
დამდის ცრემლი-მაშინ დასადენი.

## ეგებ შევესწროთ

აკაკი გაწერელიას

შენ სულ ვარდს სთესდი, იკითხონ
მათ,
ვინც ეკალი გვითესეს...
ცრემლგამშრალნი რომ დადიან
დღეს თვისსავ პანაშვიდებზე.

შენგან ვივალებ რამდენი
ვალიც არ უნდა მავალო,
ერთთავად კაიკაცობის
ბეწვის ხიდებით მავალო.

სამშობლოსათვის ირევი,
სამშობლოსათვის ფეთდები;
ხშირად იბრუნებ წასულ გულს
ქართული სიტყვის წვეთებით.

ეგებ შევესწროთ ნანატრ დღეს
მშობლიურ სიტყვის მსახურო,
ალთქმული საქართველოსთვის
სინდის და თავშენახულო.

## თუ შვება მელის

თავისუფლება არ მსურს, მე მინდა,
ჯაჭვით სამშობლოს თეოზე ვება...
თუ შვება მელის, მისი შვებიდან
მიჯობს მომგვაროს უფალმა შვება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვერ ვიგლოვ მე თქვენს საგლოვარს,
ვიდრე
ჩემივე ვნება მბრძანებლად მიზის...
მე გამჩენს თქვენს თავს რომ
შევავედრებ,
მაშინ ვიქნები შენიც და მისიც.

როცა გაბერავს სამშობლოს ლემებს
ბრძოლის ქარები ზენა და ქვენა,
მე მხოლოდ მაშინ ვიქნები მე მე —
გადაქცეული მათად და თქვენად.

ხამს შერჩენება, ნუ დამიყვავებთ,
შხამს ნუ მიმალავთ. ტკბილს ამარიდეთ,
წარმავალ ზეიმს ნუ ამიყვავებთ,
სანთლად მიქციეთ ცრემლი მარადი.

თავისუფლება არ მსურს, მე მინდა
ჯაჭვით სამშობლოს თეოზე ვება...
თუ შვება მელის, მისი შვებიდან
მიჯობს მომგვაროს უფალმა შვება.

## ზარი რეკავს

ირიჟრაჟა, ახლა ჯერი მეკვლესია,
მოდი,
ჩქარა მოდი ჩემო მეფეხურო,
თოვს,
მაღლდება თეთრად თეთრი ეკლესია,
მეფემ უფრო აღამაღლა მეფე-ხურომ.

ორივემ კი ზეციერი აღამაღლეს,
ხოლო ღმერთმა აღამაღლა ჩვენი სული,
ო, რა დიდხანს, ღვთის რწმენაზე
არანაკლებ,
ეს ტაძარი იყო მათგან შერისხული.

ვინც აქამდე ღვთის ფეხს ჭამდა მგლური
მადით,
ქრისტესავით ქრისტეს რწმენა ვინც
ჯვარს აცვა,
უკე ჟამი აღსასრულის რეკავს მათი,
ცრუ ნათლისგან საქმე მათი განიძარცვა.

შაშვს ეშაშვოს, და ბელურას ებელუროს,
კაცს ეკაცოს, სულ კაცური იყოს კაცი,
მოდი,
ჩქარ მოდი ჩემო მეფეხურო!
ზარი რეკავს
თუ გუგუნი ისმის ცხრა ცის.

●

ეგ ხე რო ქალს ჰგავს მოწყენილს
მთავარი ეგ სულ არ არი,
არც ის — უწვრილეს ტოტების
გაშლილი რო აქვს დალალი.

არა,
მთავარი სხვა არი —

მებრალვის ხე ქალწულივით
და მიტანს მისი ფერების
თუ დაყვავების წყურვილი.

ეს გრძნობა ისე წრფელია,
წელზე მოვხვიე მკლავები...
და მეჩვენება იგი თრთის
ვნებიან თავშეკავებით.

## გახარებული მერცხლები

სვეტთა ირგვლივ მფრენ რვა მერცხალს,
მიემატა მეცხრე,
ჭიკჭიკებენ,
ჭიკჭიკებენ,
უხარიათ მერცხლებს.

მნახველი ვარ ბევრის, მაგრამ
ვერ ვიგონებ: სირთა
სადმე,
როსმე რომ ემღეროთ
ამგვარ ხალისითა.

რა ახარებთ? ტრფიალის დრო,
და ბუდის თხზვის ალო.
მაგრამ რაც არ ვიცი, იგი
მინდა ვიგუმანო.

რომ ეწვევათ დარდი რტოზე
მჯდომთ ან მქროლავთ მინდვრად,
როდის სწუხან ან რას სწუხან
იმას მივხვდე მინდა?!

ეროვნული ბიბლიოთეკა

## აკაკი ჯორჯაძე

# მამონას მონა

### მოთხრობა

„არავის ძალუძს ორი ბატონის მონობა: რადგან ან ერთს შეიყვარებს და მეორეს შეიძულებს, ან კიდევ ერთს შეითვისებს და მეორეს შეიზიზღებს. ვერ შესძლებთ ღმერთსაც ემონოთ და მამონასაც“.

(მათე, თავი 6, 24)

ზარი დაირეკა, გაკვეთილები დამთავრდა. მხოლოდ მათემატიკის გაწრიპული, ჩიჩაყვბერია მასწავლებელი არ აპირებდა ახალი მასალის ახსნის დამთავრებას, — უშველებელი დაფა ორუცნობიანი განტოლებების მრუდებით აეჭრელებინა და კვლავ განაგრძობდა ახსნას.

კლასი შეტორტმანდა, აწრიალდა, აბზუვლდა. ტიტემ სასწრაფოდ დახურა რვეული, ჩანთაში ჩადო, მატყლის გრძელი ყელსახვევი მოიგდო კისერზე, დრაფის ახალ პალტოში ხელები გაუყარა და ჩქარი ნაბიჯით გაერიდა ყველას და ყველაფერს; ორუცნობიანი განტოლება საკუთარ თავში ჰქონდა ამოსახსნელი და საამისოდ მხოლოდ ბექა სჭირდებოდა, სხვა არავინ...

ეზოში, რომელიც პირდაპირ ერწყმოდა ტრამვაის ხაზებით დასერილ პროსპექტს, გუნდ-გუნდად გამორბოდნენ თავისუფლებამინიჭებული პატიმრები (ასე უწოდეს ბავშვებმა თავიანთ თავს სკოლაში ახალი „საბჭოთა მოსწავლის“ უმკაცრესი შინაგანაწესის შემოღების შემდეგ!). მხოლოდ უფროსკლასელებს ემჩნეოდათ უფრო მეტი სიდინჯე. ბიჭები, ხელების ნელი მოძრაობით სუსხიანი ქარისგან თავდასაცავად უშველებელკეპიან ქუდებს წარბებამდე იფხატავდნენ, გოგოები კი, ცალი ხელით თუ პაწია ყურებს ბერეტების ქვეშ მალავდნენ, მეორეთი მკერდში ჩანთები ჩაეხუტებინათ (ან ძირს ჩამოეშვათ) და ასე, მოიჯგიმებოდნენ და მოირწეოდნენ.

და ბექაც გამოჩნდა, — თანაკლასელ ერთ გიშრისთვალა და ირმისყელა თინიკოსთან ერთად, ლაპარაკ-ლაპარაკით, დიდი კაცივით, ფიქრმოსილი მოაბიჯებდა.

—გავიაროთ? — წინ გადაუდგა ტიტე.

ბექას ფერმკრთალი ლაწვები ოდნავ შეუხურდა. შეემჩნა, გაურბოდა მასთან შეხვედრას. ისიც შეემჩნა, შინმიმავალი თინიკოსთან აპირებდა მასლაათის გაგრძელებას, მაგრამ არაფერი თქვა, — თინიკოს თხელი, გაცრეცილი, სუსტი თითების ოდნავ მაღლა აწევით გამოემშვიდობა, რაზეც მან თავის დაქნევით უხმოდ ანიშნა, მესმისო. მერე გოგომ მარჯვნივ გაუხვია, ბიჭებმა — მარცხნივ, სუსხიანი ქარის საწინაალმდეგოდ გასწიეს...

საერთოდ, გასავლელად ტიტეს ისედაც ჰქონდა დრო, ბექას — არა. ტიტეს მამა, რაიონის შინსახკომში ერთერთი დიდი თანამდებობის კაცი, დილაუთენია რომ გადიოდა სახლიდან, შინ თითქმის ყოველთვის გვიან ბრუნდებოდა; ბოლო ხანებში ხომ, სამსახურში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ათენ-ალამებდა, საქმეებს ველარ ავუდივართ, ძალიან მოგვიმრავლდნენ ხალხის მტრებიო. დედა კი, კულტურის სამინისტროში მბეჭდავ-მემანქანედ მუშაობდა და საღამოს ექვს-შვიდ, ზოგჯერ რვა საათამდე შვილისთვის არც მას ეცალა. მაგრამ ასეთი თავისუფლების მიუხედავად, ტიტე მაინცდამაინც უქმად არ ჰკარგავდა დროს, პირიქით — ბავშვობიდანვე დედის ყოველდღიური ჩიჩინის წყალობით, ბიჭს ისეთი მისწრაფება გამოუმუშავდა ხატვისადმი, გონებას ისე უბინდავდა მშობლის მიერ წარმოსახული დიდი ხელოვანი ადამიანის მომავალი ბრწყინვალება, უკვე აღარ სჭირდებოდა მკაცრი ზედამხედველი; თვითონვე საკმაოდ ზომიერად ინაწილებდა დროს სწავლისთვისაც, ხატვისთვისაც და გართობისთვისაც. სამაგიეროდ, ბექასათვის ასე ზომიერად განაწილებული დრო კარგა ხანია აღარ არსებობდა. ამას ერთვოდა ბავშვობიდანვე მის სათუთ სულში ჩათესილი ყოველ წუთს მოსალოდნელი განსაცდელი, შიში და სევდა, ბოლო დროს ახალი სიმძაფრით რომ ცდილობდა გამოვლენას. იგი უფრო და უფრო ჩაიკეტა საკუთარ თავში, გულჩათხრობილი გახდა და უცბად თითქოს დაკაცდა კიდეც. დიახ, ბექა ბავშვი იყო მაშინ, ვიღაც შავი ტყავის ქურთუკიანმა ძიებმა ღამით ლოგინიდან რომ წამოაგდეს, გადმოაქოთეს მთელი ბინა და, მამა, ამქვეყნად ყველაზე საყვარელი ადამიანი, „დილამდე“ წაიყვნეს. ჰო, ასე თქვა ერთ-ერთმა ტყავის ქურთუკიანმა, ნუ სტირით, ქალბატონო, ხომ ხედავთ, ისეთი ვერაფერი ვიპოვეთ. თქვენი მეუღლე დილას უკვე შინ გეყოლებათო. მაგრამ მას შემდეგ, აგერ, თითქმის ორი წელი გადიოდა და ის დილა არა და არ თენდებოდა. სამაგიეროდ შიშმა დაისადგურა ოჯახში; განსაკუთრებით ღამე უჭირდა ბიჭს, სულ იმის მოლოდინში იყო, კვლავ ატეხდნენ კარზე ბრახუნს, შემზარავად შემოალაჯებდა შავი ურჩხული და ლოგინში მწოლარეს გულზე დააწვებოდა. მერე თითქოს გაყუჩდა ტკივილი, ბავშვური უზრუნველობის სულის რომელიღაც შრეში გაიბნა, გაიფანტა, მაგრამ რაც დრო გადიოდა და წლოვანება (უფრო კი — დღეები) ემატებოდა ბიჭს, მით მეტად შეიგრძნობდა ოჯახში დატრიალებულ უბედურებას. მამის წაყვანას დედის ლოგინად ჩავარდნა მოჰყვა. მერე ტყავისქურთუკიანი „ძიები“ კვლავ მოვიდნენ. აცრემლებული დედა-შვილი ყველაზე პატარა საკუჭნაოდ წოდებულ ოთახში გაასახლეს, პროფესორ რცხილაძის საგვარეულო, ავეჯით გაწყობილ და იშვიათი წიგნებით დამშვენებულ ოთხოთახიან ბინაში კი იმავე ღამეს ტიტეს მშობლები შეასახლეს.

მაგრამ ამ, რბილად რომ ვთქვათ, უსიამო შემთხვევას ბავშვების დაახლოვება-დამეგობრებაში ხელი მაინც არ შეუშლია. ბექას დედას, ქალბატონ ქეთევანს, ოჯახური აღზრდა უფლებას არ აძლევდა შვილთან „მეზობლები“ აუგად მოეხსენიებინა. ამასთან, ყოველთვის ცდილობდა შვილის ნორჩ სულში შურისგების საშინელი გრძნობა არ ჩათესილიყო და მალიმალ უმეორებდა, უნდა გავუძლოთ, ღმერთმა ხომ იცის, დანაშაული არ მიგვიძღვის, მხოლოდ სიყვარული გადაგვარჩენსო. ხოლო ტიტეს დედას თავიდან მოსწონდა კიდეც მისი ერთადერთას მხატვრობის ნიჭით დაჯილდოვებულ კარის მეზობელთან დამეგობრება, რამეს თუ არ გასწავლის, რას დაგაკლებსო!.. ყველაფერი ეს იცოდა ტიტემ, ბევრი რამ ჰქონდა მოსმენილი ოჯახში მშობლებისგან, დამეგობრების შემდეგ — ბექასგან, და არც თვითონ იყო თავიდან უკარება, გულცივი, ბოროტად აღზრდილი ბავშვი; როგორც კი მოახელთებდა და მიეცემოდა საშუალება, შეჰქონდა ხოლმე ყველასაგან მივიწყებულ, უსახსროდ, უპატრონოდ დარჩენილ მეზობლებთან ტკბილეული, მერე და მერე თევზეულიც, ძეხვეულიც, შავი თუ თეთრი პური, ჩვენ მაინც ბე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვრი გვაქვსო, „იმართლებდა“ თავს და ახლად შეძენილ მეგობარს მისი მამის ყოფილი საგვარეულო წიგნების წაკითხვის ნებასაც რთავდა. ახლა კი...

კვლავ ქროდა სუსხიანი ქარი და თან მოჰქონდა მშრალი ხორხოშელა. ტიტეს არ სციოდა, დრაფის პალტოს ქვეშ უსახელო მოკლე ტყავის ქურთუკი, ხოლო ქურთუკის ქვეშ ხუვსურული ცხვრის ფაფუკი ბეწვით ნაქსოვი სვიტერი ეცვა; მამის სამსახურიდან მოტანილი ყურებიანი ქუდით გახურებული თავიც ამაყად ეჭირა, თითქოს გამვლელ-გამომვლელს ეწონებოდა, ხომ კარგად მაცვია და მეც კარგი ბიჭი ვარო. არადა, მართლაც არ იყო იგი ურიგო შესახედი, ბექასთან შედარებით უფრო დაკაცებული, ტანადი და მხარბეჭიანი მოჩანდა. „შავტუხა ბიჭს“ /ასე ეძახდა დედა/ შავგვრემან სახეზე მოშვილდული წარბების ქვეშ მკვირცხლად მოძრავი მწიფე მაყვალივით ჩამუქებული მოშავო-მოყავისფრო თვალები იდუმალი სხივებით მისი მფლობელის არათანმიმდევრულ, მაგრამ ჯიუტ, მტკიცე ხასიათს გამოსცემდნენ. ახლაც, თითქოს მისი ახირება არ ყოფილიყოს ბექას „სასეირნოდ“ წაყვანა, მდუმარედ ადგამდა გრძელ ნაბიჯებს და რატომღაც ისევ მისგან ელოდა საუბრის დაწყებას. მაგრამ დუმდა ბექაც. სახეზე ემჩნეოდა, რომ რაღაც აწუხებდა, თუმც ადრინდელივით არ აპირებდა მეგობართან გულის გადაშლას... ვითომ ამოიცნო ტიტეს ფიქრები, ახალი გადაწყვეტილებები და ამიტომ?.. დილასაც არ დაუცადა და მარტო წავიდა სკოლაში, შესვენებების დროსაც სადღაც გაქრა და გადაიკარგა. ნუთუ მართლა ამოიცნო?.. არა, ბექა გულთმისანი არ არის და ტიტეს, საერთოდ, გულთმისნობის არც სჯერა! მაშ, სხვა რა?.. ჰო, სციოდა!.. ალბათ სციოდა. მამისეული საზაფხულო კოსტიუმი, დედამ რომ პალტოდ და შარვლად გადაუკეთა, უჭმელობით დასუსტებულ სისხლნაკლულ სხეულს ნამდვილად ვერ გაუთბობდა ასეთ სუსხიან ამინდში. თავზეც თხელი ბერეტი ეხურა და ფეხზე თხელი წინდები ეცვა. ცალ ფეხსაცმელზე ცხვირთან ლანჩი ასძრომოდა, — მოკირწყლულ ტროტუარზე, ალაგ-ალაგ პატარ-პატარა გუბეები რომ იდგა, მხოლოდ ქუსლით დაყრდნობას ცდილობდა, ამიტომ თითქოს კოჭლობდა და არათანაბრად ადგამდა ფეხებს. თავი კი, მაინც ღირსეულად ეჭირა: თითქოს ყელში სიმჟავე აწვებაო, სახედამანჭულს მაგრად მოეკუმა გაცრეცილი, თხელი ტუჩები და ოდნავ მოჭუტული მეოცნებე თვალებით, ჩვევისამებრ, სადღაც, ძალიან შორს იცქირებოდა. ბოლოს ისევ მან ვერ გაუძლო დუმილს, ოდნავ მოეშვა და ძალიან დაბალი ხმით დაიწყო:

— ტიტე, დიდხანს არ მცალია. ხომ იცი...

— ვიცი, — მკვახედ შეაწყვეტინა ლაპარაკი ტიტემ. რა მისი გასაჭირის ჯავრი ჰქონდა, როცა ისიც კი ვერ გაერკვია, რატომ ებრძოდა ურთიერთს ორი გრძნობა:! დიდი სიბრალულით არსებული ჩვეული თანაგრძნობა და ახლად აღძრული გაუცხოება. სწორედ ასეთმა გაორებამ, ბოლო დროს რომ გაუჩნდა ბექასადმი, დაღალა და დაქანცა. ამიტომ იჯდა დღესაც გაკვეთილებზე ნირწამხდარი, აფორიაქებული, გაღიზიანებული; მეგობარი, თითქოს არც ეხვრებოდა და არც ეთმობოდა; ეძებდა გასაღებს, გამოსავალს, ეკითხებოდა თავს, რატომო, მაგრამ ჭეშმარიტების საუფლო ჯერ არ აპირებდა კარის გაღებას. ახლაც, დროებით უკან იხევდა ახალი განცდა, ჩვეული თანაგრძნობა მძლავრობდა და უცბად ბექას გადახვია მხარზე დაკაცებული ხელი, ცოტა შეანჯღრია.

— გახსოვს, რა გვითხრა „პიკასომ“? — მხიარულად ჰკითხა: — ვისაც გსურთ ცხოვრება მხოლოდ მხატვრობას დაუკავშიროთ, ნუ შეუშინდებით ამინდს, ოჯახურ გაჭირვებას, უმეცართა დაცინვასა და გაკიცხვას, იარეთ ხალხში, ბუნებაში, დაკვირვების თვალით შეხედეთ ყველას და ყველაფერსო. ჰო-

და, გავიაროთ ჩვენც, შევხედოთ მოზეიმე ხალხს, ქალაქს...

ნორჩის გული, თუ იგი მხოლოდ სიყვარულითაა გამთბარი, ყოველთვის მიმნდობია და უეშმაკო. ბექას მხოლოდ სიყვარულით ზრდიდნენ ოჯახში ინტელიგენტი მშობლები და ეს იცოდა ტიტემ. ტიტემ ისიც იცოდა, რომ ამ წუთს ბექას მილეულ სხეულში თბილი სისხლი დაივლიდა, — მის თვალებში ჩაყინულ-ჩაყამული სხივი უცბად გალღვა, დარბილდა, ცისფერი ნათლით შეიმოსა და თვითონაც იმედიანად, უფრო მყარად გადადგა ნაბიჯი... ან რატომ არ უნდა ევლოთ მხიარულად გვერდიგვერდ მშობლიურ ქალაქში უთვალავ ადამიანთა შორის და დამტკბარიყვნენ თუნდაც ზამთრის მკაცრი ბუნებით? რა მოხდა, თუ დღეს ცივა, სუსხიანი ქარია, ცოტა ხორხოშელაც ეყრებათ სახეში, შემოდგომის დარად განა ზამთარიც მალე არ გაივლის და არ გამოანათებს გაზაფხულის მათრობელა მზე?..

— კარგია, რომ „პიკასოს" ნათქვამი დაგიმახსოვრებია, თანაც ყოველთვის ასეთი მხიარული ხარ, — შენიშნა გახალისებულმა ბექამ და სახეზე ნათელი დაეფინა, — რამდენჯერ მიფიქრია, ნეტავ, ტიტეს ვგავდე, ნეტავ, ტიტესავით მეც შემეძლოს-მეთქი გართობა.

ტიტეს სიამაყით ფრთები შეესხა, უფრო გაიჭიმ-გაიჯგიმა, მაგრამ სრული კმაყოფილება მაინც ვერ მოჰგვარა მეგობრის ასეთმა გულახდილობამ. ვითომ რით იყო მასზე ნაკლები, რომ თავისი მასწავლებლის ნათქვამი ვერ დაემახსოვრებინა? ან იყო სარწმუნო, რასაც ამბობდა, თუ ახლაც პირდაპირი მნიშვნელობით არ უნდა გაეგო ნათქვამი, ნეტავ შენ გგავდეო?!. ყველა ნიჭიერი თავისთავად ეშმაკია, იცის, რიში და როგორ გამოიყენოს თავისი ნიჭი. ამგვარი გამოცდილება ტიტეს მიღებული ჰქონდა სკოლაში სანიმუშო წესრიგის დამყარებაში მონაწილეობიდან, რასაც საკმაო პრაქტიკული სარგებლობაც მოჰქონდა. მაგალითად, ბოლო დროს სკოლის ახალი ხელმძღვანელობა და ზოგიერთი საგნის მასწავლებელი საკმაოზე მეტად აქებდა, რის შემდეგ ყველა ერიდებოდა დაბალი ნიშნების დაწერას. ის კი არა, ბავშვობით თუ მაინც წაიცელქებდა, ვთქვათ ყინის მოსაკლავად წამოარტყამდა ვინმეს თავში, მაინც ამართლებდნენ, „ის" იქნებოდა დამნაშავე, თორემ ტიტე ასეთ ულირს საქციელს როგორ ჩაიდენდაო... ასე რომ თვით სკოლაში, გაკვეთილებზე მეტწილად იმით იყო გართული, ამგვარი ჰეშმარიტებანი რაც შეიძლება მეტად შეეთვისებინა და პრაქტიკულად გამოეყენებინა. მაგრამ ყველაზე საინტერესო ის იყო, რომ სკოლაში ასეთი აქტიურობა ბოლო დროს თითქმის ისეთსავე შვებას ჰგვრიდა, როგორსაც მსოფლიოში უძლეველი საბჭოთა ჯარისკაცის, ან საბჭოთა ჩეკისტის პორტრეტის შექმნა... ბექასაც როდი აკლდა ნიჭიერება, თავისთავად — ეშმაკობაც! მას შეეძლო მაღალფარდოვანი ბრტყელ-ბრტყელი წინადადებების წარმოთქმა, მზიან, გაკრიალებულ ცაზე ღრუბლების და ნისლის დანახვა, ნისლიანში და ღრუბლიანში მათრობელა მზის აღმოჩენა; წითელთვალებიანი კატის დახატვა და ეშმაკად წარმოდგენა... „მოკლედ, ადრე ვიყავი სულელი, ბავშვობისას, ამ გაწრიპულთან დაახლოების პირველ ხანებში, გულუბრყვილოდ რომ მივენდე „ბედით დაჩაგრულს" და, როგორც მეგონა, გულწრფელობაზე გულწრფელობით ვპასუხობდი, საკუთარ ლუკმას ვუყოფდი", — გაიფიქრა ტიტემ... მაშინ, ტიტეს ნამდვილი ცხოვრების ბევრი არაფერი გაეგებოდა და, ალბათ, ბევრსაც არავინ სთხოვდა, არავინ საყვედურობდა, მაგალითად, რატომ გიყვარს ბექა და რატომ ვერ იტან მათემატიკის ჩიჩაყბერია მასწავლებელსო...

კაცმა რომ თქვას, ტიტეს მაშინ ბექა უყვარდა. უფრო სწორად, ვერ იტყოდა, არ მიყვარსო. კარიკარ ერთ ჰერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვეშ ცხოვრებამ მჭიდროდ დააკავშირა, დაამეგობრა თანატოლს. ზოგჯერ ზედმეტად მოსწონდა კიდეც ნაადრევად დაკაცებულ-დასერიოზულებული, ფიქრიან თვალებში ნაღველჩამდგარი ეს ბიჭი, მაგრამ იმდენს ეჩიჩინებოდა დედა, შენც ბექასავით უნდა ისწავლო ხატვა, ბექასავით ბევრი წიგნი უნდა იკითხო, ბექასავით დედისადმი ყურადღებიანი უნდა იყოო და, რაღაზე არ იმოწმებდნენ მას, რომ ნელ-ნელა ბექას სახელის გაგონება ერთგვარად აღიზიანებდა და თითქოს უსიამო შეგრძნებასაც ჰგვრიდა. ერთ მშვენიერ დღეს კი, დღიურში ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „შენ გამუდმებით შრომობ, მე გართობა მიტაცებს. შენ გამუდმებით გაქებენ, მე არ მაძაგებენ, მაგრამ საქებარი სიტყვაც არავის ემეტება საკუთარი დედის გარდა და მასაც იშვიათად. მაგრამ იცოდე, ღვთით მომადლებული ნიჭი არ არსებობს, რადგან არ არსებობს ღმერთი. მალე მეც შენნაირად დავხატავ და შენნაირად შემაქებენ, რადგან ახლა ვიცი, როგორ მოვიქცე. არა, შენზე უკეთ დავხატავ და შენზე დიდი ხელოვანიც გამოვალ!..“ აი, ამის შემდეგ შეუდგა სკოლაში სანაქებო წესრიგისათვის ბრძოლას; აი, ასეთი განაჩენი გამოუტანა საკუთარ თავს და მეგობარს, რომელიც ჯერ კიდევ უყვარდა, ან ეგონა, რომ უყვარდა. უყვარდა იმიტომაც, მიბაძვის საბაბს რომ აძლევდა, — ხატვაში მას ვერავინ შეედრებოდა, — ხატავდა ლაღად, თავისუფლად, ოღონდ ძალიან ნელა, ფრთხილად, გულისყურით, მოთმინებით. იმ დროს ბექა იყო სადღაც, თავის თავში ჩაღრმავებული, სულ სხვა სამყაროში გადასახლებული... რა აზრები იბადებოდნენ მის თავში? რა ისეთ საიდუმლოს ფლობდა, რომ ფუნჯის ერთი შეჰყლეტ-შეზელვით სასურველ ფერს „ქმნიდა“ და ერთი ჩამოსმით, ერთი ამოსუნთქვით უტყვი, არაფრისმთქმელი სუფთა ტილო თავსატეხ შინაარსს და სიცოცხლეს იძენდა?.. ტიტე კი წვალობდა, ფერს ფერზე ედებდა, ხშირად ვერ პოულობდა, არ გამოსდიოდა, მაგრამ ხატავდა; ხატავდა იმას, რასაც ხედავდა, რაც არსებობდა, ხელშესახები იყო, რაც გამარჯვების, ზეიმის განწყობას ქმნიდა. ეს კი, ცოტას არ ნიშნავდა იმ ქვეყნის შვილისათვის, სადაც ყველაზე თავისუფლად, ყველაზე ლაღად სუნთქავს ადამიანი...

მანამდე კი, ვიდრე შეიგნებდა, რომ სკოლის ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობა მიელო, ხშირად კარგავდა დროს უქმად, მარტო ხატვისკენ და გართობისკენ ეჭირა თვალი, გაკვეთილებზე გონებაგაფანტული იჯდა და, მშობლები რომ მოითხოვდნენ, ისეთი ნიშნები ვერ მოჰქონდა, რაზეც ხშირად საყვედურობდნენ, ტუქსავდნენ, ეჩხუბებოდნენ. განსაკუთრებით მათემატიკურ საგნებს ვერ დაუდო გული. უფრო სწორად, თავიდანვე შეიჯავრა გაწრიპული, ჩიჩაყბერია მასწავლებელი, რომელმაც აითვალისწუნა და პირდაპირ სისხლი გაუშრო, — პირველსავე ცელქობაზე, როცა ტიტემ გვერდით მჯდომ გოგოს ბარძაყზე უწკმიტა, მან კი შეჰყვირა და საცნაური გახდა მთელი კლასისათვის, ხელის აუკანკალებლად დაუწერა ორიანი, თუმც ტიტე ბევრი ეხვეწა, ახლა მაპატიეთ და მეორედ მსგავს საქციელს აღარ ჩავიდენო. ეს ისეთი შემთხვევა იყო, ამის დავიწყება არ შეეძლო ყოყლოჩინა ბიჭს და გულქვა მასწავლებელს სამაგიეროს იმით უხდიდა, რომ მის საგნებს აღარ ამზადებდა. ხოლო, როცა მიხვდა ასეთი ჯიბრის უაზრობას (ოჯახში მიახვედრეს!), უკვე გვიანი იყო; უკვე იმდენი რამ არ იცოდა, ახალ მასალას ვეღარ სძლევდა და ყოველგვარი ცდა, აღედგინა დაკარგული, დროის ახალი, ამაო დაკარგვით მთავრდებოდა.

ტიტეს ბავშვური, ოდნავ ზედმეტი სიცელქე, სკოლაში მიღებული დაბალი ნიშნები იმდენად არ აბრაზებდნენ მამას, რამდენადაც დედას. მამას, ამ ბრგე შესახედაობის, ახოვან, მუდამ პირქუშ, ორბისთვალა, მაგრამ ხალხის მტრებთან ბრძოლაში გაწამებულ, ჯანმ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთელობაშერყეულ კაცს (მტრის ტყვიით ორჯერ სასიკვდილოდ დაჭრილს!), რომელსაც ქამარში, წელთან მუდამ ჰქონდა გაჩრილი ნაგანი, ძალიან უყვარდა თავისი შვილი და თითქმის იშვიათად ტუქსავდა. მისთვის მთავარი იყო, რომ ტიტე გამოსულიყო ჯანმრთელი (ამიტომ აიძულა ევლო კრივზე!), ჰყვარებოდა სამშობლო და სძულებოდა მტერი. მისი აზრით, მერე აღარ გაუჭირდებოდა ცხოვრებაში თავის გატანა, კაცურად ზიდავდა თავის ტვირთს. რაც შეეხება მხატვრობას, მიაჩნდა, რომ დაუშვებელი იყო მისი პროფესიად გახდომა; ხელოვნებისადმი სწრაფვა, მისით ცხოვრება და არსებობა კარგს არაფერს აძლევს ადამიანს, პირიქით — ათაყვანებს, რეალობას აცილებს, სახელმწიფოსთან აპირისპირებს, ანუ მიწაზე მყარად დგომის ნაცვლად, წყვეტს მიწას და სადღაც გაუგებრობაში დააბოდიალებს, ამიტომ დროა, ტიტემ ხატვას ნელ-ნელა თავი დაანებოსო... ამ საკითხზე დედას, რა თქმა უნდა, სულ სხვა შეხედულება ჰქონდა, თავგამოდებით იცავდა შვილის „გატაცებას“, რითაც უპირველესად, საკუთარ შეხედულებებს იცავდა, და არცთუ წარუმატებლად, მაგრამ მამა ყოველთვის ერთი წინადადებით ამთავრებდა კამათს: „ქალო, ვერ ხედავ, რომ თითქმის ყველა ხელოვანი ხალხის მტერი აღმოჩნდა?..“ წინადადება იყო შეუვალი, საკამათოდ სახიფათოც, რაც მთავარია, უტყუარი ფაქტიც, თუმც დედა მაინც ნახულობდა გამოსავალს, არბილებდა ხმას და ქალური ეშმაკობით თავისას დაამატებდა ხოლმე: „მართალი ხარ, შენ შემოგევლოს ჩემი თავი, აღმოჩნდნენ, ვინ გეკამათება, მაგრამ გავიწყდება, რომ ისინი ნასაზრდოები იყვნენ ძველი, დრომოჭმული ბურჟუაზიული იდეოლოგიით. ჩვენს შვილს კი, სოციალისტური რეალიზმის ეპოქაში, ასეთი საფრთხე არასგზით არ ელის!..“

მართალია, ტიტეს ბევრი არაფერი გაეგებოდა, რას ნიშნავს რაღაც საზიზღარი, დრომოჭმული, ხელოვანი ადამიანის გამომთაყვანებელი ბურჟუაზიული იდეოლოგია, ან რა სამოთხის გასაღებია ეს სოციალისტური რეალიზმი, დიდების მწვერვალებისკენ რომ უხსნის გზას საბჭოთა ადამიანებს. მაგრამ არ იყო იგი მთლად უბირი ბავშვი, გულქვა და უდარდელი. მტკივნეულად განიცდიდა ხოლმე მშობლების კამათს, თავისთავად ახსომდებოდა მათი ნათქვამი ყოველი სიტყვა, ღამღამობით ლოგინში წოლისას ბევრს ფიქრობდა, ცდილობდა, გაერკვია, მამა იყო მართალი თუ დედა, თუ არც ერთი არ ტყუოდა და ორივესთვის მიეგდო ყური. ან რა უფლება ჰქონდა, წინ აღდგომოდა რომელიმეს სურვილს, ვინ იყო ჯერ, ჯერ როდი დაფრთიანებულიყო, რომ დამოუკიდებლად, თავისუფლად შესძლებოდა ფრენა?.. ყოველ წუთს ხალხის მტრებთან ბრძოლაში გაწვალებულ მამას, რომელსაც წელთან, ქამარში მუდამ ჰქონდა გაჩრილი ნაგანი, ბოლო დროს ლამის აღმერთებდა. მაინცდამაინც არ იცოდა მან შვილის გასილაქება, ერთ შემთხვევას თუ არ გაიხსენებდა, მთელი ორი დღე დედა საფენებს რომ ადებდა დუნდულებზე, მაგრამ ცოტა კი ეშინოდა მამის. პატარაობიდანვე დედა გამუდმებით ჩასჩიჩინებდა, არიან ადამიანები, რომლებიც შვილებსაც სწირავენ, თუ ის შვილი რაიმე უღირს საქციელს ჩაიდენს, სამაგალითოდ ხევისბერ გოჩას უსახელებდა და მერე დასძენდა ხოლმე, მამაშენი იმაზე უარესიაო... საერთოდ, დედასთან ჭირვეულობა შეიძლებოდა, დედა იყო მაინც, მაგრამ ამ გამხდარმა, გალეულმა, ეშხიან-შავგვრემანმა და შავდალალებიანმა გაქართველებული სომეხი ვაჭრის ქალმა, ზოგჯერ სილაქის წამორტყმაც იცოდა, ყურების დაგრეხაც და თმების დაწიწკნაც. სულ ერთია, მაინც ყოველთვის თავისი გაჰქონდა, ცხოვრებაში სანამ კაცად არ გაქცევ, არ მოგეშვებიო, ეუბნებოდა შვილს და, თანდათან ტიტეც მიეჩვია წესრიგს, შეეგუა ბედს, — დადიოდა კრივზე, იკაჟებდა სხეულს და ყოველ დღე რა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მდენიმე საათს უთმობდა ხატვას. მოთმინებით ეწაფებოდა ფერწერის ოსტატობას. მაგრამ ბავშვური გუმანით იმასაც გრძნობდა (და ამას მშობლებიც აღნიშნავდნენ), რომ ხელოვნებისადმი სწრაფვა, მისით ცხოვრება და არსებობა გამუდმებით სამართებლის პირზე სიარულს ჰგავს, ერთი ნაბიჯია წარმოდგენილ წარმატებასა და წარმოუდგენელ მარცხს შორის. მერედა, ვინ ასწავლიდა სამართებლის პირზე უხიფათოდ სიარულს, — დედა?.. მამა?.. თუ ორივე ერთად?.. „ჩემი ბრალია, — ფიქრობდა ზოგჯერ ტიტე, — მე გამოვედი ასეთი. რომ შეიძლებოდა, ხელში არ ამეღო ფუნჯი, არ დამყოლოდა ხატვის ნიჭი? მაშინ მეც მოვისვენებდი და ჩემი გულისთვის მშობლებიც აღარ იკამათებდნენ. არ ვიცი, როგორ ჩაივლის ეს ყველაფერი“.

ცხოვრება მაინც მიდიოდა თავისით, დღე დღეს სცვლიდა და ბოლო ხანს საოცრად სწრაფად იცვლებოდა ტიტეც. უკვე ჯანი ერჩოდა, კრივზე სიარულმა სითამამე შესძინა, შეეძლო რამდენიმე თანატოლს ერთდროულად გამასპინძლებოდა და არც საერთო აზროვნებით ჩამორჩებოდა რომელიმეს, ნელ-ნელა ეხსნებოდა გონება. საქმე ის გახლდათ, რომ კულტურის სამინისტროში ხანმოკლე მუშაობით სწრაფად გაინტელიგენტებულმა ქალმა, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა, რისთვის იყო მოვლენილი ამქვეყნად, ახალ ბინაში გადმოსვლის შემდეგ, ლამის ყველა წიგნი წააკითხა ტიტეს პროფესორ რცხილაძის ყოფილ ბიბლიოთეკიდან. დიახ, დედის დაძალებით ტიტე კითხულობდა და კითხულობდა იმ საშინელ წიგნებს, რომლებმაც თავიდან ვერა და ვერ მიიზიდეს, ვერ გაუღვიძეს ცნობისწადილი. მას უფრო აინტერესებდა სათავგადასავლო ლიტერატურა, აუარება წიგნებში ეძებდა ისეთს, სადაც აღწერილი იქნებოდა საბჭოთა ქვეყნის მავნებლებთან ბრძოლა, მაგრამ მსგავსი წიგნები ბიბლიოთეკაში არ არსებობდა. დედა კი, მაინც არ ეშვებოდა, წაკითხულ გვერდებს უთვლიდა, აყოლებდა წაკითხულს, ხომ იცი, სადაც ვმუშაობ, გონების ჰორიზონტის ამაღლება არც მე მაწყენსო; თან შიგადაშიგ, ვითომ სხვათა შორის ჩაურთავდა ხოლმე, წავიდა ძველი დრო, ნიჭი სხვაზე ნაკლები არც ჩვენ გვაქვს, ზოგიერთებმა ვერ უნდა გვაჯობონო, და ტიტემ იცოდა, იმ „ზოგიერთში“ დედა ბექას რომ გულისხმობდა. ეს ის დრო იყო (არც თუ დიდი ხნის წინ, მაგრამ მაინც ის დრო), როცა ტიტეს ბექა ჯერ კიდევ ბავშვური გულუბრყვილობით უყვარდა, ან ეგონა, რომ უყვარდა და ისევ მისი რჩევით კითხულობდა რაღაც „საზიზღარ“ წიგნებს, მერე დედას უყვებოდა წაკითხულს და ასე წამებ-წამებაში გადიოდა დღეები. მაშინ ტიტეს ხშირად უკითხავს საკუთარი თავისთვის: „რას მაძლევს ეს წიგნები?.. რაში უნდა გამომადგეს მომავალში?..“ და უცბად, ერთ მშვენიერ დღეს, თავისთვისაც მოულოდნელად, ხელში კალამი აიღო და ყველასგან მალულად ლექსი დაწერა; ერთსტროფიანი, გაუმართავ-გაურანდავი ლექსი, მაგრამ სიტყვები თავისით „მოვიდნენ“ და რატომღაც ქაღალდზე გადმოტანა მოითხოვეს. ეს იყო ყველაზე უცნაური რამ მის ცხოვრებაში, რომლის ახსნა არ შეეძლო, მაგრამ დავიწყებითაც ვერ ივიწყებდა. მაშინ ბექა კვლავ ბავშვურად უყვარდა, ან ეგონა, რომ უყვარდა და დღიურში ასეთ ჩანაწერებს აკეთებდა: „თითქოს ფუჭად გდია სილაში, ცურვის ხალისს არ ამჟღავნებს და მხოლოდ მტკვრის მოდგაფუნე ტალღების ფერთა საიდუმლო ცვლილებებს უჭვრეტს. ნეტავ, მასავით შემეძლოს ფერთა შეგრძნება და შემდეგ მათი ტილოზე გადატანა. ნეტავ მასავით მეც ვწერდე ლექსებს...“ დიახ, ტიტემ მაშინ იცოდა, რომ ბექაც საიდუმლოდ წერდა პატარ-პატარა ლექსებს, მიქელანჯელოც კი თხზავდაო, გაუმხილა მან ერთხელ. ახლა თვითონ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაც გაუჩნდა მსგავსი მოთხოვნილება, ნელ-ნელა სულ სხვა თვალით შეხედა თავის მომავალ საქმიანობას, წარმატების იმედით აღიჭურვა და ყველაფერი ეს „საზიზღარი" წიგნების ბრალი გახლდათ. მოდგაფუნე მტკვარი, ბებერი მთაწმინდა — პოეტების ფიქრების და მუზების ამშლელი, ფუნიკულიორი, ტაატით მიმავალი ტრამვაის ვაგონებით, ძველი სახლების, ეკლესიების, ქუჩების ნგრევა და მათ ადგილას ახალი მშენებლობები... შავი ზღვა, ზღვისპირა ქალაქები: ბათუმი, ქობულეთი, მწვანე კონცხი, სადაც ბოლო წლებში დედა-შვილი ზაფხულის არდადეგებს ატარებდა, ეს იყო ყველაფერი, რაც თავისად მიაჩნდა ტიტეს, რითაც სურდა ყოველთვის გარემოცული ყოფილიყო და მისდა უნებურად, რითაც მისი შინაგანი ცხოვრება მიედინებოდა. ეს იყო სურათები, რომლებიც საზეიმო ელფერში მსოფლიო პროლეტარიატის ბელადების, უძლეველი საბჭოთა ჯარისკაცების და ერთგული ჩეკისტების სახეებთან ერთად, ტილოზე გადასატანად არიან ზედგამოჭრილნი და თვითონაც გამუდმებით ცდილობდა მათ დახატვას, თავისებურად ამეტყველებას. სულ მალე ორ-სამსტროფიან ლექსებს თხზავდა, აკი დიდი მიქელანჯელოც თხზავდაო, მაგრამ ბექას მაინც სხვანაირად გამოსდიოდა, ტიტეს — სხვანაირად; ბექას ლექსებს, სიცოცხლის ტკივილიან შეგრძნებასთან ერთად სიყვარულის ნოსტალგიური ელფერიც დაჰკრავდა, სიტყვები უფრო ამძიმებდა შინაარსს, როგორც მისივე ნახატებზე ფერები, მთლიანობაში ბურუსში ხვევდნენ აზრს, ჩანაფიქრს, ტიტეს კი, თავისივე ნახატების მსგავსად, ლექსიც უბრალო, ამაღლებული გამოსდიოდა და აზრიც ნათლად იკითხებოდა სტროფებს შორის. მაგრამ ბექას ყოველივე ერთი ამოსუნთქვით, თითქოს უწვალებლად გამოსდიოდა, ტიტე კი ჯახირობდა და ლამის იტანჯებოდა, რაც საშინლად აბრაზებდა, მეგობრის წინააღმდეგ ამხედრების საბაბს აძლევდა. ერთხელ დღიურში კი ასეთი ჩანაწერიც გააკეთა: „ჩვენი თვალები არ ჰგავს ერთმანეთს, ამიტომ ერთი და იგივე საგანს სხვადასხვანაირად ვხედავთ. ზოგი მის თვალებს ამჯობინებს, ალბათ, იმიტომ, რომ მას ზღვისფერი აქვს, სამაგიეროდ, მე უკვე მიყვარს წესიერება, ვეხმარები სკოლის ხელმძღვანელობას სანიმუშო წესრიგის დამყარებაში, ესე იგი, ვეხმარები სამშობლოს საერთო მტრებთან ბრძოლაში. მე კომუნისტური საზოგადოების აქტიური მშენებელი ვარ, ის კი, თავისი ზღვისფერი თვალებით ზღვის ფსკერზე ყვინთავს და ვერ ხედავს რა ხდება მის გარშემო. დიდი ამბავი, თუ ხატვის ნიჭი აქვს და ლექსებსაც თავისუფლად წერს. არც ჩვენ ვართ ვინმეზე ნაკლები!". ერთხელ კი ასეთიც: „გამიჭირა საქმე, ფიქრის დროსაც არ მეშვება. ლამის შემძულდეს".

მაგრამ როდი გამოდგა ადვილი მეგობრის გულიდან უცაბედად ამოგდება, უდარდელად მისი ხელის კვრა და საკუთარ სულშიც ჩაფურთხება. თუნდაც ხანმოკლე დროით ერთ ჭერქვეშ ცხოვრებას ისე დაეკავშირებინა ავადმყოფი დედის იმედზე დარჩენილ ამ სისხლნაკლულ, დაჭიანებულ ბიჭთან, რომ რაღაც შეუცნობი ძალა გამუდმებით მისკენ ეწეოდა, მასთან ერთად ყოფნის და არსებობის მოთხოვნილებას აღუძრავდა. ახლაც, ჩახედა თუ არა თვალებში, ნაწილობრივ ჩაცხრა, თითქოს სადღაც მიყუჩდა ტკივილი; უკვე ლაღად დააბიჯებდა მის გვერდით და ტკბებოდა სუსხიანი ზამთრის მკაცრი ბუნების ხილვით... მართლაც, რა მოხდა, თუ დღეს ცივა, ქარია, ცოტა ხორხოშელაც ეყრებათ სახეში, შემოდგომის დარად, განა ზამთარიც მალე არ გაივლის და არ გამოანათებს გაზაფხულის მათრობელა მზე?..

ზეიმის მოლოდინში ბორგავს ქალაქი. ხალხის ერთი ნაწილი ჩქარობს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეშურება საყიდელს, მოხრიგინე ტრამვაიში ასვლას, ნავაჭრის შინ წაღებას. მეორე — თავჩაღუნული მიდის, ან მოდის სწრაფად, უკან მოუხედავად, თითქოს ფიქრით დამძიმებული, რაღაცით შეწუხებული ან გახარებული. არიან ისეთებიც, წყვილ-წყვილად რომ დასეირნობენ, ულიმიან ერთმანეთს, ან დგანან ცალ-ცალად ყვავილებით ხელში, უყვავილოდ... აგერ, ჩუქურთმებით შემკული სახლების წყება, აივნებით მორთული და მოკაზმული. იმ აივნებზე წითელ-წითელი დროშები ფრიალებენ... ნეტავ, ვინ დაამზადა ამდენი დროშა? რატომაა ყველა დროშა წითელი, ვისი სისხლითაა შეღებილი?... აგერ, კინოთეატრიც, — ახლოს ვერ მიეკარები, შესასვლელთან ჰყლეტა და ზედახორაა; ზედახორაა მეორე კინოთეატრთანაც მესამესთანაც... პირდაპირ, გააგიჟა ეს ხალხი კინომ, თეატრმა, ფეხბურთმა; ყველა მწყურვალივით ეწაფება ხელოვნებას, სპორტს, ლიტერატურას, მეცნიერებას... აგერ ეკლესიაც, კომუნისტური იდეოლოგიით საზოგადოებისათვის მავნე და მიუღებელი, ამიტომ მთავრობისგან შერისხული და დაგმობილი, ზოგისთვის ჩვეულებრივ ცრუ მორწმუნეთა საკრებულო, ზოგისთვის კეთროვანთა საბუდარი... და დგას იგი მაინც ცადაზიდული, ირემივით აყელყელავებული, ღვთიური ჩუქურთმებით ნაქარგი; დგას მდუმარედ, კედლებზე ცრემლჩამოღვენთილი და საერთო სიძულვილს გადარჩენილი, მოთმინებით ისმენს ხმამაღალ ლანძღვა-გინებასაც, ჩუმ ლოცვა-ვედრებასაც... აგერ, ვიღაც მიიპარება მისკენ, ფეხაკრეფით ადის რამდენიმე საფეხურს, შესასვლელთან კრძალვით ხრის ჭაღარა თავს და პირჯვარს იწერს... მიიპარება მეორეც, მესამეც...

— ბნელეთის მოციქულები, — შენიშნა ზიზღნარევი ღიმილით ტიტემ, გაუაზრებლად გაიმეორა მშობლებისაგან გაგონილ-მოსმენილი.

— რას გვიშავებენ? — შინაგანი ღელვა ვერ დაფარა ბექამ და სახე მთლად წამოუჭარხლდა. ტიტემ კი მხიარულად განაგრძო:

— ახლა ვეღარ დაგვიშავებენ. მამაჩემმა, ყველგან ჩვენი ხალხი შევუშვითო. მაშასადამე, შეთქმულებასაც ვეღარ მოგვიწყობენ... გინდა, შევიაროთ?

წინადადება მაცდურია, ცნობისწადილი დიდზე დიდია, მაგრამ უარის ნიშნად ბექამ მხოლოდ თავი გააქნია და ტიტეც მაშინვე დაეთანხმა:

— მართალი ხარ. ისევ ბაღში სჯობია შევლა...

და აგერ ბაღიც, ზამთრისაგან გათოშილ-გაშიშვლებული, ალაგ-ალაგ ბრტყელლანჩიანი რუსული ჩექმით გაზონებგადატკეპნილ-გადათელილი, მოუკირწყლავ-მოუხრეშავი გასასვლელებით, მაგრამ ირგვლივ კუთხეკუნჭული საზეიმოდ მორთული და წითელ-წითელი დროშებით თუ დიდ-პატარა ლოზუნგებით ფერშეცვლილი... იქვე, ხელმარცხნივ, შესასვლელთან საფლავებია. ვიღაც მოხუცი ერთ-ერთ მათგანთან შეჩერდება, ცილინდრს მოიხდის, საფლავის ქვაზე ფრთხილად დადებს მოთეთრო ვარდს, გაუშლელს და გაუფურჩქნელს. მერე თავდახრილი დადუმდება, თითქოს თვითონაც ქვად იქცევა... ვითომდა, რატომ? რა ისეთი დამსახურებისთვის?.. მაინც, ვინ იყვნენ, რომ ასეთ საპატიო ადგილას მიუჩინეს სამუდამო სასუფეველი?..

„ო, ბრძენი ხალხი ყველგან ყოველთვის პატივს მიაგებს თავის გმირებს, ქვეყნის მხსნელებს, დიდ პატრიოტებს!.. აქ ძირითადად ისინი წვანან, ჩვენი მხსნელების, ძლევამოსილ წითელ არმიას რომ მოუძღოდნენ და სხვადასხვა დროს დაიღუპნენ", — ამბობს ვიღაც გამვლელი.

„დაიმახსოვრეთ, გმირი მათ შორის მხოლოდ ერთია", — აბუბუნდა ის მოხუცი და თავის ნელი მოძრაობით ყველას მზერას იქით მიაპყრობს, პატარა ქვაზე სალარაძე რომ აწერია. აკი იმას მიართვა ვარდიც...

მოხუცის გაწყალებულ-დამშრალ

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვალებში თითქოს უკვე მიბჟუტულიყო სიცოცხლის კვალი, ჩამქრალიყო ნათელი სხივი, თუმც ჯერ კიდევ იკითხებოდა მათში გაფრენილ დღეებს გაყოლილი მჩქეფარე ცხოვრების დაკარგვით გამოწვეული სევდა-წუხილი.

— მაპატიეთ, მაგრამ... ვინ ბრძანდებოდა? — ჰკითხა ბექამ თითქმის ჩურჩულით და მოხუცმა ძლივს თქვა:

— პილოტი იყო. სხვას ნურას მკითხავ. გაიზრდები, თვითონ გაიგებ, ვინ ვინ იყო...

„გავიზრდებით, თვითონ გავიგებთ...", ალბათ, გავიგებთ...

●

ბაღის თავში ყველაზე ამაღლებულ ადგილას საგანგებოდ აგებულ ღია სცენაზე სამხედრო სასულე ორკესტრი საცეკვაო მუსიკას უკრავდა. სამხედროებს არც სუსხიანი ქარი აკრთობდათ, არც ხორხოშელა უშლიდათ ხელს, თითქოს ასეთი ამინდისათვის დაბადებულანო, მოწადინებით ბერავდნენ და ბერავდნენ ლოყებს, მწყობრად აყუყუნებდნენ საკრავებს. განსაკუთრებით მესაყვირეები იკლავდნენ თავს, რაც შეეძლოთ, მთელი ძალით იჭიფხებოდნენ და ყველაზე მეტად ისინი ათრთოლებდნენ გათოშილ სივრცეს; ყველაფერი ეს მოსწონდათ მუსიკოსებს, ზედმეტი სიამოვნებისაგან ბერვით სისხლჩამდგარ თვალებს ნებიერად ნაბავდნენ და ბაღს მარშის მსგავსი ვალსის მელოდიით ავსებდნენ.

— აი, მესმის... — სიხარულით მოიფშვნიტა ხელები ტიტემ და თითქოს ნეტარების მდინარეში შესცურაო, ტანისა და მხრების რწევით მელოდიას ღიღინ-ღიღინით აჰყვა, აცეკვდა.

ფიცრით ნაგები ღია სცენის წინ რამდენიმე მოცეკვავე წყვილი ტრიალებდა, უფრო მეტი კი თვალს შორიდან ადევნებდა. მოცეკვავეთაგან უმრავლესი უცხოტომელი ჩანდა, ალბათ, ქალაქში ახლად ჩამოსახლებული, ან რუსის ჯარის ჩამოყოლილი ოფიცერთა ოჯახის წევრი. ლოყალაყლაყა ქალები ვნებით ჩახვეოდნენ რიგით ჯარისკაცებს და მათთან ერთად პატარა წრეზე ხან ბზრიალ-ბზრიალით გარს უვლიდნენ, ხან ადგილზე ტკეპნიდნენ ხორხოშელათი შესველებულ, ოდნავ ატალახებულ წითელ მიწას. ძირძველ ქალაქებს, ძირითადად მაყურებლის როლი რომ ეკისრათ, მაინცდამაინც არ იზიდავდათ ვალსი, უცხო მარშის რიტმი; „ქართული" ან „კინტაური" რომ დაეკრათ, იქნებ სიამოვნებითაც ჩახტომოდნენ ჯარისკაცებს შუაში, ხელებს ჩაგრეხ-ჩაახვევდნენ, წელში გაიზნიქ-გაიჯგიმებოდნენ ამ ტალახში ცეცხლს დაანთებდნენ ლოყალაყლაყა ქალების თავის მოსაწონად. ამ ქალების ისედაც ვნებააშლილი გრძნობების უაღრესად ასაშლელად, მაგრამ ახლა იდგნენ და მათ „საქმეში" არ ერეოდნენ, ტიტესავით თვალებანთებულები მხოლოდ შორიდან ცქერით იოკებდნენ გზნებას. ან, ვინ იცის, იქნებ თითის ერთი წაკვრა, ერთი პატარა წკიპურტი იყო საკმარისი, რომ ზოგიერთი მათგანი მობზრიალე მორევში თავდაყირა გადაშვებულიყო, ფეხი შეეწყო ჯარისკაცებისათვისაც და ლოყალაყლაყა ქალებისთვისაც. მაგრამ ერთი-ორი ჩანდა ისეთიც, ეშმუნვით რომ დაღარული სახე, წარბებს შორის ღრმა ნაოჭი გასჩენოდა. რაღაც არ მოსწონდა ამ ხალხს, რაღაც არ სიამოვნებდა. ერთმა ხმამაღლაც კი ჩაიბურტყუნა, ვაი ჩვენს დღესო, მერე ხანგრძლივი ხმარებისგან გაცრეცილი, ალაგ-ალაგ გაღღვეული პალტოს საყელოში ჩარგო კრუხის საბუდარივით გაჩეჩილ-გაბუებული თავი და ყველას და ყველაფერს ბანცალ-ბანცალით გაერიდა. ტიტეს სწორედ იმ კაცის ნათქვამი ჩაეჭედა ყურში, იმ ნათქვამმა გაალიზიანა. მაგრამ ის არ იყო პირველი, ვინც მხიარული განწყობის, ხალისის წართმევა დაუპირა. გაღიზიანება ადრევე, ბაღში შემოსვლის პირველ წუთებიდანვე შეემჩნა ბექას, თითქოს მასზე ვიღაც მოქმედებდა, თავის უსიამო ფი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქრებს, აზრებს გადმოსცემდა; ან წარსულის სურათები ცდილობდნენ თავის შეხსენებას, მამის ხატება მოიწევდა წინ... ასეთი რამ ბექას ხშირად ემართებოდა და ეს იცოდა ტიტემ. ტიტემ ისიც იცოდა, ბექას მამაც, იმ მობანცალე კაცივით, თურმე როცა რაღაც არ მოეწონებოდა, უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნებდა ხოლმე, ვაი ჩვენს დღესო; ბექას მამაც, სიცხეში თუ სიცივეში, ზამთარ-ზაფხულ ცილინდრს ატარებდა აი, იმ მოხუცივით, ყველასგან მოცილებით ვიღაც პილოტის საფლავთან რომ იდგა და მზერა აქეთ, ბიჭებისკენ ჰქონდა მოპყრობილი. თითქოს სწორედ ის მოხუცი გადმოსცემდა იქიდან ბექას თავის აზრებს და ფიქრებს /ასე მიიჩნია ტიტემ/, იგი ეუბნებოდა, მოსახიბლი მანდ არაფერია, ყველაფერი თავსმოხვეული, უსახური, შინაარსისგან დაცლილი სპექტაკლია, ჩვენი ქალაქის, ჩვენი სულისათვის მიუღებელიო, მაგრამ მოხუცი უკვე მიხრწნილი, წარსული დროის ლანდი, აჩრდილი იყო, მას შეეძლო ასე ეფიქრა; ბექასაც, ალბათ, ეპატიებოდა, მამის ხატება თუ ედგა თვალწინ. ტიტეს კი, რა ჰქონდა მათთან საერთო? — არაფერი... თითქმის არაფერი. მას სიცოცხლე სწყუროდა, მისი სული ითხოვდა ზეიმს, სხეული — შვებას... უცბად მოირიდა ყველა უსიამო აზრი, დაეჭვება, იოლად სძლია მხდლურ სისუსტეს და კვლავ შესცურა ნეტარების მდინარეში, ტანისა და მხრების რწევით ვალსის მელოდიას ღიღინ-ღიღინით აჰყვა. სულ მალე ვიღაც ქალი თუ გოგო /ალბათ, უფრო გოგო, ტიტეზე სამიოდე წლით უფროსი/ გამოეყო მაყურებლებს და მისკენ გამოემართა.

— პატანცუემ?—მუხლის ოდნავ ჩახრით იკითხა მან მოსვლისთანავე ზედმიწევნით ზრდილობიანად, მაგრამ შინაგანი მოუთმენლობით. ტიტემ გაკვირვება ვერ დამალა, გაოცებულმა პირი შოშიასავით დააღო და, როცა გოგომ კვლავ გაუმეორა, ვიცეკვოთო, ბიჭს სიხარულით ყვრიმალებში ჩავარდნილი წვრილი თვალები ლამის შუბლზე აუცვივდა. მერე ბექასაც მედიდურად გადახედა და თვალის ჩაკვრით ჰკითხა:

— გამოდგება?..

ბექა უარესად დაიბნა, გაწითლდა და თავი ჩაღუნა, თითქოს უთხრა მე რას მეკითხები, შენ თვალები არ გაქვსო?!.

კი, ჰქონდა გოგოს რაღაც მიმზიდველი; ჩათქვირებულ სხეულს მუხლს ქვემოთ ჩაფართხუნებული პალტოს მსგავსი დაბამბული ლაბადა უფარავდა, თუმც ფეხები სწორი უჩანდა და ოდნავ მოცინარ, ლოყაწითელ მრგვალ სახეზე მშვენიერი ჭროლა თვალები უციმციმებდა.

და არც აინტერესებდა იმ წუთს ვინმეს აზრი ტიტეს. მარტო სული კი არა, სხეული თხოულობდა შვებას, წადილის დაოკებას, — თავისდაუნებურად ამოვარდა პირიდან სიტყვები, ხელოვნება მსხვერპლს მოითხოვსო, ჩანთა ბექას მიუგდო და მაშინვე გაუშვირა ხელები გოგოს, მასთან ერთად მობზრიალე მორევში თავდაყირა გადაეშვა.

მაგრამ არა, დიდი მოწადინების მიუხედავად, ტიტეს არ გამოსდიოდა ტრიალი; ადგილზე შეეძლო „უხიფათოდ" როკვა, ტრიალის დროს კი, ფეხები ხან ტალახში უცურდა, ხან ერთმანეთში ებლანდებოდა, ხან გოგოს აბიჯებდა, წვივებში ურტყამდა; იმასაც დროდადრო ხელი წვივებისკენ მიჰქონდა, ემჩნეოდა, რომ სტკიოდა, მაგრამ არაფრად აგდებდა იმ ტკივილს, იქნებ სიამოვნებდა კიდეც, სიცილ-კისკისით ტრიალებდა, ბოლოს უკვე თვითონ აბზრიალებდა ბიჭს, თან უკიჟინებდა, რიტმსააყოლე ფეხი, რიტმსო, და ტიტეც მთელი გრძნობით, მთელი მოწადინებით აყოლებდა რიტმს მხრებს, წელს, გავას, საერთოდ, სხეულის ყველა ნაკვთს, ფეხებს კი ჯერ ვერა, ვერა და ვერა. ამასობაში საკმაოდ გახურდნენ, სიმხურვალის ოხშივარი მოაწვა ორივეს ყელში, ორივე

ეროვნული ბიბლიოთეკა

საოცრად ღრმად სუნთქავდა და ამონასუნთქს ერთმანეთს სახეში აფრქვევდნენ, რაც განსაკუთრებით სიამოვნებდა ტიტეს... გოგო წლოვანებით მართლაც უფროსი ჩანდა ბიჭზე, ალბათ, უფრო გამოცდილიც, — ყოველივე ამას გრძნობდა, სიამოვნებით ღებულობდა გამოწვევას და თვითონაც დროდადრო განგებ ეხეთქებოდა მკერდით მკერდზე, ადგილზე როკვისას ლოყას ახებდა ლოყაზე. ტიტე ამ დროს ნეტარებით ტკბებოდა, ფიქრით ძალიან შორს მიდიოდა მაგრამ კაცი იყო უკვე და, როგორ აგრძნობინებდა ვინმეს სულწასულობას, — თავი მაინც ისე ეჭირა, თითქოს მხოლოდ ტრიალის უკეთ დაუფლება წარმოადგენდა მის წადილს და მეტი არაფერი. ხელსაყრელი საშუალებაც ეძლეოდა, — მუსიკოსები შეუსვენებლად უკრავდნენ და უკრავდნენ, ერთ ვალსს მეორეთი სცვლიდნენ; მხოლოდ რიტმი იყო ყველასი ერთნაირი და ეს უნდოდა ტიტესაც! სხვებთან ერთად შეძლებისდაგვარად ბზრიალებდა, ჩახვეოდა გოგოს და ნავარჯიშევი სხეული ოდნავადაც ვერ გრძნობდა დაღლას. მაგრამ არც გოგო ჩანდა ვინმეზე ნაკლები, თითქოს ამ საქმისათვის დაბადებულაო, ცეკვავდა ლაღად, მოხდენილად, თავდავიწყებით; მასაც არ სურდა ბიჭის ხელიდან გაშვება, იქნებ ამიტომაც ჩაიხსნა დაბამბული ლაბადის უშველებელი ღილები, მკერდი მოიღეღა და დაფარული სხეული ბოლომდე გამოაჩინა. ტიტეს მაშინვე იმ სხეულის სურნელება ეცა სახეში, ის სურნელი შეიყნოსა და უცბად გული სხვანაირად შეუტოკ-შეუფართხალდა; ახლა სულ სხვა ძალამ შეაქანა, იმ ჩათქვირებული მკერდისკენ გააწევინა, მის ცხვირწინ რომ თრთოდა და ხტოდა. გოგოსთვის არ გამოდგა საკმარისი ყოველი, თითქოს მათ გარდა, იქ არავინ ყოფილიყოს, დაბამბულ ლაბადაზე გარედან შემოხვეული ხელი აალებინა ტიტეს, თავისი იღლიის ქვეშ წელამდე შეაცურებინა და იმ გაგანია ყურისწამღებ ყუყუნ - ყუყუნში, სიცილ- სიცილით ძლივს გააგებინა, ასე უკეთესია, უფრო კარგად მომეჭიდები და ტალახში ფეხი აღარ აგიცურდებაო. ტიტესთვის ყოველივე აღმოჩნდა უცაბედად ნეტარების ბაღში შეგდება, სადაც ყველაფერი თითქოს ნაცნობია, ფიქრებში და ოცნებებში განცდილი, მაგრამ მსგავსი მაინც არსად გინახავს, მსგავსი არაფერი გიგრძვნია; ვითარც მწყურვალისთვის მიგიწვდია ღვინით სავსე კასრი, მშიერი დაგისვია საპატიო სტუმრისათვის გაწყობილ სუფრაზე... გოგოს წელი იყო ფანდურივით წვრილი, ლერწამივით მოქნილი, ღუმელივით ცხელი, თითქოს არც კაბა ეცვა და არც მის ქვეშ საცვლები, — ბიჭის თითები მხოლოდ შიშველ სხეულს აღიქვამდნენ, რაც იმ თითებს უწვავდა, უთუთქავდა... ტრიალებდა ტიტე და იმ წუთებში მის გარშემო ტრიალებდა მთელი სამყარო, ამღვრეულ თვალებში ყველაფერი ერთმანეთში ირეოდა, გარბოდა, სადღაც ერთი წერტილისკენ მიექანებოდა მთელი სისწრაფით და თან მიჰქონდა ბიჭის გონება, ძალა და ენერგია. გოგო ამას ხედავდა, გრძნობდა და ამხნევებდა, ხელი უფრო კარგად მომხვიეო და ტიტეც ნელ-ნელა გონს მოდიოდა, ხელი ეჩვეოდა სითბოს, გოგოს ჩამოქნილ სხეულს. მერე ის ხელი თავისით ჩაცურდა წელიდან ქვევით, უფრო ქვევით და, გოგომ ცეკვა შეწყვიტა კიდეც, უკან გადადგა ნაბიჯი.

— მაგარი ბიჭი ყოფილხარ, — უთხრა მან არცთუ წყენით. — უკვე იცი, რა გინდა.

თავზე თითქოს ცივი წყალი გადაასხესო, ტიტე უცბად მოეგო გონს.

— ვიცი, — ქშენით უპასუხა, — მე თქვენ აუცილებლად დაგხატავთ.

— შენ ხატავ?—დაინტერესდა გოგო.

— კი, ვხატავ.

— მართლა დამხატავ?

— კი, დაგხატავთ.

გოგომ ლაბადა შეიკრა, კვლავ დამალა სხეული. ტიტე ჯერ ისევ მის წინ იდგა და ჯიქურ მისჩერებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა გქვია? — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ჰკითხა გოგომ.

— ტიტე. თქვენ?

—ლიდია. უფრო სწორად, ლიდია ივანოვმა. მამაჩემი სამხედრო ოფიცერია.

— ლიდია... — თავისთვის გაიმეორა ტიტემ ჩურჩულით. მერე თითქოს რალაცამ გაალიზიანა, ყველასგან გაცლის და გაქცევის წადილი აღუძრა; თითქოს ახლა შეიცნო, რომ, როგორც წარმოიდგინა ისე არ გამოუვიდა, რიგიანად ვერ აუწყო რიტმს ფეხი, — ტალახში უცურდა, ამასობაში ლიდიას ეკიდებოდა ზედ, ტკიპივით ეკვროდა ტანზე და, ალბათ, სასაცილოდ გამოიყურებოდა იქ მყოფთა თვალში. აკი აქეთ-იქიდან შეძახილიც გაისმა, ბოლოს ვიღაცამ შეიყმუვლა კიდეც, მაგრამ წყალსაც წაუღია ყველა, იცინეს და იცინონ, იყმუვლეს და იყმუვლონ, ცხოველებისგან მეტი არც მოითხოვება; ისედაც, დღეს არიან, ხვალ აღარ იქნებიან, თავის გზას გაუყვება ყველა, ოღონდ ბექას თანდასწრებით არ მომხდარიყო ყოველივე, მისი დასაცინი და გასაკილი არ გამხდარიყო. თანაც ლიდიამ შუა ცეკვისას უცბად შეაჩერა, ლამის ხელი ჰკრა და მოიცილა ტანიდან, თითქოს უთხრა, შენ, პატარა ბიჭო, რას თავხედობო, ეს რა სულწასული ყოფილხარ, სილის გაკვრა ხომ არ მოგდომებიაო. ჰო, ასე მოხდა, ასე გაიფიქრებდა ლიდია ივანოვნა და ყოველივე დაინახა ბექამ; მოხდა რაღაც სასაცილოც, ირონიული ღიმილის ამღძვრელიც, გასაკიცხიც და დასატუქსიც, მაგრამ თვით ლიდია ივანოვნა რატომ არაფერს საყვედურობდა, თავის გულისწყრომას ხმამაღლა რატომ არ გამოთქვამდა?.. იქნებ სწორედ ისე მოიქცა ბიჭი, როგორც უნდა მოქცეულიყო ყველა ნამდვილი მამაკაცი, ქალმა თავად შესთავაზა სხეული, ხელი შეაცურებინა იღლიის ქვეშ და რატომ უნდა ეთქვა უარი შემოთავაზებულ ნეტარებაზე?.. — კარგად ცეკვავთ, — უთხრა ტიტემ ნაძალადევი სიმშვიდით, თან წარბებამდე ჩამოფხუტული ყურეჭბიანი ქუდი გადაიძრო თავიდან, ბოლომდე გამოაჩინა ალმოდებული სახე და გაიმეორა, — მართლა კარგად ცეკვავთ. გმადლობთ.

— გინდა შენც გასწავლო? — სწრაფადვე ჰკითხა ლიდიამ ნამეტანი ცნობისმოყვარეობით, — შაბათ-კვირა საღამოს ოფიცერთა სახლში თუ მოხვალ, იქ მნახავ. მოხვალ?..

ტიტემ უცბად ბოლომდე ვერ გაარკვია, რას ეკითხებოდნენ, რას თხოულობდნენ მისგან. მინიშნებით მაინც ერთი სიტყვითაც არავინ საყვედურობდა და არ კიცხავდა რატომღაც. პირიქით — თითქოს აქეზებდნენ, საქციელს უქებდნენ, სითამამეს უწონებდნენ, ბოლოს და ბოლოს, მართლა კაცად თვლიდნენ!.. რაოდენ სასიამოდ გაიჟღერეს ლიდიას სიტყვებმა, რაოდენ ლაღად და ცნობისმოყვარედ იკითხა მან, მოხვალო?.. რა თქმა უნდა, მოვა, ყოველ შაბათ-კვირა იქ, ოფიცერთა სახლის წინ იქნება ატუზული ფინია ძაღლივით, ოღონდაც კიდევ ერთხელ შეიყნოსოს ვნებააშლილი ქალის ჩათქვირებულ მკერდიდან ავარდნილი სურნელება, ხელი შემოხვიოს მის ლერწამივით მოქნილ წელს... მაგრამ დიდხანს როდი გრძელდება თურმე ნეტარების წამები: ლიდიამ რატომღაც არ ისურვა მოცდა, პასუხის მოსმენა. ადვილი ხომ არ იყო ისედაც გრძნობაამღვრეული ბიჭისათვის უცაბედად ყელში მობჯენილი ნდომის ნერწყვის გადაყლაპვა! თითქმის წამი არ იყო გასული, ლიდიას თავად არ დაესრულებინა შეკითხვა, მოხვალო? რომ მაშინვე თვალი მოარიდა ბიჭს, ახლა ვიღაც ჯარისკაცს გაუშალა ხელები, იმ დროს მის წინ მხედრულად რომ აიჭიმა... ტიტეს პირი დარჩა ღია. გულმოსულმა, მაშინვე შეაქცია ზურგი მოცეკვავე წყვილებს, წრიდან გავარდა, პირდაპირ ბექასთან მიიჭრა, ჩანთა ლამის გამოგლიჯა ხელიდან და სახეში არ შეუხედავს, ისე უთხრა:

— წავიდეთ, საინტერესო აქ არაფერია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ალბათ, — დაუდასტურა ბექამ, — მე მეტი დრო არც მაქვს.

ბიჭებმა სწრაფად დატოვეს ბაღი. ტიტე წინ მიდიოდა. ბექას ერთხანს უკან რჩებოდა თვალები, ალბათ ლიდი-ასკენ გაურბოდა მზერა, რომელიც იმ ახალგაზრდა ჯარისკაცთან ერთად ტრიალებდა და ახლა მისთვის ჩაეხსნა ლაბადის უშველებელი ღილები...

ტიტეს თითქოს არ აინტერესებდა, რა ხდებოდა უკან, იქ, სადაც სულის რაღაც ნაწილი დარჩა, დატოვა, მაგრამ ყელში ბოღმის მწარე ნერწყვი აწვებოდა და სწორედ იქ შელახული ყმაწვილკაცური თავმოყვარეობა, თუ პატივმოყვარეობა აბობოქრებდა. თითქოს გამუდმებით ვიღაც უშლიდა ხელს, ვიღაც გამუდმებით ცდილობდა წაერთმია მისთვის საზეიმო-სანეტარო განწყობის წუთები და რატომღაც ახლა „აღმოაჩინა“, რომ ის ვიღაც ბექა იყო. დიახ, ბექა და სხვა არავინ. ბექა რომ არ ყოფილიყო ყოველივეს შემსწრე და მნახველი, ასე დათრგუნული და დამცირებული არ აღმოჩნდებოდა. რა მოხდა, თუ ტალახში უცურდა ფეხი და სხვებივით არ გამოსდიოდა ტრიალი, ესეც დაწყევლილი მათემატიკა ხომ არ არის, თავში თუ არ იცი, ბოლო ვერ გაუგო? — ჩვეულებრივი ცეკვაა და, კაცს კინტაურის. ჩამოვლა თუ შეგიძლია, მონდომება მითხარი, თორემ ევროპულ ცეკვებსაც ადვილად დაეუფლება და უფრო სხვა უარესსაც! ან რა მოხდა, თუ ლიდიამ პასუხი არ დაუცადა და ვიღაც ჯარისკაცთან ერთად განაგრძო ნეტარების მორევში ბზრიალი? — ლიდია თავისუფალი გოგოა, მისი სხეული დაოკებას ითხოვს და ვისაც უნდა, იმას მიაართმევს თავის სხეულს!.. „მაგრამ ბექას თვალში რომ გავმასხარავდი? აი, რა არის მთავარი. ახლა გულში ეცინება და ნამდვილად მასხრად მიგდებს, — მწარედ შეაქანა კვლავ დამთრგუნველმა აზრმა, — არადა, ჩემი ბრალია, — არ ცხრებოდა შელახული პატივმოყვარეობა, — რას მოვათრევდი?... ან, საერთოდ, რა მაკავშირებს ამ უსახურ, მორღვეულ და რაც მთავარია, ხალხის მტრის შვილთან? ის, რომ კარი-კარ ვცხოვრობთ და ბავშვობის რაღაც ორი წელი ერთ ჭერქვეშ გავატარეთ? მეტი სხვა, რა? კარგად ხატავს და ხატოს, ბატონო, ვის სჭირდება მისი ჩამუქებული, შავი და ნაცრისფერი საღებავებით შეზელილი დამანჭულ-დაგრეხილი ადამიანები, ბუდეაწეწილი ფრთებშეჭრილი მტრედები, ან დანგრეულ-დარღვეული სახლები, მით უმეტეს — ეკლესიები?.. ლიდიას მაინც ჩემზე უკეთ ვერავინ დახატავს. მართლა დამხატავო?!. — დავხატავ და თანაც როგორ, რომ იცოდეს!..“

მალე მოგრიხინე ტრამვაებით ახმაურებული ქუჩის გასწვრივ ხალხით შეთხელებულ ტროტუარზე სხვადასხვა მიმართულებით მიაბიჯებდნენ. ქარი, რომელიც მიყუჩებას არ აპირებდა, ალმა-დალმა დააფრიალებდა სახლების აივნებზე გამოფენილ სისხლივით წითელ-წითელ დროშებს და ხეთა შიშველ რტოებში ყრუდ ზუზუნებდა და კვნესოდა. ბექა სიცივეს აეტანა, კანკალებდა, მამისეული საზაფხულო კოსტიუმისგან დედის მიერ შეკერილი თხელი პალტოს პატარა საყელოთი თითქოს ცდილობდა დამზრალი კომბოსტოსავით გალურჯებული ცხვირპირის გათბობას, არაფერი გამოსდიოდა, უკვე სვლა უჭირდა, მოკლე-მოკლე ნაბიჯებს არათანაბრად ძლივს ადგამდა, მაგრამ ჯერ ბოლომდე მაინც ვერ დაემორჩილებინა სტიქიას, თავი კვლავ ამაყად ეჭირა და ოდნავ მოჭუტული მეოცნებე ზღვისფერი თვალებით, ჩვევისამებრ, სადღაც ძალიან შორს იცქირებოდა...

ტიტეს ყელში მობჯენილი ბოღმის სიმხურვალე ლამის ახრჩობდა. მისი გული ძალუმად ძგერდა, ხტუნავდა, როგორც გავარვარებულ ღუმელზე დავარდნილი წყლის წვეთი და სანამ ბოლომდე არ დამცხრალიყო, თვალებამღვრეული ჯერ ისევ მკერდმოღეღილი და თავშიშველი გრძელ-გრძელი ნაბი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯებით უკან მოუხედავად მიიწევდა წინ, ვერ კი ამჩნევდა, უკან, ბაღიდან გამოყოლილი ტალახით ხორხოშელათი შესვლებულ ტროტუარზე წითელ კვალს რომ სტოვებდა.

●

მოხდა ის, ალბათ, რაც უნდა მომხდარიყო, მაგრამ, რასაც ტიტე არამც და არამც არ ელოდა, უბრალოდ, ვერ წარმოიდგენდა: რატომღაც ხალხი შეეჯავრა, უფრო სწორად, არავისი დანახვა არ სურდა, ზოგჯერ მშობლებისაც კი. შევიდოდა თუ არა თავის სამუშაო ოთახში, გარეთ აღარ გამოდიოდა და დღედაღამ ერთსა და იმავეზე ფიქრობდა, ერთსა და იმავე პიროვნების ესკიზებს ხატავდა; შემდეგ ხევდა, კვლავ ხატავდა... ესე იგი, ამაოდ წვალობდა /ასე მიიჩნევდა თვით ტიტე/, რაც ერთიასად ახელებდა, რასაც ლამის სიგიჟემდე მიჰყავდა. ამ შემთხვევაში, დიდი სურვილები იმედების დიდ გაცრუებას აღძრავდნენ: რამდენადაც დიდი აღმოჩნდა მისი ლტოლვა უკეთესთა შორის საუკეთესოს შექმნისადმი, იმდენად მეტად იტანჯებოდა, რადგან ვერ დაიჭირა წამი, იმ წამში განივთებული მოძრაობა, ანუ სიცოცხლე, რომლის მხატვრული ხერხებით აღბეჭდვასაც შეძლებდა. ტიტეს სურდა, ისეთი რამ შეექმნა, გენიალურ ხელოვანთა მსგავსად, ასეული წლების შემდეგ რომ ეხილათ, კვლავ ცოცხალივით მოძრავი ყოფილიყო. ისიც იცოდა, გენიალური ნაწარმოებები ერთ დღეში რომ არ იქმნებიან და განაგრძობდა ძიებას, — ხატავდა და ხატავდა თავის „ნიაღვარზე მდგარი შიშველი ლიდიას“ ესკიზებს, შემდეგ ხევდა, კვლავ ხატავდა და ხატავდა... და მაინც ჯერჯერობით არაფერი გამოსდიოდა...

ვითომ სიყვარულმა აუფორიაქა სული?..

კაცმა რომ თქვას, ერთხელ უკვე იყო შეყვარებული, მოხდილი ჰქონდა უჩვეულო, უცნაური საყმაწვილო სენი: მეორე კლასში ყოფნისას თავისი რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლის პატარა გოგო, მესამე კლასელი ქერათმიანი და ცისფერთვალება ვინმე დოდონია ჩაუვარდა გულში და შიგ ჩაუსახლდა... ო, რა საშინელი და ერთდროულად რა საოცრად საამო გრძნობა იყო ის!.. ვითომ რა სურდა მისგან?.. — არაფერი!.. თითქმის არაფერი... გამუდმებით მასთან ერთად ყოფნა სურდა; გამუდმებით მისი მოცინარი, აჟუჟუნებულ-აცისკროვნებული თვალების დანახვა სურდა და მეტი არაფერი!.. ან მეტი სხვა რა მოთხოვნილება უნდა ჰქონოდა? როგორც კი მიეცემოდა საშუალება, ძებნის შემდეგ თვალს ჰკიდებდა სადმე თავნება, მოკუნტრუშე-მოცქრიალე გოგოს, ფინია ძაღლივით უკან აედევნებოდა ხოლმე და, დასდევდა და დასდევდა!.. ეგ იყო და ეგ!.. მაგრამ მალე ის მასწავლებელი წავიდა, სადღაც გადაიყვანეს და თავისი /და ტიტესიც!/ დოდონია თან წაიყვანა; წაიყვანა და ტიტემ გაიგო თუ არა, ცხარე ცრემლებით იტირა; მარტო იტირა კი არა, ლოგინად ჩავარდა, მაღალი სიცხე მისცა და უგონოდ მყოფს, მხოლოდ მისი სახელი აბოდებდა...

ეს იყო და ეს, უჩვეულო, უცნაური სახადი მოიხადა. მას შემდეგ სხვა გოგოებისკენ, ვარსკვლავებიც რომ მოეწყვიტათ, თვალი სხვანაირად არ გაჰქცევია, არავინ მიჰკარებია მის გაქვავებულ, გაუხეშებულ გულს. ცხოვრობდა თავისთვის მშვიდად, უდარდელად, სულის აუმღვრელად, მარტოსული კაცის კვალობაზე ბედნიერად და დროდადრო ზღაპარივით, თუ ლამაზი სიზმარივით ბუნდად ახსენდებოდა განუმეორებელი ზმანება, თავისი ცისფერთვალება, ქერათმიანი დოდონია.

მაგრამ რამდენ ხანს გაუძლებდა ასეთ მარტოსულობას?..

დიახ, მოხდა ის, არც, ალბათ, უნდა მომხდარიყო: აგერ, თითქმის სამი კვირა იწურებოდა მას შემდეგ, რაც ლიდიასთან ერთად იცეკვა და მისი სახე ახლაც თვალწინ ედგა, მისი ტანის ჟრუანტელის მომგვრელი სითბო კვ-

ლავ უწვავდა თითებს, წვერწამახვილებული ფანქარი, რომ ეჭირათ და უტყვ ტილოზე გაფრენილი წამის გაცოცხლებას ცდილობდნენ. დიახ, ლიდია ივანოვნა, ქალაქში ახლად ჩამოსახლებული სამხედრო ოფიცრის ქალიშვილი, რომელიც თურმე ყოველ შაბათ-კვირა საღამოს ოფიცერთა სახლში საცეკვაოდ დადის, იყო პირველი, ვინც თოთხმეტი წლის ტიტეს გულში სხვანაირად ჩაუვარდა. იმ დღიდან, უფრო სწორად, ლიდიასთან ცეკვის შეწყვეტის პირველივე წამებიდან, ყმაწვილკაცური პატივმოყვარული ხუშტრუკებით აღძრული დიდი მღელვარების მიუხედავად, ტიტემ თან წარიტაცა გოგოს ჭროლა თვალებში დანთებული ნაღვერდლების, უფრო კი — მისი ტანის საოცარი ვნებისაღმძვრელი სითბო და მხურვალება. სწორედ ის მხურვალება უშლიდა ხელს მუშაობაში /და არა მარტო მუშაობაში!/, რაც ახლა, სამი კვირის თავზე აღმოაჩინა და, ფანქარი გამწარებით მოისროლა კიდეც...

თითქოს დამდგარიყო დრო, როცა ბედი მთლიანად იმ გზისთვის უნდა მიენდო, რომელიც, დედის თქმით, მომავალში უზენაეს დიდებასა და პატივს უქადდა. საამისოდ თითქმის ყველა პირობა ჰქონდა შექმნილი შინ თუ გარეთ. თვითონაც ბოლოს, როგორც იქნა, მოთმინებით აღიჭურვა დასახული მიზნის მისაღწევად და უცბად ყველაფერმა ნგრევა და რღვევა იწყო, თავდაყირა დატრიალდა ყოველგვარი შეხედულება და წარმოდგენა ცხოვრებაზე. თითქოს ეს-ესაა ნაჭუჭიდან თავი გამოყო, ახლა „აღმოაჩინა", რომ საიმისოდ არ იყო მოწოდებული, რა მიზნებიც დაუსახა დედამ; და მასაც თუ დაუჯერებდა /ან რატომ არ უნდა დაეჯერებინა!/, ხალხის მტრებთან და მავნებლებთან ქვეყანაში გაჩაღებული საყოველთაო ბრძოლის ვითარებაში, არსებული ხელისუფლების თვალში ხელოვნებისადმი სამსახური მაინცადამაინც ამაღლებულად ვერ გამოიყურებოდა. ამიტომ შეეძლო მხატვრობაზე საერთოდ აღარ ეფიქრა. განა აუცილებელია ხელოვანი იყო, რომ იცხოვრო?.. განა მამა სახელმწიფო უშიშროების საქმეს რომ ემსახურება, უფრო მეტი პატივისცემით არ სარგებლობს, ვიდრე რომელიმე თუნდაც დიდი ხელოვანი?!.. ეგ არის, რადგან ლიდიას შეჰპირდა დაგხატავო, უნდა დახატოს. მერე ხელსაც აღარ მოჰკიდებს ფუნჯს, ფანქარს... „ჩემი საქმე არაა მთელი ცხოვრება საღებავებით გათხიპნილი სიარული. აღარ მინდა, მეყოფა..." ამოიგმინა ბოლოს და ტახტზე მიწვა... ამღვრეული თვალები ჭერს გაუშტერა.

აღარც ახსოვდა, რამდენ ხანს იწვა ასე. მერე ყრუდ, მაგრამ მაინც გარკვევით გოგოს მხიარული ხმა შემოესმა. ტიტემ რატომღაც ყური მიუგდო იმ ხმას და მიხვდა, რომ ბექასთან მისი თანაკლასელი თინიკო მოსულიყო...

არა, ბექა უკვე აღარ აინტერესებდა. ან რატომ უნდა ჰქონოდა ურთიერთობა ხალხის მტრის შვილთან, იმ წყალწაღებულთან. კომკავშირში მიღებაზეც უარი რომ უთხრეს?. ტიტეს სხვა გზა ჰქონდა, ბექას, ალბათ, სხვა. ამიტომაც მისი პიროვნება აღარ აინტერესებდა!.. მაგრამ თინიკოს მხიარულმა ხმამ ამჯერად საოცრად გააღიზიანა. აქეთ თვითონ ქანცგაწყვეტილი ეგდო ტახტზე, გაწამებული და თითქმის დათრგუნული ლამის სიკვდილს ნატრობდა, იქით კი... ალბათ, დასცინოდნენ ხელოვნებაში ხელმოცარულ თანატოლს; ნამდვილად დასცინოდნენ, თორემ თინიკომ რატომ თქვა ლაღად, კისკისით, არა შეჯდა მწყერი ხესაო?!. არადა, სწორედ ბექა იყო ბრალში, ამდენი წვალებ-წამება და ტანჯვა რომ დაატყდა თავს ტიტეს; ბექა რომ არა, დედა ბოლომდე არ აიჩემებდა, ჩემი შვილი ხელოვანი უნდა გამოვიდესო; ბექა რომ არ შესწრებოდა, ასეთი თავმოყვარეობაშელახული არ დატოვებდა საზეიმოდ მორთულ ბალს; ბექა რომ არა, იქნებ საერთოდ

ეროვნული ბიბლიოთეკა

არ გამოქცეულიყო ბაღიდან, დაელოდებოდა ცეკვის დამთავრებას და, ვინ იცის, როგორ სასიკეთოდ დასრულდებოდა ყოველივე... „ახლა თვითონ ზეიმობს!.. — მწარედ შეაქანა ავმა აზრმა, — ვნახოთ... ვნახოთ, საბოლოოდ ვინ იზეიმებს, ვნახოთ!..". წამოდგა კი არა, ცოფიანივით წამოვარდა ტახტიდან, ოთახში ბრაგაბრუგით გაიარ-გამოიარა, ხელი წამოარტყა მოლბერტს, პატარა მაგიდას, რომელზეც პალიტრა და საღებავები იდო და ერთიც და მეორეც ყლრიალ-ყლრიალით დაენარცხა იატაკზე, მიმოიბნა საღებავები... ისიც კი გაიფიქრა, რომ გაიგონებენ, გაჩუმდებიანო, ხმას ჩაიკმენდავენო, იქნებ ცოტა თანაგრძნობითაც აივსნენო, მაგრამ, თქვენც არ მომიკვდეთ! — საკუჭნაოდ წოდებულ ყველაზე პატარა ოთახში სულაც არ ადარდებდათ, რა ხდებოდა მეზობელ ოთახში. პირიქით — ახლა ბექაც ალაპარაკდა მხიარულად და ტიტემ, აქამდე ეს სამი კვირა გულში რომ დაატარებდა და საკუთარ თავთანაც არ ტყდებოდა, ახლა მიიღო გადაწყვეტილება, ყველაფრისთვის შური ეძია თავის მასწავლებლებზე: სწრაფად ამოხია ფურცელი რვეულიდან, წინ დაიდო და, როგორც მამისგან იცოდა, მარცხენა ხელით წერას შეუდგა: „რესპუბლიკის შინსახკომის უფროსს..."

●

ბორგვასა და ფორიაქში კიდევ ერთი კვირა მიიწურა...

— ტიტე, შვილო, დღეს, ალბათ, გვიან დავბრუნდებით და არ შეგეშინდეს. მე და მამა ერთ ჩვენს საერთო მეგობართან ვართ დაპატიჟებულები, სამსახურიდან პირდაპირ მომიწევს წასვლა, — უთხრა დედამ, დილაადრიან საგანგებოდ რომ ირთვებოდა და თან სარკის წინ ტრიალებდა. მერე ერთად გამოვიდნენ სახლიდან, გზის გასაყართან კი კვლავ შეახსენა, — გამიგე, რაც გითხარი?

ტიტეს ძარღვი არ შერხევია სახეზე, თავი არ შეუბრუნებია დედისკენ.

— გავიგე, — მოკლედ მიუგო, მაშინვე შეაქცია ზურგი და სკოლისკენ უხალისოდ განაგრძო სვლა.

— აბა, შენ იცი, — მოაძახა დედამ. — თუ გინდა, შენც გაიარე სადმე. კინოში წადი...

ჰო, დედის გულს არაფერი გამოეპარება, ყველაფერს გრძნობს იგი...

ტიტეს ამჯერადაც ლიდიას სახე დაუდგა თვალწინ, თითქოს მისი მკერდიდან ამოფრქვეული სურნელება შეიყნოსა. რა თქმა უნდა, უკან არ მიუხედავს (დედა აკი ისედაც გრძნობდა ყველაფერს!), თანხმობის ნიშნად მხოლოდ ხელი აუწია და თავისდა უნებურად ხალისიანად გადადგა ნაბიჯი.

„რა არის ეს, ვითომ სიყვარული?... — საღამოს დადგომის მოლოდინში მთელი დღე ეკითხებოდა ტიტე საკუთარ თავს და მთელი დღე ვიღაც გამუდმებით ერთსა და იმავეს პასუხობდა, — არა, ეს არაა სიყვარული, ასეთი სიყვარული არ არსებობს..."

და, ალბათ, არც სცდებოდა ტიტე. რამდენადაც იცოდა, ამოკითხული ჰქონდა წიგნებიდან, ის რამაც ასე ააფორიაქა ამ ბოლო დროს, სულაც არ ჰგავდა საზოგადოდ აღიარებულ ადამიანთა ყველაზე ფასდაუდებელ საუნჯეს — სიყვარულს, რომელიც არათუ დედამიწას, სამყაროს აღავსებს სიცოცხლით და ყველა ცოდვილ მოკვდავს ამაღლებული საქმეებისთვის განაწყობს. ამ უცნაურმა გრძნობამ ტიტეს მხოლოდ უძილო ღამეები, ლამაზი იმედების გულსაკლავი გაცრუება არგუნა, სიმწარე და დამცირება მოუტანა; ეს აღმოჩნდა საზიზღარი განცდა, შხამგარეული ტკბილ-მომწარო სამხილი, კაცობაში ახლად ფეხშედგმულ ყმაწვილკაცს სიმშვიდე რომ დაურღვია, ადამიანები შეაჯავრა, გააწირინა ისინი, ვინც აქამდე ყველაზე მეტად უყვარდა, ან ეგონა, რომ უყვარდა... ან, ვინ იცის, იქნებ სწორედ ამას ერქვა სიყვარული, ნამდვილ სიყვარულს რომ ეძახიან, სწორედ მან აუხილა თვალები და დაანახვა ის, რასაც აქამდე ვერ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხედავდა?.. მართლაცდა, წყალსაც წაუღია ყველა ბურჟუაზიული იდეოლოგიით ნასაზრდოები, ყველა მავნებელი და ხალხის შენიღბული მტერი. მათთან დაუნდობელი ბრძოლა ხომ ყოველი პატიოსანი საბჭოთა ადამიანის ვალია; მამამაც, რომელსაც ქამარში, წელთან მუდამ ნაგანი აქვს გაჩრილი, მთელი შეგნებული ცხოვრება აკი ამ კეთილშობილური საქმის სამსახურს მიუძღვნა და ამიტომაც ასეა დაფასებული და დაწინაურებული?.. „ჰო, წყალსაც წაუღია ყველა, — ფიქრობდა ტვინამღვრეული ტიტე, ლიდიას მოლოდინში ოფიცერთა სახლის შესასვლელის წინ ტროტუარზე მიმოდიოდა და გულში პატარა ბავშვივით ნატრობდა: — ოღონდ მოვიდეს, ოღონდ... მარტო მოვიდეს კი არა, მიცნოს, მაშინდელივით შემომცინოს, ხელი ჩამავლოს ამ მგელივით მომზირალ კარისკაცის ჯიბრზე, შიგნით სიცილ-კისკისით შემარბენინოს!.. მაგრამ, რომ არ მოვიდეს?.. ხომ შეიძლება, არ მოვიდეს?..“

რაც უფრო ძალა ეცლებოდა დღეს, მატულობდა ბინდი, ოფიცერთა სახლის შესასვლელთან საადლუმო ფორმაში გამოწყობილი სამხედროთა რიცხვი თანდათან მატულობდა. ზოგი, ასევე საგანგებოდ გამოპრანჭული ქალთან ერთად იყო მოსული, ზოგი, ალბათ, ქალს ელოდა, წყვილ-წყვილად და ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ, მხიარულად საუბრობდნენ ერთმანეთში, შიგადაშიგ ცოტას ლლაბუცობდნენ კიდეც, არაფრად დაგიდევდნენ გამვლელ-გამომვლელს, მოკლედ, დიდებული ხალხია ეს რუსობა, სადაც უნდა იყვნენ, ყველგან თავს ისე გრძნობენ, როგორც საკუთარ სახლში. ვერც იმას დასწამებთ, წესრიგი, კანონისადმი მორჩილება არ უყვართო, — უბრძანე და, თუ პარტიას და მთავრობას სჭირდება, ჩახმახშეყენებულ შაშხანას საკუთარ დედას მიუშვერენ! მხიარულობაში ხომ ვერავინ შეედრებათ. ამ საქმეში, როგორც იტყვიან, დაკალ და დააფასე! მცირე თავისუფალი დროც რომ მოიხელთოს, ქალი იქნება თუ კაცი, მაშინვე გართობაზე და საკუთარი თავის სიამოვნებაზე ფიქრობს. ტიტემ ყოველივე მშვენივრად იცოდა, ცოტა ყურმოკრულით, ცოტა მშობლებისგან. რამდენჯერ უთქვამს დედას, ამათზე კეთილშობილი ხალხი არ არსებობსო, ესენი რომ არა, ამიერკავკასიის ხალხებს გადაშენება-გაქრობა არ აგვცდებოდაო; ნეტავ შენც რუსულ სკოლაში შემეყვანე, მერე ცხოვრებაში არაფერი გაგიჭირდებოდა, ყველა კარი გახსნილი გექნებოდაო... მოკლედ, ახლაც იდგნენ და უქმად არ კარგავდნენ დროს და შურით მომზირალი გამვლელ-გამომვლელის ჯიბრზე მშვენივრად ერთობოდნენ; ღმერთმა უწყის, ვინ ვის ქალს ეხვეოდა, ვინ ვის ჰკოცნიდა ეფერებოდა, რა თქმა უნდა, მეტჩინიანნი გამორჩეული მდგომარეობით სარგებლობდნენ, მაგრამ ყველაზე მეტად სწორედ ისინი აქტიურობდნენ, აქ ყველა გასართობად მოვსულვართ და ამ შემთხვევაში ჩვენს შორის უფროს-უმცროსი არ არსებობსო. მერე, როცა შიგნიდან საცეკვაო მუსიკის ხმაც მოისმა, ნელნელა შესვლა იწყეს სიცილ-კისკისით. რიგითი ჯარისკაცი, კარისკაცის მოვალეობას რომ ასრულებდა, მხოლოდ უცხოებს აჩერებდა, ხელით ულობავდა გზას და საშვს თუ არ წარუდგენდნენ, თავიც რომ მოეკლათ, შიგნით არავის უშვებდა, „ნე პალოჟენოო“, ყველას ერთი და იგივე მიზეზით აბრუნებდა უკან.

„ახლა ამან რომ არ შემიშვას... — ფიქრობდა ტიტე, დროდადრო ცერ-ცერ გახედავდა ხოლმე კანონის უსიტყვო დამცველს და, იმის წარმოდგენით, რომ შეიძლებოდა, მართლა არ შეეშვათ, ლამის სუნთქვა ეკვროდა, შინაგანად კანკალებდა, — რა, ჩვეწნა-მუდარით შეაგნებინებ რამეს თუ? — წინასწარ იწურავდა იმედს, თითქოს ამზადებდა თავს გარდუვალი მარცხისათვის და თან არ უნდოდა დაეჯერები-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნა, რომ ამდენი საათი ამაო ლოდინში გაატარა, — კეთილშობილი ხალხი კი არა... — შეაქანებდა ხოლმე უსიამო აზრი და მერე კვლავ ნატრობდა: — ოღონდ მოვიდეს, მოვიდეს და მიცნოს, მიცნოს და შემომცინოს... ოღონდ მოვიდეს..."

ამინდს, მაინცადამაინც, ვერ დაემდურებოდა: არც სუსხიანი ქარი ქროდა, არც ხორხოშელა ეყრებოდა სახეში, ცოტა კი სციოდა და ლოდინში ერთ ადგილას დიდხანს ყოფნისგან ფეხის თითები შეჰყინოდა, არ შეელოდა მოკლე მანძილზე წინ და უკან სიარული.

თანდათან ტროტუარზე გამვლელ-გამომვლელი შეთხელდა, იქვე, ერთხანს კარისკაცისგან უკან გამობრუნებული ბიჭები წრიალებდნენ, ქართულად აგინებდნენ იმ კარისკაცს, გული სწყდებოდათ ვილაც გოგოების გამო, საცეკვაოდ რომ იყვნენ შიგნით შესულნი, მაგრამ ბოლოს, სად დაგვეკარგებიან, ხვალ ქალაქში ვნახავთო, დაიმშვიდეს თავი და დაიშალნენ, წითელსამკლაურიან რაზმელებს და სახალხო მილიციელებს მოერიდნენ თვალიდან. ერთ-ერთმა მილიციელმა რამდენჯერაც აიარ-ჩაიარა, იმდენჯერ ტიტეც აათვალიერ-ჩაათვალიერა, ეტყობა, ფიქრობდა, ამდენი საათი ეს ბიჭი აქ რას დაყუდებულაო, მაგრამ ტიტეს დიდი კაცივით საქმიანად ეჭირა თავი და ისიც — მილიციელიც, არაფერს ეუბნებოდა. და არც ჰქონდა ტიტეს მისი ჯავრი; ლიდიასთან შეხვედრის მოლოდინში, ფეხს არ იცვლიდა ადგილიდან, და ვერც მოაცვლევინებდნენ. მის მამას რაიონში კი არა, მთელ ქალაქში სცნობდნენ...

დიახ, ადამიანი ხშირად გაუთვითცნობიერებლად გრძნობს რაც უნდა მოხდეს, რასაც უმზადებს ბედი. ლიდია მოვიდა, მოვიდა და იცნო ბიჭი, იცნო და გაუღიმა. ტიტეც ღირსეულად შეხვდა, თითქოს ეს-ესაა მოსულიყოს და არც მღელვარება გადაეტანოს, მთელი სერიოზულობით დაუკრა თავი და ჩამოსართმევად ხელიც შორიდან გაუწოდა.

— დაა... — ამოთქვა ლიდიამ, გამომწვევად მიაჩერდა ბიჭს თვალებში და დაამატა, — მაინც მოხვედი...

— კი, მოვედი, — ცოტა გამოცოცხლდა ტიტე.

— ვისწავლოთ? — თითქოს ცბიერად იკითხა გოგომ, მაგრამ ტიტემ კვლავინდებურად მშვიდად დაუბრუნა პასუხი:

— ვისწავლოთ.

მერე უცბად მოეშვა, მაგრად ნაცემივით მთელი სხეული მოუმჩვარდა და დიდი მღელვარების შემდეგ, თითქოს კიდეც დაიმორცხვა, სახეზე სიმხურვალის ალმურმა აჰკრა. ლიდიამაც მეტი აღარაფერი თქვა, ისედაც ხედავდა, ბიჭს სიცხიანივით რომ ულაპლაპებდა თვალები.

ცოტა ხანს გაღიმებული სახეებით მისჩერებოდნენ ერთმანეთს და დუმდნენ...

ლიდიას მაინცდამაინც არ ემჩნეოდა ამ მოულოდნელი შეხვედრით აღძრული განსაკუთრებული სიხარული, ან რაიმე შინაგანი უხერხულობა, გამიჯნურებულთ რომ ემართებათ ხოლმე თავიანთი გულისწორის ხილვისას; და არც ის, რომ საერთოდ ვინმეზე ფიქრით ერთი ღამე მაინც თეთრად გაეთენებინოს. თითქოს ეს იყო ჩვეულებრივი, ახალგაზრდა ბიჭთან ერთ-ერთი რიგითი შეხვედრა, თავის მხრივ, მეტად სასიამოვნო ფაქტი, მაგრამ ცოტა თავსატეხიც, რადგან უცბად სჭირდებოდა გადაწყვეტილების მიღება, გაეგრძელებინა „თამაში", თუ სანამ ღრმად შესტოპავდა, ახლავე სამუდამოდ მოეცილებინა ნორჩი „მოძალადე". ტიტეს კი, ამასობაში ნელ-ნელა ახალი განცდა ეუფლებოდა, თითქოს ვილაც ხელ-ფეხს უბორკავდა, ადრინდელი სითამამე რატომღაც უჩვეულო მოხატრებით და მოკრძალებით ეცვლებოდა და ერთი გული თუ სთხოვდა, ხომ ხედავ, გელოდება, მიდი, ბიჭო, გადაეხვიე, გადაკოცნეო, მეორე — არ გაგიჟდე, რაიმე სისულელე არ ჩაიდინო, თორემ მიგატოვებს აქ და ამ მგელი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვით მომზირალი კარისკაცის გულის გასაძღარად პირში ჩალაგამოვლებული დამრჩებიო. თანაც, ლიდია დღეს სულ სხვანაირი ჩანდა, თითქოს ისევ ისე ეცვა, ჩამოქნილ ტანს ისევ ის დაბამბული სქელი ლაბადა უფარავდა, მაგრამ მის ჭროლა თვალებში აღარ ენთო მაშინდელი გზნების ცეცხლი; საკოცნელი ტუჩებიც მყვირალა წითელი საცხით გაეგლისა და დიდ ქალს დამსგავსებოდა.

— რაც არის, არის, ვცადოთ, — თქვა მან ბოლოს ღიმილით და საჩვენებელი თითი ცხვირთან მიიტანა, — მხოლოდ, ცოტა ხანს მოცდა დაგჭირდება, მომიცდი?

რა სისულელეა ასეთ დროს ჰკითხო ადამიანს, მომიცდიო?! განა ტყუილად იდგა ამდენ ხანს, რომ ახლა გაიპაროს?.. ტიტემ ზედმეტად ზრდილობიანი, დამჯერი მოწაფესავით, თანხმობის ნიშნად, თავი ოდნავ დაუკრა, ერთდროულად, სამხედროთა მსგავსად, ქუსლები ერთმანეთს მიარტყა, წელში გაიჯგიმა და ისე მიუგო:

— როგორც მიბრძანებთ! ,

ტიტეს ასეთმა თავაზიანმა მოქცევამ, რასაც სასაცილო ელფერიც დაჰკრავდა, ლიდიას გადაწყვეტილებას სითამამე შეჰმატა, მაშინვე შებრუნდა იგი, ოფიცერთა სახლში შინაურივით შეირბინა და მართლაც რამდენიმე წუთში ვიღაც ახმახ ოფიცერთან ერთად ხელიხელჩაკიდებული გამოვიდა.

— მამა, ეს ის ბიჭია, — ანიშნა ლიდიამ ტიტეზე. ოფიცერმა რაღაც ჩაუბურტყუნა კარისკაცს, ისიც გვერდით გადგა და სიამაყით ფრთებშესხმულმა ტიტემ ისე გაიარა შესასვლელი, თითქოს გენერალი ყოფილიყოს.

ლიდიას მამას, ივანეს, ცალი ხელი გალიფეს შარვლის ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი, მეორეთი სიგარეტს ქაჩავდა და მალიმალ კვამლში ეხვეოდა. ტიტემ უცბად ვერ გაარკვია მისი ჩინი, არც ის იცოდა, რა თანამდებობა ეკავა, რა უპირატესობით სარგებლობდა ამ სამხედროთა შორის, დერეფანში მყოფნი, რატომღაც, ყველა გზას რომ უთმობდა, მაგრამ ერთის შეხედვით არცთუ უსიამო შთაბეჭდილებას სტოვებდა, მაღალი, ზონზროხა კაცის ჩამრგვალებული, თითქოს ოდნავ დასიებული სახის უხეშ ნაკვთებში, აუჩქარებელ მოძრაობასა და გამჭოლ გამოხედვაში აშკარად იკითხებოდა მისი მტკიცე, შეუვალი ნებისყოფა და ერთდროულად შვილისადმი გულში დაგუბებული დიდი სითბო და სიყვარული, — ლიდიას შეხედვისას მაშინვე გაუნათდებოდა ხოლმე სიგარეტის კვამლით ოდნავ მოჭუტული მომწვანო თვალები.

— ბიჭი კი არა, კაცია უკვე, — თქვა მან ღამენათევი, ნამთვრალევი კაცისათვის დამახასიათებელი ოდნავ ჩახლეჩილი ხმით მას შემდეგ, რაც ტიტე თვალით რამდენჯერმე აწონ-დაწონა და მერე ჰკითხა: — მაშ, თქვენ მხატვარი ხართ?

ასეთ კითხვას ტიტე ნამდვილად არ მოელოდა, რა ეთქვა? ის, რომ სამი კვირა ამაო წვალებ-წამების შემდეგ ვერ დახატა მისი ქალიშვილი (თუმც შიშველი), მარადიული სუნთქვა ვერ შთაბერა გაფრენილ წამს, მოძრაობას, რის გამო გამწარებულმა მოისროლა ფანქარიც, ფუნჯიც და სამუდამოდ უარჰყო ხელოვნებისადმი სამსახური?!. ყურებიანი ქუდი ნელ-ნელა უხალისოდ მოიხადა, აჩეჩილი თმები აუჩქარებლად გაისწორა და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ მიუგო:

— ჯერ არა, მაგრამ...

— გრომოვ ივან პეტროვიჩ, — წარუდგინა თავი კაცმა და ხელიც გაუწოდა.

— ტიტე, — ქალის ხელივით სუსტ, თითქოს ულონო, ოფლით შესველებულ ხელს ტიტემ მაშინვე თავისი თხელი, მაგრამ დაძარღვული ხელი შეაგება, — კორკოტაძე ტიტე ვარლამოვიჩ, — დააზუსტა ბოლოს.

— ოჰო!.. — მოწონებით ამოთქვა ივანემ და შვილს გადახედა, — აბა, შენ იცი, სტუმარი არ მოგვიწყინო. სხვა რომ არაფერი, ჩვენი მომავალი კადრია, — უთხრა ოდნავ ღიმილით. მე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რე შებრუნდა, კვლავ სიგარეტის კვამლში გაეხვია და თეთრი მარმარილოს საფეხურიანი კიბით ზედა სართულისკენ გაემართა.

ტიტემ მხოლოდ ახლაღა დააცეცა თვალები უაზროდ, დაძაბული მზერა ესროლა მისთვის უცხო საგნებს, ადამიანებს... სადღაც ახლოს სასადილო, ან რესტორანიც უნდა ყოფილიყო, — მადის მომგვრელი საჭმელების სუნიც იყნოსა; თითქოს ახლა გაახსენდა საკუთარი თავიც, შეეცადა გაერკვია, სად იყო, ვისთან იყო, რა შესაძლო მომავალს უქადდა ამ ხალხთან დაკავშირება-დაახლოება, მაგრამ ლიდიამ არ აცალა გონზე მოსვლა. აიარა თუ არა თეთრი მარმარილოს საფეხურები ივანემ და თვალს მოეფარა, გოგომ მაშინვე გასახდელში შეიყვანა, როგორც მასპინძელმა, თვითონვე გააძრო პალტო, კისრიდან მოხსნა ყელსახვევი, აბურძგნილ თმაში აქეთ-იქიდან შეუყარა თითები, თითქოს ჯერ აუჩეჩა, მერე დაუწყნარა, საგულდაგულოდ გადაუწ-გადმოუწია, ახლა უფრო კარგი ბიჭი ხარო, ყურში ჩასჩურჩულა და პატარა „კავალერი“ ჰალებით გაჩახჩახებულ საცეკვაო დარბაზში ხელიხელჩაკიდებული შეიყვანა.

აქ კი „გაიბრძოლა“ ტიტემ; ლიდიას ნების საწინააღმდეგოდ, უცბად შედგა და უკან გადადგა ნაბიჯი. თვითონ კი არ უნდოდა, — ისე, თავისთავად, უნებურად მოხდა ყველაფერი, — იქვე, შესასვლელი კარის გვერდით თეთრად შეღებილ კედელს დასჯილი მოწაფესავით აეკრა და გაოცებული თვალებით იქიდან გახედა დარბაზს, დარბაზში მოფუსფუსე, მოცეკვავე ხალხს...

საერთოდ, დარბაზი როგორ არ ენახა! — მით უმეტეს, პიონერთა სასახლის ხილვის შემდეგ, სადაც ყველაფერი მართლაც ბრწყინავდა და თვალისმომჭრელად ანათებდა, სხვას რაღას უნდა გაეოცებინა, მაგრამ აქაურობა სრულიად განსხვავებულად გამოიყურებოდა, ისეთად, ძალიანაც რომ გსიამოვნებს, ბევრი რამ განცვიფრებს და თითქმის აღგაფრთოვანებს კიდეც, მაგრამ იმასაც გრძნობ, რომ ყოველ საგანში უცხო გრძნობა დევს, უცხო რამ ბუდობს, ყოველ კუთხე-კუნჭულში უცხო სული ტრიალებს, რის შეგუებასაც შეჩვევა-გაშინაურებას გარკვეული დრო სჭირდება. მხოლოდ წამით შეუქანდა ტიტეს გული, — სარკესავით გაპრიალებული ეს პარკეტი, ყვითელი საცხით რომ გაეგლისათ, ტალახზე ნაკლები როდი ჩანდა,

— აბა, ფეხის აცურება აქ ნახეო, მწარედ გაიფიქრა და, ესეც მალე გადაავიწყდა. მისი მზერა სულ ახალ-ახალ საგნებისკენ გარბოდა, ახალ-ახალი აღმოჩენების აღქმას ესწრაფოდა...

თეთრად შეღებილი კედლები, ზედ რომ ჭალის ბროლებში გარდატეხილი მკვეთრი წერტილოვანი სხივები დათარეშობდნენ, მოფენილი იყო ამიერკავკასიაში განლაგებული სამხედრო ნაწილებისა და იმ ნაწილებში მომსახურე ჯარისკაც-ოფიცერთა მიღწეული წარმატებების ამსახველი ფოტო მასალებით, საბჭოთა არმიის უძლეველობისა და მისი კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების დამადასტურებელი ლოზუნგებით, მსოფლიო პროლეტარიატის ბელადების — ლენინისა და სტალინის გენიალური გამონათქვამებით, მათივე უშველებელი სურათებით და სამხედრო თემისადმი მიძღვნილი არცთუ ურიგოდ შესრულებული ფერწერული ტილოებითაც კი. როგორც ჩანდა, სხვა დროს ამ დარბაზს სხვა მიზნითაც იყენებდნენ, ვთქვათ — კრებების ჩასატარებლად, — ცალი მხარე მთლიანად სცენას ეკავა, სადაც ამჯერად სასულე ორკესტრის ათიოდე წევრი იჯდა და დარბაზის დახშულ სივრცეს რომელიღაც რუსული სიმღერის მელოდიით ავსებდნენ. მაგრამ ყოველივე მაინც დარბაზის გარეგნულ სახეს წარმოადგენდა და ტიტეს შეეძლო მისთვის განსაკუთრებული ყურადღება არც მიექცია. მთავარი აქ სამხედრო ოფიცრობა იყო (მათ მოყვანილ ქალებს თუ არ მიათვლიდა სათ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვალავში), რომელთა პროფესია ტიტეს ბავშვობიდანვე რომანტიკულად მიაჩნდა და ისედაც იზიდავდა. ახლა კი, გონებითაც იცოდა, რომ ეს ის ხალხია, ვინაც მონობისგან გვიხსნა, გაგვინადგურა ქვეყანაში კლასობრივი მტერი, სამუდამოდ მოგვანიჭა თავისუფლება და მომავალშიც მარად დაგვიცავს დამპალი, იმპერიალისტური სამყაროს შემოტევისგან; ეს ის ხალხია, ვინც ყოველ წუთს მზადაა ჩვენი კეთილდღეობისათვის დაუფიქრებლად გაიღოს საკუთარი სიცოცხლე, ჩვენკენ ნასროლ ტყვიას საკუთარი მკერდი მიუშვიროს. თავისთავად, ყოველი ქართველისგანაც სწორედ ეს ხალხი იმსახურებს უსაზღვრო პატივისცემას, მოკრძალებას და ისეთ განსაკუთრებულ სიყვარულს, ლამის მშობლიურს რომ სჭარბობს და სამშობლოს სიყვარულს უახლოვდება. აი, რომელი ხალხის წარმომადგენლები უტრიალებდნენ ცხვირწინ, სულ ერთი ხელის გაშლაზე ასე კოხტად გაპარსულ-დავარცხნილები, ლარებივით წელში გაჭიმულ-გაჯგიმულები, მბზინავ მწვანე, ხაკისფერ ფორმებში და ტყავის პრიალა ჩექმებში გამოწყობილები... ამ ახალ გარემოს, სულიერად ახლობელ, მაგრამ ფაქტიურად უცნობ ხალხს მაინც ჯერ შეჩვევა, ბოლომდე გაშინაურება და სრულყოფილად აღქმა სჭირდებოდა. ამასთან, ბაღში თურმე სულ სხვა გრძნობა გიპყრობს, ვიდრე აქ. ალბათ, იმიტომ, რომ ბაღი შენია, მშობლიურია, ათასჯერ ნანახი და ერთხელ და სამუდამოდ გათავისებული; იქ თურმე შეგიძლია ისე მოიქცე, როგორც გული მოგთხოვს, სული როგორც საამოდ მიიჩნევს; იქ კი, გამოსცდები თუ არა მგელივით მომზირალ კარისკაცს, შემოდგამ თუ არა შიგნით ფეხს, თითქოს აღარაა საქართველო, აღარაა მშობლიური ჰაერი, სული და გრძნობა; აქ ყველაფერი თითქოს უცხოა, სხვისია, რაც უნებურად გბოჭავს, ხელ-ფეხს გიკრავს. ალბათ, ამიტომ ვერ შეძლო ტიტემ უცბად თავის დავიწყება, გარე სამყაროსგან გამოთიშვა, გათავისუფლება უხერხულობის შეგრძნებისაგან, რომ მაშინდელივით, როგორც ბაღში, ყმაწვილკაცური უზრუნველობით ქვეშეცნეულად და უცაბედად ნეტარების მორევში თვალდახუჭული გადაშვებულიყო. ტიტეს გულს ჯერ ისევ საშინელი ბაგა-ბუგი გაუდიოდა, უცნაური შეგრძნებით ჯერ ისევ ცდილობდა გარკვეულიყო, სად აღმოჩნდა, ვისთან აღმოჩნდა; თავიდან თითქოს არც სიამოვნებდა ლიდიას ზედმეტი, ლამის წრეგადასული „მზრუნველობა", ამას მართლა პატარა ბავშვი ხომ არა ვგონივარო, მაგრამ ყოველ ახალ წამს ახალი მღელვარება მოჰქონდა, ახლებურად ანახვებდა საგნებს, მოვლენებს, ამასობაში ავიწყებდა თვით ლიდიას, ვინაც მოიყვანა აქ, ვის გამოც უკანასკნელი თითქმის ერთი თვის მანძილზე ამდენი იწვალა და იტანჯა, უარი თქვა ხელოვნებისადმი სამსახურზე და ამით, ალბათ, სამუდამო გამოემშვიდობა წარმოდგენილ ნეტარ ცხოვრებას, ასე რომ ამ უცხო გარემოს ჯერ მართლაც შეჩვევა, ბოლომდე გაშინაურება და სრულყოფილად აღქმა სჭირდებოდა, აქაც აღმოჩნდა ერთგვარი როდოსი, რომლის გადალახვა, დაძლევა გარკვეულ დროს ითხოვდა და ნელნელა ის დროც იწურებოდა, წვეთწვეთობით ილეოდა; ნელ-ნელა გრძნობდა, რომ ლიდიას ხელი მაშინდელივით საკმაოდ თბილი ჰქონდა, გოგო თავისი თხელი, სუსტი თითებით უჭერდა და უჭერდა უმოძრაოდ ძირს ჩამოშვებულ ხელზე, თითქოს ანიშნებდა, თვალები აქეთ-იქით რას გაგირბის, მომხედე, პრიალა ვარდისფერ კაბაში გამოკვართული ჩემი სხეული ვნებით როგორ ილვრება, ჩათქვირებული ჩემი მკერდი შენს მკერდზე შეხების მოლოდინში ზღვის მღელვარე ტალღებივით როგორ ამიდ-ჩამიდისო; თითქოს ანიშნებდა, დროა, ისეთი განწყობა შევქმნათ, მეცხრე ცაზე ასაფრენად შემზადებული ადამიანი, ცოდვილ დედამიწაზე რომ სტოვებს ყოველგვარ უსიამო თუ სხვა სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამო შეგრძნებას. გაუმართლებელ თუ გამართლებულ უფლება-მოვალეობას და წამიერი ტკბობის ნეტარი ბედნიერების მოლოდინში მხოლოდ თავდავიწყებას მისცემიაო. ასე შეიგრძნო, ასე მოეჩვენა ბოლოს ტიტეს. ამასთან, მშვენივრად ხედავდა, რომ არც ერთი სამხედრო არ დაინტერესებულა მისით (მხოლოდ ლიდიასკენ თუ გაურბოდა ზოგიერთს მადის მომგვრელი მზერა), არავის გამოუდვია თავი, ეს ვინ კაცი გვწვევიაო, — ყველა თავის ვიწრო წრეში, თავის მეწყვილესთან ერთად ან კედლის გასწრივ ჩამწკრივებულ ჩალის სკამზე მსხდომარე მხიარულად საუბრობდა, ან ცეკვავდა, ანუ ვისაც როგორ მოეხასიათებოდა, ისე ატარებდა დროს და, თვითონ რატომ უნდა გადაყოლოდა ვიღაც უცხო სამხედროებზე ფიქრს, განა მათ საცქერლად იყო აქ მოსული?!. ჰო, არ იყო და, ტიტემ ნელ-ნელა შეიგრძნო გოგოს ხელის ყრუოლის მომგვრელი სითბო, იმ ყაყანსა და სმენის დამხშობ საცეკვაო მუსიკის ხმაში ნათლად გაიგონა მისი მოხშირებული, მოუთმენელი სუნთქვა. კედელს მოსცილდა, ხევსურული ცხვრის ფაფუკი ბეწვით ნაქსოვი თეთრი სვიტერი ქვევით დაიქაჩა, ლიდიას შეხედა თვალებში და თითქმის დარცხვენილმა უთხრა:

— დავიწყოთ, მე მზად ვარ.

●

ცეკვის შესწავლის დაწყებას რა დაუდგებოდა წინ, — დიწყეს, მაგრამ ამჯერად ლიდია არ აღმოჩნდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, მზად. უფრო სწორად, ისე არ განვითარდა მოვლენები, როგორც ტიტე წარმოიდგენდა, ან როგორადაც სურდა, რომ განვითარებულიყო...

თითქოს დამდგარიყო დრო, როცა შეეძლო ტიტეს სრულიად მშვიდად ეგრძნო თავი. აქამდე არც მშობლების თვალი მოსწვდებოდა და აღარც ახლობელ-მეგობრების, რომელთა გამო ხშირად ისე მოქცეულა, მაინცა და მაინც, რომ არ სიამოვნებდა, მაგრამ იძულებული ყოფილა, დაეცვა საზოგადოდ აღიარებული მორალურ ზნეობრივი ნორმები, ეროვნულ-ქალაქური ტრადიციები. ან პირიქით, — მათი უნებლიე, დაუფიქრებელი დარღვევის შემთხვევაში, მერე გადაედგა ისეთი ნაბიჯი, რომელიც ასევე მაინცადამაინც არ იყო სასიამოვნო, მაგრამ იძულებული გამხდარა დაეცვა, ან აღედგინა იმავე საზოგადოების თუ ახლობელ-მეგობრების თვალში, მისი აზრით, ერთგვარად შელახული პატივმოყვარეობა, მეობა, პრინციპები... აქ ასეთი პირობითობა მოხსნილი ჩანდა. აქ მხოლოდ ლიდიას შეეძლო გაეკიცხა, დაერიგებინა, ესწავლებინა, ეთქვა რამე და, იგი ეუბნებოდა კიდეც: „დარაგოი მოი, ვოტ, ტაკ!..“ რაზეც მუხრუჭებშეშვებული ტიტე, წყენის ნაცვლად, ნეტარი ღიმილით ესიტყვებოდა: „დარაგაია მაია, ვოტ, ტაკ!..“ და ამას წარმოთქვამდა დარიგების მიხედვით, როცა წელზე ფრთხილად შეახებდა ხოლმე ხელს, თავს გადასწევდა უკან და ბრუნს წაუბორძიკებლად, ფეხის აუცურებლად აკეთებდა; ამბობდა გულის ფანცქალით, მაგრამ იმდენად სიამოვნებით, აღმაფრენით და მკაფიოდ, თანაც ისე მოხდენილად და დახვეწილად, რომ ზოგჯერ ეჩვენებოდა, რუსულ ენას გაცილებით უკეთესი ჟღერადობა ჰქონია, ვიდრე ჩემს მშობლიურ ქართულსო... მერე და მერე ისიც ეჩვენებოდა, რომ ძალიანაც სწორად მოიქცა, როცა ფანქარი, ფუნჯი მოისროლა, სამუდამოდ თქვა უარი ხელოვნებისადმი მონურ სამსახურზე; თითქოს ახლა აღმოაჩინა, რომ წმინდა წყლის სიშტერეა, რაღაც სრულყოფილის შექმნის მცდელობის მიზნით, დღენიადაგ ოთახში გამოკეტილი, შენთვის განმარტოვებით იჯდე და ნებაყოფლობით თქვა უარი ამქვეყნიურ ნამდვილ ცხოვრებაზე, რომელიც სიცოცხლით, სიყვარულითაა აღსავსე. ტიტეს ამჯერად მხოლოდ ასეთი სიცოცხლით ცხოვრება სწყუროდა და, რამდენადაც შეეძლო, რამდენადაც ამის საშუალებას აძ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლევდა ლიდია, მთელი არსებით და ვაჟური მოწადინებით ხარბად ეწაფებოდა. ბიჭი ახლა არა მარტო ხელით, გრძნობითაც აღიქვამდა ამ საოცარი გოგოს ვნებიანი სხეულის ბუსუსის ამშლელ სითბოს და განუზომელ ალტაცებას მოეცვა მისი გული, გაცილებით ძლიერს, ვიდრე ოდესმე უწინ, ჟამიდან ჟამზე ლამაზი გოგოს ხილვისას ან მასთან სიახლოვისას უგრძვნია, მაშინ, როცა ჯერ კიდევ მართლაც პატარა და გულუბრყვილო იყო. იქნებ ამიტომაც კვლავ მალიმალ ეკითხებოდა საკუთარ თავს: „რა ჰქვია ამას, ვითომ სიყვარული?..“ და ამჯერად შიგნიდან ვილაც აღარ მოსძახოდა, არაო, არ არწმუნებდა დაჟინებით, ასეთი სიყვარული არ არსებობსო. იქნებ ამიტომაც, მერე და მერე, ეჩვენებოდა, რომ ამ საღამოს, ამ ბდღვრიალა ჭაღებით გაჩახჩახებულ დარბაზში თითქოს პირველად იხილა ლიდია ასე განსაკუთრებული ნათლით მოსილი... მართლაც, როგორ უხდებოდა ამ საოცარ გოგოს მოქნილ, მოყვანილ ტანზე შემოტკეცული თხელი, აბრეშუმივით პრიალა, თეთრი ფურფუშელა ბაფთებით გაწყობილი ვარდისფერი კაბა; როგორ უხდებოდა, თავს რომ გადახრიდა ხოლმე გვერდზე, თითქოს უდარდელად და ამ დროს განსაკუთრებული ვნებიანი ღიმილით ელანძებოდა სახე, ვარდისფრად ულიმოდა ფუმფულა მრგვალი ლოყები. ხოლო მისი ჭროლა თვალები საკუთარი მომხიბვლელობით გაბრწყინებულნი და ოდნავ თითქოს ამღვრეულნიც, მწყურვალივით აქეთ-იქით იმზირებოდნენ... და რაც უფრო გადიოდა დრო, ეჩვეოდნენ დარბაზს, დარბაზში მოფუსფუსემოცეკვავე ხალხს, ერთმანეთს, ლიდიას მართლაც ღვთაებრივი ტანის ხილვით ტიტე ვერადავერ ძღებოდა, შეუცნობი ძალა უფრო მეტი მოუთმენელი წადილით ექაჩებოდა მისკენ, აქეზებდა, უფრო ახლოს მიდი, წელზე ხელი უკეთ გამოსდეო, მაგრამ იმავდროულად რაღაც აშინებდა, გოგოს თოვლივით თეთრ კანზე შეხება, ჩათქვირებულ მკერდთან მიახლოება საშინლად აკრთობდა, იდუმალ კანკალსა და თრთოლას აღუძრავდა. რა თქმა უნდა, გოგოც არ ჩანდა ბიჭისადმი გულგრილი, ცივი და უკარება, ჭირვეული და მიზეზიანი (პირიქით თუ არ ითქმოდა), ამასთან, იგი მაინც სამიოდე წლით უფროსი იყო ტიტეზე, სათანადოდ — უფრო გამოცდილიც და ძალიან კარგად ხედავდა, კაცობაში ახლად ფეხშედგმული ბიჭის „გასაჭირს“, რაც, ერთის მხრივ, კმაყოფილებით აღავსებდა, ახარებდა და აამაყებდა, მაგრამ პატარა „კავალერი“ მაინც არ მიაჩნდა იმად, ვისაც შეეძლო მისი ვნების დაცხრომა, ქალური მოთხოვნილებების ბოლომდე დაკმაყოფილება. ამიტომ, მერე და მერე, ისე იჭერდა თავს, ისე იქცეოდა, რომ ცდილობდა ტიტეს გარდა სხვაც დაეთრგუნა თავისი ჰარბი გულდაჯერებული სიკეკლუცით და ერთგვარი წესიერებით. როგორც კი მუსიკოსები შეწყვეტდნენ რიგით საცეკვაოს დაკვრას და შეემზადებოდნენ შემდგომისათვის, გოგო განგებ სცილდებოდა „კავალერს“, მერე წამოვიდოდა მისკენ მოქნილად, რონინით, რხევა-რწევით, დაელოდებოდა, ვიდრე ბიჭი დარიგებისამებრ გაუწვდიდა ხელს, მადლობას უხდიდა თავის მდაბლად დაკვრით, თან უწონებდა საქციელს და მხოლოდ ამის შემდეგ იწყებდა ახალი ცეკვის, ახალი ილეთების სწავლებას. მისი ასეთი საქციელი ბუნებრივად იპყრობდა იქ მყოფთა ყურადღებას, ამიტომ თითქმის ყოველი მხრიდან უჭვრეტდნენ (განსაკუთრებით კაცები) და თვითონაც, მათი ხარბი ცქერის უაზრობის, გასაქარწყლებლად, დროდადრო რაღაც რუსული ინტონაციური წამოკივლებით ცალ ფეხზე ჩიკორივით დაბზრიალდებოდა ხოლმე, რაზეც ზოგიერთის აღტაცებულ შეძახილს და ტაშის დაკვრასაც იმსახურებდა. ხოლო, თუ ტიტეს გაოგნებასაც განიზრახავდა, მაშინ, ვითომ ანაზღეულად, რაიმე არსებითი მიზეზის გარეშე ხელს მიადებინებდა ხოლმე ჩათქვირებულ მკერდზე,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოტა ხნით ზედ აჩერებინებდა და მერე თვითონვე ტკბებოდა ბიჭის დაბრეცილი თვალების ცქერით. ტიტე ამ დროს გულში ფიქრობდა, ო, რა მზაკვარიაო, მაგრამ იმასაც ხედავდა, ლიდიის გარე-გარე რომ გაურბოდა მზერა, დაეძებდა ვიღაც სხვას და, იმასაც გრძნობდა, სწორედ იმ „სხვის" შესახედად აკეთებდა ყველაფერს. დიახ, თვალები დაგეშილი ძაღლივით გაურბოდა უფრო დაღვინებული, „საქმეში გაწაფული", გამოცდილი ოფიცრებისკენ, რომლებიც ასევე შორიდან უღიმოდნენ, ვითომ მალულად ზოგჯერ თვალსაც უკრავდნენ და რაღაცას ანიშნებდნენ, რაზეც ლიდია მოჭარბებული სიცილ-კისკისით და თავისებური განაზებით პასუხობდა. ყოველივე კი იმით დასრულდა, რომ ერთ-ერთი რიგითი შესვენების დროს, როცა გოგომ ტიტეს ურჩია ცოტა ხნით დასვენება, თვითონ ვიღაც მწითურულვაშა და წარბქერა ოფიცერთან მივიდა და მასთან ერთად უცბად სადღაც გაქრა.

ეს კი აღარ მოეწონა ტიტეს, სახტად დარჩენილმა და ჯერ ისევ აგზნებულ-ატაცებულმა, მაშინვე გაიფიქრა, სად ჯანდაბაში წავიდაო და, პასუხი რომ ვერ მოუძებნა, კვლავ ჩაეკითხა საკუთარ თავს: „ვითომ საპირფარეშოში?.. მერედა, იმ მწითურულვაშასთან ერთად?.. ან რა აკავშირებს იმ საფრთხობელასთან?..".

არა, ჯერ პასუხები არ ჩანდა. არც თავი უმუშავებდა ჯერ . ისე, რომ საერთოდ რაიმეს სალად განსჯა შეძლებოდა. მას ჯერ ისევ ძალუმად უცემდა გული, ამღვრეულ-აქაფებული სისხლი ჯერ ისევ უდუღდა და უჩუხჩუხებდა, თვალებში აწვებოდა და მხედველობას უხშობდა, საფეთქლებს ატკიებდა... ნელ-ნელა გაერიდა მოცეკვავე წყვილებს, შემოსასვლელი კარის მოპირდაპირე კედელთან თავისუფალ სკამზე დაჯდა, გახურებულ-გავარვარებული ხელები ლაჯებს შორის მოიქცია და ალაპლაპებული თვალები ირგვლივ უაზროდ დააცეცა.

ლიდია იგვიანებდა...

მოვლენების ასეთი განვითარება, რა თქმა უნდა, ერთგვარად ხელყოფდა თავმოყვარე ტიტეს ყმაწვილკაცურ პატივმოყვარეობას, რის ატანაც აუღელვებლად არ შეიძლებოდა, ვერც ახერხებდა, ამიტომაც გასჩენოდა მოშვილდულ წარბებს შორის პატარა ნაოჭი, ატკეცოდა სახე, თვალებში კი, დროდადრო ბრაზნარევი ცეცხლი აუგიზგიზდებოდა ხოლმე, მაგრამ ლიდიას საქციელი ახლა ისე აღარ სწყინდა, ისე აღარ აღიზიანებდა, როგორადაც მაშინ, ბალში ყოფნისას რომ ეწყინა და გაღიზიანდა. ახლა შედარებით იოლად, თუ შეიძლება ითქვას — ვაჟკაცურად იტანდა „მარცხს", თითქოს მშვიდდებოდა კიდეც და საშუალება ეძლეოდა დაწყნარებულ გუნებაზე კიდევ ერთხელ გადაემოწმებინა თავისი შეხედულებები იმ ხალხზე, რომელთა პროფესია ბავშვობიდანვე იზიდავდა, რომანტიკულად მიაჩნდა და, რომელთა წარმომადგენლები ახლა მის წინ ირეოდნენ, დარბაზში შემოდიოდ-გადიოდნენ, ცეკვავდნენ, აქეთ-იქიდან სკამებზე ესხდნენ და ერთმანეთში საუბრობდნენ, მოყვანილ ქალებთან ღლაბუცობდნენ, შიგადაშიგ კამათობდნენ კიდეც. განსაკუთრებით მარჯვნივ მჯდომი შედარებით ხნოვანი ოფიცრები აქტიურობდნენ, — ისე ხმამაღლა უმტკიცებდნენ ერთმანეთს საკუთარ მოსაზრებებს რომელიღაც საწრთვნელი სწავლების დროს ტაქტიკაში დაშვებულ რაღაც შეცდომებზე, რომ იმ ყაყანში ტიტეს ყურს თითქმის ყველა სიტყვა სწვდებოდა, რასაც ისინი წარმოთქვამდნენ. მერე ვიღაც ტუხაჩევსკის გადასწვდნენ, რომ არ გავეყიდეთ, ამდენი ოფიცრობა ციხეში არ აღმოჩნდებოდა, არ დაიხვრიტებოდა და ახლა არმიაში მაღალპროფესიული კადრების ასეთი ნაკლებობა არ გვექნებოდაო. აქ ფინელებთან ომი გაიხსენეს, მანერჰაიმის ხაზი ხომ მაინც დავუნგრიეთო. ესპანეთში ნაწვნევ მარცხზეც აწუწუნდნენ, რესპუბლიკელებთან შეუთანხმებლად

ვმოქმედებდით, თანაც გერმანელები მიეხმარნენ, თორემ მარტო ფრანკორას დაგვაკლებდაო. იქ ჰიტლერის მოქმედებაში შეიტანეს ეჭვი, ურთიერთთავდაუსხმელობის პაქტზე სტალინმა ხელი კი მოაწერინა, მაგრამ იმ ავსტრიელმა ეფრეიტორმა ისე გაინავარდა ევროპასა და აფრიკაში, არ გაგიკვირდეთ, მალე ჩვენც თუ მოგვიტრიალდაო. ერთი სიტყვით, მოუხსენიებელი არც ფაშიზმის სულისჩამდგმელი ვიღაც მუსოლინი დატოვეს, არც ურია რუზველტი თუ კონსერვატორი ჩერჩილი და არც აღმოსავლეთში მილიტარისტულად განწყობილი სამურაების ქვეყნის იმპერატორი, თურმე მთელ აზიას ღიმილ-ღიმილით რომ იპყრობს და ჩვენს მიწებზეც აცხადებს პრეტენზიებს... ტიტეს იმ წუთებში არავისი ჯავრი არ ჰქონდა, — თავისი თავი გასჭირვებოდა, ამიტომ სულაც არ აინტერესებდა, ვის რა აწუხებდა, ვინ რას იტყოდა, მაგრამ გაგონილ-მოსმენილმა ცოტა შეააწუხა და უნებურად გაიფიქრა, ამათ ან ყური აკლიათ, ან სასმელი მორევიათ, ან, საერთოდ გამოტვინებულან, ასეთ საკითხებზე ასე ხმამაღლა ლაპარაკი ვის გაუგონიაო. ისიც გაიფიქრა, სიფრთხილეს თავი არ სტკივა, რა ვიცი, რა ხალხია, იქნებ სამხედრო საიდუმლოებებზე საუბრობენ და, რომ მიხვდნენ, მეც მესმის, მერე რაიმე ხათაბალას არ გადამყარონო. საჭირო ჩანდა, სასწრაფოდ გასცლოდა იქაურობას, გადაენაცვლებინა სხვა ადგილზე, მაგრამ არც ამის გაკეთება აღმოჩნდა ადვილი. თითქოს სკამზე დაულურსმიათო, გავა ვერ ასწია მაღლა, ხელები ვერ ამოაძრო ლაჯებიდან, წელში ვერ გაიმართა, მხოლოდ თავი შეაბრუნა ოდნავ და ქურდულად გააპარა მზერა მოკამათეებისაკენ; გააპარა და უარესად შეწუხდა: მისი ნაქები ოფიცრები, შეიძლება ითქვას, ღორებივით გალეშილები ჩანდნენ. და განა მარტო ესენი?!

თითქოს ახლა იხილა პირველად, უფრო სწორად, ახლა მიაქცია ყურადღება ტიტემ იმას, რომ მისი სათაყვანებელი სამხედროები წყვილ-წყვილად თუ ცალ-ცალკე მალიმალ გადიოდ-შემოდიოდნენ და შემომსვლელები უფრო გალაღებულები და გამაძღრები ჩანდნენ, ვიდრე გამსვლელები. თანაც, ეს საგანგებოდ დავარცხნილ-გაპარსული, გაწკეპილ-გაკოხტავებული ოფიცრები სულ რაღაც საათნახევარში იმდენად მოშვებულ-მომჩვარულიყვნენ, ზოგიერთ მათგანს ისე დაბრეცილ-დაღრეცოდა სახე, უშნოდ ამოჩეჩოდა ხაკისფერი ხასხასა ფორმის გიმნასტურა წელში გაჭერილი ბრტყელი ქამრიდან, რომ გეგონებოდათ, მათ თავზე ტაიფუნს გადაუვლიაო.

ტიტემ ისედაც იცოდა, გაგონილი ჰქონდა, რომ რუსებს ძალიან უყვართ სასმელი, განსაკუთრებით — არაყი; არაყმა კი უცბად იცის კისრის მოტეხა. საკუთარი თვალითაც რამდენი უნახავს ქუჩაში გაგორებული, მაგრამ ამდენი გამოთაყვანებული ერთად, თანაც სამხედრო ოფიცერი, ცხოვრებაში ნამდვილად არ დაენახა და ცოტა შეცბა, ცოტა ეწყინა. ესეც ჩემი სანაქებო, რომანტიკული პროფესიის წარმომადგენლებიო, გულდაწყვეტილმა გაიფიქრა და მაშინვე წამოდგა, დარბაზში ყველაზე თავისუფალი ადგილი მოათვალიერა. მერე იქაურობას ფრთხილად გაერიდა, ერთ-ერთ საკმაოდ მოზრდილი ფერწერული ნამუშევრის წინ შედგა და, ვითომ ძალიან აინტერესებდა, ამღვრეულ-ალაპლაპებული თვალები ზედ მიაშტერა; სინამდვილეში კი, ათასნაირი დამთრგუნველი აზრი უტრიალებდა თავში და უკვე იმის წარმოდგენაც აწუხებდა, რომ ახლა, ალბათ, ლიდია იმ საფრთხობელა მწითურულვაშა ოფიცერთან ერთად სასადილოში თუ რესტორანში ბრძანდებოდა და არაყს მიირთმევდა...

●

დიდხანს არ მოუწია მარტოს დგომა. სულ მალე გვერდით ვიღაც ახმახი სამხედრო ამოუდგა.

— რაო, მოგწონს? — ღინჯად ჰკითხა მან მცირეოდენი დუმილის შემდეგ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიტე ოდნავ შეირხა, მაგრამ მისკენ არ შებრუნებულა, ხმაზე ისეც იცნო, რომ იგი ლიდიას მამა იყო.

— არც იმდენად, — დაუბრუნა ტიტემ პასუხი მას შემდეგ, რაც ნახატი მართლაც შეათვალიერა და უხალისოდ დაამატა.— ალბათ უკეთესი ფერების გამოყენება შეიძლებოდა.

— ჰოო?.. — ოდნავ გაიკვირვა ივან პეტროვიჩმა.

— არც კომპოზიციაა სრულყოფილი, — განაგრძო ტიტემ, — სივრცე არ ჩანს... თანაც, ტანკს არა უშავს, მაგრამ ტანკისტს, სახურავიდან რომ ამოუყვია თავი, სიცოცხლე აკლია; არ იგრძნობა მოძრაობა.

ტიტემ ახლაღა შეხედა ივანეს. მას ერთი ხელი კვლავ გალიფის შარვალის ჯიბეში ჰქონდა ჩაყოფილი, მეორეთი მხრჩოლავი სიგარეტი ეკავა. ივანემ წამით გადახედა ბიჭს ოდნავ მოჭუტული მწვანე თვალებით, მერე ნახატს დააბჯინა შემფასებლის გამჭოლი მზერა და არცთუ კმაყოფილმა ამოთქვა:

— ვითომ?..

სად იყო და სად არა, ლიდია მოიჭრა უცბად, კაცებს შორის ჩადგა, ჯიბეში ჩაყოფილ ხელზე ჩამოეკიდა მამას, უაზროდ დააცეცა თვალები და გაკვირვებულმა იკითხა:

— რა მოხდა?

— არაფერი, — დუდუნით მიუგო ივანემ. — ნამუშევარი დამიწუნა; დამიწუნა კი არა, გამინადგურა.

„ესეც ხათაბალა!..“ — რეტი დაესხა ტიტეს. დიდი მიხვედრა არ სჭირდებოდა, რომ სისულელე ჩაიდინა, სასტიკად შეურაცხყო კაცი, დაამცირა და დაამდაბლა, პირდაპირ მიწასთან გაასწორა ადამიანი, რომელიც თურმე სამხედრო საქმიანობის მიუხედავად, ხატვითაც ყოფილა გატაცებული, გამოფენებსაც აწყობს და ამით, ალბათ, ამაყობს, თავს იწონებს საზოგადოებაში!.. ტიტეს გულწრფელი ბოდიშის მოხდის სურვილი გაუჩნდა, პირიც კი დააღო რაღაცის სათქმელად, მაგრამ ივანემ დაასწრო:

— ჰო, რისთვის ჩამოვედი... — თქვა მან და უშველებელ მაჯის საათზე დაიხედა. — გეყოფათ, — გადაჭრით განაცხადა. — გვიანია უკვე. სახლებში წასვლის დროა. — მერე ტიტეს მიუბრუნდა, — თქვენ რას იტყვით?

რაღა ეთქმოდა ტიტეს, — მაშინვე დაეთანხმა, მართალი ბრძანდებითო და ცოტა გულზეც მოეშვა, რომ მისგან განაწყენებული კაცი მაინც რაღაცას ეკითხებოდა, ესე იგი, რაღაცად თვლიდა. მაგრამ ლიდია თავნება, ნებიერი ბავშვივით გაჭირვეულდა, ტუჩების პრანჭვასა და თვალების ბრეცას მოჰყვა, ციტა ხნით კიდევ ვიქნებითო, რაზეც მამის მკაცრ წინააღმდეგობას წააწყდა; ბოლოს კი შეთანხმდნენ: ლიდია მხოლოდ ათ წუთს იცეკვებდა და მერე უთქმელად „წაცუნცულდებოდა“ შინ.

— მოკლედ, — თქვა ბოლოს ივანემ და კვლავ ტიტეს მოუბრუნდა: — მე ჯერ აქ ვრჩები, საქმე მაქვს, იმედია, ქალიშვილს ქუჩაში არ მიმიტოვებთ... ტიტე ვარლამოვიჩ, არა?

— დიახ, — ღიმილი მოერია ტიტეს.

— ტიტე ვარლამოვიჩ, — გაიმეორა ივანემ, — თუ ისურვებთ და თქვენს ნამუშევრებს მოგვიტანთ, გამოფენას მოგიწყობთ. მხოლოდ, ჩვენც უნდა მოგვეწონოს. ასე არაა?

თქვა ეს მან თუ არა, პასუხისთვის არ დაუცდია, მაშინვე შებრუნდა, აუჩქარებელი ნაბიჯით გაემართა გასასვლელისკენ და ისე მიეფარა თვალს, უკან ერთხელაც არ მოუხედავს.

მიეფარა თუ არა თვალს ივანე, ახსნა-განმარტებისთვის დრო არ დაუხარჯავს, ლიდიამაც სასწრაფოდ აკოცა ტიტეს ლოყაზე, მაშინვე სირბილით მიიჭრა იმ ვილაც მწითურულვაშასთან და მასთან ერთად ისე ლაღად, თავდავიწყებით დაბზრიალდა, რომ ათი წუთის განმავლობაში ერთხელაც არ გაუხედავს მის მიერვე დაპატიჟებულ დარბაზის კუთხეში გაოგნებულად მდგარ თავმოყვარე ბიჭისკენ...

ტიტე ერთხანს მართლაც გაოგნებუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი იდგა, შეაცქეროდა ლიდიას, რომელიც მოცეკვავე-მობანცალე წყვილებს შორის ხან გამოჩნდებოდა და ხანაც იმალებოდა. თავისთავად. ქართული ბუნებიდან გამომდინარე, გულს სტკენდა მისი უპატივცემლო, თავნება, ურცხვი მოქმედება. მაგრამ ამჯერად ივან პეტროვიჩის ნათქვამი უფრო აფიქრებდა, ცოტა აეჭვებდა და ცოტა თრგუნავდა კიდეც. ხუმრობა ხომ არ იყო, კაცმა პირობა აღუთქვა, გამოფენას მოგიწყობთო!... ვითომ იყო სარწმუნო, რასაც შეჰპირდა?... ან ვითომ, რატომ არ იყო?.. „წარმოუდგენელია... ნამდვილად დაუჯერებელია..." — ჯიბრზე მოსძახოდა შიგნიდან ტიტეს ვიღაც და ვერაფრით გარკვეულიყო, რა ტრიალებდა მის თავს. სად, ვისთან აღმოჩნდა. რა მომავალს უქადდა ამ ხალხთან დაკავშირება, შემდგომი ურთიერთობა. ისიც ხომ იცოდა, არა ერთ ჭეშმარიტ მხატვარს სიცოცხლეში გამოფენა რომ არ ღირსებია, ზოგს ლუკმაპურის საშოვნელად ერთი ნახატიც ვერ გაუყიდია; ესენი კიდევ, თხუთმეტი წლის ლლაპს ჰპირდებიან, გამოფენას მოგიწყობთო... ეს ხომ აღიარებაა!.. ეს ხომ დიდი ხელოვნებისაკენ მიმავალი გზის გახსნაა!..

„არა, მართლა დიდებული ხალხი ყოფილა, ნამდვილად დიდებული ხალხი", — დაასკვნა ბოლოს ტიტემ და სულაც აღარ უკვირდა, რომ დარბაზში უთავბოლოდ მოყაყანე, გამომთვრალ-გამობყუტული სამხედროების ცქერა მასზე გამაღიზიანებლად აღარ მოქმედებდა, „თუ არა, ვის არ უყვარს სმა?.. — გამოსავალს ეძებდა და პოულობდა კიდეც. — განა მამაჩემი ამათზე უარესად არ გამომტყვრალა?.. ჩვენ ღვინო გვიყვარს, რუსებს — არაყი; არაყი კიდევ, მალე თიშავს ადამიანს. აი, მთელი განსხვავება! და რა, სამხედროები ადამიანები არ არიან?!."

რა თქმა უნდა, სამხედროებიც ადამიანები იყვნენ და რასაც ისინი სჩადიოდნენ, რა სახითაც ამჟღავნებდნენ ეროვნულ თუ პირად თვისებებს, ადამიანური მოთხოვნილებების დაკმაყოფილების თავისებურ. მაგრამ ბუნებრივ გამოვლინებად უნდა აღქმულიყო, ან ვინ იცის, სამხედროები რომ იყვნენ, იქნებ სწორედ ამიტომაც სწყუროდათ მათ გართობა, ქალი თუ სასმელი. და რადგან ამის საშუალება იშვიათად ეძლეოდათ, ხარბად ეწაფებოდნენ ერთსაც, მეორესაც და მესამესაც. მით უმეტეს, დაზღვეულები თურმე არც ესენი ყოფილან. ხალხის მტრები ამათშიც არსებულან; ერთ ვიღაც გამყიდველ ტუხაჩევსკის ზედ თუ ამდენი ოფიცრობა წააკლეს, ხომ შეიძლება, ხვალ ვიღაც სხვას, ესენიც მიაყოლონ?.. იქ კიდევ, ჰიტლერმა ისე გაინავარდა ევროპასა და აფრიკაში, გასაკვირი არ იქნება, ხვალ ჩვენც შემოგვიტრიალდესო; ესე იგი, ხვალ შესაძლოა სიკვდილის პირისპირ აღმოჩნდნენ!..

ყველაფერ ამაზე ფიქრობდა ტიტე და ცდილობდა გაეგო ამ ხალხისთვის, ახლოს მიეტანა მათი გასაჭირიც, მაგრამ ლიდიას თავნება საქციელს გამართლებას მაინც ვერ უძებნიდა. დროდადრო გულის ფანცქალით უჭვრეტდა ანცი გოგოს ვნებით ანთებულ სვებედნიერ თვალებს. მწითურულვაშა და წარბქერა ოფიცერს რომ ეკეკლუცებოდნენ და პატივმოყვარე ბიჭს უნებურად კაეშანი იპყრობდა. როგორც განსაზღვრა. ლიდიამ იგი უარყო; უარყო, როგორც მამაკაცი და ეს აღმოჩნდა ყველაზე მეტად გულსატკენი. სწორედ ამის გამო ბოლო წუთებში სტანჯავდა დამამცირებელი უაზრობა — კაცი იყო და, მას კი ჯერ ისევ ბავშვად სთვლიდნენ...

ასეთი დამამცირებელი საქციელის ატანა, უპასუხოდ დატოვება არ ჩანდა იოლი, არც სურვილი ჰქონდა ტიტეს, რომ დაემალა, ბურუსში გაეხვია თავისი წყენა და, როგორც კი ინება ლიდიამ შინ წაბრძანება, გამოეხსნა იმ ვიღაც მწითურულვაშას (უფრო სწორად, მან მიატოვა, ლიდიას სასმელი ამჯობინა და სასადილოში თუ რესტორან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში თავის „ამფსონებს“ გაჰყვა!), და როდესაც გასახდელში გამოვიდნენ ჩაბარებული ტანსაცმლის ასაღებად გულმოსულმა მოურიდებლად ჰკითხა:

— რატომ გამცვალე?

შეემჩნა, ასეთ შეკითხვას ლიდია არ მოელოდა, ცოტა შეცბა იგი, მაგრამ იმდენად კარგ ხასიათზე ბრძანდებოდა (არყისგან თუ სხვა რამისგან), არც წყენა გამოუხატავს და არც გაკვირვება. ის კი არა, ალმოდებულ ლოყაზე აკოცა და ყურში ჩასჩურჩულა:

— იმიტომ, რომ... იმიტომ!

„ჰო, ქალბატონმა უარმყო უპირველესად, როგორც კაცი, ამას წყალი არ გაუვა“, — გაიფიქრა ტიტემ, უარესად აელეწა სახე და რამდენადაც შეძლო თვდაჭერილი სიმკაცრით განუცხადა:

— მხოლოდ, იცოდე, მე ბავშვი არა ვარ.

ლიდიამ გაცინება დააპირა, მაგრამ მაშინვე ხელი პირზე იტაცა. მერე ცოტა მოფერებით, ცოტა შერიგების მიზნით მკლავზე მოეჭიდა, შებრუნ-შემობრუნება სცადა გაყვინჩული ბიჭის, სინამდვილეში ჩათქვირებული მკერდი იმ მკლავზე გაუსვ-გამოუსვა და ისე გამოიყვანა ოფიცერთა სახლიდან, ხელი აღარ გაუშვია.

— ახლა შენც იცოდე, — თითქმის ჩურჩულით და ოდნავი მღელვარებით უთხრა მან, როცა იმ ადგილს გასცდნენ, სადაც ორი თუ სამი ბიჭი იდგა, — თქვენმა ქართველმა ბიჭებმა თუ გამაჩერეს, შენ ხმას არ ამოიღებ. გაიგე? ხმას არ ამოიღებ. მე თვითონ...

— ვინ ბიჭებმა? — გარკვევა სცადა ტიტემ.

— უკან არ მიიხედო, — უთხრა ლიდიამ და წინ გაქაჩა, — ზოგჯერ ამედევნებიან ხოლმე. ახლაც, ვგონებ, დამინახეს.

— ნუ გეშინია, — სახეზე ღიმილი მოადგა ტიტეს, უნდოდა ეთქვა, ისე დავუსიებ თავ-ყბას, ერთმანეთს ველარ სცნობდნენო, მაგრამ გოგომ უფრო მეტი მღელვარებით და ერთგვარი ზიზღითაც ჩაილაპარაკა:

— ვიღაც ხულიგნები არიან. ერთხელ დანითაც დამადგნენ...

ეს კი აღარ იყო სასიამოვნო. ტიტეს რეჩხი უყო გულმა. შიშმა თავი შეახსენა. მაშინვე ყურთასმენა დაძაბა და მდგომარეობაში გარკვევა სცადა, მართლა ემუქრებოდათ საფრთხე, თუ ასაღელვებელი არაფერი ჰქონდათ.

ქალაქი თითქოს უკვე ჩაძირულიყო სუსხიანი ზამთრის ღამეულ სიმყუდროვეში, მაგრამ პროსპექტი, სადაც მიაბიჯებდნენ, ჯერ ისევ ცოცხლობდა, ისევ მუშაობდა კინო თუ თეატრი, ზოგიერთი მაღაზია. ალბათ, არ ეძინა ოხერს და მამაძაღლსაც, სადღაც, ალბათ, საფრთხე იყო ჩასაფრებული, თუმც სწორედ ამ დროს იწყებდნენ ნამდვილ მუშაობას წესრიგისა და მოსახლეობის უსაფრთხოების დამცველნიც!... აგერ, გადამკვეთი ქუჩის კუთხესთან შავი ტყავისქურთუკიანი და შუბლზე ქუდჩამოფხატული კაცი კედელს მიყრდნობილი სიგარეტს ქაჩავს; სადღაც სახალხო მილიციელმაც დააბუყბუყა სასტვენი; შუა პროსპექტი ზარის წკრიალით გაარღვია მოგრიხინე ტრამვაიმ; ჰყვიტინ-ჰყვიტინით შეათრთოლა გათოშილი სივრცე შავმა „ემადინმა“ და თავისებურად შეაფრთხო თუ შეახსენა თავი ქვეყანას. ხალხის ყველა ჯურის მტრებო და მოღალატეებო, ქურდბაცაცებო, ჯიბგირებო და ხულიგნებო, ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჩვენ ახლა ვიწყებთ ნამდვილ მუშაობასო (ტიტეს მამაც ხომ შავი ემადინით დადიოდა!). ამიტომ, წესიერი, პატიოსანი ადამიანისათვის საშიში არაფერი იყო, მათ შეეძლოთ მშვიდად ცხოვრება, მსოფლიოში ყველაზე საამურ, თავისუფალ ქვეყანაში უშიშრად, თავისუფლად სიარული. თავისთავად, ტიტესაც საფრთხე არსაიდან ემუქრებოდა. ან ვინ რას გაუბედავდა, ვის ჰქონდა ათი თავი, შეურაცხყოფა მიეყენებინა, თითი დაეკარებინა, როცა მისი მამის შიშით მთელს ამ რაიონს აკანკალებდა!.. ასე ფიქრობდა ტიტე, ასეთი აზრებით იმშვიდებდა გულს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ლიდიამ მალე ისურვა პროსპექტის გადაჭრა, მერე ერთ ვიწრო, ჩაბნელებულ, თითქმის უკაცრიელ ქუჩაში ქარივით შეიჭრა და თან გაიტაცა ბიჭის მოჩვენებითი სიმშვიდეც. აქ კი, ნამდვილად აღარ ჩანდა საშველი, თავის დაღწევის მშვიდობიანი საშუალება, მოძალადეები თუ წამოეწეოდნენ, ან უფრო უარესი — წინიდან გადაუდგებოდნენ; აქ შეიძლებოდა ფრთები გაეშალა ბოროტებას, ყველა ყაჩაღსა და ხულიგანს, გემოზე მიებეგვათ პატიოსანი ადამიანი; წინააღმდეგობას თუ წააწყდებოდნენ, დანაც გაეყარათ მისთვის მუცელში, ბოლოს და ბოლოს, მოეკლათ!.. არადა, თითქოს უკნიდან ვიღაც მართლაც მოსდევდათ, ერთი თუ ორი, ან იქნებ მეტიც, — მათი ფეხის ხმა თანდათან უფრო მკაფიოდ მოისმოდა, ესე იგი, უახლოვდებოდნენ, სადაცაა, ალბათ ხელსაც სტაცებდნენ. და აი, სწორედ ამ დროს გასრულდა ვიწრო, ჩაბნელებული ქუჩა, ლიდიამ შეუხვია მარჯვნივ, არანაკლებ ბნელსა და ვიწრო ქუჩაზე, არბენინა ცოტა და ერთ-ერთ სამსართულიანი სახლის შესასვლელში გიჟივით შევარდა, რა თქმა უნდა, ტიტესთან ერთად.

მთელი ამ ხნის განმავლობაში, განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც ბნელსა და უკაცრიელ ქუჩაში აღმოჩნდნენ, შესაძლო მოსალოდნელი საფრთხის შიშით ტიტეს საოცრად უცემდა გული, სტკიოდა საფეთქლები და თვალები, მაგრამ უფრო მეტად აწუხებდა ყმაწვილკაცური პატივმოყვარეობა, უფრო მეტად ბრაზობდა საკუთარ თავზე, რომ რასაც იგი სჩადიოდა, რასაც ამ დროს გრძნობდა და განიცდიდა, იმას სიმხდალე ერქვა. სიმხდალე ერქვა იმას, რომ დამფრთხალი კურდღელივით, შეშინებულ გოგოსთან ერთად თვითონაც უკან მოუხედავად გარბოდა, ერთი სული ჰქონდა, რამენაირად გადაერჩინა საკუთარი თავი, დროულად გაეღწია სამშვიდობოს და ყასიდადაც არ უცდია შეჩერება, საქმის ბოლომდე გარკვევა, ბოლოს და ბოლოს, ვიღაც ხულიგნებთან შებრძოლება, თუ ამას მდგომარეობა მოითხოვდა. აბა, რისთვის დადიოდა კრივზე? რისთვის ისწავლა ისეთი დარტყმები, მოწინააღმდეგის გათიშვა და მიწაზე დანარცხება რომ შეუძლიათ? ან იმასთან მაინც არ გამოემჟღავნებინა მამაკაცის ეს ყველაზე სულმდაბალი, უღირსი თვისება, ვისაც ორიოდ წუთის წინ გაყვინჩულმა განუცხადა, მე ბავშვი არა ვარო... საჭირო იყო შელახული პატივმოყვარეობის სასწრაფოდ აღდგენა და თითქოს იპოვა კიდეც გამოსავალი:

— ლიდია, რა ხდება, რატომ მარბენინე, ან აქ რა გვინდა? — ვითომ ვერაფერი გაიგო, მართლა რაც ხდებოდა, თან ერთგვარი უკმაყოფილება ჩააქსოვა სიტყვებს, მაგრამ, როგორც ჩანდა, საფრთხეს ბოლომდე ჯერ არ ჩაევლო: ლიდიამ ტუჩებზე თითის მიდებით ანიშნა გაჩუმდიო და, წინააღმდეგობის გაუწევლად დაჰყვა მის მოთხოვნას, მას შემდეგ ხმა აღარ ამოუღია. მით უმეტეს, ამ დროს ლიდიამ თან ლოყაზე აკოცა და მართლა ვერაფერი გაიგო, რა ხდებოდა. მხოლოდ თვალები დააცეცა სიბნელეში უაზროდ, ახლა იმაზე დიწყო ფიქრი, როგორ დაეცვა თავი, ხულიგნები აქაც თუ მოაგნებდნენ...

ძველებური სახლის მოუვლელობით კედელდარღვეული და აქა-იქ აგურგამოცლილი, უკუნეთ სიბნელეში გაყურსული უკარო სადარბაზო, როგორც ემჩნეოდა, ვერ გამოდგებოდა სრული უსაფრთხოების საგარანტიო თავშესაფრად. პირიქით — ძალიანაც კარგი ადგილი იყო ხულიგნებისათვის თავიანთი ბნელი, ბინძური საქმეების განსახორციელებლად. კაციშვილის ჭაჭანება არსაიდან ჩანდა, არავინ ადიოდ-ჩადიოდა კიბეზე, თითქოს ყველანი ერთდროულად დახოცილანო; ადამიანის სუნთქვა არსაიდან ისმოდა. ამას, ალბათ, ლიდიაც მიხვდა, ან ასეთი გამოცდილება უკვე მიღებული ჰქონდა; სადარბაზოს სცნობდა, — კედელ-კედელ დაუბრკოლებლად ფეხაკრეფით

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახოხდა, თან გაქაჩა ტიტე, სადღაც გაქრა ტიტე, სადღაც გაძვრა, თავდაღუნული ვიწრო შესასვლელში შეძვრა და უცბად კიბის ქვეშ აბლაბუდების ქსელებით მოფენილ და ნაგვის შმორით გაჟღენთილ დახშულ სათავსში აღმოჩნდნენ.

გაოგნებულ-დაბნეულმა ტიტემ ვერ გაარკვია სად მიათრევდა ლიდია, სიბნელეში ვერ მოზომა „თავშესაფრის" სიმაღლე, შუბლი ლამის მიარტყა თავზე გადმოხურული დამრეცი კიბის საფეხურის ქიმს, მაგრამ ლიდიამ იმარჯვა, კატასავით სწრაფი მოძრაობით გაქაჩა თავისკენ, იქით, სადაც წელგამართული დგომა შეიძლებოდა და მაშინვე ხელები შემოაჭდო მკლავებზე, ტანზე მიიზიდა, ზედ მიიკრა...

ტიტე აქამდე ნოკდაუნდში ჩავარდნილს ჰგავდა, უაზროდ დაბოდიალებდა და იქით მიათრევდა ფეხებს წინააღმდეგობის გაუწევლად, სადაც ლიდია ექაჩებოდა; აღარც ის იცოდა, საიდან ელოდათ საფრთხე, ან საერთოდ ელოდათ თუ არა; გადიოდა დრო და ქუჩაში არავინ ჩანდა, სახლის წინ არც გაუვლია ვინმეს, არც გამოუვლია. რა თქმა უნდა, აწუხებდა ლიდიას გადამეტებული, თითქმის დედური „მზრუნველობაც", რა პატარა ბავშვივით მმალავს, რამენაირად ხულიგნებთან შეტაკებას რომ ამარიდოსო; ბრაზი მოსდიოდა თავის სიმხდალეზეც, წინააღმდეგობას რომ ვერ უწევდა ანაზდად მოვლენილ „ძიძას", და იმაზეც, გული მართლა რომ დამფრთხალი კურდღელივით საშინლად უფანცქალებდა, მაგრამ მოსახდენი ხდებოდა, კიბის ქვეშ შეშინებულ თუ ვნებააშლილ გოგოს უკვე მკერდში ჩაეხუტებინა და ასე, ერთმანეთს ჩახვეულები მდუმარედ, სულგანაბულები ყურს უგდებდნენ ვიღაც ხულიგანთა თითქოს მოსალოდნელ ფეხის ხმას, სინამდვილეში კი, ერთმანეთის გულის ფეთქვას ისმენდნენ, თან ღრმად, მოხშირებულად ისუნთქავდნენ ტკივილის აღმძვრელ სიჩუმესა თუ წყვდიადს, რომელშიც ერთდროულად რაღაც საიდუმლოება, ხიფათი და სიტკბოება იმალებოდა, მერე და მერე, ტიტე ხვდებოდა, რომ ხიფათი მოჩვენებითი იყო, ან უკვე გადაევლო ჭექასა და ქუხილს; და რომ ადამიანები ისე არ დამპალან, მათგან მხოლოდ საფრთხეს მოელოდე. გოგოს სხეულზე სველი ფოთოლივით აკრულს, არავითარი ავი ზრახვანი არ მოსვლია აზრად, თითქმის აინუნშიც არ აგდებდა მწველ უხერხულობას, იმ წუთებში რომ განიცდიდა და ნელ-ნელა ისეთი გრძნობა ეუფლებოდა, რომელსაც ადამიანები ყველაზე ნეტარ, ღრმა და ჭეშმარიტს უწოდებენ; ამ წუთებში ტიტეს არსებას მაცოცხლებელი წყაროსავით ასაზრდოვებდა ზედმეტად ვნებიანი, ალბათ, სასმელს მოყვარული, უსირცხვილო, თავნება, მაგრამ მაინც გულმიმნდობი, მომხიბვლელი, საყვარელი ადამიანის საოცარი ტანის სითბო და, თქვენ წარმოიდგინეთ, არყის სუნით გაჟღენთილი მისი საზიზღარი ამონასუნთქიც. გამოცდილი გოგო კი, ისედაც ამჩნევდა, რომ ბიჭის გრძნობები უმანკო, უცოდველი და გაურყვნელი იყო, ახლა სხეულითაც აღიქვამდა მის გაჭირვებულ ყოფას, მოუქნელობასა და მოუხელთებლობას, რაც მოუთმენელ ვნებას უარესად ულიზიანებდა, ერთდროულად საოცარ სიამოვნებასაც ჰგვრიდა, თვითონაც ციებაშეყრილივით ცახცახებდა და ასეთ ყოფაში, რაც უფრო გადიოდა დრო, სირცხვილის ნატამალიც აღარ რჩებოდა. ახლა იგი იყო თავისი ჯიშ-ჯილაგის ღირსეული შვილი, ქართველი ყმაწვილკაცის უმანკოებას დახარბებული, რომელსაც აღარ შეეძლო და აღარც სურდა თავის შეკავება: სასწრაფო ფუსფუსით გაიძრო დაბამბული ლაბადა, და პალტო გააძრო ტიტესაც, შეიშვა და ამოიჩეჩა, რის შეშვებაც და ამოჩაჩვაც შეიძლებოდა, ასეთსავე დღეში ჩააგდო ტიტეც, მერე ხელები შეაცურებინა ჩათქვირებულ მკერდამდე, თვითონაც მოძებნა ბიჭის შიშველი ბეჭები სვიტერის ქვეშ, გაფცქვნილ ატამივით გლუვ,

სათუთ კანში ჩაასო წვეტიანი თითები და გახურებული დაბურთული ტუჩები გაცრეცილ-გათოშილ თხელ ტუჩებზე გაუსვ-გამოუსვა.

ტიტე გაითიშა...

ქარიშხალი იმიტომ ბობოქრობს, რომ დაკანონებული წესრიგი და სიმშვიდე დაარღვიოს. ტიტესთვის აბობოქრებული ქარიშხალი ამ წუთებში ლიდია აღმოჩნდა, რომელიც, დარღვევას ვინ ჩივის, უნგრევდა და უცამტვერებდა ცხოვრებაზე ყოველგვარ ყმაწვილკაცურ წარმოდგენებს. არადა, ყველაფერი ხდებოდა უნებურად, თავისთავად, უსაზღვრო სიამოვნებითა და განუზომელი წადილის დაოკებით, მაგრამ თითქოს მაინც არაბუნებრივად, ერთგვარი წამებითა და წვალებით, შიშითა და სირცხვილით... გონებაგამოცლილი ტიტე საცოდავად ცახცახებდა, უკუნეთ სიბნელეში ისედაც ვერაფერს ხედავდა და ახლა მთლად სადღაც გადაუტრიალდა თვალები, აემღვრა ტვინი, მოეკვეთა მუხლები. ლიდია კი ამ დროს დათარეშობდა მის გალვითქულ სხეულზე, ეძებდა რაღაცას და ბიჭიც დაეძებდა იმ რაღაცას. მაგრამ ლიდია შედარებით უფროსი იყო ბიჭზე, თავისთავად — უფრო გამოცდილიც, მალე მისწვდა საწადელს, მოხერხებულად ჩაუხსნა შარვლის ღილები, ცეცებ-ცეცებით ხელიც გველივით ჩაუსრიალა მუცელთან ლაჯებამდე და ნეტარებით ნაწყვეტ-ნაწყვეტ კიდეც წაიბუტბუტა:

— ჩემი სიყვარული... ჩემი ოქრო... ჩემი დიდი კაცი...

გამოუცდელი ტიტე კი საშინლად წვალობდა, მოუხელთებლად ფაციფუცობდა, უჭირდა ბიჭს, გამუდმებით რაღაც უშლიდა ხელს. ამასთან, იმ ვაიუბედურებაში უცბად ვერ გარკვეულიყო, რას სჩადიოდა ლიდია, ვერ შეგუებოდა მის უცნაურ მოქმედებას, დროდადრო უნებურად უკან გაჰქონდა ტანი, ხანაც მთელი ძალით დანგრეულ კედელზე აჭყლეტდა აკრუსუნებულ გოგოს, რომელიც მოუთმენელი სიხარბით უკოცნიდა ყელს, ყურებს, ტუჩებს, თან ბუტბუტ-ბუტბუტით აქეზებდა და ამხნევებდა, ნუ გეშინია, ყველაფერი კარგად იქნებაო. და მართლაც, მერე და მერე კარგად მიდიოდა საქმე, ქარიშხალმა გადალეწ-გადათელა ყოველგვარი ჯებირი, მოვარდა წარღვნა და ნიაღვარი, უკვე როგორც სურდა, ისე დააფათურებდა ხელებს გოგოს საოცარ, ბუსუსშლილ სხეულზე ზევით თუ ქვევით; შეეგუა ცეცხლსაც, აქამდე მაძებარ თითებს რომ უწვავდა და უთუთქავდა, მაგრამ ყოველივეს თან ახლდა არაქათის გამცლელი წვალებაც და ტკივილიც, რის გამო იგრიხებოდა და იკლაკნებოდა კიდეც და ვერ მიმხვდარიყო, გადარეული ლიდია, ასე რომ უწვალებდა ნასხამოანს, მხოლოდ ათამაშებდა, თუ მისი ხასიათზე მოყვანა, მერე კი გახელება სურდა, განა უარესი გახელებაღა შეიძლებოდა? — ტიტე უკანასკნელი ძალების დაძაბვით ძლივს იდგა ფეხზე და ბოლოს უაზროდ ბუტბუტებდა:

— რას შვრები ლიდია, რას აკეთებ?..

და ლიდიაც ოდნავ ვნებადამცხრალი ჩურჩულითვე პასუხობდა:

— აი, ხომ ხედავ... ხომ გითხარი, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი...

მერე დასუფთავდნენ, ჩაიცვეს, „თავშესაფრიდან“ ქუჩაში გამოვიდნენ და იქვე, სადარბაზოს წინ შედგნენ.

ტიტემ უნებურად წყვდიადად ქცეულ ჩამოქუფრულ ცას ახედა, მდუმარებაში გაყურსულ ქუჩას თვალი მოავლო. ლიდიამ, თითქოს მოვალეობას იხდისო, ნაზად აკოცა ლოყაზე, აჩეჩილი თმა გაუსწორა და ღიმილით უთხრა:

— ახლა წადი... მე ამ სახლში, მესამე სართულზე ვცხოვრობ.

— ამ სახლში?.. — გულწრფელი გაკვირვებით იკითხა ტიტემ, პირდაფჩენილმა სახლის განათებული ფანჯრები შეათვალიერა და მზერა ბინდბუნდში გახვეულ ლიდიას სახეზე შეაჩერა.

— მხოლოდ, ასე ნუ მიყურებ, — რაღაც არ მოეწონა ლიდიას, — და დაიმახსოვრე: მარტო მე არ ვარ ასე-

მამონას მონაჭრაბენული ბიბლიოთეკა

თი. ჰო, მარტო ჩვენ, რუსები არ ვართ ასეთები. თქვენს ქართველ გოგოებს ჩვენზე მეტად უნდათ, თუნდაც იმიტომ, რომ სამხრეთელები ხართ...

— ეგ რა შუაშია? — უკმაყოფილოდ ჩაიბურტყუნა ტიტემ და დამნაშავესავით თავი ჩაღუნა.

— რა ვიცი, ცბიერი ღიმილი გაურია ლიდიამ ნათქვამს, — ყოველ შემთხვევისთვის იცოდე-მეთქი: სამხრეთელები რომ ხართ, უფრო მეტი ტემპერამენტიც გაქვთ. ესე იგი, თქვენს გოგოებს ჩვენზე მეტად უნდათ, მაგრამ აზიელობა გიშლით ხელს, სურვილები თამამად რომ გამოამჟღავნოთ. ჩვენ კი, ევროპელები ვართ, ლამაზო, გამიგე?.. ახლა კი გაიქეცი შინ, გვიანია უკვე და რაიმე ხიფათს არ გადაეყარო... ხოლო, თუ კვლავ მოგინდება ჩემთან შეხვედრა, კი იცი, სადაც მნახავ..

თქვა ეს ლიდიამ, „პაკაო", დააყოლა ბოლოს, მაშინვე სადარბაზოში შევარდა და მალე კიბის საფეხურებზე მისი ფეხის ტყაპუნის ხმაც შეწყდა. გაოგნებულმა ტიტემ გულისყურით ახლაღა გახედ-გამოხედა ჩაბნელებულ ქუჩას, მართლა ხომ არ მელის საიდანმე საფრთხეო, კიდევ ერთხელ შეათვალიერა ძველებური სახლის მესამე სართულის ფანჯრები, თითქოს ერთდროულად ჩაისუნთქა სითბოცა და სიცივეც, ნელ-ნელა შებრუნდა, ყმაწვილკაცური ქინით რატომღაც შეხტა-შემობზრიალდა და გეზი პირდაპირ შინისკენ აიღო.

●

ასეთ დროს იტყვიან ხოლმე, ბავშვობაც გასრულდაო...

შეიძლებოდა ჩვენც გვეთქვა: ტიტემ დღეს, ამ საღამოს, სულ ახლახანს დაასრულა თავისი ბავშვობა და უცაბედად კაცური ცხოვრების ნამდვილ, თუმც ბურუსით მოცულ უცხო სამყაროში შეაბიჯაო. დიახ, სულ ახალხანს ცხოვრებისგან ისეთი გაკვეთილი მიიღო, რომელსაც ვერასოდეს ივიწყებენ და ლამაზი ზღაპარივით ახსოვთ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე.

მაგრამ ტიტეს ჯერ ბევრი არაფერი გაეგებოდა ნამდვილი ცხოვრების სიმუხთლის; რომ მას შეუძლია წამიერად შეგირყიოს ზნეობრივი სასახლის შთამომავლობითი საძირკველი, უცაბედად გამოგაცალოს დედაბოძის საყრდენი ქვა, რომლის შემდეგ ნგრევას იწყებს მთელი სასახლე; იგი ამჯერად მხოლოდ გამოშტერებულ-გაოგნებული იყო იმ ამბით, რაც გადახდა; არ ჰქონდა აზროვნების, სალი, ჭეშმარიტი განსჯის თავი, მაგრამ იმას მაინც გრძნობდა, რომ ერთდროულად რაღაც უხაროდა და თანაც რაღაც სწყინდა. ამიტომ ცდილობდა ჩაეხედა საკუთარ სულში, იქ, სადაც ამდენი განცდა, ჯერ კიდევ ყმაწვილკაცური ლტოლვა, სურვილთა დაუოკებელი წადილი და გაურკვევლობით აღძრული ერთგვარი შიში ბუდობდა. ფუი, ეშმაკს, მაგრამ სწორედ დღეს, ამ საღამოს, სულ ახლახანს თითქოს მართლა აეხილა თვალები. მისი ცხოვრება თითქოს ახლა გახდა არაჩვეულებრივად მიმზიდველი, ღირსეული, კაცური სიამაყის ნამდვილი მატარებელი. და ასე, ჯიბეებში ხელებჩაჩრილი, ვიწრო, უკაცრიელი ქუჩით მიუყვებოდა შინისკენ მიმავალ გზას კუნტრუშით, ხტუნვა-ხტუნვით, ღიღინით, ფშტვენა-სტვენით, თითქოს აფრთხობდა არარსებულ ეშმაკს, ამდაგვარად იმხნევებდა ტვინამღვრეულ თავს და ისიც ეჩვენებოდა, რომ ჰაერი, რომელსაც იგი ხარბად ისუნთქავდა, ლიდიას ვნებააშლილი სხეულიდან ამოფრქვეული სურნელებით იყო გაჟღენთილი.

„ოჰ, ლიდია, ლიდია..." — ნეტარებით იმეორებდა გულში საოცარი გოგოს სახელს და, რადგან მან ისიც თქვა, მარტო მე არ გეგონო ასეთიო, სულის რომელიღაც შრეში მილექილი თავისი ბავშვობისდროინდელი ზმანება — პატარა დოდონია გაახსენდა: გაახსენდა და მაშინვე საკუთარ თავს სიამოვნებით გაეპაექრა:

„დოდონია მაინც სხვაა; მას სხვა სი-

ლამაზე და ეშხი აქვს, სხვა მიმზიდველობა და ჰაეროვნება... ლიდია თუ დაუოკებელი ცხოვრების წყურვილს აღძრავს, დოდონია თავადაა იმ ცხოვრების უკვდავების წყარო; ლიდიას თუ მგზნებარე ცეცხლის დანთება შეუძლია, დოდონია თავადაა მიუწვდენელი გზნებაც, ალადინის ლამპარივით ჩაუქრობელი ჩირაღდანიც!.."

„მაგრამ დოდონია მაინც აბსტრაქტული, უკვე მიუწვდენელი ზმანებაა მართლაც, მირაჟია, ლიდია კი ხელთქმნილი სინამდვილეა, რეალობაა, რომელიც ზღაპრულად გაღელვებს კიდეც და კიდევაც ზღაპრულადვე გაცხრობს, არეულ-ამღვრეულ ტვინს გიწყნარებს და გისუფთავებს..."

„ჰო, მართლა ბავშვი ვყოფილვარ თურმე.. ,— უკვე გულში ეცინებოდა თავის ორიოდწუთისწინანდელ გულუბრყვილობაზე, — ბავშვი ვყოფილვარ და თანაც როგორი ბრიყვი, უვიცი, რეგვენი, ტლუ, ყეყეჩი, უტვინო ძუძუმწოვარა და რაღა არა", — ფიქრობდა ტიტე და თითქოს შეიძლებოდეს ადამიანის გამოცვლა, მისი აზროვნების უცაბედი სახეცვლილება, ახლა ხვდებოდა, რომ იგივე ადამიანი მართლა ყრუ ყოფილა, როცა რამეზე არიგებენ, ან ცდილობენ დაარწმუნონ, ასე კი არა, ისეო; რომ თურმე მხოლოდ ასეთ ცხოვრებისეულ გაკვეთილებს და არა სხვაგვარად მოაზროვნეთა საბუთებს შეუძლია ურწმუნო ადამიანის დარწმუნება. ან გადარწმუნება. და თუმც იმავ ცხოვრებამ შესანიშნავად სასიამო გაკვეთილი ჩაუტარა დღეს, იყო ამ გაკვეთილში რაღაც საოცრად მიმზიდველი, მომხიბვლელი, ერთგვარად დამაწყნარებელ-დამამშვიდებელიც, მაინც არ გამოდგა ის, რასაც ტიტეელოდა, რისთვისაც ღამეებს ათენებდა, როგორადაც წარმოიდგენდა; და, რაც მთავარია, იგი არ აღმოჩნდა ის, რის გამოც ღირდა უარი ეთქვა უმთავრესზე — ცხოვრებისეულ მიზანზე. იქნებ ამიტომაც სწორედ ახლა, ამ წუთებში ტიტე შინაგანად გრძნობდა დაუოკებელ წყურვილსა და ძალას, რომ რაიმე ღირსეული შეექმნა, მხატვრული ტილო იქნებოდა ის, თუ პოეტური ლექსი, რამეთუ, თურმე ისეთ კმაყოფილებას ადამიანს ამქვეყნად ვერაფერი მიანიჭებს, როგორც ნამდვილი ხელოვნებისადმი სამსახური. იქნებ ამიტომაც იყურებოდა გაკვირვებით ბიჭი საკუთარ სულში და ხედავდა, რა ცეცხლი ენთო შიგ, ამჯერად უკვე რუდუნებით ელოლიავებოდა, მუხლს იყრიდა მის წინაშე და მზად იყო, ახალ-ახალი ამაგიზგიზებელი ჟანგბადით ექვება, ოღონდაც ეს ცეცხლი აღარასოდეს ჩაქრობოდა; მით უმეტეს, ივან პეტროვიჩი გამოფენის მოწყობას ჰპირდებოდა და არც მისი ქალიშვილი — მომხიბვლელი ლიდია ამბობდა უარს მომავალ კეთილ ურთიერთობებზე.

„ჯანდაბამდის გზა ჰქონია ყველა ქართველ გოგოს, უფრო მეტად უნდათ და უნდოდეთ, რა არის ამაში ცუდი?.. — ლამის ხმამაღლა ამოთქვა სიამაყეშეძენილმა ტიტემ და წამით ვიწრო ქუჩის კუთხეში შეჩერდა. მერე ახლა კიდევ რა გამახარებსო, გაიფიქრა და პასუხიც მყისვე იპოვა, — გემოზე გამოძღომა და გემრიელი ძილი, მეტი არაფერი!.."

მთელი ტანით სასიამოდ შეირხა ტიტე, ღრმად ისუნთქა ცივი, მაგრამ საოცრად სუფთა ჰაერი და ყოველ შეთხვევისთვის თვალი კიდევ ერთხელ მოავლო ირგვლივ.

ღამე იყო თითქოს უშფოთველი, ჩუმი და სუსხიანი, ქალაქი ნელ-ნელა უფრო და უფრო გაყურსულიყო გაუგებრობით მოცულ მდუმარებაში, როგორც პოეტს უთქვამს, „არსაიდან ხმა, არსით ძახილი..." მხოლოდ შავი „ემალდინების" საყვირის შორეული ხმა თუ შეათრთოლებდა ხოლმე გათოშილ სივრცეს და საიდანღაც რომელიღაც ქარხნის ყრუ გუგუნიც მოისმოდა.

საფრთხეც თითქოს არსაიდან ჩანდა, შეიძლებოდა გულდამშვიდებულს განევრძო გზა, კიდეც შეუხვია ერთი ვიწრო ქუჩიდან მეორეზე, ჯერ კიდევ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოფუტფუტე, ნათურებით განათებული პროსპექტისკენ მიმავალ აღმართს შეუდგა და უცბად, თითქოს ქვესკნელიდან ამოძვრაო, მის წინ ვილაც უშველებელი ახალგაზრდა მამაკაცი აღიმართა.

— ვაჟკაცს გაუმარჯოს, — უთხრა მან უხალისოდ, ლოდინით შებეზრებული კაცის კვალობაზე და ტყავისლაბადის ჯიბეებში ხელები უფრო მოხერხებულად ჩაიყო, ფეხები გაბოტა.

ტიტემ უნებურად უკან გადადგა ნაბიჯი, გასაქცევად, ან შესაბრძოლებლად მოემზადა, მაგრამ მუხლებმა უღალატეს, — აუკანკალდა და მთელ სხეულშიც უცაბედი სისუსტე და მოთენთილობა იგრძნო.

— რა გნებავთ? — ძლივძლივობით ჰკითხა მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ.

— შენი კარგად ყოფნა, — რაღაც დამცინავი კილო გაურია კაცმა ნათქვამს და თან ცალი ხელი ჯიბიდან ნელ-ნელა ამოაცურა.

— მე იცით ვინ ვარ? — თითქოს მართლა დიდი ვინმე ყოფილიყოს, ტიტეს უნებურად ამოვარდა პირიდან სიტყვები. ამდაგვარად სცადა საფრთხის აცილება, მაგრამ კაცს ოდნავადაც არ დაუხევია უკან.

— ვიცი, — მშვიდად მიუგო მან. — შენ ტიტე ხარ, ჩვენი ვარლამ კორკოტაძის შვილი. მართალი ვარ? ჰოდა, არ დამიწყო, საიდან იციო. გამომყევი, მამაშენი გველოდება.

რაღა ეთქმოდა. — ტიტეს ისედაც ენა ჩაუვარდა მუცელში, ერთხანს გაოგნებული იდგა, მერე დრაფის პალტოს საყელო აიწია, ყურებიანი ქუდი წარბებამდე ჩამოიფხატა, მხრებში ოდნავ მოიღუნა, დატუქსული ძაღლივით თავი ჩაღუნა და აღმართს აუჩქარებლად შეუყვა.

საფიქრალი გაუჩნდა, რა ექნა?... იქნებ უკეთესი იყო, იმ ვიღაც ხულიგნებს გადავყროდიო, ისიც კი ინატრა. დავუშვათ, ეტყოდა, ერთი გოგო სახლამდე მივაცილეო; დასჯერდებოდა მამა ასეთ ნახევრად ტყუილს? ამ შავი ტყავისლაბადიანმა ოქლაქმა ნამდვილად იცოდა, რა დღეშიც იყო „თავშესაფარში"! მერედა, არ ჩაუკაკლავდა თავის უფროსს, რაც იცოდა? — რა თქმა უნდა, ჩაუკაკლავდა და, მერე როგორღა შეეხედა მშობლისთვის თვალებში?..

— რა ჰქენი, — სწორედ ამ დროს შეეხმიანა ოქლაქი, — ხომ არ შეგვარცხვინე?

ეს კი მეტისმეტი იყო. ტიტეს მთლად მოეკვეთა მუხლები, ნაბიჯის გადადგმა გაუჭირდა. მართლაც, რას მოატყუებდი ამ ხალხს, რამდენჯერ უთქვამს მამას ოჯახში, ჩვენ, ხალხის მტრები რას აკეთებენ ის კი არა, გლეხი სიმინდის ყანაში ჭიანჭველას ფეხს რომ ადგამს, ისიც ვიცითო!..

— გამოადგი ფეხი, გამოადგი! — ჩაუქირქილა ოქლაქმა, კისერზე უშველებელი ხელი დაადო და შავი „ემადინისკენ" უბიძგა, იქვე პროსპექტზე ტროტუართან რომ იდგა.

მერე „უცხო" გზით ატარეს, სადღაც შეუხვიეს, შემოუხვიეს და ერთი გრძელი, ვიწრო ქუჩით აღმართს შეუყვნენ (ალბათ, იმ პრინციპით მოქმედებდნენ ხალხის მტრების დაჭერაში გაწაფული შინსახკომელები, შორი გზიდან მოუარე, შინ მშვიდობით მიდიო!), მაგრამ შინ რომ არ მიჰყავდათ, ამას მშვენივრად ხედავდა ტიტე, და ისიც კარგად იცოდა, სადაც მიჰყავდათ, იქით არ იყო მამის სამსახური. არადა, ვერც ვერაფერს ეკითხებოდა მუნჯადქცეულ შინსახკომელებს, აქეთ-იქიდან რომ შემოსხდომოდნენ და თავი ისე არხეინად ეჭირათ, თითქოს სასეირნოდ ყოფილიყვნენ გამოსულები. მერე, როგორც იქნა „ემადინი" გაჩერდა. შავი ტყავისლაბადიანები მანქანიდან მკვირცხლად გადმოხტნენ, სწრაფად გადმოიყვანეს ტიტეც და მაშინვე ერთ უშველებელ შენობაში ლამის კისრისტეხით შეარბენინეს.

აქ კი საბოლოოდ წახდა ტიტე, გულმა ისეთი რეჩხი უხო, ძლივსღა სუნთქავდა. ჯერ ის აწუხებდა, მამაჩემს თვა-

ლებში როგორ შევხედოო. ახლა ექვი შეეპარა, მამაჩემი ამ ხალხს ჩემს აქ მოყვანას რატომ დაავალებდაო. ტიტე, რა თქმა უნდა, მაშინვე მიხვდა, სადაც მოიყვანეს. იცოდა, ამ შენობაში მამის დიდი უფროსობა, რესპუბლიკის შინსახკომის ხალხი რომ მსახურობდა. მაგრამ შიგნით, ლაბირინთების მსგავს გასასვლელ-გამოსასვლელებში პირველად დააბიჯებდა და ნელ-ნელა უფრო და უფრო უსიამო შეგრძნება ეუფლებოდა. ალბათ არიადნეს ძაფი თუ იხსნიდა შემომსვლელს, გარეთ სამშვიდობოს რომ გაეღწია (ისიც თუ იხსნიდა!), მაგრამ ეს არ იყო მთავარი. — კედლებიც კი მოშავო-მომწვანო ფერის საღებავით იყო დაფარული და მთელს შენობაში ისეთი შიშის მომგვრელი სიჩუმე სუფევდა, გეგონებოდათ, ყველა ერთდროულად ამოწყვეტილანო. არადა, ვილაც-ვილაცეები გადი-გამოდიოდნენ; მერე უცბად იკარგებოდა ეს ხალხი, უცბად ახლები ჩნდებოდნენ. თან ყველა მუნჯივით დუმდა, ყველა საქმიანად ფაციფუცობდა, ჩქარობდა... აგერ, ერთი ოთახიდან ჩონჩხად ქცეული კაცი გამოიყვანეს. საცოდავს, ისე ჰქონდა სახე დარუმბებული, რიგიანად არც პირი უჩანდა, არც თვალები. მოკლედ, გემრიელად ნაბეგვნაწამები ჩანდა. ალბათ, ხალხის მტერი იქნებაო, გაიფიქრა გულაფართხალებულმა ტიტემ და სწორედ ამ დროს ოქლაქმა, აქამდეც მის კისერზე რომ ედო თავისი უშველებელი ტორი, კედლისკენ შეაბრუნა და გვერდზე გახედვის საშუალება არ მისცა. მერე, როცა ის ნაბეგვ-ნაწამები გაატარეს ისევ შემოაბრუნა და სწორედ იმ ოთახში შეიყვანა, საიდანაც ის კაცი გამოიყვანეს.

ოთახში, რა თქმა უნდა, მამა არ აღმოჩნდა. პატარა მაგიდასთან, შესასვლელი კარის გვერდით რომ იდგა და ზედ უშველებელი საბეჭდი მანქანა იყო, ახალგაზრდა ქალი იჯდა და ახლად დაბეჭდილ ქაღალდებში იქექებოდა. დიდ მაგიდასთან კი, კარის პირდაპირ კუთხეში რომ იდგა, ასე, ორმოცდაათიოდე წლის მუგუზალივით შავი კაცი იჯდა და ისიც წინ გაშლილი ქაღალდების გროვას თვალგაშტერებული ჩაჰყურებდა.

ნამდვილად მომატყუესო, გაიფიქრა ტიტემ, უფრო მეტად მოიბუზა და მოწყალების თვალებით გადახედა ერთსაც და მეორესაც.

ქალზე რა შეეძლო ეთქვა, — უფანჯრო, უჰაერო, კუბოსავით ვიწრო, რაღაც შავ ქსოვილში გახვეულ ოთახში საბეჭდი მანქანის იქით ძლივს მოუჩანდა პატარა თავი, და არც უნდა ყოფილიყო იგი საინტერესო, მისი მოვალეობა ალბათ, მხოლოდ დაკითხვების ოქმების შედგენით შემოიფარგლებოდა. კაცს კი, თავიდანვე უნდობლად შეხედა, რატომღაც არ მოეწონა თმაამბურძგნილი, ბომბორათავიანი ეს მამისტოლა შინსახკომელი, მაგიდაზე იდაყვებდაყრდნობილი, მარცხენა ხელის საჩვენებელი თითით ყურის ბიბილოს რომ იფხანდა. სწორედ იმ თითით მიანიშნა ტიტეს, განცალკევებით მდგარ პატარა მაგიდასთან დამჯდარიყო. მერე, ფშვენა-ფშვენით დანომრილი საქაღალდე გადმოიღო, გადაშალა, ისევ დახურა, ორივე ხელი ზედ დაატყაპუნა და გამჰოლი მზერა კართან აყუდებულ ოქლაქს ესროლა, რომელიც მაშინვე დაჯდა და სასწრაფოდ რაღაცის წერას შეუდგა.

ტიტემ ოქლაქის სახეს ვერა და ვერ შეავლო თვალი. ახლაც ისე დაჯდა, წარბებამდე ჩამოფხატული უშველებელკეპიანი ტყავის ქუდი მთლიანად უფარავდა ცხვირ-პირს. მუგუზალივით შავ ბიძას კი აშკარად მოუჩანდა დასისხლიანებული დაღლილი, ბაყაყივით გადმოკარკლული წყალწყალა თვალებს ქვევით ჩამოკიდებული უპეები და მკვდრისფერდადებულ, ოდნავ წვერგაუპარსავ მრგვალ სახეზე განუწყვეტლივ უმოძრავებდნენ პატარა თხელი ტუჩები, რომლებიც თითქოს რაღაცას წარმოსთქვამდნენ, თუმცა ჯერ ხმამაღლა კრინტის დაძვრას არ აპირებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მერე, როგორც იქნა, მორჩა წერას ოქლაქი, მუგუზალივით შავ უფროსს გადასცა და კვლავ კართან გაიბოტა. უფროსმა დაწერილი თვალის გადავლებით ჩაიკითხა, ოოო, ვითომ ძალიან შეწუხებულმა ქშენით ამოთქვა და მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ ტელეფონით ვიღაც მოიხმო, ერთი წუთით ჩემთან შემოირბინეო.

ალბათ ჩემი საქმენი საგმირონი დაუწერიაო, გაიფიქრა ტიტემ და მაშინვე, თითქოს თუთქი შეაყარესო, მთელი სახე საშინლად აეწვა, აეტკლიცა. ახლა კი საბოლოოდ ირწმუნა, რომ ჰკუას ძალას თუ არ დაატანდა, მამა კი არა, მამაზეციერი ველარ იხსნიდა. მაგრამ რა ჯანდაბა და ოხრობა მოეფიქრებინა?.. ან ვინლა აძლევდა მოფიქრების საშუალებას?.. წუთი არ იყო გასული ტელეფონის დარეკვიდან, რომ ოთახში ვიღაც თეთრხალათიანი კაცი ფეთიანივით შემოიჭრა, გურგენიჩ, რა გნებავთო, იკითხა; გურგენიჩმა კიდევ ის თითი მიაშვირა ტიტეს, თუ კაცი ხარ, გაგვისინჯე, ბავშვი ხომ არ გაგვიფუჭესო და ისიც, მგელივით ეცა ბიჭს, სკამიდან წამოაგდო და ყველას თანდასწრებით შარვლის ჩახდა მოსთხოვა.

ტიტემ ამაოდ დააცეცა შეშფოთებულ-შეწუხებული, მოწყალე თვალები, მისი მშველელი იქ არავინ იყო. მბეჭდავმა ქალმაც კი თავი უკმაყოფილოდ გააქნია. თეთრხალათიანი ხომ, ოქლაქის დახმარებით, უკვე თვითონ უხსნიდა შარვალს, ქვევით უქაჩავდა ყველაფერს, რაც შიგნით ეცვა, ბოლოს ორი თითით ნასხამოანს სწვდა, აუწია, გადაუწ-გადმოუწია და საქმიანად წარმოთქვა:

— კი, ნაწვალებია... მაგრამ ვაჟკაცურად ჩაუბარებია პირველი გამოცდა.

მერე ისიც დაჯდა (ვიდრე ღირსებაშელახული და ნამუსშერცხვენილი, თვალებში სიმწრის ცრემლმოწოლილი ტიტე შარვალს შეიკრავდა და დათეთქვილი ძაღლივით სკამზე მოკუნტული (დაეგდებოდა), რაღაც სასწრაფოდ დაჯღაბნა, ქვეშ ხელი მოაწერა, გურგენიჩს გადასცა და მაშინვე ოთახიდან კვლავ შურდულივით გავარდა.

ოთახში დროებით დუმილი ჩამოწვა...

ტიტე დათრგუნული იჯდა და ყოველგვარ იმედგადაწურულს ეჭირდა თავის მაღლა აწევა. გურგენიჩი ახლად შექმნილ საბუთებს ვითომ გულისყურით ათვალიერებდა, სინამდვილეში მზერა ტიტესკენ ჰქონდა მიპყრობილი და, ალბათ, ფიქრობდა, საიდან შემოევლო პატარა „დამნაშავისათვის“, რით დაეწყო. მისი მზერა ამჯერად, ჩვეულებრივ ადამიანთა მსგავსად, დასაკვირვებელი ობიექტს მხოლოდ ზედაპირამდე კი არ სწვდებოდა, სიღრმეში ატანდა და ისეთ შთაბეჭდილებას სტოვებდა, სრულად აღიქვამდა ბიჭის რთულსა და მერყევ ბუნებას. განგებ აჭიანურებდა იგი ხმის ამოღებას, რათა ტკივილისმომგვრელ დუმილში ბოლომდე დაეთრგუნა და გაენადგურებინა მისი (ტიტეს) ჯერ კიდევ მფეთქავი ყმაწვილკაცური პატივმოყვარეობა. ხოლო, როცა ასეთი დრო დამდგარად ჩათვალა, დაიწყო კიდეც:

—მოვიყვანეთ, როგორც პატიოსანი, წესიერი, ნამდვილი საბჭოთა მოქალაქე, მოწაფე და ხელში შეგვრჩა... — არ დაასრულა სათქმელი გურგენიჩმა, ქშენა-ქშენით წამოდგა და დიდი გულშემატკივარივით კართან აყუდებულ ოქლაქთან განაგრძო საუბარი, — ესმის ახლა ამას, რა ჩაიდინა?.. ამ საბუთებს მსვლელობა რომ მივცეთ, იცის ახლა ამან, რა ელის მამამისს, ან დედამისს?.. თვითონ ხომ, ახლავე გვყავს დასაპატიმრებელი! მართალი ვარ?

— ხომ არ ვაპატიოთ? — შეიცოდა ვითომ ოქლაქმა და გურგენიჩმა მაშინვე შეიცხადა:

— ვაპატიოთ?.. მერე ჩვენ გვაპატიებს ვინმე?.. — გამწარებით გაიარ-გამოიარა, ბოლოს კეფა მოიფხანა, დანომრილი საქაღალდედან დაწერილი ფურცლები ამოიღო და ჰაერში გაათრიალა, — შესანიშნავ დახასიათებას აძლევს ყველა!... ჩვენც ვიცოდით, რომ კარგი ბიჭი იყო; კარგად სწავლობს,

სპორტშიც წარმატებები აქვს, ხატავს მშვენივრად... თუმცა, ხატვის მასწავლებელმა, თავისი მსგავსი ლოთი მეგობარი რომ ჰყავს, იმან, ნამდვილი ხელოვანისათვის საკმაო ნიჭი არა აქვსო, მაგრამ...

— ტყუის, გურგენიჩ, — სიტყვა გადაუჭრა ოქლაქმა, — იმას რომ დავუჯეროთ, ბექაზე უკეთესი ბავშვი ჯერ არ დაბადებულაო, მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით, ის ბიჭი როგორ ხატავს, რას ხატავს; წითელთვალებიან კატას რომ ეშმაკს დაარქმევს, იმისგან გამოვა ნამდვილი მხატვარი?!

— ტყუის?.. — შეწუხებული სახე მიიღო გურგენიჩმა. — სწორად ლაპარაკი ვერ გასწავლეთ... ალბათ გინდოდა გეთქვა, სცდებაო. მართალი ვარ?.. და მეც ასე ვფიქრობ რომ ხატვის მასწავლებელი კახაბერ ორბელი თავის ლოთ მეგობრებთან ერთად, ძალიან, ძალიან სცდება, — ბოლო სიტყვები სინანულით დაამთავრა მან, საჩვენებელი თითი ნიკაპზე ამოსდო კიდეც ტიტეს, თავი ააწევინა მაღლა, თვალებში ჩააშტერდა და ისე ჰკითხა: — მართლა ეშმაკს არქმევს წითელთვალებიან კატას შენი კარის მეზობელი და მეგობარი ბექა?

სად გააჩნდა ტიტეს ამ ცხოვრებით გამობრძმედილ-გამოწრთობილი ხალხის სიეშმაკე, ბოლომდე რომ ჩასწვდომოდა მათ ნამდვილ საწადელს, ან სად ჰქონდა აზროვნების თავი, წამხდარი იყო კაცი, მაგრამ იმას კი მიხვდა, საითაც უკაკუნებდნენ ეს ეშმაკი ძიები, და იმასაც, წინასწარ დაგებულ სახიფათო ქსელში რომ ახვევდნენ. აქ, ამ კუბოსავით ვიწრო და გრძელ, შავ ჯურღმულში აზრი არ ჰქონდა თავის მოკატუნებას, მტკიცებას, არაფერი ვიციო; მთავარი აქედან თავის გამოხსნა იყო და, თანხმობის ნიშნად თვალები დახუჭა, მერე კი ჩაიდუდუნა, ბექა რა ჩემი მეგობარიაო,

— ხედავ? — კმაყოფილად წამოიძახა გურგენიჩმა, — ჩვენ კი, ამ ლამაზი გოგოს წინაშე შევარცხვინეთ. ნამდვილად არ გამოგვივიდა კარგად, ისედაც გვეტყოდა კაცი ყველაფერს გულახდილად! მართალი ვარ?.. შენ გეკითხები, ტიტე, მართალი ვარ?

— დიახ, — კვლავ ჩაიდუდუნა ტიტემ.

გურგენიჩმა მაშინვე წინ მისივე მარცხენა ხელით დაწერილი ანონიმური წერილი დაუდო.

— გეცნობა? — ჰკითხა მან და ქმენით განაგრძო, — ამას ავტორის ხელმოწერა აკლია. მართალი ვარ?

— დიახ, — მცირეოდენი ყოყმანის შემდეგ დაეთანხმა ტიტე და უხალისოდ, მაგრამ წინააღმდეგობის გაუწევლად მიწვდილი კალმისტარიც გამოართვა....

მერე რაც მოხდა, თითქოს აღარ იყო რაიმე არსებითი მნიშვნელობის მქონე, განსაკუთრებულად გასაოცებელი, ან გაზვიადებულ ფორმებში წარმოსადგენი. ამ ხალხმა ისედაც ყველაფერი მართლაც ზეპირად იცოდა (და ამაში არაფერი იყო გასაკვირი!). ძალადაუტანებლად პასუხობდა კითხვებზე; შეულამაზებლად, გულახდილად ყვებოდა ყველაფერს, ვისზეც რა იცოდა, ან მოსმენილ-გაგონილი ჰქონდა. ცოტა საბეჭდი მანქანის გამუდმებული კაკუნი უშლიდა ხელს, თითქოს კიდეც აღიზიანებდა, მაგრამ ეს არ იყო მთავარი. — ეშმაკი ძიები მამის ახლო მეგობრები აღმოჩნდნენ (ჰო, ასე უთხრა გურგენიჩმა, მე და მამაშენი გადაბმული ძმაკაცები, ახლო მეგობრები ვართო!) და ბოლოს, თვითონვე დაიწყეს იმაზე ფიქრი, როგორ მოქცეულიყვნენ, ტიტეს დღევანდელი არცთუ მოსაწონი სათავგადასავლო ამბები ვარლამის ყურამდე რომ არ მისულიყო.

— მაგარი კაცია მამაშენი, ვერაფერს გამოაპარებ, — თითქოს გულგრილად, ტუჩების ოდნავი მოძრაობით ისე ჩაილაპარაკა გურგენიჩმა, ტიტესთვის არც შეუხედავს. მთელი ყურადღება კი, მისკენ ჰქონდა მიპყრობილი.

— მართალი ბრძანდებით, — მაშინვე ამაყად დაეთანხმა ტიტე, — ასე იტყვის ხოლმე, სიმინდის ყანაში გლეჯა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭიანჭველას ფეხს რომ დაადგამს, ისიც ვიცითო.

— ასეთია ჩვენი სამსახური, — ღიმილით გაშალა ხელები გურგენიჩმა, — ამ ხალხზეც, ვისზეც ვიმსჯელეთ, ჩვენზე უკეთ იცის ყველაფერი. მართალი ვარ?

— დიახ, ასეა, ალბათ, — კვერი დაუკრა გახალისებულმა ტიტემ. იფიქრა, ეტყობა, ჩემი გაშვების დროც დადგაო და ღიმილით დაამატა: — მამაჩემს ისეთი თვალი და ყური აქვს, რომ...

— ჰოდა, ეცადე მის ყურამდე არ მივიდეს, რაც დღეს მისმა შვილმა აქ მოგვახსენა... თვითონ, ვითომ სამსახურეობრივად არ ევალებოდეს, დუმს თევზივით და აქამდე კრინტი არ დაუძრავს. გასაგებია?..

ეს კი აღარ გახლდათ გადაბმული ძმაკაცის, ახლო მეგობრის პირიდან ამოსული სიტყვები. შეფარულმა ღვარძლმა, თუ ხალხის დაუძინებელი მტრებისადმი პროფესიულმა დაუნდობლობამ, გასასკდომად შემზადებული, დაბერილი წყალ-წყალა თვალებიდან გარეთ გამოიხედა. ამის მიუხედავად, შინსახკომის ერთგული მუშაკები ბოლოს მაინც შეეცადნენ თავი წარმოედგინათ ტიტეს მომავალი ცხოვრების [illegible]გულ გულშემატკივრებად. [illegible] კარგი ბიჭი ხარ, ნამდვილი [illegible]საბჭოთა მოქალაქე გვეზრ[illegible], ძალიან მოგვწონხარ. ბოლოს და ბოლოს, კაცი ხარ უკვე და გინდ ლიდიასთან იარე, გინდ [illegible] ჰყავს, იმასთანაც, ვითომ [illegible].

ტიტეს კიდევ ერთხელ მოეწურა გული. იმაზე ხომ მთლად გადაირია, როცა, ვიდრე დაკითხვის ფურცლებზე ხელს აწერინებდნენ, მბეჭდავმა ქალმა ტელეფონით ვიღაც გააფრთხილა, „ობიექტს“ ახლა ვუშვებთ და ეგ ხალხი მანდ ნახევარი [illegible] კიდევ გაგვიჩერეო...

შინ რომ ბრუნდებოდა, ცა კუპრივით შავი ნისლით დაფარული ეჩვენა. მერე სიცარიელე იგრძნო, ტკივილის მომგვრელი მზაკვრული სიჩუმე, თითქოს ამ ისედაც ცოდვილ დედამიწას ეს ესაა გამანადგურებელი და ყველაფრის შთანმთქმელი ქარიშხალიანი მიწისძვრა გადაეტანოს.

●

იმ ღამეს, როცა ბახუსში მყოფმა მშობლებმა საძინებელ ოთახს მიაშურეს და პატარა ცელქობის შემდეგ ღრმა ძილს მისცეს თავი, ტიტე სამზარეულოში ფეხაკრეფით შევიდა, უშველებელი ჩაის ჭიქა პირთამდე არყით აავსო, თითქოს თევზის ქონი ყოფილიყოს, ცხვირზე ხელმოჭერილმა უსუნთქებლად გამოსცალა და მერე რაც მოხდა, მტერს არ უსურვებდა კაცი. ისღა ახსოვდა, რომ მგონი იხრჩობოდა, საერთოდ, გულიც გაუჩერდა. როცა თვალი გაახილა, კვლავ ბნელოდა, ღამის მდუმარებაში გაყურსულიყო ბუნება. მის საწოლთან სავარძელი მოეცურებინა დედას და ემჩნეოდა, გაუხდელს ის-ის იყო ჩასძინებოდა, ჯერ ისევ ხელში ეჭირა სველი საფენი.

მერე მთელი ღამე თვალმოუხუჭავად იფიქრა. დილას მაინც ვერაფრით გაამჟღავნა ნაფიქრალი. რადა, როგორ სურდა, დედისთვის მაინც გაემხილა, რაც გადახდა, ეხსნა მამა შესაძლო მო[illegible]დნელი განსაცდელისაგან, ალბათ, ეხსნა საკუთარი თავიც. მაგრამ ვერ გაბედა, ვერ დასძლია შიში, ენა ვერაფრით ამოატრიალა გამომწვარ-გამოხარშულ პირში. ყოველივე ისევ გულში ჩაიმარხა და თავისივე ნების საწინააღმდეგოდ, ახალ ცხოვრებასთან შესაბამლად მოემზადა. დღიურში კი ასეთი ჩანაწერი გააკეთა: „მარტო მშიერი თევზები როდი ნთქავენ ერთმანეთს, ზოგი თევზი საკუთარ ქვირითსაც მშვენივრად მიირთმევს!.. თუ არსებობს ღმერთი, მაშინ ჯუნგლის კანონიც მისი მოგონილია და ჩვენი ბრალი სულაც არაა, თუ ასეთები ვართ“.

მას შემდეგ ჟამიდან ჟამზე ხშირად ახსენდებოდა შავი ქსოვილით დაფარულ კუბოსავით ვიწრო ოთახში გატარებული წუთები, ძია გურგენიჩის დასისხლიანებული, დასასკდომად გამზადებული წყალწყალა თვალები და მისი ერთგვარად თვითკმაყოფილი, მაგ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამ გამაღიზიანებელი შეკითხვა: „მართალი ვარ?..“:

●

ბავშვად როდილა წარმოედგინა თავი, მაგრამ ლამაზი ზღაპარი მაინც იმ საღამოს გასრულდა უცაბედად, თითქოს შუა გზაზე, უგემურად და უგერგილოდ. სულ რაღაც ერთ დღეში, ერთ საღამოს უშველებელი უფსკრული გამოიკვეთა წინა განვლილ და გასავლელ ახალ ცხოვრებას შორის, თითქოს დაირღვა დროთა კავშირი, ერთიანობა, უწყვეტი ჰარმონიული მემკვიდრეობითობა. ამ დღის შემდეგ ტიტეს გამუდმებით აკლდა რაღაც, აკლდა სულის რომელიღაც სიმი; ან კი არ აკლდა, მოულოდნელად ჩაუწყდა და დაკარგა ტკბილხმოვანება. წკრიალა, გულმხურვალე ქღერადობა ახლა სრულიადაც აღარ იყო სადავო, სხვა უტყუარი ფაქტებით გასამყარებელი, რომ მოლოდინმა ვერ გაამართლა, მეგობარზე მაღლა საკუთარი თავის დაყენების მოუთმენელმა წყურვილმა ოდნავი შვებაც ვერ მოჰგვარა ძე შეცთენილის გაბოროტებულ სულს. პირიქით, — ერთ მშვენიერ დღეს ხელში უცაბედად შემოადნა უკეთესი მომავლისადმი რწმენის, ადამიანთა შორის ურთიერთნდობის, ერთგულების, თავისთავად — სიყვარულის ლამაზი წარმოდგენები და უარესად გაბოროტდა, მთელ ქვეყნიერებასთან ერთად შეიზიზღა საკუთარი თავიც. აქამდე თუ ბრმას ჰგავდა, ქუჩაში გამოსულს, ძაღლი თავის ნებაზე რომ მიარბენინებს, ახლა ურჩხულს დაემსგავსა, რასაც ხელს შეახებს, ყველაფერს რომ ავერანებს და აცამტვერებს... ახალი წლის ღამეს, როცა ქვეყანა ზეიმობდა და ყველა თავისებურად ხარობდა, საყვარელმა მამამ საკუთარ კაბინეტში, საკუთარი ნაგანით, რომელიც წელთან ქამარში მუდამ ჰქონდა გაჩრილი, თავი მოიკლა...

ეს იყო ტიტესთვის ყველაზე მტკივნეული, ყველაზე საზარელი დარტყმა, მაგრამ სამყაროს ნგრევა ამით როდი დაწყებულა ან დამთავრებულა. იმავე ღამეს, სანამ მამის ტრაგიკული შემთხვევის ასეთ გამაოგნებელ ამბავს ტელეფონით შეატყობინებდნენ. შავი ტყავის ლაბადიანებმა ბექა და მისი ავადმყოფი დედა შავი „ემადინით“ იმ გზას გაუყენეს, საიდანაც დაბრუნებული აღარავინ უნახავთ. არადა, როგორ ხარობდა ტიტე სწორედ იმ საღამოს. ველარ აკავებდა უცაბედად მოვარდნილ სიხარულს, რომ სრულიად უმნიშვნელო შემთხვევამ, როცა დედის დავალებით ლალიძის მაღაზიაში ნაყიდ ლიმონათის ბოთლებს მოათრევდა, ბექასთან პირისპირ შეახვედრა და მან. თვალის მორიდების ნაცვლად. ჩანთაზე ხელი წაუვლო და კიბეზე აატანინა. შესასვლელი კარის წინ კი. თითქოს მათ შორის არავითარი წყენა. დამდურება. შინაგანი ურთიერთდაპირისპირება არ ყოფილიყოს, ადრინდელი მეგობრული ღიმილით, შერიგების მიზნით. ხელი გაუწოდა. ახალი წელი მოდის, მართლა ბავშვები ხომ არ ვართ. გაბუტულები შევხვდეთო. მერე თავისი ყველაზე საყვარელი ფერწერული ნამუშევარი აჩუქა, მე მაინც იმდენი დამიგროვდა. აღარ ვიცი სად წავიღო. შესანახი ადგილი აღარ მაქვს. ჩემგან სახსოვრად გქონდესო და, თითქოს გული უგრძნობდა, ცოტა ნაღვლიანად დაამატა. რა ვიცი, ცხოვრებაში რაღა არ ხდება, მოსაგონებლად მაინც დაგრჩებაო. ასეთი სიტყვების მოსმენის შემდეგ მსგავსი გულის აჩუყება ტიტეს არასდროს უგრძვნია, თვალებზე ლამის ცრემლი მოადგა, თუმც იმავდროულად შეფარულმა კაეშანმა დაუპირა დათრგუნვა, — ბექამ სწორედ ის ტილო აჩუქა. რომელზედაც ეშმაკად წოდებული წითელთვალებიანი კატა იყო დახატული, უშველებელი, სისხლში ამოთხვრილი კბილები ჯერ კიდევ მოფართხალე მტრედისთვის ყელში რომ ჩაესო და ბასრბრჭყალებიანი თათები მისგანვე განგმირულ მართვეებზე დაებჯინა. რა თქმა უნდა, არ სწამდა, არაფერი გაეგებოდა ღმერთის, მაგრამ იმ წუთებში ტიტემ უნებურად ვედრებით შესთხო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვა მამაზეციერს, ოღონდ ახლა გადამარჩინე, ჩემი დაბეზღების ამბავი არ გამოააშკარაო, ან ავი შედეგებით არ დაასრულო და, ცხოვრებაში ამ ისედაც დაჩაგრულ სისხლნაკლულ ბიჭს აღარასოდეს ვაწყენინებო. ხოლო, რომ უფრო გაემყარებინა თავისი ფიცი, დედას ხელიდან რაც კი გამოჰგლიჯა, საჭმელ-სასმელი თუ ფუნთუშეულ-კამფეტეული, უშველებელ კალათში ჩააწყო და საახალწლო ძღვენი საკუჭნაოდ წოდებულ პატარა ოთახში იმ დღეებში ლოგინად ჩავარდნილ დეიდა ქეთევანს მიართვა. იქ ბექას თანაკლასელი გიშრისთვალა თინიკოც დახვდა, რომელსაც ასევე რაღაც საჩუქრები მოეტანა, ცოტა ხანს მათთან ჩაიმუხლისთავა, წაიმხიარულა, ენაზე ალვირი აიშვა და ბოლოს, როცა თინიკომ წასვლა დააპირა, არ მოეშვა, ხვალ აუცილებლად ჩემთან შევიკრიბოთო, ბექას კი თვალი ჩაუკრა და ისე აგრძნობინა, მეც ვიცი, თქვენ ერთმანეთს რომ ეკურკურებითო...

მაგრამ იმედი, უცაბედად მოფრენილი სიხარული, რამდენიმე საათში გახახლდა, გავერანდა და გაცამტვერდა. იმავე ღამეს ავად გაიღვიძა წითელთვალება ურჩხულმა, მძიმედ შემოალაჯა ოცხილაძეების ოჯახში და ბასრი ბრჭყალები მთელი მრისხანებით გამოაჩინა.

მერე რა საზარელი შესახედი იყო, შავი ტყავისლაბადიანები აქეთ-იქიდან რომ ამოსდგომოდნენ ავადმყოფ, მოძრაობაშეზღუდულ დეიდა ქეთევანს და კიბის საფეხურებზე უმოძრაო ფეხებს მიათრევინებდნენ. ის კი შვილზე წუხდა და, თუმც წიოკობა არ აუტეხია, საცოდავად გმინავდა ბედკრული. ვაიმე შვილო, შენ რაღას გერჩიანო. ხოლო ბექა, თავის ნახატებიანად წინ რომ მიარბენინებდნენ, დედას მოსძახოდა, გამაგრდი, ჩემზე ნუ სწუხარ, სიყვარული მაინც გადაგვარჩენსო, ამხნევებდა ვითომ და თან შინსახკომის ეროვნულ მუშაკებს კაცურად უტევდა, ფიცხილად მოექეცით ავადმყოფ ქალს, ვერ ხედავთ. სიარული უჭირსო.

ტიტე მაშინ ოდნავ გაღებული კარის ჭრილიდან უცქერდა ყველაფერს, ერთ მომენტში ბექას შიშჩამდგარ, მაგრამ ზიზღით სავსე თვალებსაც მისწვდა, თითქოს იქიდან უთხრა, ჩვენი ცოდვით ვერ გაიხარებთ, სამართლის გზას შენც ეწევიო; თითქოს მშველელსაც მოუხმობდა იგი, ან შესთხოვდა ღმერთს, გადაგვარჩინეო და სწორედ იმ დროს ერთ-ერთმა შინსახკომელმა კარი ცხვირთან მოუჯახუნა, სამზირალი დაუხშო. მეტის ცქერა აღარც შეეძლო, გაგულისებული და გულაფართხალებული მაშინვე თავის ოთახში შევარდა, კარი შიგნიდან ჩარაზა, ბექას ნაჩუქარ ნახატს ეცა და, რომ ვერსად დაინახა მისი დასამალი ადგილი, ხმამაღლა აბზუვლდა. რას წარმოიდგენდა მაშინ, რომ რამდენიმე საათში ახლა სულ სხვა ხმაზე ამღერდებოდა...

შემდეგ, თითქმის აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, რაც ხდებოდა, რა უბედურებაც ტრიალებდა ირგვლივ. რაც მთავარია, უკვე დანგრეული იყო ციხე-სიმაგრე, რომელშიც აქამდე მშვიდად, უშფოთველად, ლაღად და უსაფრთხოდ ცხოვრობდა. ახლა თუნდაც მართლა დანთქმულიყო მთელი ქვეყანა. წარღვნას წაელეკა და ქვა-ქვაზე აღარ დარჩენილიყო, გაწყვეტილიყო ძაღლი და ღორი, ყველა გამყიდველი და გამცემი. უკვე გულგაციებული ისმენდა მეორე დღესვე ქალაქში დარხეულ ხმებს, მხატვარი კახაბერ ორბელი და მისი მეგობრები გერმანიის აგენტები ყოფილან, საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ თურმე შეთქმულებას აწყობდნენო. მხოლოდ ოდნავ აღელდა, მამის დასაფლავებიდან ერთი კვირის თავზე რომ გაიგო, გიშრისთვალა თინიკოს მამა — საქვეყნოდ ცნობილი ექიმი, პროფესორი შალვა ცხვედაძე, იგივე ბრალდებით დააპატიმრესო. ის დიდებული კაცი ერთხელ, ალბათ შვილის ხათრით, დეიდა ქეთევანის გასასინჯად იყო მოსული და ეს ამბავი ტიტემ რა-

ლაც ოხრობად გურგენიჩთან სრულიად შემთხვევით გაიხსენა...

და არც ამით დამთავრებულა ტიტესათვის სამყაროს ნგრევა: ჯერ მამის წლისთავი არ გადაეხადათ, კაცი წესიერად არ იყო საფლავში გაციებული, რომ მოულოდნელად დედა გაუთხოვდა...

„რას სჩადიხარ, დედა!..“ — ჩიჩაყვების დაბერვამდე უყვიროდა მაშინ ტიტე დედას, მაგრამ სომეხი ვაჭრის ქალიშვილმა, რომელმაც ძალიან კარგად იცოდა რისთვის იყო მოვლენილი ამქვეყნად, თავისებურად დაუსაბუთა: „ასეა საჭირო შენთვისაც, ჩემთვისაც, მამაშენს მაინც ვერ გავაცოცხლებთ“.

„ასე არ უნდა ხდებოდეს ბუნებაში, — დავობდა საკუთარ თავთან გულში აცრემლებული ტიტე და გამოსავალს ეძებდა, — ასე არ შეიძლება ხდებოდეს ადამიანურ ყოფაში, თუ ყველაფერი თვით ადამიანის მძლავრი ბოროტი ხელით არაა წარყვნილი, წაბილწული. განა შეიძლება არ ენდობოდე და გიყვარდეს, ან გიყვარდეს და არ ენდობოდე? არ ენდობოდეს მამა შვილს, შვილი მშობლებს, ცოლი ქმარს?.. ვის გაუგონია, გიყვარდეს ქმარი, სანამ ცოცხალია ერთგულებაზე დებდე თავს და მისი სიკვდილისთანავე საქვეყნოდ განაცხადო, არ ვენდობოდიო, მერე დაჰკრა ფეხი, მიატოვო ერთადერთი შვილი და გათხოვდე? ეს ხომ საშინელებააა!..“

დიახ, ასე განუცხადა ვარლამის მოსიყვარულე, ერთგულმა ცოლმა მინსახკომის მუშაკებს და სამსახურშიც პარტიის ღია კრებაზე საჯაროდ იგივე გაიმეორა: მართალია სიყვარულით შევქმენით ოჯახი, ერთმანეთის ხათრიც გვქონდა, პატივისცემაც, ერთგულ ცოლობასაც ვუწევდი, თამამად შემიძლია ვთქვა, არასდროს დაგვირღვევია კომუნისტური მორალის ეთიკურ-ზნეობრივი ნორმები, მაგრამ ჩემი ქმარი ისეთ დარგს ემსახურებოდა, თვითონ ხომ არასდროს მენდობოდა, — მეც არასდროს მომიდუნებია პარტიული სიფხიზლე, ყოველთვის მზად ვიყავი განმეცხადებინა, თუ რაიმე საეჭვოს ჩაიდენდა, და ახლაც მთელი შეგნებით ვგმობ მის, კომუნისტისთვის შეუფერებელ, უღირს საქციელსო. აი, ასე ხელის ერთი დაქნევით მოიცილა ქმარი და ყველა „ცოდვა“ მას შეახოცა, ამდაგვარად სცადა თითქოს კულტურის სამინისტროში ხანმოკლე მუშაობით უცბად გაინტელიგენტებულმა კომუნისტმა ქალმა შვილისა და საკუთარი თავის გადარჩენა და რიხიანად გაცხადებული, საქმითაც რომ გაემყარებინა ძალიან მალე ერთ ხანდაზმულ კრიტიკოსზე გათხოვდა, რის შემდეგ საცხოვრებლად მასთან გადაბარგდა...

„ჩემს საზრიანობას უნდა უმადლოდე, რომ დედა მაინც გვერდით გყავს და შენც მშვიდად ცხოვრობ, — მალიმალ გაცხარებით უმტკიცებდა ტიტეს დედა და მერე ქალური ეშმაკობით, ტკბილმოუბარი ენით მთელს ლექციას უკითხავდა: — ჰო, ჩემს საზრიანობას — ჩემსას და ბესიასას... იცი, რა კეთილი, საქმიანი და, რაც მთავარია გამოსადეგი კაცია? შენ ოღონდ ხატვაზე გულს ნუ აიცრუებ, განაგრძე მუშაობა და..., თანაც, უკვე ხანდაზმულია, შვილო, მარტოხელაა, იმხელა ბინა აქვს, ქონება. ვითვის გვინდა? ჰო, აბა თქვი, ვის დარჩება მთელი ეს ქონება?..“ ტიტეს ამ დროს ყოველთვის სურდა ეყვირა, დამანებეთ თავი, არც შენი ქმარი მაინტერესებს, არც მისი ქონებაო, მაგრამ აღარ იღებდა ხმას. უკვე რაღაც აკავებდა თუ არ აძლევდა უფლებას დაეყვირა მშობლისთვის, რომელმაც ცხრა თვე მუცლით ატარა, წვალებით შობა და გაზარდა და, რომელიც ახლა ყოველ ცისმარე დღეს სალამოობით საჭმელ-სასმელით დატვირთული აკითხავდა, ულაგებდა მუდამ გადაქოთებულ სამუშაო ოთახს, ლოგინს, უმზადებდა ცხელ კერძს, უტოვებდა სახარჯო ფულს (არცთუ ცოტას) და თუ რამეს ითხოვდა შვილისგან, მაშინაც გულწრფელი გრძნობები ამოძრა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვებდა. ეგ არის, ტიტეს გაკერპებულ-გაბოროტებულ გულს აღარაფერი ახარებდა, აღარაფერი ახალისებდა. სკოლაშიც იძულებით დადიოდა და სწავლასაც უკლო, კრივს მიანება თავი; საერთოდ, გაურბოდა ადამიანებს, თანატოლებს, განსკუთრებით ვერ იტანდა გალაღებულებს, გველის შხამივით მწარედ უვლიდა მთელ სხეულში მათი მხიარული სიცილ-კისკისი. ასეთმა ცხოვრებამ უნებურად ხელი შეუწყო მის ზნეობრივ დაქვეითებასაც. უბედურებამ თითქოს ჩაკლა ყმაწვილკაცში ღირსების გრძნობა. რაც მთავარია, არ შეეძლო დაერწმუნებინა თავი, თითქოს უდანაშაულოდ, დაუმსახურებლად დაატყდა უბედურება და ზიზღნარევი უპატივცემლობით განიმსჭვალა ყველასადმი. დაინახავდა თუ არა ლამაზ გოგოს, საკბილოს, არც კი ეუბნებოდა რამეს, მაგრამ მაშინვე ლიდიას ნათქვამი ახსენდებოდა, თქვენს ქართველ გოგოებს ჩვენზე მეტად უნდათო და ვაჭრული თვალით შესცქეროდა, გონებაში ხდიდა ტანსაცმელს, მთლიანად აშიშვლებდა, მერე, როგორც სურდა, ისე ექცეოდა. აღარც სასმელი ახრჩობდა და გულს უჩერებდა. არცთუ იშვიათად, საღამოობით საკუთარ სამუშაო ოთახში განმარტოვებული, არაყს მიირთმევდა.

მერე დაიღალა. დაღლილი სული კი ყოველთვის შვებას ითხოვს და, როგორადაც უნდა ინგრეოდეს ქვეყანა, თუ მასთან ერთად თვითონაც არ დაინთქა, თავისდა უნებურად ყოველი ადამიანი გადარჩენის გზებს ეძებს. არის სხვა გარემოებაც: უნებლიე ცოდვებით დამძიმებულ სხეულს არ ძალუძს თავისუფლად სუნთქვა, იგი უბრალოდ იღუპება, დროულად თუ არ გადაიგდო მხრებიდან ის ცოდვები. მით უფრო, საოცრად მძიმე სატარებელი აღმოჩნდა ასეთი ტვირთი ტიტესთვის, რომელიც ჯერ ბოლომდე არ გამოხსნოდა ასაკობრივ გულწრფელ განცდათა ბუნებრივ ჩვევებს და ულმობელი ცხოვრება უკვე სხვაგვარ მოთხოვნებს უყენებდა: ან უნდა ევლო მონანიების გზით, ეცხოვრა განდეგილი კაცის ცხოვრებით; ან ერწმუნა, რომ რაც ჩაიდინა, არ იყო ცოდვა, დასაგმობ-გასაკიცხი საქციელი; ან აეფარებინა ნიღაბი და მსახიობივით ეთამაშა სხვა ადამიანის როლი და ასე წარდგომოდა საზოგადოებას.

რა თქმა უნდა, არსებობდა სხვა გზებიც. მაგრამ ტიტე ძირითადად ამ სამზე ფიქრობდა; ფიქრობდა და არჩევანს ვერა და ვერ აკეთებდა. ყველაზე რთულად განდეგილობა ესახებოდა, თვით ახალგაზრდული ბუნება არ ღებულობდა მას, უარყოფდა. ამასთან, უცნაური არ ყოფილა მისი ამქვეყნად მოვლინება, მაგრამ ისეთ გარემოში აიდგა ენა, აღიზარდა და ჩამოყალიბდა, რომ მტკიცე რჯულის, აღთქმის და აღკვეცის არაფერი გაეგებოდა. მან მხოლოდ იცოდა, რომ ყოველგვარ ცნობიერებას ყოფიერება განსაზღვრავს და ტვინსაც მხოლოდ იმ მიმართულებით ავარჯიშებდა, საითაც უბიძგებდა არსებული ყოფა, ამ ყოფაში დამკვიდრებული იდეოლოგიური დოგმები. ხიბლავდა ედემის ბაღად წარმოდგენილი, კაცობრიობის საბოლოო მიზანი — კომუნიზმი, მისი წინა საფეხური — სოციალიზმი, რომელშიც თვითონვე ცხოვრობდა და რომლისთვისაც ღირდა სიცოცხლეც, სიკვდილიც. ხოლო იდეისათვის ბრძოლა სისხლსაც რომ მოითხოვდა. ბუნებრივ მოვლენად უნდა აღქმულიყო, რადგან, პროლეტარიატის ბელადების თქმით, მიზანი ამართლებს საშუალებას. ამ ლოგიკით ტიტეს შეეძლო და სურდა კიდეც ერწმუნა, რომ სრულიადაც არ ჩაუდენია ცოდვა, დასაგმობ-გასაკიცხი საქციელი. პირიქით — პატრიოტული ვალი მოიხადა სამშობლოს წინაშე, — თქვა ის, რაც იყო და როგორადაც ხედავდა! ბოლოს და ბოლოს, მისგან დასმენილები ალბათ მართლა აშავებდნენ რაღაცას, მართლა ეწეოდნენ საბჭოთა სახელმწიფოს წინააღმდეგ ძირგამომთხრელ მუშაობას, თორემ ვიღაც პატარა ბიჭის უსახელო წერილზე ვინ ატეხდა ამხელა ალიაქოთს, დაარბევდა და ააწიოკებდა ამდენ ოჯახს?.. ეგ არის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამის თვითმკვლელობა უშლიდა ხელს ასეთი რწმენით ევლო ცხოვრებაში. თვითონ ხომ იცოდა, მამა იქით ებრძოდა ხალხის მტრებს და სწორედ მათი ტყვიით ორჯერ იყო თითქმის სასიკვდილოდ დაჭრილი. ასეთ ადამიანს არ შეეძლო სამშობლოს ღალატი და ხალხის მტრების მფარველობა, რაც მას შინსახკომელმა „მეგობრებმა“ ბრალდებად წაუყენეს...

არც ნიღაბაფარებული სიარული, მსახიობის ოსტატობის დაუფლება ჩანდა იოლი და, ისე დაიქანცა მსგავსი უნაყოფო გზების ძიებაში, საერთოდ აღარ სურდა ამაზე ფიქრი; ისევ მსახვრალ ცხოვრებას მიუგდო თავი საჯიჯგნად... გავიდა მცირე დრო და ნელ-ნელა გამოიხედა თვალში, ხალხში გაერია, ზოგჯერ იხსენებდა, რომ არსებობდა ოფიცერთა სახლიც; რადგან ბუნება აბსოლუტურად გულგრილი აღმოჩნდა ადამიანური უბედურების მიმართ, თავად შეეცადა მის გალამაზებას ახალ-ახალი წარღვნებით, მიწისძვრებით, ქარიშხლებით... მაგრამ უკვე იმ ჩამორჩენილ მგზავრს ჰგავდა, მატარებელმა რომ გაასწრო, — სამეგობროდ სათოფეზე აღარავინ ეკარებოდა კახპების და არყის მოყვარული სამხედროების გარდა სხვა ვერავინ მოიტყუა გამოცარიელებულ სახლში. ღიდიაც გაუთხოვდა.

ცხოვრებაზე გულმოსული და ხალხზე გაბოროტებული ხშირად იდგა ფანჯარასთან, ისმენდა მოპირდაპირე სახლის ჩუქურთმიან აივანზე ჭერში მიმაგრებულ სამტრედეში, გამომწყვდეული მტრედების გაბმულ ღუღუნს, გასცქეროდა ახმაურებულ, თითქოს მომღერალ ქალაქს და უკვირდა, რა ახარებდა ბუნებას, როცა თავადვე ასწავლა, რომ დედამიწაზე სიყვარული არ არსებობს.

მერე ისე მოხდა, თავისით, ძალადაუტანებლად, ყოველგვარი წინასწარი შემზადების გარეშე, თავში რაღაც სტროფები დაულაგდა, აჟღერდა, ამღერდა... ფუნჯს წაატანა ხელი, საღებავები დაჭყლიტა პალიტრაზე, ერთმანეთში შეაზავა, ფერებს დაუწყო ძებნა. შინაგანად იგრძნო წყურვილი, მოზღვავებული ძალა ამქვეყნად მრავალი ღირსშესანიშნავი რამის შექმნისა და მიხვდა, რომ მხოლოდ ხელოვნება თუ გადაარჩენდა.

დასასრული იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ვაჟა ხორნაული

# „სიცოცხლე ერთი ხატისათვის“

●

ხის სახლი მიყვარს —
როცა ხის სახლში ვარ,
თითქოს უფრო
მშობლიურნი არიან ჩემთვის
სივრცე და დედამიწა...

●

ხომ გახსოვს საქანელა —
მზეს ხან ასცდებოდა,
ხან ჩამოსცდებოდა.

ხელებს ასდიოდა
ყვავილოვან ბალახის სურნელი...

ბავშვობის ოქროს რა გამოლევს
გულსა და ფიქრში!

●

როდესაც პირველად
გაისმა ქვეყანაზე
სიცილი მხიარული
და მერმე ტირილით შეიცვალა,
მაშინ თქვა ზეციერმა:
„სულ ასე იქნება...“

●

ის ლაპარაკობდა
ჩუმად და ღიმილით —
თითქოს მის ბაგეებს
სინათლის იებივით
სცვიოდა სიტყვები.

●

მე უფალს ვახსოვარ...

სულ ასე უნდა ვიყო:
ცა მთბობდეს
და მიწა მტკიოდეს,
ეკლებზე ვაბიჯებდე
და მაინც სიყვარულის
სიმღერას ვმღეროდე...

სულ ასე უნდა ვიყო —
მე უფალს ვახსოვარ...

●

მას გულში მშვენიერი
და მაღალი
ტაძარი დაუქციეს,
მაგრამ მაინც ცისკენ მიდიოდა
და უბურუსო თვალებში უბრწყინავდა
შუქი ღვთაებრივი...

●

რამდენი ისარი
ძირს აღარ დაცემულა! —
სადღაც სივრცის ბზარში
არის ჩაჭედილი —
ზოგჯერ ქარი იგრძნობს,
ზოგჯერ ექო წამოეღება
და გაიბზარება...

●

რა უცებ გადის
დღე სიყვარულის:
თითქოს გვიფრთხილდება —
თითქოს იცის,
რომ ჩვენი გულები,
თავდავიწყების ტალღებისგან
გატაცებულნი,
ან ერთურთს დაკარგავენ,
ან ყვავილოვან კლდეს შეემსხვრევიან.

●

გადაიწერა პირჯვარი გლეხმა
და ბაღში შევიდა,

ვით ღმერთის შორეული,
ერთგული ნათესავი...
შევიდა ბაღში
და ყვავილების ჩრდილით
დაჭორფლილი
ღიღინებდა — თითქოს ცით გამთბარი
დედამიწის ფიქრს იმეორებდა.

●

რა მწარე სანახავი ყოფილა
ჭრილობა სახურავის...
ამ ჭრილობიდან ჩამოსულ შუქს
თვალს ვერ გაუსწორებ —
სივრციდან ჩამოწვდილ
მახვილს მოგაგონებს...

ნეტავ შემეძლოს,
ამ ბებერ სახლში
(მე რომ ათასში ერთხელ ვნახულობ)
განშორებისას ჩემი ჩრდილი
მაინც დავტოვო...

●

მაგრამ აქ ვერასოდეს ამოვა
მგზავრი, რომელიც
არ მიიჩნევს
ვარსკვლავებს ხატებად
და ღმერთის სიყვარულით
არ უცემს გული...

●

მიწაზე გაბზარული კლდის ჩრდილი —
ბინდისფერ ფურცელზე დახატული
ნატეხი ელვისა...
მუხის ბოძი კი
მაინც ფეხზე დგას,
როგორც წინაპრის
ტკივილის ქანდაკება.

●

გოგოს შუბლზე
გვირგვინის კვალი
მკრთალი და ნაზი...
დალოცე სიყვარული,
უფალო,
კიდევ ერთხელ
დალოცე სიყვარული.

●

შენ ფუტკარი ხარ
და წმინდა წვეთები
დღის მღვრიე ტალღებიდან
და ღამის
ნისლებიდან ამოგაქვს.

●

ნერგები შრიალებენ,
ხეები ერთმანეთის
სურნელით ხარობენ
და სამოთხის
მზე და ჰაერია
მებაღის თვალებში...

●

— გონს მოდი, ოტელო,
ნუ შესცოდავ,
იმ ქვეყნად სატანჯველი გელის.
— ერთი დეზდემონა მირჩევნია
მილიონ ვარსკვლავს...
მე არა... შექსპირია
ამ ქალის მკვლელი!

●

ჩუმი სახლიდან
გახვალ ჩუმ სივრცეში,
მდინარის სილურჯეში
მზესთან ერთად
შენს სახეს დაინახავ
და ქარი შემოდგომის
ხმელ და სურნელოვან
ყვავილებს გისახსოვრებს.

●

წყაროს წყალს შესვამ
და თვალები
ცას გაუღიმებენ
და გული
დედამიწას დალოცავს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

მიმნდობი იყო ანგელოზი —
იმდენად მიმნდობი,
რომ რაღაც ლამაზი გაშრიალდა
ეშმაკის არსებაში
და თითქოს თვალებიც გაუნათდა,
მაგრამ ეს გაგრძელდა
სულ ერთი წამით
და ისევ სიმულვილის ნაოჭები
აისხა სახეზე...

●

მე თანაბარი ნაბიჯებით
ვერასდროს ვივლი,
რადგან ერთ მხარეს
ანთია სივრცე,
ხოლო მეორე მხარეს — დედამიწა...

●

ველზე საკუთარ ჩრდილის გვერდით
მგზავრს ჩასმ[illegible]ებია...
იქვე, ბალახში,
გდია ყავარჯენი
და მზეზე ბრწყინავს
და მიწის ჭრილობას
წაავავს შორიდან.

●

მეხის ხმაც
დედამიწის ტკივილია
ღრუბლებისაგან.
დიდხანს ნათმენი
და ციდან მოვლენილი...

●

დაეცა
და ისე ლამაზად წამოდგა,
თითქოს მის გულში
მფეთქავი ვარსკვლავები
სივრცემ მიიზიდა...

●

სანამ მუხლმაგარი
მეტოქენი ერთმანეთს ებრძოდნენ,
კენწეროზე
აცოცდა მლიქვნელი
და ჩაიქირქილა.

●

თითქოს გუშინ იყო:
სათიბ მამულებს ვერ იყოფდნენ,
ჩხუბობდნენ მეზობლები...
ახლა აღარც
ისინი არიან
და აღარც ცელის სახე ახსოვს
აქაურ ჰაერს.

●

ისიც ჩემსავით გარეთ გამოსულა,
აყვავებული
მინდვრის სინათლეში,
ხავსიან სიპზე გარინდულა
და მზეზე თბება
დედის დაგრეხილ ბაწარივით
ლამაზი გველი.

●

თვალებმა ველარ იცნეს
მისი სახე,
ჩრდილი და ნაბიჯები,
მაგრამ გულმა იცნო
მისი ხმა
ხატის წყაროსავით
აუმღვრეველი...

●

თვითონ რომ ჩადის,
ცასთან ერთად
ვარსკვლავებს გვიტოვებს
და ხშირად სიზმარშიც
ჩვენი მფარველია...
მზევ რატომ,
რისთვის დაემდურები?

●

ადამიანი ჰორიზონტზე
და იქვე მნათობი...
და ფიქრი გულისა:
„რატომ დაივიწყეთ

ცის და დროის სიმაღლეები?
რატომ გამაგრდა რკინასავით
თქვენი ნაჭუჭები"?

●

სამარეში ჯერ სივრცე ჩადგება,
გაათბობს,
მზის სურნელს შეატოვებს
მერე მიცვალებულს დაუთმობს ადგილს...
მერე კი ცრემლიან
გულებს ანუგეშებს
და ბედთან შეარიგებს.

●

დედამიწა
სამყაროს სახეა,
რომელსაც არასოდეს შეშრობია
ცრემლი სიხარულის,
თუ ცრემლი სინანულის.

ვინ იცის,
რამდენჯერ მოუშუშა
წვიმამ ჭრილობები;
ვინ იცის,
ფოთლების და ფესვების ენით
რამდენჯერ იგალობა
მზის საგალობელი...

დედამიწა
სამყაროს სახეა
მარადიული ნაოჭებით დამშვენებული.

●

ტკივილის ლოდი
უფრო რომ დამძიმდეს,
ჰაერის კიბე
მაინც არ ჩაგიტყდება...

კვლავ ალმა იარე!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# თენგიზ კობერიძე

## იმ აპრილიდან ამ აპრილამდე...

იმ აპრილიდან
ამ აპრილამდე,
გამოუთქმელი
წუხილი დამდევს...
იმ აპრილიდან
ამ აპრილამდე
უმანკო სისხლი
ჩუხჩუხებს ცამდე.
იმ აპრილიდან
უკუნისამდე,
მხოლოდ მამული,
მამული გწამდეს!..

## ბედს

გული მქონდა და წამართვი,
სისხლი მქონდა და გამიშრე;
მომეპყარ, როგორც წარმართი...
კიდევ სხვას რაღას მანიშნებ?!
კიდევ რისი ხარ მთნეველი,
რა დაგრჩა წაურთმეველი?!

## ღმერთო გვიშველე ცდომისგან!

რას მოასწავებს ზამთარო,
ოეთრად დაბინდვა,
რინდება?!
ტირილი გინდა, არ გინდა,
მაინც ტირილი გინდება...
სისხლს ანთხევს წუთისოფელი,
დღე ისე არ დაბინდდებბა,
მოგიფრინდება ქორივით,
გულს მოგგლეჯს,
გაგიფრინდება...
შიმშილი, გლოვა, წუხილი
ჩვენი აღარა სწყინდება,
მოიწმინდება ზეცა და
კვლავ ისევ დაიბინდება,
ო, რა ცოდოა სული, რომ
ცოდვებით დაგიმძიმდება...
რომ სისხლით,
მხოლოდღა სისხლით
განიბან-განიწმინდება...
ღმერთო, გვიშველე,
ცდომისგან
სული ნუ წაგვეწყმინდება!..

●

ეს ზღვა და ზეცა ლურჯი,
ზურმუხტოვანი მიწა,
ზედ ახატია ფუნჯით
ამ ჩემი გულის ფიცარს!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# თამარ ბოლქვაძე

●

აკანკალათ გზისპირას ცაცხვებს,
სულ გაქვავებას ართოლვა გერჩის,
ო, ღმერთო! ისე ნუ დამანარცხებ,
გული სიყვარულს გადაეჩვიოს.

ფერებსაც ისე ნუ გამიხუნებ,
მზე ყვითელ მასად იყოს ქცეული
და ამ გაცრეცილ ფერთა შემყურეს,
თვით მეუცხოვოს ჩემი სხეული.

## თვითდამპყრობი

ჩემი ხერხემალი — ოღროჩოღრო ცოცხალი კიბე.
მე თვითდამპყრობის ურყევი ქინით ზეამავალი.
კეფაზე თვალი თმის თვალბადეში
ეჰა, რამდენჯერ შესწრებია ჩემს ზეაღმართებს
და მე თხემამდე ძლივს მიღწეული
ოი, რამდენჯერ დავნარცხებივარ საკუთარ ფეხებს.
და სანამ ზურგი თავს მოირკალავს, მე ისევ ავალ,
რომ უხსოვარმა თვალმა კეფაზე
თავისუფალი მიხილოს ერთხელ!

●

ფარვანებივით აწყდებიან ფიფქები
სარკმელს,
სულმოუთქმელად რომ შეუსრუტავთ
მსუნთქველთა სუნთქვა.

და დაორთქლილი მინებით სახლი,
ცოცხალი თავით არ იმჩნევს ზამთარს,
რამეთუ, ოთახს, სარკმელს და სხეულს
მე შთავაგონე ზაფხულის სითბო.

## რაღაც მოცივზამთრო...

თალხი მარტოობის ყულფში თავწაყოფილს
ძარღვებგანასკვული ფიქრი გამახსენდა.
ღამემ შეიწოვა ტკივილი სამყოფი,
მერე რიბი-რაბოდ თავზე დამათენდა.

სიჩუმეს თვალების გუგებზე დამხობილს
სხეულის სიღრმიდან ვუმზერ ალმაცერად.
რაღაც მოცივზამთრო მომიცავს სამხრობით,
ალბათ ბედისწერამ ასე დამაწერა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ნეტა, კაცს როდისღა უხარია,
ანდა, რა მიზეზით ლონდება?
ქალი კი, როცა მწუხარეა,
უთუოდ კაცი აგონდება.

## ძველად უყვარდათ ასე...

ულეწელას ყვავილებით მოგიჩითავ სარკმელს,
თავმოდრეკით გეახლები თუკი მომინატრებ.
ჭირისუფლად დაგიდგები, თუგინდ ლხინისუფლად,
ოღონდ ერთხელ, შენი ხელით გამიშალე სუფრა.

უუმშვიდესს მოგიძებნი შეღამების სურვილს,
ოღონდ ერთხელ მოიდრიკე ეგ ამაყი სული.
შენი სახლის თეთრ ლაქიებს იქნებ მოვენატრო,
სასიკეთოდ მოვალ შენთან, აბა, რა მაქვს სამტრო.
და ვთხოვ უფალს, ჩემი თავი დაგაჭიროს იქნებ,
ოღონდ ერთხელ მიხმე, მერმე მომკალ იქვე!

## ოცნების კუნძულზე

ნესვისფერ დღეს მივალ ხმამაღალ ოკეანესთან
და სამუდამოდ გადავუგდებ ფოთოლს ლელვისას.
და ტყავი ჩემი შეიქნება ჩემი სამოსი.
რამეთუ სული თავისუფალ სხეულში მყოფი
სიცხიანივით ზედ შეიშრობს ქარებს და წვიმებს.

●

შეგხედე, მივხვდი, რომ უკვე ვიცი
იმ ცხოვრებაში ისე დიდხანს ვიყავით ერთად.
ხელუხლებელი შეგვინახა ხსოვნამ სიტყვები.
ერთმანეთისთვის ისევ რომ გვეთქვა.

●

მე და შენ ვიჯექით და უხმოდ ვსვამდით.
კედელზე ეკიდა სურათი ჯვარცმის —
ბოთლი ცარიელი, ჭიქები სავსე.
ოდესღაც, ოდესღაც ქრისტე ჯვარს
 აცვეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

●

ეს მე მოვიხმე ჩემი სულის სალაღობოში.
შეცელქე ახლა, მოიგონე თამაში ჩემთვის.
ხედავ, ბოლომდე გახსნილია ჩემი კარიბჭე.
ო, ამ სცენაზე მელოდრამებს არ ასრულებენ...
ჩემს პატივაყრილ გაზაფხულებს იოხებს დასი.
შენ კი შეცელქე, შემოგროვე ყველა ღიმილი,
რომელიც სადმე გაგიფანტავს უმისამართოდ.
ბოლო ლუკმიდან მომიფშვენი შენი ბავშვობა,
რომ მერმე დიდხანს, ძალიან დიდხანს ვილოკო თათი...

●

ღამე ულოკავს მიწას იარებს
და შუბლზე აფენს ცვრიან სალბუნებს.
დილით მზე იმედს იმშობიარებს
და მისხალ-მისხალ ყველას გვარგუნებს.

## მარტოხელა

ცრემლისფერთვალება სევდავ ჩემო,
ეს ზამთარიც როგორმე გავლიოთ.
მერე გაზაფხული მოვა და
გვეშველება ალბათ.
თვალებში სითბო ჩაგეღვრება
და ეგებ, სიხარულადაც შექცე.
ოღონდ, ამ ზამთარს ნუ ამიტირდები,
ნუ ამაყმუვლებ მშიერ მგელივით.

გაზაფხულისპირს იები გველიან
მე და შენ.
მაგრამ, თუ გაზაფხულსაც
დავავიწყდით,
მე თვითონ გიყიდი იებს,
ფერად-ფერადი ტყუილებით სულს
ჩაგიყუჩებ,
თავს თუ არა, შენ ხომ დაგაჯერებ,
ეს ყვავილები მაჩუქეს-მეთქი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა



## ლევ ტროცკი

# სტალინი

### 1917 წელი

ქვეყნის და, განსაკუთრებით, პროფესიონალ რევოლუციონერთა იმ თაობის ცხოვრებაში, რომელსაც იოსებ ჯუღაშვილი ეკუთვნოდა, ეს იყო ყველაზე მნიშვნელოვანი წელი, — იდეების, პარტიებისა და ადამიანების გამოცდის წელი.

სტალინის პოლიტიკური პორტრეტის წარმოსადგენად დიდად მნიშვნელოვანია ის 22 დღე, რომელიც გავიდა ციმბირიდან სტალინის ჩამოსვლასა (12 მარტი) ლენინის შვეიცარიიდან დაბრუნებამდე (3 აპრილი). კობას წინაშე ერთბაშად იშლება ფართო ასპარეზი: პეტროგრადში არ არის არც ლენინი, არც ზინოვიევი; აქაა მხოლოდ თავისი ოპორტუნისტული შეხედულებებით ცნობილი, სასამართლო პროცესის მიმდინარეობის ჟამს კომპრომეტირებული კამენევი; აქაა, აგრეთვე, ახალგაზრდა, პარტიისათვის ნაკლებად ცნობილი ხელმძღვანელები, რომელიც უფრო ორგანიზატორია, ვიდრე პოლიტიკოსი; მძვინვარე ხპანდარიანი ალარაა, იგი ციმბირში გარდაიცვალა. ისევე, როგორც 1912-ში, ახლაც სტალინი დროებით აღმოჩნდა ბოლშევიკური პარტიის თუ პირველი არა, ორიდან ერთ-ერთი წარმომადგენელი მაინც პეტროგრადში. დაბნეული პარტია გარკვეულ მითითებას ელის: დუმილი დაუშვებელია. სტალინი იძულებულია, პასუხი გასცეს მთელ რიგ მწვავე საკითხებზე: საბჭოებზე, ხელისუფლებაზე, ომზე, მიწაზე. ეს პასუხები გამოქვეყნებულია და აქ ყველაფერი ცხადია კომენტარის გარეშეც.

პეტროგრადში ჩამოსვლისთანავე, რომელიც იმ დღეებში ერთ გადამწყვეტ მიტინგს წარმოადგენდა, სტალინი დაუყოვნებლივ მიდის ბოლშევიკურ შტაბში. ამ დროს „პრავდის" სათავეს განსაზღვრავს ცკ-ის ხამი წევრი, რომლებიც რამდენიმე ლიტერატორთან თანამშრომლობენ, ისინი ამას საკმაოდ წარუმატებლად აკეთებდნენ. მაგრამ პარტიის ხელმძღვანელობა მათ ხელში იყო. დაე, ხხვებმა ჩაიხლიჩონ ხმა მუშათა და ჯარისკაცთა მიტინგებზე, სტალინი შტაბში დაიხანაკებს.

ოთხ წელზე მეტია გასული პრაღის კონფერენციიდან, რომლის დამთავრების შემდეგაც იგი ცკ-ში შეიყვანეს; მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა. მაგრამ კურეიკის ყოფილმა ბინადარმა იცის, როგორ გამოიყენოს აპარატი და თავის მანდატსაც ჯერ კიდევ არ თვლის ძალადაკარგულად. კამენევისა და მურანოვის დახმარებით მან პირველ რიგში ხელმძღვანელობას ჩამოაშორა მეტისმეტად „მემარცხენე" ცკ-ის ბიურო და „პრავდის" რედაქცია. ყველაფერი ეს საკმაოდ მკაცრად მოიმოქმედა, ყოველგვარი შეწინააღმდეგების შიშის გარეშე და, ამასთან, ჩქარობდა გამოეჩინა თავისი მტკიცე ხელი.

„ჩამოხული ამხანაგები — წერდა ამის შემდეგად შლიაპნიკოვი, — ჩვენი მუშაობის მიმართ მეტად კრიტიკულად და უარყოფითად იყვნენ განწყობილნი". ამ მუშაობის ნაკლს ისინი მის უფერულობასა და გაუბედაობაში კი არ ხედავდნენ, არამედ, პირიქით, მათ მისწრაფებაში, გამიჯვნოდნენ შემთანხმებლებს. სტალინი, ისევე როგორც კამენევი, უფრო საბჭოების უმრავლესობისაკენ იხრებოდა. უკვე 15 მარტიდან „პრავდამ", რომელიც ახალი ხელმძღვანელების ხელში აღმოჩნდა, გამოაცხადა, რომ ბოლშევიკები გადაჭრით დაადგებიან დროებითი მთავრობის მხარეს, „რამდენადაც იგი ებრძვის რეაქციას და კონტრრევოლუციას..." ამ განცხადების პარადოქსულობა იმაში გახლდათ, რომ კონტრრევოლუციის ერთადერთ სერიოზულ შტაბს ხწორედ დროებითი მთავრობა წარმოადგენდა. ასევე პასუხი გაეცა ომის საკითხსაც: ვიდრე გერმანიის არმია თავის იმპერატორს ემორჩილება, რუსი ჯარისკაცი ვალდებულია, „მტკიცედ იდ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" № 1, 2, 3, 4, 5, 6.

ეროვნული ბიბლიოთეკა

გეს პოსტზე, ტყვიას ტყვიით, ხოლო ყუმბარას ყუმბარით უპასუხოს“. მართალია, სტატია კამენევს ეკუთვნოდა, მაგრამ სტალინს მისთვის არავითარი სხვა შეხედულება არ დაუპირისპირებია. საერთოდ, კამენევისაგან ამ პერიოდში იგი მარტოოდენ მეტი ლავირების უნარით თუ გამოირჩეოდა. „უოველგვარი „პორაჟენელობა“, — წერდა „პრავდა“, — უფრო სწორად ის, რაც ამ სახელით მონათლა მეფის ცენზურის ქვეშ მოქცეულმა პრესამ, მაშინვე მოკვდა, როგორც კი პეტროგრადის ქუჩებში პირველი რევოლუციური პოლკი გამოჩნდა“. ეს იყო, ერთი მხრივ ლენინისაგან პირდაპირი განდგომა, რომელიც მეფის ცენზურისათვის მიუწვდომელად თვლიდა „პორაჟენელობას“ და, მეორე მხრივ, სათათბიროს ფრაქციის სასამართლოზე კამენევის განცხადებისადმი მხარის დაჭერა ამჯერად სტალინის მხრიდან. რაც შეეხება „პირველ რევოლუციურ პოლკს“ მისი გამოჩენა მხოლოდ ბიზანტიური ხანის ბარბაროსობიდან იმპერიალისტური ცივილიზაციის ეპოქაში გადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენდა.

„გარდაქმნილი „პრავდის“ გამოსვლის დღე — გვიყვება შლიაპნიკოვი, — „ობორონული“ ზეიმის დღედ იქცა. მთელი თავრიდის სასახლე, მოყოლებული სახელმწიფო სათათბიროს კომიტეტის საქმიანობიდან და დამთავრებული რევოლუციური დემოკრატიის გულით, — აღმასრულებელი კომიტეტით, — სავსე იყო ერთი ახალი ამბით: ზომიერმა ბოლშევიკებმა გაიმარჯვეს უკიდურესებზე. თვითონ აღმასრულებელ კომიტეტში გესლიანი ღიმილით შეგვხვდნენ. როდესაც, „პრავდის“ ეს ნომერი ქარხნებში მიიღეს, მან იქ გამოიწვია პარტიის წევრებისა და იმათი უკმაყოფილება, ვინც ჩვენ თანაგვიგრძნობდა, მოწინააღმდეგენი კი კმაყოფილებით შეხვდნენ... რაიონებში მეტისმეტად მძაფრი უკმაყოფილება დაიწყო, ხოლო როცა პროლეტარებმა შეიტყვეს, რომ „პრავდა“ ხელში ჩაიგდო ციმბირიდან დაბრუნებულმა მისმა სამმა ყოფილმა ხელმძღვანელმა, მათი პარტიიდან გარიცხვა მოითხოვეს“. სტალინის, კამენევისა და ზინოვიევის ზემოქმედებით 1923 წელს, როცა „სამეულმა“ პარტიაში გაბატონებულ მდგომარეობას მიაღწია, შლიაპნიკოვის ეს მოგონებები ოდნავ შერბილდა, მაგრამ იგი მაინც საკმაოდ ნათლად გვიხატავს რევოლუციის არენაზე სტალინის პირველ ნაბიჯებს და მოწინავე მუშების გამოხმაურებას მის ამ მოღვაწეობასთან დაკავშირებით. ვიბორგელების მტკიცე პროტესტმა, რომლის გამოქვეყნებაც მალე მოუწია „პრავდას“, რედაქცია აიძულა, უფრო ფრთხილი ყოფილიყო საკითხთა ფორმულირების დროს, კურსი კი მაინც არ შეუცვლია.

საბჭოების პოლიტიკა პირობითობისა და ორაზროვნების დაღს ატარებდა. მასებს ყველაზე მეტად ესაჭიროებოდათ, ვინმეს საგნებისათვის, ბოლოს და ბოლოს, საკუთარი სახელი დაერქმია: რევოლუციური პოლიტიკაც ხომ სწორედ ეს არის, მაგრამ ორხელისუფლებიანობის სუსტი შენობის დანგრევის შიშით ამის გაკეთებას ვერავინ ბედავდა. ყველაზე დიდი სიყალბე მაინც ომის თემასთან დაკავშირებით დაგროვდა. 14 მარტს აღმასრულებელმა კომიტეტმა საბჭოებში შეიტანა მანიფესტის — „მთელი მსოფლიოს ხალხებს“ — პროექტი, გერმანიისა და ავსტრია-უნგრეთის მშრომელებს ეს დოკუმენტი მოუწოდებდა, უარი ეთქვათ „მეფეების, მემამულეთა და ბანკირთა ხელში დაპყრობის და ძალადობის იარაღად ქცევაზე“. ამავე დროს, თვითონ საბჭოების ბელადები სრულებითაც არ აპირებდნენ კავშირი გაეწყვიტათ დიდი ბრიტანეთისა და ბელგიის მეფეებთან, იაპონიის იმპერატორთან, თავისი ქვეყნის თუ ანტანტის ყველა სხვა ქვეყნის მემამულეებთან და ბანკირებთან. საგარეო საქმეთა მინისტრ მილიუკოვის გაზეთი სიამოვნებით აღნიშნავდა, რომ „მოწოდება ეთანხმება იდეოლოგიას, რომელიც საერთოა ჩვენთვის და ჩვენი მოკავშირეებისათვის“. ეს ჭეშმარიტება გახლდათ: სწორედ ამ სულისკვეთებით მოქმედებდნენ ომის დასაწყისიდან ფრანგი მინისტრი-სოციალისტები. თითქმის ამავე საათებში ლენინი სტოკჰოლმის მეშვეობით ატყობინებდა პეტროგრადს, რომ ძველი იმპერიალისტური პოლიტიკის ახალი რევოლუციური ფრაზებით შენიღბვით რევოლუციას საშიშროება ემუქრებოდა. „მე ვამჯობინებდი უთანხმოებას პარტიის ნებისმიერ წევრთან, ვიდრე დავუთმო სოციალ-პატრიოტიზმს“. მაგრამ ლენინის იდეებს იმ დღეებში არც ერთი დამცველი არ გამოსჩენია.

პეტროგრადის საბჭომ ერთხმად მიიღო მანიფესტი, რაც არა მარტო იმპერიალისტ მილიუკოვის წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიაზე გამარჯვებას მოასწავებდა, არამედ სტალინისა და კამენევის აღზევებასაც მემარცხენე ბოლშევიკებზე. პატრიოტული სიყალბის დისციპლინის წინაშე ყველამ თავი მოიხარა.

„შეუძლებელია არ მივესალმოთ — წერდა სტალინი „პრავდაში“, — საბჭოების გუშინდელ მოწოდებას..., ეს მოწოდება, თუკი იგი დაიყვანება ფართო მასებამდე, ახლოსა და ათასობით მუშას შემოაბრუნებს დავიწყებული ლოზუნგისაკენ: „პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!“ სინამდვილეში კი მსგავსი მოწოდებები საკმაოდ იყო დასავლეთში და ისინი მხოლოდ ეხმარებოდნენ მმართველ კლასებს გაესანგრძლივებინათ დემოკრატიისათვის ომის მირაჟი.

მანიფესტისადმი მიძღვნილი სტალინის ეს სტატია მეტისმეტად ხელსაყრელია არა მარტო მიცემულ კონკრეტულ საკითხზე მისი პოზიციის გამოსახატავად, არამედ, საერთოდ, მისი აზროვნების მეთოდის წარმოსადგენად. ეს არის ორგანული ოპორტუნიზმი, რომელიც გარემო პირობებისა და ეპოქის ზემოქმედების გამო იძულებულია, დროებითი თავშესაფარი [illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაქტულ რევოლუციურ პრინციპებში, საქმით კი ამ პრინციპებს ერთობ უცერემონიოდ მოექცეს. სტატიის დასაწყისში ავტორი თითქმის სიტყვასიტყვით იმეორებს ლენინის აზრს იმის შესახებ, რომ მეფის დამხობის შემდგომაც რუსეთის მხრივ ომი ინარჩუნებს იმპერიალისტურ ხასიათს, მაგრამ როგორც კი პრაქტიკულ დასკვნებზე გადადის, სტალინი ორაზროვანი გამოთქმების მოშველიებით არათუ მიესალმება მანიფესტს, არამედ, კამენევის კვალად, უარყოფს ომის წინააღმდეგ მასების მობილიზების აუცილებლობას.

„უეჭველია, პირველ ყოვლისა, — წერს იგი, — რომ შიშველი ლოზუნგი — შორს ომი! სრულიად გამოუსადეგარია, როგორც პრაქტიკული გზა“. კითხვაზე: მაშ, სადაა გამოსავალი? იგი პასუხობს: „საჭიროა დროებით მთავრობაზე ზემოქმედება, რათა გამოვძალოთ თანხმობა დაუყოვნებელი სამშვიდობო მოლაპარაკების დაწყების თაობაზე...“ ბურჟუაზიაზე მეგობრული „ზემოქმედებით“, იმ ბურჟუაზიაზე, რომლისთვისაც ომის მთელი არსი დაპყრობებშია, სტალინს სურს მიაღწიოს მშვიდობას „ხალხთა თვითგამორკვევის საწყისებზე“. სწორედ ასეთი ფილისტერული უტოპიზმის წინააღმდეგ მიმართავდა ლენინი ძირითად დარტყმას ომის დასაწყისიდანვე. შეუძლებელია „ზემოქმედების“ გზით მიაღწიო იმას, რომ ბურჟუაზია აღარ იყოს ბურჟუაზია: აუცილებელია მისი დამხობა. არადა, ამ დასკვნის წინაშე სტალინი ისეთივე შიშით კრთის, როგორც შემთანხმებლები.

არანაკლებ მნიშვნელოვანია სტალინის სტატია „ეროვნული შეზღუდულობის გაუქმების შესახებ“ (25 მარტის „პრავდა“). ძირითადი იდეა, რომელიც ავტორმა ჯერ კიდევ თბილისის სემინარიაში სწავლის პერიოდში გაიცნო სხვადასხვა პროპაგანდისტული ბროშურების საშუალებით, მდგომარეობს იმაში, რომ ეროვნული ჩაგვრა შუასაუკუნეების გადმონაშთია, ავტორს სრულებით არ აინტერესებს იმპერიალიზმი, როგორც ძლიერი ერის სუსტებზე ბატონობის საშუალება, „ეროვნული ჩაგვრის სოციალურ საფუძვლად, — წერს იგი, — მის მამოძრავებელ ძალად გვევლინება მომაკვდავ მემამულეთა არისტოკრატია... ინგლისში, სადაც ფეოდალები ძალაუფლებას ბურჟუაზიასთან ერთად ფლობენ, ეროვნული ჩაგვრა გაცილებით ნაკლებია, გაცილებით უფრო ადამიანურია, თუ, რა თქმა უნდა, მხედველობაში არ მივიღებთ, რომ ომის მიმდინარეობისას, როცა ხელისუფლება ლენდლორდებმა აიღეს, ეროვნული ჩაგვრა გაცილებით გაძლიერდა (ირლანდიელების, ინდიელების დევნა)“.

ეს უცნაური მტკიცებები, რომლებითაც სავსეა სტატია, გაჟღენთილია ვულგარული დემოკრატიითა და ხავსმოდებული შეზღუდულობით, აი, ისინიც: გვიმტკიცებენ, თითქოს ომის დროს ძალაუფლება დროებით ხელში ჩაიგდეს მიწათმფლობელებმა, თითქოს ფეოდალური არისტოკრატიის ლიკვიდაცია ეროვნული ჩაგვრის მოსპობის ტოლფასი იყოს და სხვა, არც ერთი სიტყვა არ არის ნათქვამი იმაზე, რომ იმპერიალიზმმა ეროვნული ჩაგვრა მიიყვანა ისეთ მასშტაბებამდე, რომელსაც პროვინციული ზანტი გონების ფეოდალიზმი ვერასოდეს მიაღწევდა. თეორიული განვითარების თვალსაზრისით ავტორი იმავე დონეზეა, როგორზეც იყო საუკუნის დასაწყისისათვის. მეტიც, მან თითქმის მთლიანად მიივიწყა საკუთარი ნაშრომი ეროვნულ საკითხზე, რომელიც ლენინის მითითებით დაიწერა 1913 წლის დასაწყისში.

„რამდენადაც რუსულმა რევოლუციამ გაიმარჯვა, — დაასკვნის სტატია, — და დაამხო ფეოდალ-მემამულეთა ხელისუფლება, მან, ფაქტობრივად, შექმნა ეროვნული თავისუფლებისათვის საჭირო პირობები“. ჩვენი ავტორისათვის რევოლუცია უკვე მოთავებულად ითვლება, დარჩა მხოლოდ — მილიუკოვისა და წერეთლის შეხედულებათა მსგავსად — „უფლებების გაფორმება“ და „მათი კანონით განმტკიცება“. ამ დროს, არა მარტო კაპიტალისტური ექსპლუატაცია, რომლის დამხობაზე სტალინს არც უფიქრია, არამედ მიწებზე მემამულეთა ბატონობაც, რომელიც მან თვითონვე გამოაცხადა ეროვნული ჩაგვრის საფუძვლად, ჯერჯერობით კვლავ ხელუხლებელი რჩებოდა. ხელისუფლების სათავეში როძიანკოს და თავად ლვოვის ტიპის მიწათმფლობელები იდგნენ, ასეთი იყო — ამის დაჯერება ახლაც კი ჭირს! — სტალინის პოლიტიკური და ისტორიული კონცეფცია სულ ათი დღით ადრე იქამდე, ვიდრე ლენინი გამოაცხადებდა, რომ საჭიროა კურსის აღება სოციალისტური რევოლუციისაკენ.

●

28 მარტს, რუსეთის უმნიშვნელოვანესი საბჭოების წარმომადგენელთა თათბირის პარალელურად პეტროგრადში გაიხსნა ცკ-ის ბიუროს მიერ მოწვეული სრულიად რუსეთის ბოლშევიკთა შეკრება. მიუხედავად იმისა, რომ გადატრიალების შემდგომ უკვე მთელი თვე გავიდა, პარტია კვლავ სრულ გაურკვევლობაში იმყოფებოდა, რაც უკანასკნელი ორი კვირის განმავლობაში კიდევ უფრო გააღრმავეს მისმა ხელმძღვანელებმა. ამ ხნის მანძილზე არ მომხდარა მიმდინარეობათა გამიჯვნა. გადასახლებაში ამისათვის სპანდარიანის ჩასვლა შეიქნა საჭირო, ახლა კი პარტია იძულებული გახდა ლენინისათვის ეცადა. უკიდურესი პატრიოტები, როგორებიც იყვნენ ვოიტინსკი, ელიავა და სხვები, თავს კვლავ ბოლშევიკებს უწოდებდნენ და განაგრძობდნენ პარტიულ შეკრებებში იმათთან ერთად მოღვაწეობას, ვინც თავს ინტერნაციონალისტად მიიჩნევდა. პატრიოტები გაცილებით უფრო მტკიცედ და გაბედულად გამოდი-

ოდნენ, ვიდრე ნახევრად პატრიოტები, რომლებიც უკან იხევდნენ და თავს იმართლებდნენ. დელეგატების უმრავლესობა ქაობს წარმოადგენდა და, ბუნებრივია, სტალინის სახით მათ კარგი ბელადი აღმოაჩინეს.

„დროებითი მთავრობისადმი დამოკიდებულება ერთსახოვანია“, — აცხადებდა სარატოველი დელეგატი ვასილიევი. „პრაქტიკულ მოქმედებაში სტალინსა და ვოიტინსკის შორის უთანხმოება ადგილი არა აქვს“, — კმაყოფილებით ამტკიცებდა კრესტინსკი. ერთი დღის შემდეგ ვოიტინსკი მენშევიკებს შეუერთდება, ხოლო უკვე ერთი თვის შემდეგ მებრძოლ კაზაკთა ნაწილებს დაძრავს ბოლშევიკების წინააღმდეგ.

როგორც ჩანს, კამენევის საქციელი სასამართლო პროცესზე ჯერ კიდევ არ მისცემია დავიწყებას. შესაძლებელია, რომ დელეგატებს შორის საუბარი იყო, აგრეთვე, დიდი თავადისადმი გაგზავნილ საიდუმლო ტელეგრამაზეც. მეგობარს ჩუმჩუმად ამ შეცდომას, ალბათ, სტალინიც გაუხსენებდა ხოლმე. ერთი ცხადია, დროებით მთავრობასთან დამოკიდებულების საკითხზე მოხსენების გაკეთება მიენდო არა კამენევს, არამედ ნაკლებად ცნობილ სტალინს. მოხსენების შემონახული საოქმო ჩანაწერები ისტორიკოსისა და ბიოგრაფისათვის ფასდაუდებელი დოკუმენტია: საქმე ეხება რევოლუციის ცენტრალურ პრობლემას, კერძოდ, საბჭოების დამოკიდებულებას ბურჟუაზიული მთავრობისადმი. საბჭოები უშუალოდ ეფუძნებოდა შეიარაღებულ მუშებსა და ჯარისკაცებს, ბურჟუაზიული ხელისუფლება კი მხოლოდ საბჭოების ბელადების თავაზიან დამოკიდებულებას ემყარებოდა.

„ძალაუფლება განაწილდა ორ ორგანოს შორის, — ამბობდა სტალინი კრებაზე, — რომელთაგან სრული ძალაუფლება არც ერთს არ ეკუთვნის... საბჭოებმა იკისრეს რევოლუციური გარდაქმნების წარმართვა. საბჭოები, ეს გახლავთ აჯანყებული ხალხის რევოლუციური ხელმძღვანელი ორგანო, რომელიც აკონტროლებს დროებით მთავრობას. დროებითმა მთავრობამ, ფაქტობრივად, იკისრა რევოლუციის მონაპოვრის განმამტკიცებლის როლი. საბჭოები ძალების მობილიზებას და კონტროლს ახდენს, დროებითი მთავრობა კი, გაჯიუტებული და დაბნეული, კისრულობს ხალხის იმ მონაპოვრის დამცველის როლს, რომელიც, ფაქტობრივად, უკვე აღებულია“, ეს ციტატა მთელ პროგრამად ღირს!

საზოგადოების ორ ძირითად კლასს შორის არსებულ ურთიერთობას მომხსენებელი ახასიათებს, როგორც ორ „ორგანოს“ შორის შრომის განაწილებას: საბჭოები, ე. ი. მუშები და ჯარისკაცები ახდენენ რევოლუციას. მთავრობა — ე.ი. კაპიტალისტები და ლიბერალური მემამულეები „განამტკიცებენ“ მას. ლენინის აზრს რომ იმეორებდა, 1905 — 1907 წლებში სტალინი თვითონვე არაერთგზის აღნიშნავდა: „რუსული ბურჟუაზია ანტირევოლუციურია. მას არ ძალუძს იყოს რევოლუციის მამოძრავებელი ძალა, მით უფრო, მისი ბელადი. იგი რევოლუციის დაუძინებელი მტერია და მტკიცედ უნდა ვებრძოლოთ“. ბოლშევიზმის ეს ხელმძღვანელი პოლიტიკური იდეა თებერვლის რევოლუციის მსვლელობას არ შეუცვლია. მილიუკოვი, ლიბერალური ბურჟუაზიის ბელადი, გადატრიალებამდე რამდენიმე დღით ადრე თავისი პარტიის კონფერენციაზე ამბობდა: „ჩვენ ვულკანზე დავდავაბიჯებთ... ძალაუფლება, როგორიც უნდა იყოს იგი — ავი თუ კარგი, — სულ ერთია, ოღონდ მტკიცე ძალაუფლება ახლა საჭიროა, როგორც არასდროს“. მას შემდეგ, რაც, ბურჟუაზიის წინააღმდეგობის მიუხედავად, გადატრიალება მაინც მოხდა, ლიბერალებს არაფერი დარჩენოდათ, გარდა იმისა, რომ დამდგარიყვნენ ამ გამარჯვებით მოპოვებულ ნიადაგზე. სწორედ მილიუკოვი, რომელიც სულ ცოტა ხნის წინათ აცხადებდა, ვულკანის ამოფრქვევას რასპუტინის მონარქიაც კი ჯობიაო, ხელმძღვანელობდა დროებით მთავრობას, რომელსაც, სტალინის თანახმად, უნდა „განემტკიცებინა“ რევოლუციის მონაპოვარი, მაგრამ რომელიც, სინამდვილეში, ცდილობდა მოეგუდა იგი. აჯანყებული მასებისათვის რევოლუციის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მოესპო საკუთრების ძველი ფორმები, სწორედ ისინი, რომელთა დასაცავადაც დადგა დროებითი მთავრობა. შეურიგებელ კლასობრივ ბრძოლას, რომელიც, შემთანხმებლათა ცდის მიუხედავად, ყოველდღიურად იძაბებოდა და სამოქალაქო ომად გადაქცევას ესწრაფვოდა, სტალინი ახასიათებდა, როგორც ორ აპარატს შორის შრომის უბრალო განაწილებას. საკითხს ასე თვით მემარცხენე მენშევიკი მარტოვიც კი არ დააყენებდა. ეს გახლდათ შემთანხმებლების ორაკულის წერეთლის თეორიის ვულგარული გამოხატვა: დემოკრატიის არენაზე მოქმედებენ „ზომიერი“ და უფრო „გაბედული“ ძალები და იყოფენ სამუშაოს: ერთნი მოიპოვებენ, მეორენი განამტკიცებენ. აქ ჩვენ მზა სახით გვეძლევა სტალინის მომავალი პოლიტიკის სქემა ჩინეთში (1924 — 1927), ესპანეთში (1934 — 1939) და, საერთოდ, ყველა ბედკრული „სახალხო ფრონტისა“.

„ჩვენთვის ამჟამად მომგებიანი არ არის მოვლენების ფორსირება — განაგრძობდა მომხსენებელი, — ბურჟუაზიული ფენების ჩამოშორების პროცესების დაჩქარებით... ჩვენ უნდა მოვიგოთ დრო, შევაჩეროთ საშუალო ბურჟუაზიის ჩამოშორება, რათა მოვემზადოთ დროებით მთავრობასთან საბრძოლველად“. დელეგატები შეშფოთებულნი უსმენდნენ ამ დასკვნებს. „ნუ დავაფრთხობთ ბურჟუაზიას“ — ყოველთვის პლეხანოვის, კავკასიაში კი ჟორდანიას ლოზუნგი იყო. სწორედ ამ იდეის წინააღმდეგ გააფთრებულ ბრძოლაში ჩამოყალიბდა ბოლშევიზმი. ბურჟუაზიის „ჩამოცილების

ეროვნული ბიბლიოთეკა

„შეღერხება“ შეუძლებელია პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის შეღერხების გარეშე. ეს, ფაქტობრივად, ერთი და იგივე პროცესის ორი მხარეა.

„ლაპარაკი იმაზე, რომ არ უნდა დავაფრთხოთ ბურჟუაზია, — წერდა თვითონ სტალინი 1918 წელს, დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე, — მხოლოდ ღიმილს იწვევდა, რადგან ნათელი იყო, რომ სოციალ-დემოკრატიას მოუწევდა არა მარტო „დაეფრთხო“, არამედ პოზიციებიდან ჩამოეგდო ეს ბურჟუაზია მათი დამცველების — კადეტების სახით“. ძნელი გასაგებია, როგორ შეძლო ძველმა ბოლშევიკმა იმდენად დაევიწყებინა საკუთარი ფრაქციის თოთხმეტწლიანი ისტორია, რომ ყველაზე კრიტიკულ მომენტში დასამარებლად მოეხმო მენშევიზმის ყველაზე ოდიოზური ფორმულები. ამისი ახსნა უნდა ვეძებოთ იმაში, რომ სტალინის აზრი არ შეესაბამება საერთო იდეებს და მის მეხსიერებაში ისინი არ აღიბეჭდება. სტალინი მხოლოდ საჭიროების შემთხვევაში იყენებს მათ, შემთხვევიდან შემთხვევამდე, შემდეგ კი დაუნანებლად, ავტომატურად იცილებს. 1918 წლის სტატია სათათბიროს არჩევნებს ეხებოდა. „პოზიციიდან ჩამოეგდოთ“ ბურჟუაზია, ამ დროს, უბრალოდ, ლიბერალებისათვის მანდატის ჩამორთმევას ნიშნავდა. ამჯერად საქმე ეხებოდა ბურჟუაზიის რევოლუციურ დამხობას. ამ ამოცანის გადაჭრას სტალინი შორეულ მომავალში ჰვრეტდა, ახლა კი მას, ისევე როგორც მენშევიკებს, აუცილებლად მიაჩნდა, „არ დაეფრთხოთ ბურჟუაზია“.

როდესაც მისივე მონაწილეობით შედგენილი ცკ-ის რეზოლუცია გამოქვეყნდა, სტალინმა მოულოდნელად განაცხადა, რომ „ყველაფერში არ ეთანხმება მას და ამჯობინებს, მხარი დაუჭიროს კრასნოიარსკის საბჭოს რეზოლუციას“. გაუგებარია ამ მანევრის კულისებს მიღმა მხარე. კრასნოიარსკის საბჭოს რეზოლუციის გამომუშავებაში ციმბირიდან მომავალ სტალინს დიახაც შეეძლო მონაწილეობის მიღება და ახლა, დელეგატების განწყობილება რომ მოსინჯა, ცდილობს, რამდენადმე ჩამოშორდეს კამენევს, მაგრამ კრასნოიარსკის რეზოლუცია თავისი დონით პეტროგრადისაზე კიდევ უფრო დაბლა დგას: „...მთელი სისრულით გაიარკვეს, რომ დროებითი მთავრობის ძალაუფლებისა და ავტორიტეტის ერთადერთი საფუძველია ხალხის ნება; ამ ნებას იგი განუყოფლად უნდა დაემორჩილოს, დროებით მთავრობას კი მხარი უნდა დავუჭიროთ... მხოლოდ იმდენად, რამდენადაც იგი მისდევს მუშათა კლასისა და რევოლუციური გლეხობის მოთხოვნილებების დაკმაყოფილების გზით“. ციმბირიდან ჩამოტანილი საიდუმლო ერთობ მარტივია: ბურჟუაზია „განუყოფლად უნდა დაემორჩილოს“ ხალხს და მუშებისა და გლეხების „გზით იაროს“.

რამდენიმე კვირის შემდეგ ბურჟუაზიის მხარდამჭერი ფორმულა — „იმდენად რამდენადაც“ — ბოლშევიკთა შორის დაცინვის საგნად იქცევა. უკვე ახლავე დელეგატების ნაწილი პროტესტს გამოთქვამს თავად ლვოვის მთავრობისადმი მხარდამჭერის გამო: ეს იდეა მეტისმეტად ეწინააღმდეგება ბოლშევიზმის მთელ ტრადიციას.

მეორე დღეს სოციალ-დემოკრატმა სტეკლოვმა, რომელიც თვითონაც მხარს უჭერდა ფორმულას „იმდენად რამდენადაც“, მაგრამ საკმაოდ ახლოს იყო მმართველ წრეებთან, როგორც „საკონტაქტო კომისიის“ წევრი, საბჭოების კრებაზე დაუფიქრებლად დახატა დროებითი მთავრობის მოღვაწეობის ისეთი სურათი — სოციალური რეფორმებისადმი წინააღმდეგობა, ბრძოლა მონარქიისათვის და ანექსიისათვის, — რომ ბოლშევიკთა შეკრებამ შეშფოთებით უარყო მხარდაჭერის ფორმულა „ნათელია, რომ ახლა საჭიროა ლაპარაკი არა მხარდაჭერაზე, — ასეთი ფორმულირება მისცა ბევრი ზომიერი დელეგატის განწყობილებას ნოგინმა, — არამედ საწინააღმდეგო მოქმედების თაობაზე“. იგივე აზრი გამოთქვა დელეგატმა სკრიპნიკმა, რომელიც მარცხენა ფრთას ეკუთვნოდა: „სტალინის გუშინდელი მოხსენების შემდეგ ბევრი რამ შეიცვალა... მიმდინარეობს დროებითი მთავრობის შეთქმულება ხალხისა და რევოლუციის წინააღმდეგ, რეზოლუცია კი მხარდაჭერისაკენ მოგვიწოდებს“. შეფიქრიანებული სტალინი, რომლის პერსპექტივამ 24 საათსაც ვერ გაუძლო, წინადადებას იძლევა „მიეცეს კომისიას მითითება, შეცვალოს მხარდაჭერის თაობაზე წარმოდგენილი პუნქტი“. კონფერენცია მუშაობას განაგრძობს: „უმრავლესობის გადაწყვეტილებით (წინააღმდეგი იყო ოთხი) რეზოლუციიდან ქრება პუნქტი მხარდაჭერის თაობაზე“.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ მთელი ეს სქემა პროლეტარიატსა და ბურჟუაზიას შორის შრომის განაწილების თაობაზე დავიწყებას მიეცა. სინამდვილეში, რეზოლუციიდან ამოიღეს მხოლოდ ფრაზა და არა აზრი. „ბურჟუაზიის დაფრთხობის“ შიში აქ მთლიანად დარჩა. რეზოლუციის არსი იმაში მდგომარეობდა, რომ მოეწოდებინა დროებითი მთავრობისათვის, გაეშალა „ენერგიული ბრძოლა ძველი რეჟიმის სრული ლიკვიდაციისათვის“, მაშინ, როცა დროებით მთავრობა „ენერგიულ ბრძოლას“ აწარმოებდა მონარქიის აღდგენის მიზნით. ლიბერალებზე მეგობრული ზეგავლენის მოხდენის იქით კონფერენცია არ წასულა. ძალაუფლების დამოუკიდებლად ხელში აღების თაობაზე, თუნდაც დემოკრატიული ამოცანების სახელით მაინც, ლაპარაკიც არ ყოფილა. თითქოს იმ მიზნით, რომ უფრო ნათლად წარმოეჩინა მიღებული გადაწყვეტილების ნამდვილი სულისკვეთება, საბჭოების კრებაზე, რომელიც იმავდროულად მიმდინარეობდა, კამენევმა განაცხადა, რომ ძალაუფლების საკითხთან დაკავშირებით: „ბედნიერები

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვს", ოფიციალურ რეზოლუციას, რომელიც წამოაყენა და იცავდა მენშევიკი დანი, შეუერთოს ბოლშევიკთა ხმა.

1908 წლის განხეთქილება, რომელიც კიდევ უფრო გამწვავდა 1918 წლის პრაღის კონფერენციაზე, ამ ფაქტის ფონზე უბრალო გაუგებრობად მოგეჩვენებოდათ!

სრულიადაც არ იყო შემთხვევითი, რომ მეორე დღეს ბოლშევიკების კონფერენცია განიხილავდა მემარჯვენე მენშევიკების ლიდერის — წერეთლის წინადადებას ორივე პარტიის გაერთიანების თაობაზე. სტალინი დიდი თანაგრძნობით მოეკიდა ამ წინადადებას: „ჩვენ უნდა წავიდეთ. აუცილებელია, განვსაზღვროთ ჩვენი წინადადებები გაერთიანების თაობაზე, შესაძლოა ციმერვალდ-კინტალის ხაზით გაერთიანება".

აქ ლაპარაკი იყო შვეიცარიის ორი სოციალისტური კონფერენციის „ხაზზე", სადაც უმეტესობას ზომიერი პაციფისტები შეადგენდნენ. მოლოტოვი, რომელიც ორიოდე კვირის წინათ მემარცხენეობის გამო გაკიცხეს, მორიდებით შეეწინააღმდეგა: „წარეთელს სურს გააერთიანოს სხვადასხვა ჯურის ელემენტები... ამ ხაზით შეერთება არასწორია". უფრო მტკიცე პროტესტს აცხადებს ზალუცკი, მომავალი წმენდის კიდევ ერთი მსხვერპლი: „გაერთიანების მარტოვი სურვილიდან ამოსვლა შეუძლია მხოლოდ მეშჩანს და არა სოციალ-დემოკრატს... ციმერვალდ-კინტალის გარეგნული ნიშნით გაერთიანება დაუშვებელია... აუცილებელია, წამოვაყენოთ განსაზღვრული პლატფორმა".

მაგრამ სტალინი, რომელსაც ეს-ესაა მეშჩანი უწოდეს, თავისას არ იშლის: „წინ გასწრება და უთანხმოების თავიდან აცილება საჭირო არ არის. უთანხმოების გარეშე არ არსებობს პარტიული ცხოვრება. ჩვენ აღმოვფხვრით წვრილმან უთანხმოებებს პარტიის შიგნით". პირდაპირ თვალს ვერ უჯერებ: წერეთელთან, მმართველი საბჭოთა ბლოკის სულისჩამდგმელთან და ხელმძღვანელთან უთანხმოებას სტალინი წვრილმანად ნათლავს და აცხადებს, რომ იგი იოლად „აღმოიფხვრება" პარტიის შიგნით. კამათი ამ საკითხთან დაკავშირებით 1 აპრილს მიმდინარეობდა. 8 დღის შემდეგ ლენინი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლას გამოუცხადებს წერეთელს. ორი თვის შემდეგ კი წერეთელი განაიარაღებს და დააპატიმრებს ბოლშევიკებს.

1917 წლის მარტის შეკრებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება საერთოდ. ბოლშევიკური პარტიის ზედა ფენის წარმმართველთა აზროვნების შეფასების თვალსაზრისით თებერვლის რევოლუციის დამთავრების პერიოდისათვის. ნაწილობრივ კი იმის გასაგებად, თუ რა მონაცემებით დაბრუნდა სტალინი ციმბირის გადასახლებიდან, სადაც დამოუკიდებელი განსჯისა და დაფიქრების ოთხი წელიწადი გაატარა.

ოქმების ძუნწი ჩანაწერებიდან სტალინი ჩვენს წინაშე წარმოდგება როგორც პლებეური დემოკრატი და შეზღუდული პროვინციალი, რომელიც ეპოქის ზეგავლენით მარქსისტად იქცა. ამ კვირების მანძილზე გამოქვეყნებული მისი სიტყვები და სტატიები უშეცდომოდ გვიჩვენებენ მთელ მის პოზიციას ომის წლებში: თუ ციმბირში იგი ნაწილობრივ მაინც მიუახლოვდა ლენინის პოზიციას, როგორც 20 წლის შემდეგ დაწერილი მოგონებები ამტკიცებენ, მაშინ შეუძლებელია, რომ 1917 წლის მარტში იგი ასე უიმედოდ გადაშვებულიყო ოპორტუნიზმში. ლენინის არყოფნამ და კამენევის ზეგავლენამ რევოლუციის დასაწყისში სტალინს შესაძლებლობა მისცა წარმოეჩინა მისთვის დამახასიათებელი თვისებები: მასებისადმი უნდობლობა, წარმოსახვის არქონა, მოკლე მიზანი, ყველაზე ნაკლები წინააღმდეგობების შემცველი გზების ძიება; მის ამ თვისებებს ჩვენ შემდგომში კვლავ შევხვდებით ყველა იმ დიდი მოვლენის განვითარებისას, რომლებშიც სტალინს ხელმძღვანელი როლის შესრულება მოუწევს. გასაკვირი სულაც არ არის, რომ მარტის შეკრება, სადაც პოლიტიკოსი სტალინი ბოლომდე გამოჩნდა, ძლევისათვის პარტიის ისტორიიდან ამოღებულია და მისი ოქმები ცხრაკლიტულშია მოქცეული. 19[illegible] წელს „სამეულის" წევრების სტალინის, ზინოვიევისა და კამენევისათვის საიდუმლოდ მომზადდა ამ ოქმების სამი ასლი. მხოლოდ 1928 წელს, როცა ზინოვიევი და კამენევი ოპოზიციას მიემხრნენ, შევძელი მათგან ამ შესანიშნავი დოკუმენტის მიღება და მისი საზღვარგარეთ, რუსულ და ინგლისურ ენებზე გამოქვეყნება.

ბოლოს და ბოლოს, ოქმები არსებითად არც განსხვავდებიან „პრავდაში" გამოქვეყნებული სტატიებისაგან. შეიძლება ითქვას, რომ მხოლოდ ავსებენ მათ. იმ დღეებიდან არ შემორჩენილა არც ერთი განცხადება, წინადადება თუ პროტესტი, სადაც სტალინს რამდენადმე მაინც უფრო ყმანოდ გამოეთქვას წვრილბურჟუაზიული დემოკრატიის საწინააღმდეგო ბოლშევიკური შეხედულება. იმ პერიოდის ერთ-ერთი აღმწერელი, ზემოთ მოხსენიებული მანიფესტის „მთელი მსოფლიოს მშრომელებისადმი" ავტორი, მემარცხენე მენშევიკი სუხანოვი თავის შეუდარებელ „ჩანაწერებში რევოლუციის შესახებ" გვამცნობს: „ბოლშევიკების აღმასრულებელ კომიტეტში ამ დროისათვის, კამენევის გარდა, გაჩნდა სტალინი... თავისი მოკრძალებული მოღვაწეობის მანძილზე... იგი ამბობდა — არა მარტო ჩემზე — რაღაც რუხი ფერის ლაქის შთაბეჭდილებას, რომელიც ხოგჯერ მკრთალად და უკვალოდ გამოჩნდებოდა ხოლმე. ეს, სულ ეს არის, რისი თქმაც მასზე შეიძლება". ასეთი გამოხმაურებისათვის, რომელიც, უნდა ვაღიაროთ, ცალმხრივია, სუბიექტური [illegible]
[illegible]

ეროვნული ბიბლიოთეკა

3 აპრილს, მას შემდეგ, რაც შეძლეს მტრული გერმანიის გადმოლახვა, ფინეთის საზღვრიდან პეტროგრადში ჩამოვიდნენ ლენინი, კრუპსკაია, ზინოვიევი და სხვები., ბოლშევიკების ჯგუფი კამენევის ხელმძღვანელობით ფინეთში გაემგზავრა ლენინის დასახვედრად. სტალინი მათ შორის არ იყო. ეს პატარა ფაქტი ყველაზე უკეთ გვიჩვენებს, რომ მასსა და ლენინს შორის არ ყოფილა რაიმე სიახლოვის მსგავსიც კი.

4 აპრილს ლენინი იმ პარტიულ შეკრებას დაესწრო, სადაც სტალინი წარმოადგენდა თავის თეორიას დროებით მთავრობასა და საბჭოებს შორის შრომის მშვიდობიანი განაწილების თაობაზე. კონტრასტი მეტისმეტად თვალშისაცემი იყო, ამიტომ, ცოტათი მაინც რომ შეერბილებინა იგი, ლენინმა, საკუთარი ჩვეულების საწინააღმდეგოდ, თავი შეიკავა უკვე მიღებული რეზოლუციის ანალიზისაგან და, უბრალოდ, ზურგი აქცია მას. მან კონფერენცია გაცილებით მაღალ დონეზე აიყვანა და აიძულა, დაენახა ახალი პერსპექტივები, რომლებსაც დროებითი ბელადები საერთოდ ვერც ამჩნევდნენ. „რატომ არ ავიღეთ ძალაუფლება ხელში?“ — კითხულობდა ახალი მომხსენებელი და ასაბულებდა გავრცელებულ ახსნა-განმარტებებს: რევოლუცია ბურჟუაზიულია, იგი მხოლოდ პირველ ეტაპზეა, ომი განსაკუთრებულ სიძნელეებს ქმნის და ა.შ.

„რა სისულელეა! საქმე ისაა, რომ პროლეტარიატი არასაკმარისად შეგნებული და არასაკმარისად ორგანიზებულია, ეს უნდა ვაღიაროთ. მატერიალური ძალები პროლეტარიატის ხელშია, ბურჟუაზია კი უფრო შეგნებული და მომზადებული აღმოჩნდა“.

მოჩვენებითი ობიექტივიზმიდან, სტალინი, კამენევი და სხვები, რევოლუციის ამოცანებისაგან თავის დასაღწევად საშუალებად რომ იყენებდნენ, ლენინმა მახვილი შეგნებულობასა და მოქმედებაზე გადაიტანა. პროლეტარიატს თებერვალში ძალაუფლება არ აუღია არა იმიტომ, რომ ამას სოციოლოგია კრძალავს, არამედ იმიტომ, რომ „ნება მისცა შემთანხმებლებს, ბურჟუაზიის ინტერესებიდან გამომდინარე, მოეტყუებინა თვითონ ის, პროლეტარიატი. ეს არის და ეს!“

„პრავდამ“, რომელსაც კვლავ კამენევი და სტალინი ხელმძღვანელობდნენ, განაცხადა, რომ ლენინის თეზისები მისი პირადი აზრია, რომ ცკ-ის ბიურო არ იზიარებს მათ, თვით „პრავდა“ კი კვლავ ძველ პოზიციებზე რჩება. განცხადება კამენევმა დაწერა. სტალინი უხმოდ დაეთანხმა. ამიერიდან მას დიდხანს მოუწევს დუმილი. ლენინის იდეები ემიგრანტულ ფანტასტიკად ეჩვენება, მაგრამ ელის, როგორ რეაგირებას მოახდენს პარტიული აპარატი.

პირადად სტალინისათვის ერთობ დამამცირებელი იყო პარტიის აპრილის გადაიარაღება. იგი ციმბირიდან ძველი ბოლშევიკის ავტორიტეტითა და ცკ წევრის სახელით დაბრუნდა, მხარს უჭერდნენ კამენევი და მურანოვი. მანაც ერთგვარი „გადაიარაღებით“ დაიწყო: უარყო ადგილობრივი ხელმძღვანელების ერთობ რადიკალური პოლიტიკა და შეიბოჭა „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატიებით, კრებაზე წარმოთქმული მოხსენებით, კრასნოიარსკის საბჭოს რეზოლუციით. ამ გაცხარებული მუშაობის ჟამს, რომელიც თავისი ხასიათით ბელადის სამუშაო იყო, გამოჩნდა ლენინი. იგი ისე შევიდა კრებაზე, როგორც ინსპექტორი საკლასო ოთახში, როგორც კი რამდენიმე ფრაზას მოკრა ყური, მასწავლებელს ზურგი აქცია და სველი ღრუბელით წაშალა დაფაზე მისი ნაცოდვილარი. დელეგატების განცვიფრებასა და პროტესტის გრძნობას აღტაცების შეგრძნება შეერია.

სტალინს აღტაცება არ დაუფლებია. იგი მხოლოდ წყენას, უძლურებას და ყვითელ შურს განიცდიდა. იგი ამჯერად გაცილებით უფრო შერცხვენილი დარჩა მთელი პარტიის წინაშე, ვიდრე კრაკოვის შეკრებაზე, როცა „პრავდის“ ხელმძღვანელობისათვის საყვედურობდნენ. ბრძოლას აზრი არ ჰქონდა: მან თვითონაც დაინახა ის ახალი ჰორიზონტები, რომლებზეც გუშინ წარმოდგენაც არ ჰქონდა. ისღა დარჩენოდა, კბილი კბილზე დაეჭირა და გაჩუმებულიყო. მოგონება ამ გადატრიალებაზე, რომელიც მოახდინა ლენინმა 1917 წლის აპრილში, სტალინის შეგნებაში სამუდამო ხიჭვად დარჩა. მან ხელში ჩაიგდო მარტის შეკრების ოქმები და შეეცადა, გადაემალა ისინი პარტიისა და ისტორიისათვის, მაგრამ საქმეს ეს ვერ წყვეტდა. ბიბლიოთეკებში რჩებოდა 1917 წლის „პრავდის“ კომპლექტები. მალე ისინი კრებულის სახითაც გამოიცა: სტალინის სტატიები თვითონ ღაღადებდნენ ყველაფერზე. აპრილის კრიზისზე დაწერილი უამრავი მოგონებით პირველ წლებში სავსე იყო ისტორიული ჟურნალები და გაზეთების საიუბილეო ნომრები. საჭირო იყო, რომ ეს ყველაფერი თანდათან ამოეღოთ ხმარებიდან და შეეცვალათ. ჩემს მიერ 1922 წელს ნახმარი სიტყვა „გადაიარაღებაც“ კი შემდგომში სტალინსა და მისი ისტორიკოსების გააფთრებულ თავდასხმებს მატებდა თავზე.

ჯერ კიდევ 1924 წელს სტალინი შესაძლებლად მიიჩნევდა ეღიარებინა რევოლუციის დასაწყისში მის მიერ არჩეული პოზიციის მცდარობა. „პარტიამ, — წერდა იგი, — მიიღო მშვიდობის საკითხზე საბჭოების დროებით მთავრობაზე დაწოლის პოლიტიკა და ვერ წყვეტდა, უცბად გადაედგა ნაბიჯი წინ... ახალი ლოზუნგისაკენ საბჭოების ხელისუფლების შესახებ... ეს ერთობ მცდარი პოზიცია იყო, რადგან იგი კვებავდა პაციფისტურ ლოზუნგებს, წყალს ასხამდა სამშობლოს დამცველთა წისქვილზე და აძნელებდა მასების რევოლუციურ აღზრდას.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა ამხანაგებთან ერთად მეც ვიზიარებდი ამ მცდარ პოზიციას და მთლიანად უარვყავი მხოლოდ აპრილის შუა რიცხვებში, როცა ლენინის თეზისებს მივემხრე".

ის საჯარო აღიარება, რომელიც ტროცკიზმის წინააღმდეგ დაწყებული ბრძოლის ჟამს აუცილებელი იყო საკუთარი ზურგის გასამაგრებლად, ზედმეტი შეიქნა უკვე ორი წლის შემდეგ. 1926 წელს სტალინი კატეგორიულად უარყოფდა 1917 წლის მარტში თავისი პოლიტიკის ოპორტუნისტულ ხასიათს: „ეს სწორი არ არის, ამხანაგებო, ეს ყველაფერი ჭორია", და დასაშვებად მიიჩნევდა მხოლოდ იმას, რომ ჰქონოდა „ერთგვარი ყოყმანის მომენტი... მაგრამ რომელ ჩვენგანს არ ჰქონია წუთიერი ყოყმანის მომენტი?"

კიდევ ოთხი წლის შემდეგ ყოველი მხრიდან დაესხნენ თავს იაროსლავსკის, რომელმაც, როგორც ისტორიკოსმა, გაიხსენა, რომ რევოლუციის დასაწყისში სტალინს „მცდარი პოზიცია" ჰქონდა არჩეული. ახლა აღარც „წუთიერი ყოყმანის" თაობაზე შეიძლებოდა სიტყვის დაძვრა. პრესტიჟის კერპი — გაუმაძღარი ურჩხულია! ბოლოს კი თავის მიერ გამოცემულ „პარტიის ისტორიაში" სტალინი ითვისებს ლენინის პოზიციას, საკუთარ შეხედულებებს კი თავის მტრებს მიაწერს.

„კამენევი და მოსკოვის ორგანიზაციის რამდენიმე მუშაკი, მაგალითად, რიკოვი, ბუბნოვი, ნოგინი, — გვამცნობს ეს არაჩვეულებრივი „ისტორია", — დროებითი მთავრობისა და „ობორონცების" პოლიტიკის პირობითი მხარდაჭერის ნახევრად მენშევიკური პოზიციას ადგნენ. სტალინი, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა გადასახლებიდან, მოლოტოვი და სხვები, ბოლშევიკების პარტიასთან ერთად იცავდნენ პოლიტიკას, რომელიც აცხადებდა, არ ნდობოდნენ დროებით მთავრობას და გამოდიოდნენ „ობორონცების" წინააღმდეგ" და ა. შ. ამგვარად, ფაქტიდან გამონაგონზე თანდათანობითი გადასვლის წყალობით შავი თეთრად გახადეს. ეს მეთოდი, რომელსაც კამენევი „სიცრუით დოზირებას" უწოდებდა, სტალინის მთელ ბიოგრაფიას გასდევს, რათა საბოლოოდ უმაღლეს გამოხატულებას მიაღწიოს და, ამასთან, დაემხოს კიდეც, მოსკოვის პროცესებში.

სოციალ-დემოკრატიის ორივე ფრაქციის 1909 წლის კონფერენციის ანალიზისას ამ წიგნის ავტორი წერდა: „მენშევიზმის ანტირევოლუციური მხარეები უკვე ახლავე იჩენს თავს მთელი ძალით, ბოლშევიზმის ანტირევოლუციური თვისებები დიდ საშიშროებას გვიქადიან მხოლოდ რევოლუციის გამარჯვების შემთხვევაში!" 1917 წლის მარტში, ცარიზმის დამხობის შემდეგ, პარტიის ძველმა კადრებმა ბოლშევიზმის ეს ანტირევოლუციური თვისებები მათ უკიდურეს გამოხატულებამდე მიიყვანეს: ბოლშევიზმსა და მენშევიზმს შორის წყალგამყოფიც კი დაიკარგა. საჭირო გახდა პარტიის რადიკალური გარდაქმნა, რაც ლენინმა, — მხოლოდ მან შეძლო ამ ამოცანის გადაჭრა — აპრილის დღეებში განახორციელა.

როგორც ჩანს, სტალინი არც ერთხელ არ გამოსულა ლენინის წინააღმდეგ. მაგრამ არც მის დასაცავად ამოუღია ხმა. იგი უხმაუროდ ჩამოცილდა კამენევს, როგორც ჩამოცილდა ათიოდე წლის წინათ ბოიკოტის მომხრეებს და როგორც კრაკოვის შეკრებაზე მოიქცა, როცა უხმოდ მიატოვა შემრიგებლები მათი საკუთარი ბედის წინაშე. მის ზნეობაში არ შედიოდა იდეის დაცვა, თუ ეს იდეა უშუალო წარმატებას არ უქადდა. 14-დან 22 აპრილამდე პეტროგრადის ორგანიზაციის კონფერენცია მიმდინარეობდა. ლენინის გავლენა აქ უკვე ერთობ ძლიერი იყო, მაგრამ კამათი ჯერ კიდევ ხშირად იღებდა მწვავე ხასიათს. მონაწილეთა შორის არიან კამენევი, ზინოვიევი, ტომსკი, მოლოტოვი და სხვა ცნობილი ბოლშევიკები. სტალინი საერთოდ არ გამოჩენილა, როგორც ჩანს, სურდა, დროებით მიევიწყებინათ.

24 აპრილს პეტროგრადში შეიკრიბა სრულიად რუსეთის კონფერენცია, რომელსაც საბოლოოდ უნდა აღმოეფხვრა მარტის შეკრების მერყეობა. პარტიის 79000 წევრს წარმოადგენდა დაახლოებით ასორმოცდაათი დელეგატი. დედაქალაქში 15 000-მდე პარტიის წევრი იყო. ანტიპატრიოტული პარტიისათვის, რომელიც მხოლოდ გუშინ გამოვიდა იატაკქვეშეთიდან, ეს სულაც არ იყო ცოტა. ლენინის გამარჯვება ცხადი გახდა ჯერ კიდევ ხუთწლიანი პრეზიდიუმის არჩევისას: მის შემადგენლობაში არ შეუყვანიათ არც კამენევი, არც სტალინი, რომლებიც პასუხისმგებლები იყვნენ მარტის ოპორტუნისტულ პოლიტიკაზე. კამენევმა მოძებნა საკუთარ თავში ძალები, რათა მოეთხოვა, მიეცათ კონფერენციაზე თანამომხსენებით გამოსვლის უფლება.

ამ კამათში სტალინი თავისი გუშინდელი მოკავშირის წინააღმდეგ მოკლე რეპლიკით გამოვიდა. სტალინმა ჩათვალა, რომ დადგა დრო, როცა უნდა გამოეხატა თავისი უარყოფითი დამოკიდებულება კამენევის პოზიციის მიმართ. თავისი პოზიციის ასეთი ცვლილებისათვის ახსნა რომ მოეძებნა, მან ისარგებლა საგარეო საქმეთა მინისტრ მილიუკოვის 18 აპრილის ნოტით, რომელმაც თავის მეტისმეტად იმპერიალისტური გულახდილობით უბიძგა ჯარისკაცებს ქუჩისაკენ და წარმოშვა სამთავრობო კრიზისი. სტალინს არ აინტერესებდა საერთო კონცეფცია — მას მხოლოდ გარეგნული საბაბი ესაჭიროებოდა, რათა თავმოყვარეობის ნაკლები შელახვით შემობრუნებულიყო ახალი პოზიციისაკენ. იგი „დოზირებულად" იწევდა უკან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირველ ხანებში, მისი სიტყვით, „საბჭო სახავდა პროგრამას, ახლა მას სახავს დროებითი მთავრობა", მილიუკოვის ნოტის შემდეგ „მთავრობა უტევს საბჭოს, საბჭო უკან იხევს, ამის შემდეგ კონტროლზე ლაპარაკი — ფუჭი ლაპარაკია". ყველაფერი ეს ხელოვნურად და ყალბად ჟღერდა. მაგრამ სტალინმა მიაღწია უშუალო მიზანს: იგი დროზე გაემიჯნა პოზიციას, რომელმაც კენჭის ყრისას შვიდ ხმაზე მეტი ვერ მიიღო.

როცა ეროვნულ საკითხზე მოხსენებას აკეთებდა, სტალინმა ყველაფერი იღონა, რათა თავისი მოხსენებიდან, ეროვნული ჩაგვრის მთელ მიზეზს მხოლოდ მიწის მფლობელ არისტოკრატიაში რომ ხედავდა, ხიდი გაედო ახალი პოზიციებისაკენ, რომელსაც ახლა პარტია ითვისებდა. „ეროვნული ჩაგვრა, — ამბობდა იგი და თავისდაუნებურად საკუთარ თავს ეკამათებოდა, — არა მარტო მიწის მფლობელი არისტოკრატიის დამსახურებაა. მასთან ერთად არსებობს სხვა ძალაც — იმპერიალისტური ჯგუფები, რომლებიც კოლონიებში გამომუშავებულ მეთოდებს საკუთარ ქვეყნებშიც იყენებენ. ამასთან, მსხვილ ბურჟუაზიას თავისი გზით მიჰყავს „წვრილი ბურჟუაზიაც, ინტელიგენციის ნაწილი და მაწილი მუშათა ზედა ფენებისა, რომლებიც ხელს ითხოვენ ნაძარცვით". ეს ის თემაა, რომელსაც ომის წლებში გულდასმით ავითარებდა ლენინი. „ამგვარად, — განაგრძობს მომხსენებელი, — ვღებულობთ სოციალური ძალების მთელ გუნდს, რომელიც ხელს უწყობს ეროვნული ჩაგვრის განვითარებას". თუ გვინდა მოვსპოთ ეროვნული ჩაგვრა, „პოლიტიკური სცენიდან უნდა გავაძევოთ ეს გუნდი". თებერვლის რევოლუციამ ხელისუფლების სათავეში მოიყვანა იმპერიალისტური ბურჟუაზიაც, მაგრამ მას ჯერ კიდევ არ შეუქმნია ეროვნული თავისუფლება. დროებითი მთავრობა ყოველმხრივ ეწინააღმდეგებოდა ფინეთის უბრალო ავტონომიის გაფართოებასაც კი. „ვის მხარეს უნდა დავდგეთ? რა თქმა უნდა, ფინელი ხალხის მხარეს".

ეროვნული თვითგამორკვევის პროგრამის, როგორც უტოპიური და რეაქციული თეორიის წინააღმდეგ გამოვიდნენ უკრაინელი პიატაკოვი და პოლონელი ძერჟინსკი. „არ არის საჭირო, წამოვჭრათ ეროვნული საკითხი, — გულუბრყვილოდ აცხადებდა ძერჟინსკი, — რადგან იგი უკან წევს სოციალური რევოლუციისათვის შესაფერ მომენტს, ამიტომ წინადადებას შემომაქვს, რეზოლუციიდან ამოვიღოთ პოლონეთის დამოუკიდებლობის საკითხი". „სოციალ-დემოკრატიამ, — წინააღმდეგთა მომხსენებელი, — რამდენადაც მას კურსი აღებული აქვს სოციალისტური რევოლუციისაკენ, მხარი უნდა დაუჭიროს იმპერიალიზმის წინააღმდეგ ხალხთა რევოლუციურ მოძრაობას". პირველად თავის სიცოცხლეში აქ სტალინმა ახსენა „კურსი სოციალისტური რევოლუციისაკენ". კალენდარზე ამ დროს 1917 წლის 29 აპრილი იყო.

კონფერენციამ იკისრა ყრილობის ფუნქცია და აირჩია ახალი ცენტრალური კომიტეტი, რომელშიც შევიდნენ: ლენინი, ზინოვიევი, კამენევი, მილიუტინი, ნოგინი, სვერდლოვი, სმილგა, სტალინი, ფიოდოროვი, კანდიდატებად აირჩია: თეოდოროვიჩი, ბუბნოვი, გლებოვ-ავილოვი, პრავდინი. 188 დელეგატიდან გადამწყვეტი ხმის უფლებით ფარულ კენჭისყრაში რატომღაც მხოლოდ 108 მონაწილეობდა, შესაძლოა, ნაწილი დელეგატებისა უკვე გაემგზავრა კონფერენციიდან. ლენინმა 104 ხმა მიიღო (იყო სტალინი იმ ხუთ დელეგატს შორის, ვინც ლენინს ხმა არ მისცა?) ზინოვიევმა — 101, სტალინმა — 97, კამენევმა — 95. პირველად პარტიის ისტორიაში სტალინი აირჩიეს ცკ-ში წესის შესაბამისად. იგი ამ დროს 38-ე წელში იყო. რიკოვი, ზინოვიევი და კამენევი 28-24 წლისანი იყვნენ, როცა ისინი პირველად აირჩიეს ყრილობაზე ბოლშევიკური შტაბის შემადგენლობაში.

კონფერენციაზე იყო ცდა, დაეტოვებინათ სვერდლოვი ცენტრალური კომიტეტის გარეთ. ამის თაობაზე საბჭოთა რესპუბლიკის პირველი თავმჯდომარის გარდაცვალების შემდეგ იგონებდა ლენინი და აღიარებდა თავის ამ შეცდომას. „საბედნიეროდ, — უმატებდა იგი მონაყოლს, — დაბლიდან დაგვეხმარნენ, რომ არ დაგვეშვა ასეთი შეცდომა". უშუალოდ ლენინს, ალბათ, არაფერი საბაბი არ ჰქონდა, სვერდლოვის კანდიდატურის წინააღმდეგი ყოფილიყო, რადგან მიმოწერით იცნობდა მას, როგორც დაუღალავ პროფესიონალ რევოლუციონერს. უფრო სარწმუნოა, რომ წინააღმდეგობა მოდიოდა სტალინისაგან, რომელსაც არ დავიწყებია, როგორ აწესრიგებდა მის საქმეებს სვერდლოვი პეტერბურგში, „პრავდის" რეფორმის ჟამს, კურეიკაში მასთან ერთად ცხოვრებამ კი მხოლოდ გაუღრმავა სვერდლოვისადმი სიძულვილის გრძნობა. სტალინი არაფერს არ პატიობდა.

კონფერენციაზე იგი, როგორც ჩანს, რევანშის აღებას შეეცადა და რაღაც საშუალებით, რომლის ამოცნობაც ჩვენ მხოლოდ დაახლოებით შეგვიძლია, მოიპოვა ლენინის მხარდაჭერა, მაგრამ თავდასხმა არ შედგა. თუ 1912 წელს ლენინი დელეგატების წინააღმდეგობას წააწყდა იმის გამო, რომ მოინდომა სტალინის ცენტრალურ კომიტეტში შეყვანა, ამჯერად ეს წინააღმდეგობა უფრო ძლიერი გამოდგა იმასთან დაკავშირებით, რომ არ სურდა სვერდლოვის შეყვანა ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობაში აპრილის კონფერენციაზე არჩეული ცენტრალური კომიტეტის შემადგენლობიდან თავისი დღით სიკვდილი მოასწრეს ლენინმა და სვერდლოვმა, ყველა დანარჩენი — რასაკვირველია, თვით სტალინის გამოკლებით, — ისე, როგორც ორივე კანდიდატიც; უკანასკნელი წლების წმე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნდაში მოჰყვნენ და ან ოფიციალურად დახვრიტეს, ან უკვალოდ გააქრეს ჰორიზონტიდან.

●

შემდგომი ორი თვის მანძილზე სტალინის საქმიანობისათვის თვალის მიდევნება ჭირს. იგი უცბად გადაიწია სადღაც მესამე რიგში. „პრავდის" რედაქციას ხელმძღვანელობდა ლენინი და თანაც შორიდან კი არა, როგორც ომის წლებში, არამედ ყოველდღიურად, უშუალოდ. „პრავდის" კამერტონით ეწყობა პარტია. აგიტაციის დარგში ზინოვიევი ბატონობს. სტალინი კვლავ არ გამოდის მიტინგებზე. კამენევი, რომელიც სანახევროდ შეეგუა ახალ პოლიტიკას, წარმოადგენს პარტიას ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტში და საბჭოებში. სტალინი თითქმის ქრება საბჭოთა არენიდან და იშვიათად ჩნდება სმოლნიში. ხელმძღვანელი ორგანიზაციული მუშაობა თავმოყრილია სვერდლოვის ხელში: იგი ანაწილებს თანამშრომლებს, ღებულობს პროვინციელებს, აგვარებს კონფლიქტებს. „პრავდაში" მორიგეობისა და ცენტრალური კომიტეტის სხდომებში მონაწილეობის გარდა სტალინი ეპიზოდურად ღებულობს ხან ადმინისტრაციულ, ხან ტექნიკური და ხანაც დიპლომატიური ხასიათის დავალებებს. ეს დავალებები არც ისე მრავლადაა. ბუნებით იგი ზარმაცია. დაძაბული მუშაობა მხოლოდ მაშინ ძალუძს, თუ საქმე უშუალოდ მის ინტერესებს ეხება, სხვა შემთხვევაში კი ამჯობინებს, ჩიბუხი ლეჭოს და ელოდოს ვითარების შემობრუნებას. ამჯერად იგი უქეიფობას განიცდის. შედარებით ძლიერმა და ნიჭიერმა ადამიანებმა ყველგან შეავიწროვეს. მარტისა და აპრილის გახსენება სუსხავს მის პატივმოყვარეობას. სტალინი თავს ძალას ატანს და ნელ-ნელა გარდაქმნის საკუთარ აზრს, მაგრამ, საბოლოოდ, მხოლოდ სანახევრო შედეგებს აღწევს.

მშფოთვარე „აპრილის დღეებში", როცა მილიუკოვის იმპერიალისტური ნოტის პროტესტის ნიშნად ჯარისკაცები ქუჩებს მოედვნენ, შემთანხმებლები, როგორც ყოველთვის, დაკავებულნი იყვნენ მთავრობისათვის ჯადო-თილისმის კეთებითა და მასების მისამართით დაპირებების გაცემით. 21-ში ცენტრალურმა აღმასრულებელმა კომიტეტმა ჩხეიძის ხელმოწერით კრონშტადტსა და სხვა გარნიზონებს გაუგზავნა თავისი ერთ-ერთი მოძღვრული ტელეგრამათაგანი: „დიახ, მილიუკოვის სამარცხვინო ნოტა არ იმსახურებს მხარდაჭერას, მაგრამ „აღმასრულებელ კომიტეტსა და დროებით მთავრობას შორის დაიწყო მოლაპარაკებები, რომლებიც ჯერ არ დამთავრებულა" (ეს მოლაპარაკებები, თავისი ხასიათის მიხედვით, არც არასოდეს დამთავრებულა): „აღიარებს რა ყოველგვარი ცალკეული და არაორგანიზებული გამოსვლების ზიანს, აღმასრულებელი კომიტეტი გთხოვთ, თავი შეიკავოთ" და სხვა.

ოფიციალურ ოქმებში გაოცებით აღმოვაჩენთ, რომ ტელეგრამის ეს ტექსტი შეუდგენია კომისიას, რომლის შემადგენლობაშიც ორი შემთანხმებელი და ერთი ბოლშევიკი შედიოდა, ეს ბოლშევიკი კი სტალინი გახლდათ, წვრილმანი ეპიზოდია (ამ პერიოდში მნიშვნელოვან ეპიზოდს საერთოდ ვერ მოვძებნით); მაგრამ დამახასიათებელი. ეს რჩევა-დარიგების შემცველი ტელეგრამა კლასიკური მაგალითია იმ „კონტროლისა", რომელიც ორხელისუფლებიანობის მექანიზმში აუცილებელ ელემენტად შედიოდა. უძლურების ამ პოლიტიკაში ბოლშევიკების უმცირეს მონაწილეობასაც კი ლენინი შეურიგებლად ებრძოდა. თუ კრონშტადტელების გამოსვლა მიზანშეუწონელი იყო, ეს მათთვის პირდაპირ უნდა ეთქვათ პარტიის სახელით და არა ისე, რომ საკუთარ თავზე აეღოთ ჩხეიძისა და თავად ლვოვს შორის არსებული „მოლაპარაკებისათვის" პასუხისმგებლობა. შემთანხმებლებმა სტალინი ჩართეს კომისიაში იმისათვის, რომ კრონშტადტელებში მხოლოდ ბოლშევიკებს ჰქონდათ ავტორიტეტი, მით უფრო საჭირო იყო უარის თქმა; მაგრამ სტალინს უარი არ უთქვამს. ამ ტელეგრამის გაგზავნიდან მესამე დღეს იგი კონფერენციაზე გამოვიდა კამენევის წინააღმდეგ და, სხვათა შორის, მილიუკოვის ნოტის თაობაზე წარმოშობილი კონფლიქტი გამოიყენა, როგორც „კონტროლის" უაზრობის ნათელი დადასტურება. ამ ემპირიკოსს არასოდეს არ აღელვებდა ლოგიკური ურთიერთწინააღმდეგობანი.

ივლისში, ბოლშევიკური სამხედრო ორგანიზაციის კონფერენციაზე ლენინისა და ზინოვიევის ძირითადი პოლიტიკური მოხსენებების შემდეგ სტალინმა გააკეთა მოხსენება „ეროვნული მოძრაობისა და ეროვნული პოლკების თაობაზე". ჩაგრული ერების გამოღვიძების გავლენით მოქმედ არმიაში დაიწყო ნაწილების ეროვნული ფორმირება ეროვნულობის ნიშნის მიხედვით. ჩნდებოდა უკრაინული, მუსულმანური, პოლონური და სხვა პოლკები. დროებითმა მთავრობამ ბრძოლა გამოუცხადა „არმიის დეზორგანიზაციას". ამ საქმეში ბოლშევიკები ჩაგრული ერების მხარეზე დადგნენ. სტალინის მოხსენების ჩანაწერი არ შემორჩენილა. ალბათ, რაიმე ახალი მას არც უთქვამს.

სრულიად რუსეთის საბჭოების პირველი ყრილობა, რომელიც 3 ივნისს გაიხსნა, თითქმის სამ კვირას გრძელდებოდა. რამდენიმე ათეული პროვინციელი დელეგატ-ბოლშევიკი წარმოადგენდა საკმაოდ ჭრელ ჯგუფს, რომელიც ჯერ კიდევ შორს იყო მარტის განწყობილებების უარყოფისაგან. მათი გაძლიერება სულაც არ იყო იოლი საქმე. სწორედ ამ მომენტს ეხება ჩვენთვის უკვე ცნობილი ხალხოსნის საინტერესო შენიშვნა. იგი, როგორც ვნახავთ, ჯერ კიდევ

ბაქოს ციხეში შეხვდა კობას. „ყველანაირად ჰცდილობდი, გამეგო სტალინისა და სვერდლოვის როლი ბოლშევიკურ პარტიაში, — წერდა ვერეშჩაკი 1928 წელს. — იმ დროს, როცა ყრილობის პრეზიდიუმის მაგიდას უსხდნენ კამენევი, ზინოვიევი, ნოგინი და კრილენკო, ხოლო ლენინი, ზინოვიევი და კამენევი ორატორის როლში გვევლინებოდნენ, სვერდლოვი და სტალინი უხმაუროდ დირიჟორობდნენ ბოლშევიკურ ფრაქციას. ეს იყო ტაქტიკური ძალა. ახ. აქ მე მთლიანად ვიგრძენი ამ ხალხის მთელი მნიშვნელობა“.

ვერეშჩაკი არ ცდებოდა კენჭისყრისათვის ფრაქციის კულისებს მიღმა მომზადების საქმეში სტალინი დაუფასებელი იყო. იგი ყოველთვის არ მიმართავდა პრინციპულ დასკვნებს, მაგრამ საშუალო შემადგენლობისათვის, განსაკუთრებით, პროვინციიდან ჩამოსულთათვის ძალზე დამაჯერებლად მოქმედებდა. ოღონდ ამ საქმეშიც პირველობა სვერდლოვს ეკუთვნოდა, ყრილობის ბოლშევიკური ფრაქციის უცვლელ თავმჯდომარეს.

ამ დროს არმიაში მიმდინარეობდა შეტევის „მორალური“ მზადება, რომელიც იწვევდა მასების დაძაბულობას არა მარტო ფრონტზე. ზურგშიც: ბოლშევიკური ფრაქცია მტკიცედ ეწინააღმდეგებოდა სამხედრო ავანტურას და წინასწარ მიუთითებდა კატასტროფაზე ყრილობის უმეტესობამ მხარი დაუჭირა კერენსკის. ბოლშევიკები შეეცადნენ ჩაეტარებინათ საპასუხო დემონსტრაცია. საკითხის განხილვისას თავი იჩინა აზრთა სხვადასხვაობამ. ვოლოდარსკი, პეტროგრადის კომიტეტის მთავარი ძალა, არ იყო დარწმუნებული, რომ მუშები მონაწილეობას მიიღებდნენ დემონსტრაციაში. სამხედრო ორგანიზაციის წარმომადგენლები ირწმუნებოდნენ, ჯარისკაცები იარაღის გარეშე არ გამოვლენო. სტალინი მიიჩნევდა, რომ „ჯარისკაცთა შორის მღელვარება — ფაქტია. მუშებს შორის ასეთი გამოკვეთილი განწყობილება არ იგრძნობა“. მაგრამ მაინც დასაშვებად მიაჩნდა. სათანადო პასუხი გასცემოდა მთავრობას, საბოლოოდ გადაწყდა დემონსტრაციის მოწყობა კვირას, 10 ივნისს. შემთანხმებლები აფორიაქდნენ. ყრილობას შეეშინდა იმ შთაბეჭდილების, რომელიც შეიძლება აკრძალვას გამოეწვია მასებში და თვითონვე დანიშნა საყოველთაო დემონსტრაცია 18 ივნისისათვის. შედეგმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა: ყველა ქარხანა და პოლკი გამოვიდა ბოლშევიკური პლაკატებით. ყრილობის ავტორიტეტმა გამოუსწორებელი დარტყმა განიცადა. დედაქალაქის მუშებმა და ჯარისკაცებმა იგრძნეს საკუთარი ძლიერება და ორი კვირის შემდეგ შეეცადნენ მის რეალიზებას. ასე იშვა „ივლისის დღეები“ — ორ რევოლუციას შორის არსებული დიდმნიშვნელოვანი ზღვარი.

4 მაისს სტალინი „პრავდაში“ წერდა: „რევოლუცია ფართოვდება და ღრმავდება... მოძრაობის სათავეშია პროვინცია. თუ რევოლუციის პირველ დღეებში პეტროგრადი მოწინავე რიგებში იყო, ახლა იგი ჩამორჩება“. ზუსტად ორი თვის შემდეგ „ივლისის დღეებმა“ წარმოაჩინა, რომ პროვინცია მეტისმეტად ჩამორჩა პეტროგრადს. თავის შეფასებაში სტალინს მხედველობაში ჰყავდა არა მასები, არამედ ორგანიზაციები. „დედაქალაქის საბჭოები, — აღნიშნავდა ლენინი ჯერ კიდევ აპრილის კონფერენციაზე, — პოლიტიკურად უფრო მეტად არიან დამოკიდებულნი ბურჟუაზიის ცენტრალური ხელისუფლებისგან, ვიდრე პროვინციების საბჭოები“. იმ დროს, როცა ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ყველანაირად ცდილობდა, რომ ძალაუფლებას თავი მოეყარა მთავრობის ხელში, პროვინციებში მენშევიკური და ესერული საბჭოები, საკუთარი ნების საწინააღმდეგოდ, ხშირად იგდებდნენ ხელთ ძალაუფლებას და ეკონომიკური ცხოვრების რეგულირებასაც კი ცდილობდნენ. მაგრამ დედაქალაქის საბჭოური დაწესებულებების „ჩამორჩენილობა“ სწორედ იქიდან გამომდინარეობდა, რომ პეტროგრადის პროლეტარიატი ძალზე წინ გაიჭრა და წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიას თავისი მოთხოვნების რადიკალურობით აშფოთებდა. ივლისის დემონსტრაციის საკითხის განხილვისას სტალინი მიიჩნევდა, რომ მუშები არ ესწრაფოდნენ ბრძოლას, ივლისის დღეებმა გააცამტვერეს მისი მტკიცებები: შემთანხმებლების აკრძალვისა და თვით ბოლშევიკური პარტიის გაფრთხილების მიუხედავად. პროლეტარიატი გაიჭრა ქუჩაში გარნიზონთან მჭიდრო კავშირში. ეს ორივე შეცდომა მეტისმეტად დამახასიათებელია სტალინისათვის: ის არ სუნთქავდა მუშათა შეკრებების ატმოსფეროთი, არ ჰქონდა კავშირი მასებთან და არ ენდობოდა მათ: ცნობები, რომლებიც მას მოეპოვებოდა, აპარატიდან მოდიოდა. სინამდვილეში მასები პარტიაზე მეტად რევოლუციურად იყვნენ განწყობილნი, პარტია კი, თავის მხრივ, უფრო რევოლუციური იყო, ვიდრე მისი „კომიტეტჩიკები“. როგორც სხვა დროს, ახლაც სტალინი გამოხატავდა აპარატის კონსერვატორულ ტენდენციას და არა მასების დინამიკურ ძალას.

ივლისის დასაწყისში პეტროგრადი მთლიანად ბოლშევიკების მხარეზე იყო. დედაქალაქში არსებულ მდგომარეობას რომ აცნობდა, ჟურნალისტმა კლოდ ანემ საფრანგეთის ახალ ელჩს ნევის მეორე ნაპირზე მდებარე ვიბორგის რაიონი უჩვენა, სადაც თავმოყრილი იყო ყველაზე დიდი ქარხნები: „ლენინი და ტროცკი მეფობენ იქ, როგორც ბატონები“. გარნიზონის პოლკები — ბოლშევიკურებიც და ისინიც, რომლებიც

ჯერ კიდევ ყოყმანობდნენ, ბოლშევიკების მხარეს აღმოჩნდნენ. „თუ ლენინი და ტროცკი მოინდომებენ, აიღონ პეტროგრადი, წინ ვინ დაუდგებათ?" მდგომარეობის დახასიათება ზუსტი იყო, მაგრამ ძალაუფლების ხელში აღება შეუძლებელი გახლდათ, რადგან, იმის მიუხედავად, რას წერდა სტალინი მაისში, პროვინცია დიდად ჩამორჩებოდა დედაქალაქს.

2 ივლისს ბოლშევიკების საქალაქო კონფერენციაზე, სადაც სტალინი ცკ-ს წარმოადგენდა, გამოჩნდა ორი აღელვებული მეზარბაზნე, რომლებმაც განაცხადეს, რომ მათმა პოლკმა გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ გავიდეს ქუჩაში იარაღით ხელში. კონფერენცია ურჩევს, თავი შეიკავონ გამოსვლისაგან. ცენტრალური კომიტეტის სახელით სტალინი მხარს უჭერს კონფერენციის გადაწყვეტილებას. სტალინის ერთ-ერთი თანამშრომელი და მონანიე ოპოზიციონერი პიოსტკოვსკი ცამეტი წლის შემდეგ ასე იხსენებდა ამ კონფერენციას: „იქ მე პირველად ვნახე სტალინი. ოთახი, სადაც კონფერენცია მიმდინარეობდა, ყველა დამსწრეს ვერ იტევდა: საზოგადოების ნაწილი კონფერენციას თვალყურს ადევნებდა დერეფნიდან, გაღებული კარის მეშვეობით. სწორედ ამ ნაწილში ვიყავი მეც და მომხსენებელთა ლაპარაკი ცუდად მესმოდა.... ცკ-ის სახელით გამოვიდა სტალინი. იგი ხმადაბლა ლაპარაკობდა და მე დერეფნიდან ბევრი რამ ვერ გავარჩიე, ყურადღება მივაქციე მხოლოდ ერთ რამეს: სტალინის თითოეული ფრაზა დაზუსტებული და სრული იყო, მტკიცებები გამოირჩეოდა ნათელი ფორმულირებით..." კონფერენციის წევრები მიეშურებიან პოლკებსა და ქარხნებში, რათა შეაჩერონ მასების გამოსვლა. „ხუთი საათისათვის — მოახსენებდა სტალინი შეკრებილთ მოვლენების განვითარების შემდგომ, — ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სხდომაზე ცენტრალური კომიტეტისა და კონფერენციის სახელით ოფიციალურად განვაცხადეთ, რომ გადავწყვიტეთ, არ გამოვსულიყავით..." 8 საათისათვის გამოსვლა მაინც დაიწყო. „მქონდა თუ არა პარტიას უფლება, ხელი დაებანა.., და განზე დამდგარიყო?.." როგორც პროლეტარიატის პარტია, ჩვენ ვალდებულნი ვიყავით, ჩავრეულიყავით გამოსვლაში და მიგვეცა მისთვის მშვიდობიანი და ორგანიზებული ხასიათი და მიზნად არ დაგვესახა ძალაუფლების იარაღით მოპოვება."

მოგვიანებით სტალინი ივლისის დღეების შესახებ პარტიის ყრილობაზე ამბობდა: „პარტიას არ სურდა გამოსვლები. პარტიას უნდოდა, დაეცადა იმ დროისათვის, როცა მოხდებოდა ფრონტზე შეტევის პოლიტიკის დისკრედიტირება. ამის მიუხედავად, ქვეყანაში გამეფებული ნგრევის, კერენსკის ბრძანებებისა და ახალი ნაწილების ფრონტზე გაგზავნის პასუხად მაინც მოეწყო სტიქიური გამოსვლა". ცკ-მა გადაწყვიტა, გამოსვლისათვის მშვიდობიანი ხასიათი მიეცა. „ჯარისკაცების მიერ დასმულ კითხვაზე, შეიძლება თუ არა იარაღით გამოსვლა, ცკ-მა დაადგინა: იარაღით არ გამოვალთ. ჯარისკაცები მაინც ლაპარაკობდნენ, რომ უიარაღოდ გამოსვლა არ შეიძლება და მხოლოდ თავდაცვის მიზნით წამოიღებენ იარაღს".

მაგრამ აქ მოულოდნელად ვაწყდებით დემიან ბედნის იდუმალებით მოცულ მოწმობას. კარის პოეტი 1929 წელს აღფრთოვანებული ტონით მოყვა, როგორ გამოიძახეს კრონშტადტიდან ტელეფონზე „პრავდაში" მყოფი სტალინი და როგორ უპასუხა მან კითხვაზე, იარაღით გამოსულიყვნენ თუ უიარაღოდ: „შაშხანები?.. თქვენ უკეთ იცით, ამხანაგებო... აი, ჩვენ, მწერლები, ფანქარს, როგორც ჩვენს იარაღს, სულ თან ვატარებთ.., თქვენი იარაღისა კი თქვენ იცით!" მონაყოლი ალბათ, სტილიზებულია, მაგრამ მასში არის ჭეშმარიტების მარცვალი. სტალინი, საერთოდ, ყოველთვის ამცირებდა ბრძოლისადმი მუშებისა და ჯარისკაცების მზადყოფნას: მასებისადმი უნდობლობა მისი დამახასიათებელი თვისებაა. მაგრამ სადაც კი ბრძოლა ჩაღდებოდა, თბილისის მოედნებზე, ბაქოს ციხესა თუ პეტროგრადის ქუჩებში, იგი ყოველთვის ცდილობდა, მიეცა მისთვის რაც შეიძლება მძაფრი ხასიათი. ცკ-ის გადაწყვეტილება? მისი შეცვლა ყოველთვის შეიძლებოდა ფანქრებზე გადატანილი პარაბოლის მეშვეობით. ეს კია, არ არის საჭირო ამ ეპიზოდის გადაჭარბებით შეფასება: შეკითხვა, ალბათ, პარტიის კრონშტადტის კომიტეტიდან მოდიოდა; რაც შეეხებათ მატროსებს, ისინი მაინც იარაღით გამოვიდოდნენ.

ივლისის მოძრაობა აჯანყებაში არ გადაზრდილა, მაგრამ დემონსტრაციის საზღვრებს კი გადასცილდა. იყო პროვოკაციული გასროლები ფანჯრებიდან და სახურავებიდან, იყო შეიარაღებული შეჯახებები, რომელთაც არც რაიმე გეგმა გააჩნდათ და არც გამოკვეთილი მიზანი და საკმაოდ ბევრ დაჭრილსა და მოკლულთან ერთად იყო პეტროპავლოვსკის ციხესიმაგრის ეპიზოდური, სანახევროდ აღება კრონშტადტელი მეზღვაურების მიერ, იყო თავრიდის სასახლის ალყა, დედაქალაქში გაბატონებულნი აღმოჩნდნენ ბოლშევიკები, მაგრამ მათ შეგნებულად უარყვეს გადატრიალება, როგორც ავანტიურა. „3 და 4 ივლისს ჩვენ შეგვეძლო ძალაუფლების

ალება, — ამბობდა სტალინი პეტროგრადის კონფერენციაზე, — მაგრამ ჩვენზე ამხედრდებოდა ფრონტი, პროვინცია, საბჭოები. ძალაუფლება კი, რომელიც არ დაეფუძნებოდა პროვინციებს, უშედეგო აღმოჩნდებოდა". განსაზღვრულ მიზანს მოკლებულმა მოძრაობამ უკან დახევა დაიწყო. მუშები ქარხნებს, ჯარისკაცები ყაზარმებს უბრუნდებოდნენ.

გადასაწყვეტი რჩებოდა პეტროპავლოვსკის საკითხი, სადაც ჯერ ისევ კრონშტადტელები ისხდნენ. „ცკ-მა მიმავლინა პეტროპავლოვსკის ციხესიმაგრეში, — უყვებოდა სტალინი, — სადაც შევძელი, დამეყოლიებინა იქ მყოფი მატროსები, არ მიეღოთ გამოწვევა... როგორც ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის წარმომადგენელი (მენშევიკ) ბოგდანოვთან ერთად მე მივდივარ (ჯარისკაცების მთავარსარდალ) კოზმინთან. იგი მზად არის ბრძოლისათვის... ჩვენ ვიყოლიებთ მას, არ გამოიყენოს შეიარაღებული ძალები... ჩემთვის ნათელია, მემარჯვენე ფრთას სურს სისხლი, რათა „გაკვეთილი" ჩაუტაროს მუშებს, ჯარისკაცებსა და მატროსებს. ჩვენ შევძელით, ხელი შეგვეშალა მათი სურვილის განხორციელებისათვის".

სტალინის მიერ აგრერიგად დელიკატური მისიის წარმატებით განხორციელება შესაძლებელი გახდა იმის წყალობით, რომ შემთანხმებლების თვალში იგი არ წარმოადგენდა ოდიოზურ ფიგურას. მათი სიძულვილი სხვა პირებისაკენ იყო მიმართული; ამასთან, სტალინს, როგორც არავის, შეეძლო მოლაპარაკებისას მიეღო ფხიზელი და ზომიერი ბოლშევიკების პოზა, რომელიც გაურბის ექსცესებს და შეთანხმების მომხრეა. მატროსებთან „ფანქრების" თაობაზე მოლაპარაკების შესახებ მას, ყოველ შემთხვევაში, ხმა არ გაუღია.

თარგმნეს ელზა მეტრეველმა
და დავით მჭედლურმა

გაგრძელება იქნება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი მილოცვა



# 60

# თამაზ ჭილაძე

# 60

დაბადებიდან 60 წელი შეუსრულდა გამოჩენილ მწერალსა და საზოგადო მოღვაწეს თამაზ ჭილაძეს. ამ თარიღთან დაკავშირებით საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობამ იუბილარს მისალმება გაუგზავნა. მისალმებაში ნათქვამია:

ძვირფასო ბატონო თამაზ!

საქართველოს მწერალთა კავშირის გამგეობა, თქვენი მეგობარი ქართველი მწერლები გულმხურვალედ მოგესალმებიან თანამედროვე ქართული მწერლობის ერთ-ერთ ბრწყინვალე წარმომადგენელს და გილოცავენ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენს ცხოვრებაში, დაბადების 60 და ლიტერატურული მოღვაწეობის 40 წლისთავს.

თქვენ შემოქმედთა იმ მცირერიცხოვან ჯგუფს ეკუთვნით, რომელიც ფაქტიურად განსაზღვრავს თანამედროვე ქართული მწერლობის დონეს და ამდიდრებს მის საგანძურს.

მრავალმხრივი, ფრიად ნაყოფიერია თქვენი შემოქმედება. ერთნაირი ძალმოსილებით მოღვაწეობთ პოეზიის, პროზის, დრამატურგიისა და ესთეტიკის ჟანრში.

თქვენი პოეტური კრებულები („ლია სარკმელი", „ივლისი", „მზის საათი", „მახსოვრობა...") იმთავითვე მოექცა ქართველი მკითხველის ყურადღების ცენტრში, და ეს არ იყო შემთხვევითი ფაქტი, რადგანაც თქვენი პოეტური ხილვები, პოეტური სახეები განსაკუთრებული ძალითაა დამუხტული. თქვენი პოეტური მზერა შეუმჩნეველს არ ტოვებს არცერთ პოეტურ განწყობილებას, ნიუანსს თუ სულის ამაღლებულ მდგომარეობას. პოეტური მეტყველების ხაზგასმული ექსპრესიულობა თქვენი პოეზიის არსებით ნიშანს წარმოადგენს.

მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეთ თანამედროვე ქართული პროზის განვითარებაში. თქვენი მოთხრობები და რომანები, ისეთები როგორიცაა „აჰა, მიიწურა ზამთარი", „თეთრი კვამლი", „პოსეიდონის სასახლე", „აუზი", „წერო", „მდგმურები" „გასეირნება პონის ეტლით", „ვინ ცხოვრობს ვარსკვლავებზე" და სხვები დამსახურებული აღიარებით სარგებლობს. ამ ნაწარმოებებს ყუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თიანებს ავტორისეული პოზიცია და მსოფლმხედველობა, რომლებიც პერსონაჟთა პოზიციასა და მსოფლმხედველობის გვერდით დამოუკიდებელი ფენომენის სახით არსებობს, ძალზე გამოკვეთილია საერთო ქსოვილში. პიროვნების ჩამოყალიბების რთული პროცესი, საზოგადოებაში საკუთარი ადგილის პოვნა, ცხოვრების არსის გარკვევის ცდა — აი, ის პრობლემები, რომლებიც თქვენს რომანებსა და მოთხრობებს ერთიან რკალში აქცევს.

ცალკე აღნიშვნის ღირსია თქვენი, როგორც დრამატურგის, მოღვაწეობა. თქვენი პიესები („მკვლელობა“, „დავიწყებული ამბავი“, „ბუდე მეცხრე სართულზე“, „როლი დამწყები მსახიობი გოგონასათვის“, „ჩიტების ბაზარი“, „ნახვის დღე“, „ელისაბედ, ელისაბედ!“) თავისი მხატვრული ღირებულებითა და ეთიკური პრობლემატიკით უაღრესად თანამედროვე ნაწარმოებებს წარმოადგენს. სწორედ თანამედროვე ადამიანის სულიერი ცხოვრება ირეკლება პერსონაჟთა სახეებში, რომელიც ბევრ პრობლემაზე დაგვაფიქრებს და XX საუკუნის მიწურულის მოქალაქის სულის იდუმალ ხვეულებში გვახედებს.

თქვენი ლიტერატურულ-კრიტიკული და პუბლიცისტური წერილები ყოველთვის გვაზიარებდა რაღაც ახალს, მანამდე შეუმჩნეველსა და აუხსნელს. თამამი ანალიზი, თამამი დასკვნები და ახალი მოტივების დაძებნის უნარი გამოგარჩევთ მუდამ. ერთნაირი გატაცებით წერთ ლიტერატურაზე, თეატრზე, მხატვრობაზე და ეს ბუნებრივიცაა, რადგან ერთმანეთისაგან განუყრელად აღიქვამთ ხელოვნების ამ სფეროებს.

თქვენი შემოქმედების საუკეთესო ნიმუშები თარგმნილია მსოფლიოს მრავალ ქვეყანაში. ისინი არაერთხელ აღინიშნა ლიტერატურული პრემიებით.

წლების მანძილზე ნაყოფიერ საზოგადოებრივ საქმიანობას ეწევით. სხვადასხვა დროს მუშაობდით ჟურნალ „ცისკრის“ განყოფილების გამგედ, რუსთაველის პრემიების კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად, ჟურნალ „საბჭოთა ხელოვნების“ მთავარ რედაქტორად, მწერალთა კავშირის გამგეობის მდივნად, და მუდამ ღირსეულად ემსახურებოდით ქართულ მწერლობასა და ხელოვნებას. თქვენი ინიციატივითა და ძალისხმევით დაარსდა ბიჭვინთის დრამატურგთა სემინარი, რომელმაც არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედი გამოავლინა.

ძვირფასო თამაზ!

კიდევ ერთხელ გულითადად გილოცავთ საიუბილეო თარიღს, დღეგრძელობას და მზეგრძელობას გისურვებთ ჭეშმარიტ შემოქმედს და ღირსეულ მოქალაქეს ჩვენი ქვეყნისას.

## კვლავაც!

ჩემო თამაზ! ამ მილოცვას ჟურნალის მეშვეობით გიგზავნი. მინდა საჯაროდ გამოვხატო ჩემი სიხარული იმის გამო, რომ შენ ხარ ამქვეყნად, ხარ ასეთი და მე კი ვარ შენი მეგობარი.

დრო ყველასათვის თანაბრად გადის, თუმცა ყველა როდი დარდობს მის სწრაფმავლობას. ჩვენი თაობიდან ზოგს ცოტა ადრე, ზოგს დღეს, ზოგსაც მალე შეუსრულდება 60 წელი.

დრომ გაირბინაო, ვიტყვით. ვისთვისაც ფუჭად ჩაიარა, ეს ასეცაა. შენთვის ის დინჯად, უფაციფუცოდ მიედინებოდა და ამიტომაც არ გჭირდება შენი ნამოღვაწარიდან რაიმეს დავიწყება, ან დღევანდელობისათვის გადაკეთება-მორგება, შენი კვალი რომ მნიშვნელოვანია ლირიკაშიც, პროზაშიც, დრამატურგიაშიც, ესსეშიც ეს ყველასათვის თუ არა, ბევრისათვის მაინც ცნობილია. მე მინდა ასევე ცნობილი იყოს სხვათათვისაც შენი სულიერი სისპეტაკე, კეთილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შობილება, ადამიანისადმი სყვარულით სავსე გული, შენი უხმაურო და საქმიანი მამულიშვილობა, შენი ჭეშმარიტი და ორგანული ინტელიგენტობა.

ზოგი წუხს ასაკოვნების გამო, მე კი მახარებს შენი სახელოვანი 60 წელი და ისიც, რომ კვლავაც მთელ შენ გონს, ნიჭს და გრძნობას შენს ქვეყანას, შენს ეროვნულ კულტურას, შენს სათაყვანებელ ქართულ მწერლობას მოახმარ.

შენი გურამ გვერდწითელი.

---

●

თამაზ ჭილაძის ლიტერატურული თაობის თითქმის ყოველ წარმომადგენელს ხომ თავისი ხმა აქვს, ხომ თავისი პრობლემატიკით მოვიდა მწერლობაში, ეს თაობა მაინც მთლიანი სამყაროა. ამ სამყაროში თამაზ ჭილაძის სახელი განსაკუთრებით გამორჩეულია. ამ გამორჩევას ათასი მიზეზი აქვს. მთავარი კი ის გახლავთ, რომ თამაზ ჭილაძე არა მარტო ჩინებული პოეტი, პროზაიკოსი ესეისტი, არამედ ერთ-ერთი საუკეთესო დრამატურგია. მისი ლიტერატურული ცხოვრება მტკიცედ დაუკავშირდა ქართული თეატრის ცხოვრებას.

დრამატურგის ცხოვრება გამადიდებელი შუშის ქვეშ გახლავთ მოქცეული; გამოსცემს პოეტი, გნებავთ პროზაიკოსი წიგნს და ამ წიგნს ყოველი ადამიანი სავარძელში ჩამჯდარი, ან ტახტზე წამოწოლილი ნება-ნება კითხულობს. მას შეიძლება სულაც არ მოსწონდეს ლექსი, მოთხრობა, ერთობ გულგრილი იყოს მის მიმართ, მაგრამ საკმარისია ორმა, სამმა კეთილმა კრიტიკოსმა მაინც დაწეროს სახოტბო წერილი და მკითხველს თავს მოახვიოს თავისი „განსაკუთრებული მოსაზრებანი" ამა თუ იმ მწერალზე. არა ერთი და ორი ყალბი ავტორიტეტი შექმნილა ასე.

დრამატურგი? დრამატურგის მთელი ავლადიდება პრემიერის პირველივე საღამოზე ხელის გულზე გიდევს. დრამატურგის „განაჩენს" ვერ სწერს ერთი ან, გნებავთ, ათი ადამიანი — კრიტიკოსი. დრამატურგის განაჩენს უამრავი ხალხი წერს: თეატრი, რომელიც პიესას დგამს, ან არ დგამს, და რაც მთავარია მაყურებელი, უამრავი ხალხი.

მაყურებლის გულგრილობა, ცივი მზერა საშინელი სამსჯავროა დრამატურგისა. აფუსფუსებული, აჟრიამულებული, ან გნებავთ, დაძაბულობისაგან სუნთქვაშეკრული მაყურებელი — რწმენის, სიხარულის მომნიჭებელი. პოეტს იშვიათად აქვს საშუალება გაიგოს ტახტზე ნებივრად წამოწოლილი მკითხველის უშუალო, „დაუმუშავებელი" აზრი ამა თუ იმ ლექსზე. დარბაზიდან ხმაურით გასული მაყურებელი კი ის მკითხველია, რომელიც ლექსის კითხვის დროს პოეტს ლამის დედას აგინებს, და წიგნს კუთხეში მოისვრის, მაგრამ პოეტი ამას ვერ ხედავს, იქნებ, ამ წუთებში ისეთსავე უსახურ ლექსებს გვითხზავს. დრამატურგი კი ხედავს დარბაზიდან ხმაურით როგორ გადის მაყურებელი და იგი წამებით იტანს ამ განაჩენს ან... სულაც ვერ იტანს.

მაგრამ დრამატურგს ის ბედნიერებაცა აქვს, რომ მას შეუძლია დაინახოს მაყურებლის გაბრწყინებული, ბედნიერი სახეები, იმ გულწრფელ ტაშში ამოიკითხოს თავისი არსებობის, ნაღვაწის გამართლება. რამდენი ასეთი გაბრწყინებული სახე მინახავს მე თამაზ ჭილაძის პიესების მიხედვით დადგმულ სპექტაკლებში?

ძალიან ბევრი.

ძალიან ხშირად აჟრიამულებულა, აჩოჩქოლებულა დარბაზი მისი პიესების ხილვისას და ეს დიდი სიხარულია.

და კიდევ ერთი რამ — თამაზ ჭილაძის ათამდე პიესა დადგმულა საქართველოს სხვადასხვა თეატრში. ზოგი მათგანი სამ-ოთხ, უფრო მეტ თეატრშიც. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ოცდაათ თეატრში მაინც მოსულა მაყურებელი მისი პიესების სახილველად, მოსულა ორი, სამი, ოთხი, ხუთი წლის განმავლობაში. მაშასადამე, მისი პიესების სამყაროში ათი-ათასობით ადამიანს უცხოვრია, მისი პიესების ტყვეობაში ათეულ ათასობით ადამიანი მოქცეულა და იმ ორი საათის განმავლობაში, რაც მას თამაზ ჭილაძის სამყაროში გაუტარებია, ცოტა უკეთესი გამხდარა, ვიდრე თეატრში მოსვლამდე ყოფილა.

ეს კი დიდი ღირსებაა! ამისთვის ღირს სიცოცხლე და ისეთი მტანჯველი ცხოვრება, როგორიც დრამატურგს აქვს, შენ ადამიანის სულში რაღაცას სტოვებ? ადამიანის სულში სულ მცირეოდენ, სულ პაწია კვალს ავლებ? ამ კვალის გავლება კი მხოლოდ ნამდვილ ლიტერატურას რომ ძალუძს, ეს ცხადია ამაოდ არ გარჯილხარ, ამაოდ არ გიცხოვრია. თამაზ ჭილაძეს რომ ეს სამოცი წელი ამაოდ არ უცხოვრია, საქართველოში ბევრმა იცის, ყველამ, ვის სულსაც ჭირხლი არ მოსდებია, მაგრამ ეს ბოლო ათი წელია თამაზ ჭილაძე ქართული მწერლობის საქმეს მეთაურობს. დრამატურგთა სემინარის ხელმძღვანელობა ხომ ის ღვაწლია, რომელიც წლების შემდეგ კიდევ უფრო გამოაჩენს მის პიროვნებას ქართული მწერლობის წინაშე. ოსტატის და შეგირდის ინსტიტუტის აღორძინებას, შემოქმედებითი ცხოვრების დასაწყისში ჭაბუკი კაცისათვის პროფესიონალთა წრეში ტრიალს, პროფესიაზე, მწერლობაზე ინტენსიურ საუბარს, თუ რა შედეგი მოაქვს, უკვე კარგად ჩანს ქართული თეატრის ცხოვრების მაგალითზე — დღეს ქართულ თეატრალურ აფიშას თითქმის ის დრამატურგები ავსებენ, რომლებმაც ბიჭვინთის სემინარის სკოლა გაიარეს. ასეა დღეს, როცა თამაზ ჭილაძე 60 წლისა გახდა, მჯერა: უკეთესი მდგომარეობა გვექნება 10 წლის შემდეგ, როცა თამაზ ჭილაძე 70 წლისა გახდება.

**გურამ ბათიაშვილი.**

ბატონო თამაზ!

ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია, სიამოვნებით უერთდება ქართველ მწერალთა ხმას და გილოცავთ დაბადების 60 წლის თავს.

ჩვენთვის განსაკუთრებით საამაყოა, რომ თითქმის ყველა ჩვენი დღევანდელი სახელოვანი მწერალი, საშუალო თაობისა თუ ცოტა უფროსი ასაკისა, ცისკრელია.

მათ შორის ბრძანდებით თქვენც.

ერთსაც გავიხსენებთ: 1957 წელს, ახლადდაარსებული „ცისკრის" პირველი ნომერი თქვენი ლექსებით იხსნებოდა. შეიძლება რაღაცნაირად სიმბოლურიცაა, რომ დღევანდელი ჩვენი ნომერი, უკვე თქვენი დაბადების 60 წლის თავზე, თქვენი ლექსებით უღებს კარს მკითხველს.

ღმერთმა დიდხანს გამყოფოთ ქართული მწერლობისა და კულტურის სამსახურში.

კვლავ დიდხანს ყოფილიყოთ ჩვენი მეკვლე და კარის გამღები.

**ჟურნალ „ცისკრის" რედაქცია.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა



მიხეილ მახარაძე

# მამულიშვილი

(ახმედ ოსკან — მელაშვილი)

„მამულიშვილობის“ ცნების ზუსტი და ამომწურავი დახასიათება არც თუ ისე ადვილი უნდა იყოს. ამისათვის ერთი და ორი წინადადება არ იკმარებდა, თუმცა არაფერი დაშავდებოდა, თუკი ამ ცნების ძირითად ნიშნად სამშობლოს სიყვარულს და ერთგულებას მივიჩნევდით. მამულიშვილად იმას გამოვაცხადებდით, ვინაც თავისი შესაძლებლობის ფარგლებში უანგაროდ ყველაფერი გაულია ქვეყნისა და ხალხისათვის. საქართველოსაც ჰყოლია და ჰყავს არაერთი ამგვარი მამულიშვილი, რომელთა უპირველესი მიზანი და საზრუნავი სამშობლოს სამსახური იყო და არის.

განსაკუთრებით დიდია დამსახურება იმ მამულიშვილებისა, რომელთაც ბედმა (ზოგს ნებით, ზოგს კიდევ უნებლიედ) მოღვაწეობა საქართველოს საზღვრებს გარეთ არგუნა.

უცხოეთში მოღვაწე ქართველი მამულიშვილების უმთავრესი ამოცანა იყო, ერთის მხრივ უმნიშვნელოვანესი კულტურული მემკვიდრეობის თარგმნა და ამ გზით მისი გათავისება-გაშინაგანება, გადმოქართულება, ხოლო, მეორეს მხრივ, ქართული კულტურის გატანა უცხოეთში. მათი მოღვაწეობის ეს ორივე სფერო საჭირო და აუცილებელი იყო ქართული კულტურისათვის.

ერთი იმათთაგანი, ვისაც დიდი დამსახურება მიუძღვის ქართული კულტურის წინაშე და ვისი სახელიც დღეისათვის არც თუ ისე ბევრის მთქმელია ქართველი კაცისათვის, თურქეთის პროგრესული საზოგადო მოღვაწე, თურქეთის ქართველების ცნობილი თავკაცი — ა ხ მ ე დ ო ს კ ა ნ - მ ე ლ ა შ ვ ი ლ ი იყო. შეიძლება ახმედ მელაშვილი თავისი მოღვაწეობითა და საქმით ჩამოუვარდება ბევრ სხვა ქართველ მამულიშვილს და მის საქმესაც არც ისე დიდი რეზონანსი ჰქონია, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოს რომელშიც მოღვაწეობდა იგი და, ამასთანავე, გავითვალისწინებთ იმ სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორებს, რომლებიც მუდამ თან სდევდნენ მას ცხოვრების მანძილზე, მაშინ მისი სახელიც არა ნაკლები ელვარებით გაიბრწყინებს და ღირსეულ, კუთვნილ ადგილს დაიკავებს გამორჩეული ქართველი მამულიშვილების გვერდით.

ახმედ მელაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა 1980 წლის [illegible] ივლისს. იგი ამ საუკუნის შვილი იყო, ღირსეული მემკვიდრე გამორჩეული ქართველი მამულიშვილების. მანამდე კი...

შუა საუკუნეებში, ქართველი სწავლულები თავისი სამშობლოდან შორს — უცხო მხარეში იღწვიან და ამით ფასდაუდებელი წვლილი შეაქვთ ქართული კულტურის აღმავლობის საქმეში. ანტიოქიის შავ მთაზე და ათონის ივერთა მონასტერში იერუსალიმის ჯვრის, სინისა და პეტრიწონის მონასტრებში და კიდევ სხვაგან ქართველი მოღვაწეები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, უმნიშვნელოვანეს კულტურულ ძეგლებს აქართულებდნენ და ქართული კულტურის პოპულარიზაციასაც ეწეოდნენ. ამგვარმა ერთგულებამ და დაუღალავმა მოღვაწეობამ შესაბამისი სასიკეთო ნაყოფი გამოიღო, რომლის უტყუარი დასტურიც — X-XII საუკუნეების დიდი ქართული კულტურაა!

ფასდაუდებელია ქართული კულტურის და საერთოდ საქართველოს წინაშე იოანე ლაზისა და პეტრე იბერის, ექვთიმე, იოანე და გიორგი მთაწმინდელების, ეფრემ მცირესა და გიორგი მცირეს, იოანე პეტრიწის და კიდევ მრავალ სხვათა წვლილი. მათი წყალობითა და ზრუნვით ქართულ ენაზე ამეტყველდნენ ანტიკური კულტურის უმნიშვნელოვანესი ძეგლები: — ბიბლია, ეპისტოლეები და ფსალმუნები; არისტოტელეს, პროკლესა და ფსევდო-დიონისე არეოპაგელის თხზულებები, იოანე დამასკელისა და ნემესიოს ემესელის, ჰერმიასისა და კიდევ სხვათა უბრწყინვალესი მემკვიდრეობანი, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამებოდნენ (და

ეროვნული ბიბლიოთეკა

უახლოვდებოდნენ ამ დროის კულტურულ მოთხოვნებს.

ქართველ მოღვაწეთა ამ საქმიანობას სამშობლოს მხრიდან დიდი მხარდამჭერი ჰქონდა. უფრო სწორად თუ ვიტყვით, ქართველ სწავლულთა მოღვაწეობას „ზურგს უმაგრებდა" წინა აზიაში იმ დროისათვის ანგარიშსაწევი ძალა, პოლიტიკურად და ეკონომიკურადაც გავლენიანი საქართველოს სახელმწიფო. საქართველო — წინა აზიის მოწინავე ქვეყანა, თავის ნებას კარნახობდა სხვებს და რა გასაკვირია, რომ, როგორც საკუთარი კულტურის „ექსპორტისათვის", ისე მოწინავე უცხოურის გათავისებისათვის ხელი არ შეშლოდა.

XIII საუკუნიდან კავკასიაში ძალთა გადანაწილება იწყება, მკვეთრად იცვლება პოლიტიკური სიტუაცია, ძირეულად შეიცვალა საქართველოს მდგომარეობაც და სულ მალე ქართველებს ძირითადად ყოფნა-არყოფნისათვის უხდებათ ბრძოლა. რამდენიმე საუკუნეს გაგრძელდა ეს მძიმე ხანა და ბუნებრივიც იყო, რომ საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობის გაუარესებას უცხოეთში ქართული კულტურის კერების ძლიერებას საფუძველი გამოეცლოდა. და ეს ასეც მოხდა.

ქართული კულტურის ეს აღიარებული კერები, დროთა განმავლობაში თითქმის კარგავენ თავის ძირითად ფუნქციას და თითო-ოროლა მორწმუნე ბერების ანაბრად რჩებიან. ხოლო კი არც ეს ბერები იქნებიან. ძნელბედობის ჟამი დადგომიათ ქართველებს — უდიდესი და მძიმე გამოცდის ხანა. ამ დროისათვის, ერთ დროს უცხოეთში თავისი სწავლულების შესაშური საქმიანობით განებივრებულ ქართველებს ისღა დარჩენიათ „იამაყონ" იმ შვილებით, რომლებიც სხვა ქვეყნებში, სხვათა სამსახურში ჩამდგარან და დიდი წარმატებისათვისაც მიუღწევიათ. ნიკიფორე ირბახისა და ანთიმოზ ივერიელის სახელების მოხმობაც იკმარებდა ამის დასტურად.

XIX საუკუნის მეორე ნახევრიდან ქართული კულტურის ახალი აღმავლობა იწყება. რუსეთიდან დაბრუნებული, ევროპულ განათლებაზიარებული ქართველი ახალგაზრდები ილია ჭავჭავაძის მეთაურობით ერის სამსახურში დგებიან. ამ დროისათვის ისტორიული საქართველოს — მესხეთის ერთი ნაწილი უკვე დაბრუნებულია და სხვა ნაწილების გამოხსნის იმედიც არის, რაც ქართულ ინტელიგენციას აღაფრთოვანებს. ილია ჭავჭავაძეს ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, ქართველი ხალხის შეკვრა-გაერთიანების უპირველეს საფუძვლად მიაჩნია, დიდი ილიასათვის ამ ერთიანობისათვის განსხვავებული რწმენა ხელის შემშლელი არაა. ქართველი ხალხის ერთიანობის რწმენა კარგად ჩანს ილია ჭავჭავაძის შემდეგ სიტყვებში: „არ გვაშინებს მეთქი ჩვენ ის გარემოება, რომ ჩვენ ძმებს, ოსმალოს საქართველოში მცხოვრებთა, დღეს მაჰმადიანის სარწმუნოება უჭირავთ, ოღონდ მოვიდეს კვლავ ის ნეტარი დღე, რომ ჩვენ ერთმანეთს კიდევ შევუერთდეთ, ერთმანეთი ვიძმოთ, და ქართველი, ჩვენდა სასიქადულოდ, კვლავ დაუმტკიცებს ქვეყანას, რომ იგი არ ერჩის ადამიანის სინდისს, და დიდი ხნის განშორებულ ძმას ძმურადვე შეითვისებს, თვის პატიოსანს და ლმობიერს გულზედ ძმას ძმურადვე მიყრდენს თვალში სიხარულის ცრემლ-მორეული ქართველი, და თუ ამისათვის საჭიროა, რომ სიხარულის ცრემლის უწინარეს ჯერ ჩვენი სისხლი დაიღვაროს, ნუთუ ქართველი უკუდრკება და თავს არ შესწირავს მას, რისთვისაც ორი ათასი წელიწადი თავი უწირავთ ჩვენთა დიდებულთა მამა-პაპათა"! ამის თქმის საფუძველი სულმნათ ილიას იმავე წერილში („ოსმალოს საქართველო") უკვე შემზადებული ჰქონდა. ეს ხომ ძველადაც ის მხარე იყო, სადაც „ჩვენი ყოფილი ცხოვრება იქ აყვავებულა, ჩვენს სიცოცხლეს აქ უჩქეფნია, ჩვენის ხელის ძლიერებას აქ აღუმართავს თავისი სახელგანთქმული დროშა. თითქმის იგია ჩვენის ხელის აღმატებულობის აკვანი და იგივეა სამარეც ჩვენი ყოფილის ადამიანობისა, სწავლისა, განათლებისა, მამულისთვის თავგამეტებული სიყვარული თითქმის იქიდამ ეფინებოდა ჩვენს ქვეყანას ერთ დროს". ეს სიტყვებიც ილია ჭავჭავაძეს ეკუთვნის და ამ სიტყვების მთქმელს სრული უფლება ჰქონდა ერთიანი საქართველოს მოლოდინში ყოფილიყო. ამასთანავე დიდი ილიას სიტყვები იმ მხრივაცაა საყურადღებო, რომ იგი დიდის ტაქტითა და სიფაქიზით ეხება მაჰმადიან ქართველებს და ხაზს უსვამს იმ დროისათვის ქართველი ხალხის ერთიანობის აუცილებლობას.

დიდი საქმეები ერთმანეთთან კავშირშია. ეს კავშირი ზოგჯერ შეიძლება არც შეიმჩნეოდეს. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ქართული კულტურის აღმავლობა მხოლოდ ზემოაღნიშნულით როდი ამოიწურებოდა. ქართული კულტურის ამ აღმავლობას ეხმაურებოდა ცნობილი ქართველი საზოგადო მოღვაწის — პეტრე ხარისჭირაშვილის საქმიანობაც, რომელმაც 1859 წელს „დააფუძნა მონასტერი კონსტანტინეპოლს ღვთისმშობლის უმანკოდ ჩასახების სახელზედ და განამრავლა მღვდელ მონაზონნი და მოლაზონნი"*. 1870 წელს მანვე კონსტანტინეპოლში ქართული სტამბა აამუშავა. საბოლოოდ აქ ქართული სასულიერო სემინარია ჩამოყალიბდა, სადაც სწავლობდნენ, როგორც კათოლიკე, ისე

* კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა საქმიანობისა და მიხეილ თამარაშვილის მოღვაწეობის მონაცემები აღებული გვაქვს შოთა ლომსაძის ნაშრომიდან — „მიხეილ თამარაშვილი", თბ; 1964

ეროვნული ბიბლიოთეკა

მართლმადიდებელი და მაჰმადიანი ქართველები.

კონსტანტინეპოლის ქართველთა „ძმობის" მეცადინეობით გახსნილი საფუძნის „70-იანი წლების ახლის" საფრანგეთის ქალაქ მონთობანში დაფუძნდა ქართველ კათოლიკეთა ახალი „ძმობა". თუ დავუკვირდებით, არ უნდა იყოს ძნელი იმის ამოცნობა, რომ აქ აღნიშნული იმ ტრადიციების გაგრძელებაა, რომელიც თან სდევდა შუა საუკუნეების ქართულ კულტურას — უცხოეთში ქართული კულტურის კერების ამოქმედება და მხოლოდ მოწინავე კულტურასთან ზიარება. მართებულად შენიშნავს პროფესორი შოთა ლომსაძე: ქართული კულტურის ცენტრები კონსტანტინეპოლში, მონთობანში თუ ვენეციაში წარმოადგენდნენ სინას, ათონის, ჯვრისა და სხვა ძველი კულტურული ცენტრების დაგვიანებულსა და ფერშეცვლილ გამოძახილს; რომლის მოღვაწეობის მთელი შინაარსი საქართველოს ეროვნული და ეკონომიკური კონსოლიდაციის ბაზაზე ევროპულ კულტურასთან დაახლოება იყო."

კონსტანტინეპოლის სასულიერო სემინარიის დიდ მნიშვნელობაზე მიუთითებს თუნდაც ის ფაქტი, რომ იგი სხვადასხვა დროს მოინახულეს ქართული კულტურის გამოჩენილმა მოღვაწეებმა — დიმიტრი ბაქრაძემ, ალექსანდრე ხახანაშვილმა, ალექსანდრე ცაგარელმა, თედო სახოკიამ, აკაკი წერეთელმა, პეტრე უმიკაშვილმა, იაკობ ნიკოლაძემ...

ამ სკოლაში თავის დროზე უსწავლიათ ქართული კულტურის ისეთ აღიარებულ დესპანებს, როგორებიც იყვნენ მიხეილ თამარაშვილი და მიხეილ თარხნიშვილი.

მიხეილ თამარაშვილი სწორედ ის სწავლული ქართველი იყო, ვინაც მოიძია მრავალგვარი უცხო წყაროები საქართველოს შესახებ, რომლებიც ევროპის სხვადასხვა ქვეყნების არქივებსა და წიგნთსაცავებში იყო გაბნეული და ყოველივე ამის საფუძველზე ევროპას დიდი ხნის იძულებითი „ძილის" შემდეგ ამცნო ქართული კულტურის შესახებ. მიხეილ თამარაშვილის ბიოგრაფიის თვალის უბრალო გადავლებაც საკმარისია იმისათვის, რათა გაოცება ვერ დამალო: ვინ და რისი იმედით შეეჭიდა ევროპაში ყოველგვარ სახსარს მოკლებული სწავლული ამ ვეებერთელა საქმეს, რამაც საბოლოო ჯამში მიხეილ თამარაშვილს დიდი პოპულარობა, ხოლო ქართულ კულტურას საყოველთაო აღიარება მოუტანა. სწორედ მიხეილ თამარაშვილის დაუღალავმა შრომამ და შემართებამ არაერთ საკითხს მოჰფინა შუქი და ევროპას ახალი კუთხით დაანახა ქართული კულტურა.

დღეისათვის აღნიშნული ტრადიციების გამგრძელებლად უეჭველად უნდა ჩაითვალონ ნინო და კალისტრატე სალიები, რომელთაც თანამემამულეები მათდამი დიდი პატივისცემისა და სიყვარულის ნიშნად „სალიების" სახელით მოიხსენიებს და ამით ყველაფერია ნათქვამი!

სალიების მოღვაწეობა საფრანგეთში ქართული კულტურის საკეთილდღეოდ, დიდმნიშვნელოვან მოვლენად უნდა ჩაითვალოს ჩვენი ერის ცხოვრებაში. როდესაც ამას ვამბობთ, სხვა საკითხებთან ერთად, რა თქმა უნდა, უპირველესად მხედველობაში გვაქვს მათ მიერ 1947 წელს დაარსებული სამეცნიერო-ისტორიულ-ლიტერატურული ჟურნალი „ბედი ქართლისა". დღეისათვის ამ ჟურნალის მოცულობა დიდად გაიზარდა და მას ეწოდება — „ბედი ქართლისა. რევიუ დე კარტველოლოჟი" („ბედი ქართლისა. ქართველოლოგიური მიმოხილვა").

სწორედ ასეთივე საპატიო, მაგრამ ურთულესი და ძნელი მისია ითავა ახმედ ოზკან-მელაშვილმაც. მისი მოღვაწეობის გაცნობის შემდეგ ძნელია გმირობად არ მონათლო ეს თავდადება და შეუპოვრობა, რომელიც უპირველესად მიმართული იყო ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცებისათვის და ქართული კულტურის საკეთილდღეოდ. ალბათ, უფრო მართალნი ვიქნებოდით, თუ ვიტყოდით, რომ ახმედ ოზკან-მელაშვილის საქმიანობა უმთავრესად მიმართული იყო ორი ქვეყნის — ორი ხალხის თურქებისა და ქართველების კეთილმეზობლური ურთიერთობის განმტკიცებისათვის. ამისათვის ახმედ მელაშვილმა ორი ხალხის კულტურას მიმართა. ამაში კი არაფერია გასაკვირი: რადგანაც თურქი და ქართველი ხალხი ისტორიულად მოსაზღვრე ქვეყნებში ცხოვრობდნენ და ერთმანეთის კულტურის და ისტორიის გარეშე: მათ კულტურასა და ისტორიაზე სრულყოფილი სურათის წარმოდგენის შექმნა შეუძლებელია. ამის შესახებ თავის დროზე უთქვამს კიდეც თვალსაჩინო თურქ ისტორიკოსს ფუად ქოფრულუს: „ოსმალეთის ისტორიის ძირფესვიანად შესასწავლად, საჭიროა კარგად შევისწავლოთ საქართველოს ისტორია".

ეჭვი არაა, რომ საჭიროა სხვა ქვეყნების კულტურასთან ქართული კულტურის ამგვარი მიმართების კვლევა. ახმედ მელაშვილი კი თურქული და ქართული კულტურის ურთიერთობისა თუ დაახლოების დამწყები იყო. ამ გზაზე მას არაერთი სიძნელე ელობებოდა, რომელთა გარკვევა და გაანალიზება არ შეადგენს ჩვენი წერილის მიზანს. ერთი კი უნდა ითქვას: ახმედ მელაშვილის ტრაგიკულ დაღუპვასთან დაკავშირებით გამოქვეყნებულ ლექსში პოეტმა ფრიდონ ხალვაშმა იგი ცოტნე დადიანს შეადარა — „გათავდა, მორჩა, ერთი ცოტნეც მიწას მიაბარდა; უსამშობლოდ ვინც სამშობლოს ნამუსს ზიდავდა". ამგვარი შედარების ნამდვილი საფუძველი არსებობდა და ეს ჩანს, როგორც მისი მოღვაწეობიდან, ისე ბატონ ახმედის ჩანაწერთა მოგონებებიდანაც.

ამ ბოლო ხანებში საქართველოში დაბრუნებული მწერალი და მთარგმნელი იბრაიმ გორაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

წერს: „მოხდა ისე, რომ ჩემი მშობლები მუჰა-ჯირად გადაიხვეწნენ უცხოეთში... მიმძიმს მოგო-ნება იმ წვრილმანებისა, რაც უცხოეთში გადამხ-ხდა... ახლა ჩემს საყვარელ საქართველოში ვარ“. „მე ძალიან კმაყოფილი ვარ ხელნიერი ქართველის ახმედ მელაშვილის გაცნობით. იგი არის შესანიშნავი ქართველი, საქართველოს ერთგუ-ლი პატრიოტი და მოღვაწე. მან თურქულ ენაზე გამოსცა საკმაოდ სქელტანიანი წიგნი — საქა-რთველოს ისტორია. ახმედ მელაშვილის ოჯახში ხშირად დავდიოდი, დავმეგობრდით... როცა ჩემს თარგმნით მუშაობაზე ქვემოთ ვიტყვი, ახ-მედს მადლიერებით მოვიგონებ, როგორც ქარ-ქაცს, ჩემზე ხელის გამმართველს“.

იბრაიმ გორაძეს ქართულიდან თურქულ ენაზე თარგმნა, ჯერ კიდევ თურქეთში ცხოვრე-ბის პერიოდში დაუწყია. ამასთანავე ამ გადაწყ-ვეტილების მიღება მისგან, როგორც თვითონ იბრაიმ გორაძე წერს, — ერთმა ამაღელვებელმა ფაქტმა განაპირობა. თავს ნებას მივცემ, რომ ეს ადგილი იბრაიმ გორაძის მოგონებიდან ვრცლად დავიმოწმოთ: სტამბოლში „ხშირად ერთად ვიკრიბებოდით ქართველები და საუბარი ხშირ საქართველოზე გვქონდა. ვბჭობდით ქრის-ტიან და მუსლიმან ქართველებზე, რომ ჩვენ ძმე-ბი ვართ, ქართველები ვართ და ერთადაც უნდა ვიყოთ მარადისად. ხშვათაშორის, ზოგიერთი მოხუცი გურჯი კარგად ერკვევა თავის წარმომა-ვლობაში. მახსოვს ერთხელ ყავახანაში ვიყავით შეკრებილნი და ვსაუბრობდით. მოხუცმა ხელე-იმან ქალაძაძემ თქვა — მე უპირველესად ქართვე-ლი ვარ და ვიქნები, ჩემი სამშობლო საქართვე-ლოა და არა სხვა. გაუმარჯოს ჩემს სამშობლო-ს. მე წამოვდექი და გადავეხვიე ამ მოხუცს, ცრემლი ვერ შევიკავე და ავქვითინდი... და სწორედ მე იქ დამებადა ერთი აზრი — დამე-წერა ან მეთარგმნა ისეთი წიგნები, რომლებიც აჭარულ გურჯებს თვალს აუხელდა, სამშობლოს მოაგონებდა და გაათვითცნობიერებდა... და მე ხელთ ჩამივარდა ასეთი წიგნი. ეს იყო მწე-რალ ოსმან ფაღავას რომანი „ჩაუმქრალი კე-რა“, რომელშიც აღწერილია აჭარელთა გამუ-სლიმანების მძიმე წლები. მე იგი ვთარგმნე, რო-მელიც დაისტამბა თურქეთში. ჩემმა მოყვასმა ახმედ მელაშვილმა მომწერა, რომ დიდი მოწო-ნება დაიმსახურაო ფაღავას რომანმა, იგი ხელი-დან ხელში გადადისო“. იბრაიმ გორაძეს უთარ-გმნია თურქულად აგრეთვე სიმონ ქვარიანის „შინდი მოყვარე“, ჭოლარაძის „მამლუქი“, აკაკი წერეთლის „ბაში-აჩუკი“ და სხვა, რომელშიც დიდი დახმარება ისევ და ისევ ახმედ მელაშ-ვილმა გაუწია.

ვფიქრობთ არ უნდა იყოს ძნელი იმის გაგება, რომ ყველა ამგვარი საქმიანობა, რომლის შესა-ხებაც ახლა გვქონდა საუბარი, დიდ დახმარებას გაუწევს ორი მეზობელი ქვეყნის ხალხების სა-სიკეთო ურთიერთობის გაღრმავებას და განმტ-კიცებას. ახმედ მელაშვილიც ამ თვალსაზრისზე იდგა და ყველა ამგვარი წამოწყების მომხრე და ორგანიზატორი იყო. ბატონი ახმედის ამგვა-რი სასიკეთო საქმიანობა ნათლად გამოსჭვივის მის მწირ ბიოგრაფიულ ცნობებშიც კი. ამდენად ახმედ მელაშვილის ბიოგრაფიაც, უნდა გავიხ-სენოთ, მასზე სრულყოფილი წარმოდგენის შესა-ქმნელად.

ახმედ თავფიყის ძე მელაშვილი დაბადებულა 1922 წლის 10 ივნისს, ბალიქესირის ვილაეთის გონენის რაიონის სოფელ ქოჩბაირში.* ამ სო-ფელში საერთოდ ქართველები ცხოვრობდნენ და, როგორც მელაშვილების ოჯახი, ისე მთლი-ანად სოფელი ქართულად ლაპარაკობს, მღერიან ქართულ სიმღერებსაც. სოფლის ბევრმა ახალ-გაზრდამ ქართული წერა-კითხვაც იცის (გან-საკუთრებით ახმედ მელაშვილმა შეასწავლა).

ბატონი ახმედის წინაპრები, დიდი მუჰაჯირო-ბის დროს — 1877 — 1878 წლებში გადმოხვე-წილან ამ სოფელში. მათი ძველი სამყოფელი ყოფილა ართვინის ვილაეთის ბორჩხის რაიონი, სოფელი არხვი.

ახმედ მელაშვილს, დედა — ხანიე, ადრე და-უკარგავს, ხოლო 1967 წელს მამა — თავფიყი გარდაცვლილა. თავფიყ მელაშვილი განთქმული მშენებელი ყოფილა, მას მეტსახელად თავფიყ „უსტასაც“ (ოსტატი) ეძახდნენ თურმე. მას მრავალი მშენებელი გამოუზრდია. ამასთანავე, მას, როგორც წესი, შეგირდებად მხოლოდ ქართ-ველი ახალგაზრდები აჰყავდა. კარგი მომღერა-ლი და მოცეკვავეც ყოფილა. ახალგაზრდობიდან ბუნდი მყოლია ჩამოყალიბებული და ქართული ეროვნული ტანსაცმელიც გააჩნდათ. ქართველე-ბის ქორწილში ბატონი ახმედის მამა მიჰყავდათ თურმე. ახმედ მელაშვილსაც მამისაგან ჰქონია სიმღერები შესწავლილი. ცნობილია, რომ ბატო-ნი ახმედიც კარგი მომღერალი იყო.

1930 წელს ახმედ მელაშვილი მიაბარეს დაწ-ყებით სკოლაში, ხოლო 1937 წელს სწავლას აგრძელებს ბანდირმას რვაწლიან სკოლაში. შემ-დეგ იგი ქ. იზმირის ვაჟთა სკოლაში გადადის. ხოლოს კი დაამთავრა მამაკ ქემალის სახელო-ბის ლიცეის („ლიცეე“) სკოლა. აღნიშნულ სკო-ლაში მისი კარგი მეგობრები ყოფილან: ქემალ ერიოლმაზი (ცეცხლაძე), ნიაზ ქენგიზი (ხოთოშვი-ლი), ეთემ ერდოღრულ (ლეჟავაშვილი), ექრემ ჩეთინი (პაიძე). პირველად, ვიდრე ისინი ქარ-თულ წერა-კითხვას შეისწავლიდნენ, ერთმანეთს ხელოვნური ანბანით წერდნენ წერილებს ქარ-თულ ენაზე. ახმედ მელაშვილს კარგად ცოდნია თურქული, ლათინური და არაბული წერა-კითხვა. სწორედ ახმედ მელაშვილს შეუსწავლია ქართუ-

* ახმედ მელაშვილის ბიოგრაფია შედგენილია მისი შვილის — ეფერის მიერ, რომელიც ქარ-თულად იბრაიმ გორაძემ თარგმნა და გადმოგ-ვცა, რისთვისაც დიდ მადლობას მოვახსენებთ.

ლი წერა-კითხვა სტამბოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში და შემდგომში თავის მეგობრებსაც გააცნო იგი, რის შემდეგაც ერთმანეთში მიმოწერისათვის იყენებდნენ.

1944 წელს ახმედ მელაშვილი სტამბოლის ტექნიკური უნივერსიტეტის სტუდენტი ხდება. აქვე გაიცნო და დაუმეგობრდა სამედიცინო ფაკულტეტის სტუდენტს ნური ერგუნ ჭინჭარაძეს. ახმედ მელაშვილი თავის მეგობარ ქემალ ერილმაზ ციცინაძესთან ერთად ხშირად დადიოდა ჭინჭარაძეების ოჯახში. უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ იგი დაქორწინდა ნური ჭინჭარაძის ძმის შვილზე იუქსელზე და მეუღლის სოფელ ზეირიეში დასახლდა (ბურსის ვილაეთი, ინეგოლის რაიონი). შეეძინათ ორი შვილი ვაჟი — ივერია და ქალიშვილი — თამარი.

სოფელი ზეირიე, სადაც დასახლდა და ცხოვრობდა ახმედ მელაშვილი, მთლიანად ქართველებისაგან შედგება. მისი ინიციატივითა და მოსახლეობის მიერ გაღებული თანხით დაუწყიათ კულტურის სახლის მშენებლობა. სამწუხაროდ ბატონ ახმედს არ დასცალდა ამ კეთილი განზრახვის აღსრულება. ახმედ მელაშვილის დაღუპვის შემდეგ ამ საქმის გასრულება უთავიათ — ფაიქ ერთან ქოქოლაძეს, იუსუფ თემურ-კირკიტაძეს და ერგუნ ათაბეი-ქოქოლაძეს.

საერთოდ კი, უნდა აღინიშნოს, რომ ახმედ მელაშვილს თავისი ჩანაფიქრის განხორციელებაში დიდად უწყობდნენ ხელს სხვა ქართველები. ასე მაგალითად, ბატონი ახმედის მიერ შედგენილი წიგნის — „გურჯისტანის“ (საქართველოს ისტორიის მოკლე კურსი) გამოცემაში მას ფულადი დახმარება გაუწიეს ქემალ თაგალიძემ და ხასან ხინკილაძემ. ამ წიგნის გამოცემისათვის ახმედ მელაშვილი პასუხისგებაში მისცეს, მაგრამ სასამართლომ იგი საბოლოო ჯამში გაამართლა და წიგნის გაყიდვის ნებართვაც დართეს.

წიგნი „გურჯისტანი“, განსაკუთრებულია ახმედ მელაშვილის საქმიანობაში. ამ წიგნით თურქეთის ქართველები გაეცნენ საქართველოს ისტორიის უმნიშვნელოვანეს საკითხებს. შემდეგში ახმედ მელაშვილმა ხელმეორედ გამოსცა ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯა“.

ახმედ მელაშვილის მოღვაწეობაში განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მის მიერ ჟურნალ „ჩვენებურის“ დაარსება, რომელიც სტამბოლში გამოვიდა თურქულ ენაზე. ეს ჟურნალი თურქეთის ქართველებისათვის იყო გათვალისწინებული და ბატონი ახმედის სიცოცხლეშივე ამ ჟურნალის პოპულარობა ძალიან გაიზარდა. სხვათაშორის, ჟურნალში ქართულ ენაზეც იბეჭდებოდა ლექსები. ლექსების ავტორები კი თურქეთის ქართველები იყვნენ. ჟურნალის რედაქტორი და გამომცემელი იყო შალვა თეგზაძე. ამ გამოცემის საერთო ხელმძღვანელი, და მეცენატი კი ახმედ მელაშვილი იყო. ჟურნალის რამდენიმე ცალი ბატონ ახმედს თან ჰქონდა საქართველოში მეორედ ყოფნისას — 1978 — 1979 წლებში.

ახმედ მელაშვილი, — როგორც ამას მისი შვილი ივერია მელაშვილი აღნიშნავს, — საქართველოსა და მშობელი ქართველი ხალხის დიდი მოყვარული და პატრიოტი კაცი იყო. იგი დიდ დახმარებას უწევდა თურქეთის ქართველებს. მისი ხელშეწყობით ბევრი ქართველი გაიგზავნა გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ბატონი ახმედი ბოლოს ქ. ბურსაში დამკვიდრდა და ცხოვრობდა სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე. სწორედ ბურსაში დაიღუპა იგი: უფრო სწორედ მსხვერპლი შეიქმნა ფაშისტური ტერორისა. მის დაღუპვასთან დაკავშირებით თურქეთში არსებული ჩერქეზული გაზეთი — „ნიბჭელუ“ წერდა: „ახმედს პირადი მტერი არა ჰყოლია. ის სპეტაკი და ერთგული ადამიანი იყო. ჭიანჭველასაც ფეხს არ დააბიჯებდა“. ბუნებრივად უწყინარი ადამიანი, შეუპოვარი და პრინციპული ხდებოდა, როცა საქმე საქართველოსა და ქართველობას ეხებოდა.

იგივე გაზეთი „ნიბჭელუ“ ახმედ მელაშვილს მოიხსენიებს, როგორც კავკასიელების კულტურის დიდ დამცველს: „ის დიდი პატრიოტი, კავკასიელების კულტურის და მისი ყოველგვარი ინტერესების დამცველი იყო. ასეთი ადამიანისათვის ტირილი არ გვრცხვენია, მისი მიმბაძველები ვიქნებით“. ჟურნალი ასეთი მიმართვით ამთავრებს თავის სამგლოვიარო წერილს: „შენ, დიდო პატრიოტო, კავკასიელები და მთელი საქართველო სანამ იარსებებს, შენს პატრიოტობას და დიდ ადამიანობას მზის სხივებივით ნათლად შეინახავს... შენ, ახმედ ოსკან მელაშვილო, მშვიდად იძინე!...“ წერილს ბოლოს აწერს ჩერქეზების ჟურნალ „ნიბჭელუს“ პასუხისმგებელი.

ერთი რამ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: ახმედ მელაშვილის პიროვნება ქართველი კაცის საუკეთესო თვისებებს აერთიანებდა; მასში გარკვეული აზრით საქართველოს ისტორიაც ჩანს. სხვა ხალხებისადმი ზრუნვა და შემწყნარებლობა, ნამდვილი ინტერნაციონალიზმი — ეს საუკეთესო თვისებები, რომლებიც ოდითგანვე ახასიათებდა ქართველ კაცს, მოცემული იყო ახმედ მელაშვილის პიროვნებაში. ამას ნათლად ადასტურებს ჩერქეზების ჟურნალ „ნიბჭელუს“ დამოწმებული ადგილებიც.

ახმედ მელაშვილის პიროვნებაზე სრულყოფილი თუ არა, მიახლოებითი სურათის წარმოდგენისათვის ჩვენ თხოვნით მივმართეთ მის სამ ნაცნობს (საქართველოში მას სხვა ნაცნობებიც ჰყავდა): რუსთაველის პრემიის ლაურეატს, პოეტ ფრიდონ ხალვაშს; ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატს აზიზ აბულოღლიანს და ისტორიკოსს, პროფესორ შოთა ლომსაძეს. მათ მიერ წერილობით მოწოდებულ საინტერესო მასალას თითქმის უცვლელად ვიმოწმებთ:

ფრიდონ ხალვაში: „ახმედ ოსკან-მელაშვილი. ახმედ მელაშვილს პირველად 1968 წელს

ეროვნული ბიბლიოთეკა

შემხვდი. ქ. ბურსაში, თავის სახლში წამიყვანა. ალალი, გულიანი კაცი იყო. საქართველოს დიდი პატრიოტი.

ოჯახში მეუღლე გავიცანი. ქართველი ქალია. შვილები თამარი და ივერია ქართული ეროვნული რწმენით გაიზარდნენ.

ახმედი იმხანად ამთავრებდა წიგნს „გურჯისტანი“, რომელიც მალე გამოსცა კიდეც. ეს იყო თურქულად შედგენილი კრებული საქართველოზე, იქ მცხოვრები ქართველებისათვის გამიზნული.

იმ დღეს ახმედთან ოჯახში მოვიდნენ აგრეთვე ქართველი მწერლები: ნ. დუმბაძე ბ. ჟღენტი, ა. გომიაშვილი, ქ. კალაძე, ბ. გოგიჩაიშვილი და სხვები, რომლებიც ტურისტული ვიზიტით იქ იმყოფებოდნენ.

ახმედთან ყოფნა უბრალო სტუმრობა როდი იყო. ეს იყო ქართველთა მღელვარე, მონატრებული შეხვედრა.

შემდეგ ახმედი ბათუმში ჩამოვიდა. იგი ჩემს ოჯახში მოვიდა. მოიარა საქართველო, ინახულა ცნობილი ქართველი მოღვაწეები. ბათუმში ნამყოფნი არიან აგრეთვე მისი შვილები, რომლებსაც ჩვენი ჩონგური და ჭიბონი ვაჩუქეთ, შევუკერეთ ქართული ტანსაცმელი.

ახმედმა თავის დროზე, ბურსაში, ჩამოაყალიბა ქართული ცეკვის ანსამბლი იქაური ქართველებისაგან. ეს ანსამბლი დადიოდა იქაურ ქართულ სოფლებში და კონცერტებს მართავდა.

ახმედი თურქულ ენაზე თარგმნიდა ქართველ კლასიკოსთა მოთხრობებს და ბეჭდავდა.

ყოველივე ამით ახმედი ორ ქვეყანას შორის კულტურული ურთიერთობის გაუმჯობესებას უწყობდა ხელს.

ახმედ მელაშვილს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებასთან. იგი რეგულარულად იწერდა ქართულ გაზეთებს, იღებდა წიგნებს.

თავად მე ხშირად მიგზავნიდა თურქი პოეტების კრებულებს და მოითხოვდა გვეთარგმნა ქართულად.

ახმედ მელაშვილის მოღვაწეობა, ვიმეორებ, მიმართული იყო იქ მცხოვრებ თანამემამულეთა შორის ეროვნული რწმენის გაღვიძება-აღდგენისაკენ, აგრეთვე თურქეთსა და საქართველოს შორის კულტურული ურთიერთობის განმტკიცებისა და ორი ხალხის შემდგომი დაახლოებისაკენ.

იგი დაიღუპა თავისი საზოგადოებრივი და შემოქმედებითი მოღვაწეობის გაფურჩქვნის პერიოდში“.

ᲐᲖᲘᲖ ᲐᲮᲕᲚᲔᲓᲘᲐᲜᲘ კი ასე იხსენებს ახმედ მელაშვილთან შეხვედრას: „1978 წლის დეკემბრის თვეში დამირეკეს გამომცემლობაში და გამაფრთხილეს: ახმედ მელაშვილი ჩამოდის მეუღლითურთ, საჭიროა მეგზურობა გაუწიო ამ ორი დღის განმავლობაშიო. იგი თბილისიდან ჩამოფრინდა. ვიყავით ჩაისუბნის (ხელვაჩაურის რაიონი) კოლმეურნეობაში, ვეწვიეთ კოლმეურნეების ოჯახში. საოჯახო ყოფით განსაკუთრებით დაინტერესებას იჩენდა ახმედის მეუღლე. მეორე დღეს მწერალთა კავშირში შეხვედრაზე მსგავს უამრავ შეკითხვებს სწორედ მას აძლევდნენ. მათთან შესახვედრად მოსულნი. მახსოვს მისი დაბეჯითებითი პასუხი, რომ ტრადიციული საოჯახო ყოფა თითქმის იგივეა მუჰაჯირთა წასულთა შორის და, რომ ქორწინება მათ შორისვე ხდება. თითქმის არ არის შემთხვევა, სოფლად, სხვა ერის კაცზე მითხოვებისა და, მით უმეტეს, ცოლად მოყვანისა. ჩაისუბნიდან, საღამოს, უკანმობრუნებულებს თეატრის დანახვისას მოუნდა სპექტაკლზე დასწრება. შევუსრულეთ თხოვნა. მოეწონა კიდეც სპექტაკლი.

ახმედი, ეს კაფანდარა კაცი (ოდნავ კოჭლობდა კიდეც), მუდამ საბრძოლოდ შემართულის შთაბეჭდილებას სტოვებდა. თავის საქმეში დაჯერებული კაცის ტონით ლაპარაკობდა. მოითხოვდა, რაც შეიძლება მეტი წიგნი გაგვეგზავნა ჩვენებურებისათვის. განსაკუთრებით „დედაენა“... მოსურნე იყო უფრო ხშირი მისვლა-მოსვლისა; სამომავლოდ შვილების თამარისა და ივერის გამოგზავნას გვპირდებოდა და თანაც გვთხოვდა მათთვის ქართული ცეკვა და სიმღერები გვესწავლებინა.

აჭარაში თავის დროზე გავრცელებული დამოძღვრა-შეგონების, ეგრეთწოდებული „გურჯივაიზის“ დადასტურება ვთხოვე მუჰაჯირთა და კომპაქტურად მოსახლე ქართველებს შორის. გამომიგზავნა კიდევაც წარწერით, რომელიც თითქმის არაფრით არ განსხვავდება აქ თავის დროზე ჩაწერილ ვარიანტთაგან.

წასვლისას გუდასტვირი (ჭიბონი) და ჩაქურა გვთხოვა, გავატანეთ კიდევაც, რითაც დიდად კმაყოფილი და მადლიერი იყო.

მომავლის რწმენით აღსავსე, დაკვირვებული თვალისათვის შეუმჩნეველი ოდნავ სევდანარევი ღიმილით, ადრე ნახვის სურვილით დავემშვიდობეთ ერთმანეთს მეორე დღეს...“.

ახლა, სამხრეთ საქართველოს ისტორიის ცნობილ მკვლევარს, პროფესორ ᲨᲝᲗᲐ ᲚᲝᲛᲡᲐᲫᲔᲡ მოვუსმინოთ: „თურქეთის სახელმწიფოში მცხოვრებ ქართველთაგან, უკანასკნელი 100 წლის განმავლობაში, თავისი პატრიოტული მისწრაფებებით და საქმიანობითაც გამოირჩევა ორი განათლებული მაჰმადიანი ქართველი. პირველია სულეიმან მემარნე (მემარნიშვილი), რომელმაც განათლება ევროპაში მიიღო და სორბონის უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ, სტამბულში ჩასული წარუდგა ქართველ კათოლიკე მოძღვრებს. როგორც ცნობილია, სტამბულში ქართველმა კათოლიკეებმა XIX საუკუნის 70-იანი წლების ბოლოს გახსნეს ქართული სასულიერო სასწავლებელი. სულეიმან მემარნემ სასულიე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რო სასწავლებლის ხელმძღვანელობას თავისი თავი გასამრჯელოს გარეშე შესთავაზა მასწავლებლად. ასწავლიდა ისტორიას, განსაკუთრებით საქართველოს ისტორიას. შემდეგ, XX საუკუნის დასაწყისში, მანვე მოიწადინა გაეგო თურქეთში მცხოვრებ ქართველთა რაოდენობა და ამ მიზნით დაიწყო ქართველებით დასახლებული მხარეების შემოვლა და აღწერა. სამწუხაროდ, მას ამ საქმის ბოლომდე მიყვანა აღარ დასცალდა.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ასეთივე მიზნებით გამოვიდა ასპარეზზე აგრეთვე ევროპაში (ფრანგულ ენაზე) სწავლა მიღებული მაჰმადიანი ქართველი — აჰმედ ოსკანი (მელაშვილი), ქართული გვარი მან თვითონვე აღიდგინა და ბოლოს მას ოფიციალურადაც კი ატარებდა. იგი ითვლებოდა ქ. ბურსის არქიტექტორად, სადაც გახსნილი ჰქონდა საკუთარი სახელოსნო.

აჰმედ მელაშვილის შესახებ პირველად ცნობები მოგვაწოდა პარიზში მცხოვრებმა, წარმოშობით ქართველმა იმპრესარიომ — ბატონმა ილია ჯაბადარმა, როცა ის თბილისში ჩამოვიდა საქართველოს სახელმწიფო აკადემიური ანსამბლის (ხელმძღვანელები — ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი) მისაწვევად. ამის შემდეგ აჰმედ მელაშვილს წერილობით დაუკავშირდნენ თბილისიდანაც. მე პირადად მის ამბებს ხშირად ვგებულობდი იმ დროს გოქსის თანამშრომლის (შემდეგში სახელმწიფო მუზეუმის თანამშრომლის) — ამირან ცამციშვილისაგან. აჰმედ მელაშვილის დამსახურება ის არის, რომ მან იქ მცხოვრებ მაჰმადიან ქართველებს გაუღვიძა ეროვნული გრძნობები, ავრცელებდა ქართულ წიგნს (დედა-ენას), მაჰმადიან ქართველებს ასწავლიდა ქართულ წერა-კითხვას, ეწეოდა და ცდილობდა მათ შემოკრება-გაერთიანებას. ბურსის ხოფელ აირიეში (ცხოვრობენ მხოლოდ ქართველი მაჰმადიანები) შექმნა ქართული სიმღერებისა და ცეკვების ანსამბლი და წარმატებით გამოდიოდა თურქეთის სხვადასხვა ქალაქებში, ბოლოს დაეწაფა საქართველოს ისტორიის შესწავლას. კითხულობდა თურქულად, ფრანგულად, ქართულად. 1968 წელს სტამბულში გამოსცა „Gürcüstan“ (საქართველო), რისთვისაც იგი შემდეგ სამართალში მისცეს.

1965 და 1978 წლებში, თავისი წინასიტყვაობით დაბეჭდა ალექსანდრე ყაზბეგის რომანი „ელგუჯა“ სათაურით „Gürcü yigidi Elguca ile Cerkes G)reli Mrago“ (ქართულად, ალბათ ასე იქნება — „ქართველი ჭაბუკი ელგუჯა და ჩერქეზი მშვენიერი ასული მზალო — მ. მ.), რომლის პირველი თარგმანიც დაიბეჭდა 1988 წელს, ქართველი კათოლიკე პატრის, მამა — პიო აკოფაშვილისა და თურქი მწერლის ნიაზი აჰმედ ბანოღლუს თარგმანით (აქვე შეიძლება შევნიშნოთ, რომ ბატონ ნიაზ ბანოღლუს ჯერ კიდევ 1982 წელს, როგორც თანაავტორს უთარგმნია „ელგუჯა“, იგივე ავტორის „ელისო“ და ეგნატე ნინოშვილის „ქრისტინე“. შემდეგში კი შეუსწავლია გიორგი სააკაძის შესახებ არსებული ლიტერატურა და ისტორიული წყაროები, რის საფუძველზედაც დაუწერია რომანი — „სიყვარულისათვის“ — მ. მ.).

1978 წელს აჰმედ მელაშვილი მოულოდნელად ვნახე საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის ფეოდალური ხანის განყოფილების გამოფენაზე, II სართულზე, რომელსაც ექსკურსია ჩაუტარა ჩემმა მეუღლემ ლ. ბურჯანაძემ. სამწუხაროდ, მას სალაპარაკოდ მეტად მცირე დრო ჰქონდა და რიგიანად ვერ ვისაუბრეთ.

თურქეთში დაბრუნებისთანავე აჰმედმა ჩემს მეუღლეს და მე საჩუქრად გამოგვიგზავნა თურქულად თარგმნილი „ელგუჯა“. მოძღვნას, აქაც, როგორც ჰქონდა ჩვევა ამთავრებდა სიტყვებით: „გამარჯვება, გამრავლება საქართველოს. წარმატებით, პატივისცემით“.

აჰმედის ყველაზე დიდ დამსახურებად მიმაჩნია ის, რომ მან თავის გარშემო შემოიკრიბა თურქეთში მცხოვრები არა ერთი ნიჭიერი ახალგაზრდა ქართველი, რომლებთანაც ერთად თანამშრომლობით მოახერხა პერიოდული ჟურნალის — „ჩვენებურის“ გამოცემა, სადაც თითოოროლა ქართულმა წერილმაც გაიელვა, ეს იყო დიდი საქმის დასაწყისი, მაგრამ მის კეთილშობილურ სურვილებს განხორციელება აღარ დასცალდა, იგი, იმ დროს თურქეთში მოქმედი ფაშისტური ორგანიზაციის მსხვერპლი შეიქმნა.

იმედი მაქვს სულეიმან მემარიშვილისა და აჰმედ მელაშვილის გაკვალულ გზას ახლა სხვები გააგრძელებენ".

როგორც ბიოგრაფიული მონაცემებიდან, ისე მოგონებებიდან ნათლად ჩანს აჰმედ მელაშვილის მოღვაწეობის უპირველესი საზრუნავი და მიზანი: ორი ხალხის — **თურქებისა და ქართველების კულტურული ურთიერთობების განმტკიცება**, თუკი საქმის ვითარებას ამ კუთხით შევხედავთ, მაშინ აჰმედ მელაშვილის, როგორც თურქეთის პროგრესული საზოგადო მოღვაწის მნიშვნელობა უთუოდ გასცდება ორი ქვეყნის ფარგლებს, როცა ამას ვამბობთ, რა თქმა უნდა, მხედველობაში გვაქვს ის დაძაბული პოლიტიკური ვითარება, რომელიც ასე დამახასიათებელია თანამედროვე მსოფლიოსათვის ვინც ასეთ რთულ სიტუაციაში, მთელი თავისი შეგნებული ცხოვრების უპირველეს მიზნად — ორი მოსაზღვრე ქვეყნის ხალხებს შორის კულტურული ურთიერთობების გაფართოებასა და კეთილმეზობლური დამოკიდებულების დამყარებას დაისახავს, ამით იგი დიდ საქმეს აკეთებს და არა **მხოლოდ ორი ქვეყნის ურთიერთობაში**.

აქ მხედველობაში ისიცაა მისაღები, და ეს არცაა დასამალი, რომ თურქი და ქართველი ხალხის ურთიერთობის ისტორიასთან არასასურველი და მწარე მოგონებებია დაკავშირებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამის მიუხედავად ვინც დღევანდელობის პოზიციიდან შეეცდება დაივიწყოს წარსულის ეს მტკივნეული მემკვიდრეობა, რათა ამით ორ ხალხს შორის კეთილგონივრული ურთიერთობის დამყარებას შეუწყოს ხელი, დიდად დასაფასებელია. ამგვარი პრინციპების განმხორციელებელი ადამიანი ქვეყნებისა და ადამიანების ურთიერთობებს უმაღლეს ადამიანური პრინციპებიდან უყურებს და ამ ტიპის მოღვაწისათვის ადამიანია უმთავრესი ღირებულება და არა ვიწრო ნაციონალურ-შოვინისტური ინტერესები. ასეთად წარმოგვიდგება ჩვენ ახმედ ისკან-მელაშვილი.

განა ამას არ ადასტურებს ახმედ მელაშვილის დაჟინებით თხოვნა პოეტ ფრიდონ ხალვაშისადმი, ქართულად თარგმნილიყო მის მიერ გამოგზავნილი თურქი კლასიკოსების ნაწარმოებები?! ან კიდევ „ბურჯისტანის" შედგენა და ალექსანდრე ყაზბეგის „ელგუჯას" ხელმეორედ გამოცემა თურქულ ენაზე!

ახმედ მელაშვილის, როგორც ჭეშმარიტი მამულიშვილის სახე კარგად ჩანს მისი ბიოგრაფიიდან. ივერია მელაშვილი წერს, რომ ახმედ მელაშვილი „თურქეთში რესპუბლიკურ პარტიას აძლევდა ხმას", ამის მიუხედავად შეიძლება ითქვას, რომ იგი პოლიტიკისაგან შორს მდგომი კაცი ყოფილა „პარტიებს შორის კრიტიკა და პროპაგანდა მას არ უყვარდა, სხვადასხვა პარტიის წევრ ქართველებს ყოველთვის არიგებდა, რომ არ აყოლოდნენ პარტიებს შორის პროპაგანდას, რაც ცუდ შედეგს მოუტანდა მათ" — ვკითხულობთ იგივე ბიოგრაფიაში. ალბათ ესეც უნდა ჰქონოდა მხედველობაში ჩერქეზების ჟურნალ „ნიბჯელს", როცა მის ტრაგიკულად დაღუპვასთან დაკავშირებით წერდა: „ახმედს პირადი მტერი არ ჰყავდა. ის ძალიან სპეტაკი კაცი და ერთგული ადამიანი იყო" ის დაიღუპა იმის გამო, რომ „კავკასიელების კულტურასა და ინტერესებს იცავდა". განა კავკასიელების კულტურისა და ინტერესების დაცვა არ მიუთითებს ახმედ მელაშვილის დიდ კაცთმოყვარეობაზე, ჭეშმარიტ ინტერნაციონალიზმსა და ზრუნვას საყოველთაო კულტურაზე?! თუ ყველაფერს ამას გავითვალისწინებთ, მაშინ ახმედ მელაშვილი წარმოგვიდგება იმ რანგის მოღვაწედ, ვინაც უმაღლეს ადამიანური ღირებულებების პოზიციებიდან უყურებდა სხვადასხვა ხალხების კულტურას, ადამიანურ ურთიერთობებს.

ბატონი ახმედი გამორჩეული იყო არა მხოლოდ თავისი მამულიშვილური გრძნობით, არამედ თავისი ხვედრითაც. ნახევრად ქართულ გარემოში დაბადებულმა და გაზრდილმა კაცმა, იმთავითვე დედა-სამშობლოს — საქართველოს კეთილდღეობის სამსახური იტვირთა. იმის მიუხედავად, რომ ამ მიზნის მისაღწევად მან ერთობ კეთილშობილური გზა არჩია — ორი ხალხის კულტურული ურთიერთობის განმტკიცება, წინააღმდეგობებიცა და სიძნელეებიც საკმარისზე მეტი შეხვდა. მაგრამ ბატონი ახმედი იმ გამონაკლისთა რიცხვს ეკუთვნოდა, ვისთვისაც დაბრკოლება შეიძლება გარკვეული ბიძგიც იყო დასახული მიზნის მისაღწევად. სწორედ ამგვარმა შეუდრეკელმა ხასიათმა და მტკიცე ნებისყოფამ, მას ბევრი ისეთი რამ შეაძლებინა, რომლის გაკეთების არავითარი საფუძველი არ არსებობდა თავდაპირველად. რაც მთავარია — მისი გაკეთებული საქმე არასოდეს არ ყოფილა პირადული ინტერესებით ნაკარნახევი.

მამულიშვილის ღვაწლი კარგად წარმოაჩინა თავის ლექსში ფრიდონ ხალვაშმა: „ვაჟს ივერია რომ დაარქვა და ქალს თამარი; ეს კიდევ როდი არის მთავარი. შეეძლო ასჯერ ნეტარებით ყოფნა, ვიცოდით. მაგრამ ცოცხალი ბეწვს ეკიდა მთელი სიცოცხლით. მარტო იმიტომ, რომ უცხოდ ცნო მან უცხოობა, მარტო იმიტომ, რომ იწვოდა, როცა იღწვოდა, რათა ძმებს დედო-მემლექეთი არ დავიწყნოდათ". ამ სიტყვების წაკითხვის შემდეგ — შეუძლებელია არ გაგახსენდეს — ახმედ მელაშვილი, როგორც შესანიშნავი არქიტექტორი, ვისაც მართლაცდა შეეძლო „ნეტარებით ყოფნა"! მაგრამ, ყველაფერს ამას სამშობლოსადმი ერთგულება არჩია.

ბრძენთ უთქვამთ: მიკროკოსმოსში ჩანს მაკროკოსმოსის საიდუმლოებაო. თუკი ამ აზრს ცოტა სხვა მხრივაც განვავრცობთ, მაშინ ახმედ მელაშვილის ცხოვრებაში გარკვეული აზრით შეიძლება ამოვიკითხოთ საქართველოს ისტორია. ძალიან ჰგავს ბატონი ახმედის ცხოვრება საქართველოს ისტორიას, როგორც თავისი ტრაგიზმითა და ძნელბედობით, სიძნელეთა და თავდადებით, ისე მიზანდასახულობითა და მომავლის რწმენით, შეუპოვრობით...

ახმედ მელაშვილის სახელს დავიწყება არ უწერია. ქართველი კაცი, რომელიც დიდი ხნის დუმილის შემდეგ შეეხმიანა მამაპაპიანი ქართველების სახელით, ამ კაცის ბიოგრაფიაში ჩანს ძალა, რა ძალამაც საქართველო მძიმე განსაცდელში გამოატარა და დღემდე მოიყვანა. ეს ის ძალაა, როცა ძნელბედობის, ორჭოფობის და მუხანათობის ჟამს აბაშიძეებს, ბეჟანიძეებს, ბერიძეებს, კაიკაციშვილებს, ხიმშიაშვილებს და სხვა მუსლიმან ქართველებს საქართველოსაკენ მოაბრუნებს და ერთადერთ სწორ გადაწყვეტილებას მიაღებინებს! როგორ ჰგავს ყველაფერი ეს ერთმანეთს, მხოლოდ იმ განსხვავებით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რომ ბატონი ახმედი ერთობ ძნელ ვითარებაში აღმოჩნდა და მაინც რამდენის გაკეთება შეძლო! ეს გაკეთებული საქმე კი მას დიდ ჭეშმარიტ მამულიშვილად წარმოაჩენს.

ყველაფერს იმას, რაც წერილში აღინიშნა თუ გავითვალისწინებთ, მაშინ შეიძლება გავიმეოროთ ადრე ნათქვამი: ახმედ მელაშვილის ღვაწლი და საქმიანობა შეიძლება მოვიხსენიოთ მიხეილ თამარაშვილის, მიხეილ თარხნიშვილის, სალიების მოღვაწეობის გვერდით და რაც ამ უკანასკნელთა მისამართით თქმულა, უეჭველად გავავრცელოთ მასზეც. ყველა ამით კი, დაწყებული შუა საუკუნეების ქართველი სწავლულებით და ახმედ მელაშვილითა და სალიებით დამთავრებული ერთი საერთო მიზანი ამოძრავებდათ: **საქართველოსა და ქართული კულტურის წინსვლა-აყვავება!**

ამჟამად თავს უფლებას მივცემთ ვთქვათ: **ახმედ მელაშვილის ცხოვრება, საქმიანობა და თვით სიკვდილის ფაქტიც კი ჭეშმარიტი მამულიშვილის სხივითაა განათებული!**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იური ზიცარი, თინა არაბული

# ბასკთა სიმღერები

წინამდებარე სტატიის მიზანია ქართველ მკითხველს გარკვეული წარმოდგენა შეუქმნას ბასკური კულტურის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სფეროს — ბასკური ხალხური სიმღერების ტრადიციაზე და ბასკი ხალხის დამოკიდებულებაზე ამ სიმღერების მიმართ.

საქართველოში საკმაოდ პოპულარულია ჰიპოთეზა ბასკი და კავკასიელი ხალხების შესაძლო ნათესაობის შესახებ. ამიტომ, ვფიქრობთ, ქართველი მკითხველისათვის ინტერესმოკლებული არ იქნება ბასკური ხალხური სიმღერების, ანუ იმ სფეროს გაცნობა, რომელიც შესანიშნავად გადმოსცემს ბასკის შინაგან ბუნებას.

ბასკურ-ქართული ურთიერთობა ღრმად შესასწავლი და მეცნიერულად გადასაწყვეტი საკითხია. მიუხედავად ამისა, შეუძლებელია არ აღინიშნოს საოცარი, უცნაური და, შეიძლება ითქვას, მისტიური მსგავსება ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, რომელიც პირველი შეხედვისთანავე თვალში გვეცემათ.

ბასკეთი, მართლაც, ბევრი რამით ჰგავს საქართველოს...

საქართველოში ძირითადად შვიდ კუთხეს გამოყოფენ; ბასკეთშიც შვიდი პროვინციაა: გიპუსკოა, ბისკაია, ალავა, ნავარა (ესპანეთში), ლაბური, სული და ქვემო-ნავარა (საფრანგეთში)...

ქართველების მსგავსად, ბასკებიც ცოტანი არიან, ოღონდ გაცილებით უფრო ცოტანი, ვიდრე ჩვენ (1959 წლისთვის ესპანეთში 700 ათასი ბასკი ცხოვრობდა, ხოლო საფრანგეთში-170 ათასი)...

ბასკებში მუხის კულტია გავრცელებული — ისევე, როგორც საქართველოში...

ხალხური სიმღერებით ქართველს ვერ გააკვირვებ. მაგრამ ვფიქრობთ, რომ საინტერესო იქნება სხვა ერის ხალხური სიმღერის ტრადიციის გაცნობაც. განსაკუთრებით ისეთი ერისა, რომელსაც გვამსგავსებენ.

აქვე უნდა აღინიშნოს ის ფაქტიც, რომ გასულ წელს ჩვენს დედაქალაქში სტუმრად იმყოფებოდა ბასკური ხალხური სიმღერის ანსამბლი და თბილისელ მაყურებელს შესაძლებლობა ჰქონდა მოესმინა მათთვის.

„ბასკი, — წერდა ცნობილი ბასკი მუსიკათმცოდნე დონოსტია, — ყველგან და ყოველთვის მღერის: სახლში, ეკლესიაში, ქუჩაში, მინდორში; მღერის მხიარულია თუ სევდიანი; მღერის ნამგლით ხელში.“ ამ სიტყვებიდან ცხადია, რომ სიმღერა ბასკისათვის, უბრალოდ, ცხოვრების ნორმაა.

სიმღერა, მართლაც, ბასკი ერის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილია. ცნობილი ბასკი ლიტერატურათმცოდნე იან ბარიჩელარი აღნიშნავს, რომ „მთელი ბასკური ხალხური პოეზია სინამდვილეში სიმღერებია“, ე. ი. ისინი სიმღერებად იბადებოდნენ და ასე შემორჩნენ კულტურის საგანძურს. ბასკი ხალხური მთქმელიც (ბასკურად მას „ბერცოლარი“ ჰქვია) ახალ ლექსს ლექსად კი არ წერს, მღერის.

აღსანიშნავია, რომ ლექსის შექმნას ყოველთვის წინ უსწრებს რაიმე მელოდია, რომელიც მის საყრდენს წარმოადგენს. ხშირად ხალხური მთქმელი ახალ სიმღერას ქმნის ძველ, ნაცნობ მელოდიაზე (სპეციალური ტერმინიც კი აქვთ ასეთი ლექსისთვის — ბერცო ბერრიაკ — სიტყვა-სიტყვით „ახალი ლექსები“).

სპეციალისტები განცვიფრებულნი არიან ბასკთა სიმღერების მრავალფეროვნებით. იმდენად მდიდარია ბასკური სიმღერების სფერო, რომ ყველა მათგანის მთლიანობაში ასახვა ვერ მოახერხეს ისეთი ცნობილი მუსიკათმცოდნეების კრებულებშიც კი, როგორიცაა მანტეროლა, დონოსტია, აზკუე და სხვა. თუმცა ამ უკანასკნელმა (აზკუე კი უპირველესად ცნობილია როგორც თანამედროვე მეცნიერული ბასკოლოგიის ფუძემდებელი და პირველი ბასკური ოპერის შემქმნელი) ასეთი კრებული თოთხმეტტომად გამოსცა. დიდი ადგილი ეთმობა სიმღერებსა და ლექსებს ბასკურ პერიოდულ პრესაშიც.

აღსანიშნავია ბასკური გუნდური და საორ-

კესტრო ხელოვნების საოცრად მაღალი დონე. აქვე უნდა გავიხსენოთ ერთი ფაქტიც: რომ აღარაფერი ვთქვათ ბასკური წარმოშობის სხვა ცნობილ ოპერის მომღერლებზე, მორის რაველიც ბასკი იყო.

ბასკური ხალხური სიმღერები ჟანრულად მრავალფეროვანია. მათგან ყველაზე ძველია საწესჩვეულებო და საკულტო სიმღერები, კერძოდ — დღესასწაულებზე საგალობლები (რომლებიც საოცრად კოლორიტულია); სუფრული; სპეციალურად საცეკვაოდ განკუთვნილი (ასეთად იყო ჩაფიქრებული და შექმნილი ცნობილი სიმღერა „გერნიკის მუხაც"); ცალკე ჟანრია — სატირული. ეს უკანასკნელი ამა თუ იმ კონკრეტულ ამბავზე იქმნება, თუმცა ზოგიერთ ასეთ სიმღერას საკმაოდ გავრცელებული სიუჟეტი აქვს: როგორიცაა, მაგალითად: ხელმოცარული მონადირე; მოტყუებული ქმარი, მოღალატე ცოლი; ყველასათვის საძულველი იუსტიცია, „რომლებზეც სიმღერის ავტორი რუვანში ილებს" (მარიჩელარი).

სატრფიალო სიმღერები (თუმცა ისინი შედარებით ახალია, ვიდრე საწესჩვეულებო და ეპიური) აშკარად სჭარბობს სხვა ჟანრის სიმღერებს. მათში დომინირებს ქალი, რომელიც უპასუხოდ ტოვებს ვაჟის სიყვარულს, ამიტომაც მას ადარებენ ცაზე მოკიაფე მიუწვდომელ ვარსკვლავს, ანდა, თუ ავტორი მთლად უიმედო არაა — ყვავილს, რომელიც ბოლოს ვინმემ უნდა მოწყვიტოს. ფართოდაა გავრცელებული აგრეთვე მხატვრული სახე მტრედისა, რომელიც, რაც არ უნდა მაღლა ფრენდეს, მაინც ქორის ან მონადირის მსხვერპლი ხდება. ამ უკანასკნელთანაა დაკავშირებული მაცდური მონადირის მხატვრული სახეც.

ბასკეთში პოპულარულია ე. წ. „ბერცოლარული" სიმღერები, რომლებზედაც დასაწყისში გვქონდა ლაპარაკი. ესაა იმპროვიზირებული ლექსის ხელოვნება, რომელშიც ცენტრალური ფიგურაა ბერცოლარი — პოეტი — იმპროვიზატორი ანუ ხალხური მთქმელი. ასეთი სიმღერები, როგორც ცნობილია, საქართველოშიც ისევ ცოცხლობს და გასაოცარი ანალოგები აქვს ბასკურ ბერცოლარულ სიმღერებთან; თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ თანამედროვე ბასკეთში ეს ხელოვნება უფრო სისხლსავსე, შემონახული და ცოცხალია.

ხალხური სიმღერის (ლექსის) ტრადიციული ფორმა შეგუებულია თანამედროვე ცხოვრებას და ახალი გზით მიდის. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ბასკეთში პუბლიკაციათა ნაკადის უდიდეს ნაწილს სწორედ ბერცოლარული სიმღერები შეადგენს.

ბერცოლარი წარმოუდგენელია უდიდესი წინასწარი მომზადების გარეშე; ასეთი მომზადება კი მრავალი წლის განმავლობაში, თანაც განსაკუთრებულ პირობებში ხდება. ესაა ბერცოლარული სიმღერების ტრადიციების გარემოცვაში აღზრდა და ხშირად მარტო დარჩენა საკუთარ თავთან. ამ პირობებს თუ გავითვალისწინებთ, ბუნებრივად მოგვეჩვენება, რომ ბერცოლარი უმეტესად მწყემსი ან გლეხია, რომელიც თავის ნაფიქრალს (თავის „ფილოსოფიას") ლექსად, სიმღერით გადმოგვცემს.

ბერცოლარი ყველა დღესასწაულის მთავარი ფიგურაა. ჩვეულებრივ, დღესასწაულებზე რამდენიმე ბერცოლარი იყრის თავს და მათ შორის იმართება პაექრობა. ერთ-ერთი მათგანი იწყებს იმპროვიზაციას ამა თუ იმ მელოდიაზე დაყრდნობით და პაექრობის სიუჟეტსაც მის მიერ შემოთავაზებული სიმღერა განაპირობებს, ბერცოლარების სპეციალურ კონკურსებზე კი მას სპეციალური ჟიური განსაზღვრავს. სიუჟეტი მრავალნაირი შეიძლება იყოს: რომელი უფრო კარგია: მთები თუ ზღვა, ცოლიანი თუ უცოლო; წყალი თუ ღვინო; რაზე ლაპარაკობენ მეფე ხუან კარლოსი და ჯოჯოხეთში მოხვედრილი ფრანკოს ცოდვილი სული და ა. შ. ყველა ბერცოლარი ცდილობს, მსმენელები თავისკენ გადაიბიროს არა მარტო ლექსის სილამაზითა და სიძლიერით, არამედ მასში ჩადებული იუმორითაც, რომელიც უმეტესად მისი იმპროვიზირებული ლექსის ბოლო ნაწილში გვხვდება. მსმენელებს განსაკუთრებით უყვართ ძლიერი, მარილიანი სიტყვები და გამოთქმები, რომლებიც მახვილ, მოსწრებულ აზრს გამოხატავენ.

ბასკები ისევე არ ივიწყებენ ცნობილ ბერცოლარებს საუკუნეთა მანძილზე, როგორც ესპანეთში — სახელგანთქმულ ტორეროებს. დღეს ბასკეთში ბერცოლარული ხელოვნება „უფრო ცოცხალია, ვიდრე ოდესმე იყო. აქ გამართულ ხალხურ მოლექსეთა კონკურსებზე ათასობით ადამიანი იყრის თავს, რომელთაც იზიდავთ მახვილი ჭკუა, რომელიც ჩადებულია ლექსის უდიდეს კულტურაში. ხევ ერს შეუძლია ასეთნაირად გაერთოს? იყო ბასკი, ნიშნავს აუცილებლად მიიღო მონაწილეობა ასეთ დღესასწაულებზე, დატკბე ამ დღესასწაულით" (მარიჩელარი).

ყველაფერი ეს ძალაუნებურად გვახსენებს, რომ ბასკური ხელოვნების, განსაკუთრებით კი ხალხური შემოქმედების მთავარი ნიშანია მისი ამაღლებული დინამიზმი, დაკავშირებული თვითონ ბასკის ტემპერამენტთან, მგზნებარე ბუნებასთან. სწორედ აქედან მოდის: ერთი მხრივ, განსაკუთრებული მიდრეკილება ლექსის იმპროვიზაციისადმი და არანაკლები მოთხოვნილება ცეკვისადმი, მეორეს მხრივ. აქედან პირველი უფრო სულის ზეიმია, მეორე კი — სხეულისა.

მკითხველისთვის, ალბათ, საინტერესო იქნება ის ფაქტი, რომ ორივე შემთხვევაში მთავარი და დამახასიათებელი იმპროვიზაციაა. იმპროვიზაცია კი თვითგამოხატვის საშუალებაა. იმპროვიზაციის ძალით შევიგრძნობთ ბასკის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნამდვილ ბუნებას. ბასკს არ უყვარს პირდაპირ გამოხატოს სამყაროსადმი მგრძნობიარე, ტრაგიკული დამოკიდებულება. ის ტირილით კი არ გამოხატავს დიდ გრძნობას, არამედ ცეკვითა და სიმღერით. მათი იმპროვიზაციები დაუცხრომელი, მოუსვენარი სულის ზეიმია. ბასკის ბუნებაც ასეთია: ახასიათებს იუმორი, თითქმის სულ ღიღინებს, ადვილად პოულობს საერთოს ადამიანებთან.

აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ბასკებს სიმღერებზე მეტი ცეკვები აქვთ (ტყუილად კი არ ითვლებიან ისინი ევროპის უძველეს და ყველაზე აზარტულ მოცეკვავეებად). ეს ფაქტიც უნდა ავხსნათ მათი ამაღლებული, დინამიური დამოკიდებულებით ხელოვნებისადმი. ცეკვა, როგორც თვითგამოხატვის საშუალება, უფრო დინამიურია, თუნდაც ამ სიტყვის ელემენტარულ ფიზიკური გაგებით და თანაც, სიმღერებისაგან განსხვავებით, — ყველასათვის ხელმისაწვდომი. აქედან გამომდინარე, ცეკვა უფრო თვითმყოფადია და უფრო ღრმა ფესვები აქვს: ცნობილია არა მარტო ოფიციალურ-სადღესასწაულო ალკალდების ცეკვა, სადაც წინა პლანზე ცეკვავენ დღესასწაულზე შეკრებილი ორი დასახლების მერები, არამედ, სამგლოვიარო ცეკვებიც; ესრეთწოდებული „ილეტები", რომლებიც დაკავშირებულია უძველეს ქრისტიანობამდელ წესჩვეულებებთან და რომლებიც ეკლესიამ დიდი ხნის წინათ აკრძალა.

საგულისხმოა, რომ ილეტაში დაკრძალვის ცერემონიალი, ცეკვა, მელოდია და სიმღერის სიტყვები განუყოფელი და ურთიერთდაკავშირებულია, ერთიანია მუსიკალური საფუძველი სიმღერისა და ცეკვისა, რომელმაც რომანული სამყაროს უდიდესი გავლენა განიცადა. ამიტომაც ძნელია, უფრო სწორად, შეუძლებელია გამოვთვალოთ მოცემული კომპლექსის ამა თუ იმ კომპონენტის შემონახვის ხარისხი.

მთლიანობაში შეიძლება ითქვას, რომ ილეტა საკმაოდ თვითმყოფადი და ძალიან ძველია, თუმცა, მისი სიმღერის ტექსტში, რომელიც დამწერლობის გაჩენის შემდეგ პირველად ჩაწერეს მე-16 — მე-17 სს. ხოლო შეიქმნა უშუალოდ წინა საუკუნეების განმავლობაში, არაფერი ან თითქმის არაფერია ისეთი, დიდ სიძველეებთან, კერძოდ, რომაულ პერიოდთან რომ მივყავდეთ (თუნდაც რონსევალის ბრძოლასთან, რომელიც ცნობილია ფრანგული ეპოსის ნაწარმოებით „სიმღერა როლანდზე". ამ ბრძოლაში ბასკები თავს დაესხნენ ფრანკთა მეფის; კარლოს დიდის არიერგარდს).

ბასკებში ბევრი ცნობილი ხალხური მთქმელის (მომღერლის) სახელია შემორჩენილი. ერთ-ერთი მათგანია ხოსე მარია დე იპარაგირე 1820 — 1881). განსაკუთრებით პოპულარულია მისი სიმღერა „გერნიკის მუხა". რომელიც დღეს არა მარტო უსაყვარლესი სიმღერაა ბასკებისათვის, არამედ — მათი ეროვნული ჰიმნიც (როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ბასკებში მუხა წმინდა ხედაა მიჩნეული. სიმბოლურია ისიც, რომ 1980 წელს, როცა ესპანეთის პარლამენტმა ბასკეთს ავტონომია მიანიჭა, ბასკთა 400 მუნიციპალიტეტის წარმომადგენელი სწორედ ქალაქ გერნიკაში, ტრადიციულ მუხასთან შეიკრიბა, დროებითი მთავრობა აირჩია და ბასკური ოფიციალურ ენად გამოაცხადა).

თავის მხრივ, იპარაგირეს ასეთი პოპულარობა იმითაც არის განპირობებული, რომ მან შეძლო გამოეხატა თავისი ხალხის სული, ეს უკანასკნელი კი მთელი თავისი სიდიადით გადაიშალა მის წინ ბასკი ხალხისთვის ერთ-ერთ ყველაზე გადამწყვეტ, გარდამტეხ ისტორიულ პერიოდში — როცა ბასკეთი თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის შესანარჩუნებლად იბრძოდა.

იპარაგირემ თავისი შეგნებული ცხოვრება ბასკი ხალხის თავისუფლებისათვის ბრძოლით დაიწყო. ამისთვის იგი ესპანეთიდან განდევნეს (იპარაგირეს სამშობლო ესპანეთის ბასკეთია, გიპუსკოას პროვინცია). უცხოეთში იგი მოხეტიალე მომღერალი გახდა და ამით ირჩენდა თავს. ამას მოყვა თითქმის სამუდამო ემიგრაცია სამხრეთ ამერიკაში, სადაც არ მიატოვა თავისი საქმიანობა და დამახასიათებელი უდარდელობა. ის დრო და დრო თავის ცოლთან (ცოლიც ბასკი ყავდა) და რვა შვილთან ერთად დადიოდა ქვეყნიდან ქვეყანაში და მხოლოდ სიკვდილის წინ ეღირსა სამშობლოს ნახვა. ემიგრაციაში ყოფნის მთელ მანძილზე მის სულს უსახსრობა და სიღარიბე იმდენად არ სტანჯავდა, რამდენადაც ნოსტალგია, რასაც სიმღერად ამოთქვამდა.

ბოლო დროს, თავისი გაერთიანების აუცილებლობის გაცნობიერების პარალელურად ბასკმა ხალხმა ერთიანობის, დამოუკიდებლობის იდეა ახალი ძალით გახსნა, ხელახლა „აღმოაჩინა" ერთ-ერთ ძველ, თითქმის მივიწყებულ სიმღერაში — ხოსე მარია დე იპარაგირეს „გერნიკის მუხაში".

„გერნიკის მუხაზე" საოცარ ამბებს ყვებიან ბასკები. ერთ-ერთ ასეთ ამბავს მკითხველსაც მოვუთხრობთ:

მადრიდში ერთი კაფე იყო, სადაც ხშირად იყრიდნენ თავს ბასკები. კაფეს ერთი შაშვი შემოეჩვია. ამ ფრინველს ისე ხშირად უხდებოდა „გერნიკის მუხის" მოსმენა, რომ ბოლოს თვითონაც დაიწყო მისი დასაწყისი სტრიქონების გალობა. ამ შემთხვევამ ეს კაფე მადრიდის ერთ-ერთ საოცრებად აქცია, ხოლო მისი მეპატრონე — მილიონერად.

მოდიოდა ხალხი საოცრების სანახავად. გამოიტანდა კაფეს მეპატრონე გალიას; ჩიტი ფრთებს შეისწორებდა და, აპლოდისმენტებით გამხნევებული, იწყებდა სიმღერას:

გერნიკაკო არბოლა

ეროვნული ბიბლიოთეკა

და ბედეინკატუა
(კურთხეულია გერნიკის მუხა).
გარშემომყოფნი აიტაცებდნენ სიმღერას:
ეუსკალდუენ არტიან
გუსტის მაიჰტატუა
(ყველა ბასკისთვის საყვარელი).
შემდეგ ისევ ჩიტი აგრძელებდა:
ემან ტა საბალ სასუ მუნდუან ფრუტუა
(მთელ ქვეყანას მოფინე შენი ნაყოფი).

და ამ სიტყვების პირველადმხილველთა აღტაცებულ შეძახილებსა და სიცილს ფარავდა სხვათა შეძახილი:
ადორაცენ საიჰტუგუ, არბოლა სანტუა
(ჩვენ გადმერთებთ, წმიდა ხეო).

რის შემდეგაც მთელი იქ მყოფი საზოგადოება ამ ჰიმნს ბოლომდე მღეროდა, ზოგჯერ იმეორებდნენ კიდევაც მთელ სიმღერას.

იპარაგირეს, როგორც პიროვნების უკეთ აღქმისთვის კი მისი ცხოვრების ერთ ეპიზოდს გავიხსენებთ:

ლონდონის ერთ-ერთ კაფეში, სადაც ძირითადათ არისტოკრატია იყრიდა თავს, იპარაგირე იჯდა თავისი ბასკი მეგობრებით. კაფეს ერთი ღარიბი ირლანდიელი ესტუმრა. მან გიტარაზე შეასრულა რამოდენიმე სიმღერა და შემდეგ დამსწრე საზოგადოებას ქუდით ხელში ჩამოუარა. როცა იპარაგირეს მიუახლოვდა, ამ უკანასკნელმა ნახა, რომ ქუდი თითქმის ცარიელი იყო. მაშინ მან გამოართვა ირლანდიელს გიტარა, დაიჭირა ხელში, გასწორდა (იგი ახოვანი, ლამაზი მამაკაცი იყო) და გიტარის სიმებს ხელი ჩამოჰკრა...

ირლანდიელის ქუდში, რომელიც იპარაგირეს ეჭირა, ფულები ცვიოდა, აღტაცებული ქალები იხსნიდნენ ძვირფას ყელსაბამებს, საყურეებს, ბეჭდებს და ქუდში ისროდნენ. გალიმებულმა იპარაგირემ სავსე ქუდი ირლანდიელს თავზე ჩამოაფხატა და სწრაფი ნაბიჯით გავიდა კაფედან.

ხოსე მარია დე იპარაგირეს სიმღერები ფუძეულებია იმ უზარმაზარი და გერნიკის მუხასავით ძლიერი ხისა, რომელსაც ბასკური ხალხური სიმღერა ჰქვია.

ბასკი ხალხის ხალხური მთქმელების უძველესი და უმდიდრესი ტრადიცია აშკარად მეტყველებს ამ ერის ძველისძველ კულტურაზე, რომელიც საუკუნეების მიღმა იღებს სათავეს და, როგორიც არ უნდა იყოს ბასკურ-კავკასიური პრობლემის მეცნიერული კვლევის საბოლოო შედეგი, ერთი რამ ცხადია: ბასკებიც და ქართველებიც უძველესი ხალხია, თავისი თვითმყოფადი კულტურითა და ენით.

ილია რურუა

# კარლო კობერიძის პროზა

ყველაფერი, რასაც კარლო კობერიძე წერს, გაჯერებულია ცხოვრების ღრმა ცოდნითა და სიმართლით, მსუყე ფერებითა და ცოცხალი ხმებით. მისეულ ცხოვრების ცოდნას ნაკლებად აქვს საერთო რომანტიული შეფერილობის, არსებითად გულუბრყვილო და ზედაპირულ შთაბეჭდილებებთან, ბავშვობიდან რომ მოგვსდევს და სერიოზული მწერლური ზრახვების ხორცშესასხმელად საკმარისი რომ არ არის. რაც შეეხება სიმართლეს, იგი კარლო კობერიძის მწერლური პოზიციითა და გაგებით საერთოდ ვერ ეგუობს შელამაზებას, ისევე როგორც ცხოვრებისეული ფერების მისეული ცოცხალი შეგრძნება-ჭყეტილობას, სიტყვისა და ფრაზის განცდა-მანერულობას: ამასთან ეს განცდა ყოველთვის ემყარება აბსოლუტურ სმენას, რომელიც პროზაიკოსს მუსიკოსსა და პოეტზე ნაკლებად როდი სჭირდება.

საკმარისია ამ მოუსვენარი, ყოველთვის ანთებული კაცის გვერდით რამდენიმე დღე დაჰყოთ, რომ დარწმუნდეთ თუ რაოდენ არის დაყურსული მისი შთაგონება ერთმანეთზე საინტერესო თემებით, ფერ-ხორცით სავსე სახეებით, ბუნების ცოცხალი განცდით და მშობლიური ენის სტიქიის სიღრმეებში წვდომით. შეუძლებელია არ ჰკითხო კიდეც — საიდან ამდენი თემა და ჩანაფიქრი?!. პასუხიც ყოველთვის ერთნაირია: შენ დრო მითხარი, თორემ სათქმელსა და დასაწერს რა გამომილევს. რომელიმე თემით ძალიან თუ დაინტერესდებით, გულალალად გეტყვის — გინდა შენი ფეშქეში იყოს და იქნებ ეშმაკურადაც ჩაიღიმოს. ამ ღიმილის აზრსაც მალე ხვდები: ვითომდა სახსვათაშორისოდ გამჟღავნებულ ნაამბობშიც იმდენად მკაფიოდ შეიგრძნობთ მომავალი ნაწარმოების მწერლისეულ თავისთავადობას, რომ ისღა გრჩება უთხრა — არა, ძმაო, დაწერილი გაქვს და ეგაა, ერთი ჩაჯდომა გჭირდება.

როგორც ახლო მეგობარს, რამდენჯერმე მქონია კიდეც შემთხვევა ამგვარი მთხოვნელის მდგომარეობაში აღმოვჩენილიყავი. ჯერჯერობით ერთი დაპირება შეასრულა პირნათლად: დაწერა, წარმტაცი პოეტური წიგნი ყვავის ბახალაზე და ყველას, დიდსა თუ პატარას შეგვაყვარა განსაცვიფრებლად ჭკვიანი, მოხერხებული და თან სახაცილო არსება. ჩემი ღრმა რწმენით, უფრო დიდი სიამოვნება გველის თუ ხორცს შეასხამს ჩანაფიქრს უსაზღვრო სიკეთის მატარებელ ქართველ აგასფერზე — მარტოხელა სოფლის მასწავლებელ კაცზე, რომელმაც ომის მძიმე წლებში თავის ჭერქვეშ მამობრივად შეიფარა ობლად დარჩენილი ბავშვები და მათი სიცოცხლის გადასარჩენად სოფელ-სოფელ სიარულსაც არ თაკილობდა მეროჭიკე ბერივით.

არ შეიძლება საგანგებოდ არ აღინიშნოს ისიც, რომ კარლო კობერიძეს უაღრესად გამძაფრებული აქვს ბუნების გრძნობა, რაც ისევ და ისევ საფუძვლიანი ცოდნიდან მოდის. მახსოვს, გურჯაანის უნიკალური ტაძრის სანახებში ხეტიალისას, როგორ ბავშვივით გაიხარა, როცა მოულოდნელად პაწაწა, საოცრად ლამაზ ყვავილს წააწყდა. უმალ ჩაუცუცქდა, მიუალერსა და მომიბრუნდა — თუ მეტყვი, რა ჰქვიაო. აბა საიდან?!. დიდი-დიდი ოცამდე ყვავილის ცნობა შემიძლია... ახლაც ვიცოდიო და მისებურად წაიხუმრა: სირცხვილით ნუ დაიწვები. ამ ყვავილის არსებობის შესახებ, ჩემო ძმაო, შენ კი არა, გააკადემიკოსებულმა ბოტანიკოსებმაც არაფერი უწყიან... ვერც ჩემთვის ხელმისაწვდომ ლექსიკონებში მოვიძიე... მარტო ესა?!. კიდევ რამდენი ახეთი მინდვრის ყვავილი და ბალახი მეგულება კახეთის მიწის მკერდზეო.. ჯერ ჩუმათა ვარ, აი, დაამთავრებს ქეთინო უნივერსიტეტს და ნახავ ჩემი კონსულტაციით რამდენ აღმოჩენას გააკეთებსო.

სავსებით სარწმუნოდ მეჩვენება „ისკიკილოს დაბრუნების" დამწერი კაცისაგან. რამდენი პუბლიცისტური წერილი და ნარკვევი შექმნილა უკანასკნელ წლებში ეკოლოგიურ პრობლემებზე, მაგრამ, ვფიქრობ, კარლო კობერიძემ მაინც ყველასაგან განსხვავებული ფორმა და გასაღები მოუძებნა თემას. დარწმუნებული ვარ, ბევრმა, ალბათ, არც იცის ამგვარი ფრინველის არსებობა. არადა ჩვენგან დიდად დასაფასებელი ვინმე ყოფილა ეს ისკიკილო. ჩიტი-ბარომეტრი, რაღა!.. როგორც კი გარემო ადამიანისათვის ჯერ კიდევ შეუმჩნევლად იწამლება და კვდომას იწყებს, ისკიკილოც იმით გვაფრთხილებს, რომ გაქრება. მაგრამ საკმარისია, გონზე მოვიდეთ, ჩვენი ბუნების დასაცავად ხელი გამოვიღოთ, რომ ისევ გამოჩნდება, ამღერდება. თვალით არ მინახავს ჯერ, მაგრამ უკვე მიყვარს, თან ისეთი ლამაზი მგონია, ქართულ ეკოლოგიურ საზოგადოებას ემბლემადაც რომ გამოადგება.

ახლა კი ისევ მთავარსა და არსებითზე.

კარლო კობერიძეს საერთოდ არ იზიდავს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იდილიური, მით უფრო მოდუნებული ყოფა. არც საკუთარ თავში ჩაკეტილი, თვითდაჯერებული და გაფუყული, გამოგონილი ნოველისტური რეზონიორები უყვარს. თამამი შტრიხებითა და მსუყე ფერებით დახატულმა მისმა გმირებმა კარგად იციან რა სურთ, საითკენ წარმართონ თავიანთი ენერგია და მცდელობა, ნებისყოფა და ვნებები საკუთარ საფიქრალ-საზრუნავს ისინი ხმამაღლა, ქვეყნის გასაგონად, გულახდილად გვიმჟღავნებენ, მიზნისაკენ მიემართებიან თამამი, გაბედული ნაბიჯებით, ხშირად ჯიქურ თუ დასჭირდათ, მაგრამ მუშტსა და მოხერხებულ იდეებსაც იშველიებენ. ერთი სიტყვით, სულაც არ არიან ფრთაგამოსხმული ანგელოზები.

თავისი ბუნებითა და მოწოდებით, ტემპერამენტით ბუნებრივად დაბადებული მწერლის წიგნებიც, უმთავრესად, ხმაურიანი და თავნება, „ავარდნილი" ხასიათის გმირებითაა დასახლებული. მათ აშკარად და გამომწვევად არ მოსწონთ ბევრი რამ ირგვლივ: პირველ რიგში უსამართლობა, არაკაცობა, საკუთარი მიწა-წყლისადმი უსულგულო დამოკიდებულება და გამჩანაგებლობა, ამიტომაც არიან ისინი ესოდენ უკომპრომისონი, პირში სიმართლის მთქმელნი, თან იმის ვაჟკაცობაც ჰყოფნით, არც საკუთარ ცოდვებზე დახუჭონ თვალი. მეტი რაღა გინდათ: მაღალი სამიწათმოქმედო კულტურის შემქმნელი ხალხი იქამდე მისულა, რომ ერთი სარწყავი არხის გამოყვანისათვის ვერ მოუბამს თავი წლების მანძილზე:

„მიზეზ-მიზეზ იყო თუ რა იყო, დღეს ცემენტი აკლდათ, გუშინ — არმატურა, გუშინწინ ხე-მასალა; ხვალ ბულდოზერებს საწვავი გვილალატებს, ზეგ თვითმცლელების საბურავები, მაზეგ მთავარი ინჟინრის ქორწილით. მუშახელი კიდევ: ვინ ფეხაკრეფით მიიპარებოდა, ვინ — ექიმის ყალბი საბუთით მიიძურწებოდა, ვინ — თავქუდმოგლეჯილი გარბოდა. ერთი სიტყვით, ხან ეს ჯანდაბა გამოტყვრებოდა ბოლოზე, ხან ის დოზანა, და სამ წელში მოსათავებელ საქმეს მეექვსე წელსაც რის ვაივაგლახით დაადგა საშველი — ბუზღუნით, ჯაჯღანით, ჩივილით, ვაიდოდით, კარდიამინით, ინტერკორდონით გაიყვანეს სარწყავი არხი".

მაგრამ ჯერ სადა ხართ!

„არხი თავთხელში გადაუდგა იორს, კალაპოტი დაუვიწროვა, ისედაც მიცოტავებული წყალი წაართვა, ქვიშად ამოსვრა აყუდებული ფერდობი: გარდიგარდმო გამოიკლაკნა, გამოიარა ხევხუვები, ლელე-ლუტეები, ველი და ველობი, ტყეშიც გაიზმორა, ნატყევარშიც და ბოლო-ბოლო გაიმინდვრა. ვიდრე სოფლის თავსა და ბოლოში გამოირყეოდა, ლოცვა-ვედრებით მიაცილებდა გვალვით შელონებული ხალხი — შენს მადლს ვენაცვალეო, შენს დამბადებელსაო, ჩვენს დამფასებელსაო, ჩვენო მალამოო და ჩვენო ნუგეშოო. მაგრამ მალე მიადგა სოფლებს, გალაღდა, გაჯიქდა, გადაირია, ზოგიც დაივიწყა და ცოდვა-მადლიც: ვის ვენახი გაუგლიჯა შუაზე, ვის — წლობით გადაქვავებული ბაღჩა ამოუბრუნა, ვის — ეზოს კუთხე წაართვა, ვის — გოჯი-გოჯ აშენებული სახლი გადააქცევინა გვერდზე. ახლა კიდევ შუბლი დაიმაზრეს: მე შენი წამომწყებისა, შენი დამბადებლისა, ჩვენო ჯაბიროო და ჩვენო ვარამოო..."

მოდით და ამის შემდეგ გაარკვიეთ: ვინ საქმის გამკეთებელია, ვინ კიდევ ჩამშლელია, ვინ მართალია და ვინ მტყუანი, ვინ წამხდარის გამოსწორების მოწადინეა და ვინ სულაც დამქცევი! არადა გარეგან, ერთი შეხედვით, კაცს ნაროჯიანი მიწის პატრონთ, ოდითგანვე გარჯით ცნობილ ადამიანებს ამგვარი საჯაყი საქმე უნდა მოსვლოდათ. ეტყობა, თაღლითები და წყლის ამღვრევნი მომრავლებიათ. ამდენი გაუგებრობა და აყალ-მაყალიც მათი მიზეზითაა, ამიტომაც გადასულან გრძელი არზა-საჩივრების წერაზე, ამიტომაც ატალახებენ ქვეყნის საჭირბოროტო დაწესებულებებს, სასამართლოსა და მილიციას, ამიტომაც აყაყანებენ და მუშტებითაც მიიწევენ ერთმანეთისაკენ სოფლის საღაყბოზე. თანაც საოცარი ის გახლავთ, რომ მიუხედავად ყოველივე ამისა, მკითხველის სიმპათიის უქონლობაზე მაინც ვერ დაიჩივლებენ. ალბათ იმიტომ, რომ მწერალს თავისი გმირები უყვარს. ნამდვილი ჭირისუფლის გულით უყვარს და რაკი უყვარს, ადამიანური სისუსტეებისა და შეცოდებების მიტევების უფლებასაც უტოვებს...

მოხდა პატარა ამბავი, რომელშიც ადამიანის ბოროტი ზრახვა სულაც არ ყოფილა გარეული: საბალახოდ გზისპირას დაბმულ ცხენს მოუხუშტურა, გვერდ-გვერდით მიმავალ, გაკრიალებულ-გაწკრიალებული „ჟიგულის" კარს წიხლი დაუშინა და ზედ ნალის „გერბი" მიატყეპა. ყველაზე გონივრული, რა თქმა უნდა, ის იქნებოდა, ცხენის პატრონი კეთილმეზობლურ ურთიერთობას გაუფრთხილდებოდა, კარი უდავიდარაბოდ შეეცვალა. მაგრამ ნურას უკაცრავად! პირუტყვის საქციელისათვის ბრალის აკიდებას საკუთარი ღირსების შეურაცხყოფად ღებულობს და ახლა თავად გადადის იერიშზე: რაღაზედ ფეხთან დაუსკუპე ეგ მანქანა, საქე გვერდზე მიგეღრიცათ და სხვა ამისთანანი. ერთი სიტყვით, რომ ვეღარ მორიგდნენ, საქმეში ჯერ სამეზობლო ჩარიეს, შემდეგ სოფლის არეოპაგზე დღე-ღამ აყუდებულ უსაქმურებს ჩაუვარდნენ ყბაში, იქიდან რაიონულ ცენტრამდე მიიტანეს საქმე და ბოლოს დედაქალაქისაკენ მიმავალ გზაზედაც დაადგნენ... არიალის გაფართოების კვალობაზე იმართება თავისებური აბსურდის სამსჯავრო და ყველა, ვისაც კი მოესურვება, ზოგი სერიოზულად, ზოგიც სასეიროდ და საქილიკოდ, ისეთ მოსაზრებებს აყენებს, რომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

მათგან მოქსოვილ ბადეში ყველანი ერთად ებმებიან. მწერალი გასაოცარი ბუნებრიობითა და ოსტატობით ძერწავს ერთმანეთზე საინტერესო კოლორიტულ ხასიათებს, ქმნის კონფლიქტურ სიტუაციებს, გამძაფრებულ ვნებათა ღელვას, რომელიც სულ უფრო აღმავალი დინამიზმით ვითარდება და ყველას საერთო ორომტრიალში ითრევს. ყველაფერი ეს არა მარტო აბსურდულია, სიცილის მომგვრელი, არამედ, რაც მთავარია, დამაფიქრებელი და სევდის აღმძვრელი, რადგან ადამიანური ინტერესების დაკნინებასა და გაუფასურებაზე მიგვანიშნებს.

საერთოდ, კარლო კობერიძე არაორდინალური სიტუაციების შექმნის ოსტატია, მაგალითად სხვებთან რაღაც არ მაგონდება ისეთი აზირებული გმირი, რომელიც ასე შეურიგებლად ჩადგომოდეს ლდინში ღვიძლ ძმას; ისიც სოფლის თავკაცს, რითაც ანგარებიანი ბუნების ადამიანი უხვად ისარგებლებდა სოფელში, რომელიც ისედაც საწყალ ფურად გაუხდია ყველას, ერთი პატარა მოთხრობით მწერალმა გვითხრა, თუ რაოდენ დიდი მანკიერება და ზნედაცემულობა, როცა ადამიანი შეგნებულად განზე გაუდგება პასუხისმგებლობას საზოგადოების წინაშე, მზად არის ცხოვრების ყველა უკეთურობა სხვას გადააბრალოს, ხოლო თვითონ ხელი პილატესავით დაიბანოს.

ცხადია, ჩვენ მიზნად არ დაგვისახავს მთელი სიგრძე-სიგანით განვიხილოთ ამ შესანიშნავი, დღემდე ჯეროვანი შეფასების გარეშე დარჩენილი მწერლის შემოქმედება, მაგრამ ზოგიერთ მის უმთავრეს თვისებაზე შეჩერება აუცილებლად მიგვაჩნია. აი, კიდევ ერთი, მწერლის შემოქმედების მორიგი წახნაგის წარმომჩენი მოთხრობა: სახარგო მანქანის შოფერს, ერთი შეხედვით საკმაოდ გაუთლელსა და უხეშს, თანასოფლელი დაემგზავრა; უცხო თესლისა, მაგრამ მისივე გვერდზე დაბადებულ-გაზრდილი, ქართულ ყოფას ნაზიარები, ანუ ვთქვათ, საბოლოოდ გაჩვენებურებული და „გადახარშული"... შოფერი ცალი ყურით უსმენს მეზობლის გაუთავებელ ლაქლაქს, რომელიც აშკარად მისი გულის მოგებაზეა გაანგარიშებული, მაგრამ აი, დაღლილმა, თითქოს ფლეგმატურმა შოფერმა ერთბაშად თოფის წამალივით იფეთქა: თანამგზავრის მონაყოლში, თითქოსდა უმნიშვნელო წვრილმანში, მან შეუმცდარად დაინახა ამ კაცის სულიერი სიმდაბლე და არარაობა, ქართული ხასიათისათვის ყოვლად მიუღებელი და უცხო, და ღამის სიბნელეში წუთით შეაჩერა მანქანა, კაბინიდან გადმოსვა ჯიგინდარა, რომელსაც იმის უნარიც კი არ შერჩენია: თავის შეცოდებას ახლა მაინც ჩასწვდეს.

მწერლის ოსტატობა აქ უპირველესად იმაში მჟღავნდება, რომ მან საოცარი უბრალოებით, ერთი, თითქოსდა უმნიშვნელო დეტალის აქცენტირებით, ერთბაშად ჩაგვახედა ადამიანის სულის სიღრმეებში, სადაც, თურმე, რამდენიმე თაობის განათლების მიუხედავად, უხილავად ფეთქავს უჯიშობის მაცოცხლებელი გენი. მკითხველში ხდება ელვისებური მეტამორფოზა: მის არსებაში ორივე გმირი შესაფერ ადგილს იკავებს, რაც მთავარია — გული ევსება კანონიერი, სიამაყით, რომ ჩვენს ხალხს ზნეობრივი სიმაღლე და სიფხიზლე არ დაუკარგავს. ერთიც! რა მძიმე, გულისამრევ ამბებსაც არ უნდა გვიყვებოდეს კარლო კობერიძე, მას არასოდეს სტოვებს იუმორის გრძნობა; თანაც ნამდვილი ხალხური, ჯანსაღი იუმორისა, რომელიც უმალ გადაგვედებათ ხოლმე. შეგიძლიათ ხელში აიღოთ მისი ნებისმიერი წიგნი, თუნდაც ალალბედზე გადაშალოთ იგი და შეუძლებელია რაიმე ღიმილის მომგვრელსაც არ წააწყდეთ. შემიძლია მკითხველი პატიოსნად დავარწმუნო, რომ ეს ადგილიც ერთ-ერთი მოთხრობიდან, ცოტა ზემოთ ნათქვამის საილუსტრაციოდ რომ მომყავს, ამ უბრალო ხერხით არის ნაპოვნი. იმასაც დავძენ, რომ ეს პატარა ნაწარმოები არც კი მახსოვდა, მაგრამ როცა გადავიკითხე, აღმოჩნდა, რომ უმნიშვნელო ხუმრობაც არ ყოფილა.

თითქოს და რა ხუმრობის გუნებაზე უნდა იყოს დიდ ქალაქში ვილაცასთან სამადლოდ მიკედლებული, სტუდენტურ დიეტაზე ხანგრძლივი ყოფნით დასუსტებული, ლოგინზე სიცხით მისავათებული ახალგაზრდა კაცი, რომელსაც მეორე დღეს პირში ნაწილი რომ ნაწილია, ისიც არ ჩასვლია. მაგრამ დააკვირდით, რა ორგანულად შემოდის დამაღონებელი შინაარსის მოთხრობის ქსოვილში იუმორისტული პასაჟი:

„რაღაც გაზრიალდა იატაკზე. გვერდი შევიცვალე, ვხედავ: მაგიდის ქვეშ თაგვი დაყუნცულა და მიყურებს. წინ პურის ლუკმა უდევს. საინტერესოა, სად იპოვა?!

სუნთქვას ვიჩერებ — ვნახოთ ერთი, რას იზამს!

ერთხანს მიყურა, მიყურა და, რაკი არ გავინძერი, აქეთ-იქიდან დაიწყო ტრიალი.

აქამდე მიყუჩებულმა შიმშილმა თავი შემახსენა.

წიგნს დავწვდი, მაგრამ არც ისეთი მიუხვედრელი გამოდგა — ტახტქვეშ შეძვრა.

წიგნი სკამზე დავდე, თუ კიდევ გამოცუნცულდა, გამომადგება.

და ჯერ ზეწარქვეშ ხელებიც არ შემიყვია, ის უკვე მაგიდის ქვეშ ზის. ძაან შინაურულად იქცევა, ზედაც არ მიყურებს.

რამხელა მუცელი აქვს, ამ შეჩვენებულს, რა ჭამა ამდენი! შეიძლება მაკეა. რას არ იფიქრებს ადამიანი, ღმერთო!

წიგნისაკენ მივაპარებ ხელს. თუ გავაგორე, რა გავახარებ რა მქვია, აი იმას, სათავგურები რომ მომიტანა და გამახარა.

ისევ მოძურწა თაგვმა, მეც „განაზომთა ალბათობის თეორია" ისევ სკამზე დავდე.

ეს წიგნი რომ იმ თაგვს მოხვდეს, ყველაზე

დიდი მაწილი კუდილა დარჩება; თუმცა კუდს უთვლიან თაგვად. წელან მეუბნებოდა (ხანეპიდემიური სადგურის მუშაკი, ხათაგურები რომ მოუტანა — ი.რ.), თაგვიც ფული ღირსო. ნეტავ რა ღირს ერთი თაგვი?..

გადამრევს, ეს ოხერი! ისევ გამომძვრალა და გულისგამაწვრილებლად ახრამუნებს ხმელ პურს! რა ვქნა, ავდგე და ცივ წყალში ჩავუბუჟბუჟო!

— კარგი რა, მომასვენე, კაცო, კაცო თუ ქალო, ბოლოს და ბოლოს სტუმარს სტუმრობა უნდა ეტყობოდეს თუ არა! არ შეგიძლია, უხმაუროდ სჭამო, შე მკვდარძაღლო! — რაც მართალია მართალია, ხმამაღლა მომივიდა.

— რა შენი საქმეა, მე როგორ ვჭამ! — ამიყვირდა თებრონე, მეზობელი, — ჩემს სახლში ვარ და, როგორც მინდა ისე ვჭამ! გაგონილა, ისე ჭამე, მე არ გავიგონო? ვინ გაძალებს, გინდა თუ არა გაიგონე.

ვაი ჩემს დღეს — გაალევიძა მთელი ეზო!.."

მერედა რა ერთმანეთზე კეთილნი, ადამიანურნი აღმოჩნდნენ ეს ბუზღუნა ქალი თებრონე და ის ახალგაზრდა კაციც, ხანეპიდსადგურიდან. თავადაც სტუდენტი გამოდგა დაუსწრებელი განყოფილებისა. ცოტა ხანში პურმარილითა და შამპანურის ბოთლით მოადგა ცუდ დღეში ჩავარდნილ კლასობრივ ძმას...

და, ბოლოს, ცოტა რამ მწერლის ენის შესახებ.

კარლო კობერიძის გმირები მეტად ენაწყლიანები გახლავან, გასაოცარი ხატოვნებითა და განუმეორებელი ლექსიკით მეტყველებენ. მწერალი ძარღვიან და მადლიან კახურ დიალექტს ეყრდნობა, საერთოდ, რაკი სიტყვამ მოიტანა, იმასაც ვიტყვით აქვე: ამ დიალექტის სიმდიდრის, მოქნილობისა და პოლიფონიურობის სრულად გამოვლენა, პროფესიული ლიტერატურული მოდიფიკაცია არსებითად ჩვენს დროში მოხდა. ამ მხრივ განსაკუთრებულია გიორგი ლეონიძისა და გიორგი ნატროშვილის, რევაზ ინანიშვილისა და ლადო მრელაშვილის ღვაწლი. კარლო კობერიძეც მათ რიგში უნდა მოვიხსენიოთ. თანაც მეტად თავისებურად იყენებს ამ სიმდიდრეს, შედარებისათვის!

რევაზ ინანიშვილის გმირები თავიანთ ხულიერ განცდებს გულიდან გამოწურული მოკლე ფრაზებით გვიზიარებენ. მისი ქართულის ჭავლი ყოველთვის კამკამაა და მოელვარე, თითქოს ეს-ესაა მწერალმა თქვენს თვალწინ ძარღვი გაუხსნა წყაროს. ქართული სიტყვის მადლი ლერწმის წკირით აიაზმასავით გვასხურა და თავისი მზრუნველი ხელით ისევ საკუთარი გზით გაუშვა, რათა ზედმეტად და ფუჭად არ შემომეხარჯოსო.

კარლო კობერიძის ქართული მჩრალ ხევში ერთბაშად მოვარდნილ, აბობოქრებულ გაზაფხულის ნიაღვარს ჰგავს, რომლის კალაპოტში ჩატევა ჭირს. მაგრამ ძალოვანი და გულის გამხარებელი კია თავისი ლაღი, თავაწყვეტილი დინებით. იქნებ ამის ბრალიცაა იყოს, მწერლის მოთხრობების უხილავი კარკასი რამდენადმე ჰიპერტროფირებულ შთაბეჭდილებასაც რომ სტოვებს და ყოველთვის არც მკაცრ შეთანაწყობას რომ არ ემორჩილება. დიდ ცოდვად ნუ ჩავუთვლით! რა გაეწყობა, ღმერთს მისთვის უშურველად მიუნიჭებია სიტყვის ბარაქა და მწერალიც კახური გულუხვობით იხარჯება.

კარლო კობერიძე მეტად პროდუქტიული მწერალი გახლავთ. ბევრი რამის გაკეთებაც მოასწრო უკვე, მაგრამ პროფესიულ კრიტიკას ყურადღებით არასოდეს გაუნებივრებია. არც მისი დაბადების რომელიმე მრგვალი თარიღი აღუნიშნავს პრესას, ჩვეულებრივი მიღებული და დამკვიდრებული ტრადიციის მიხედვით. ამისთვის ვერავის დავადანაშაულებთ. თვით მწერალმა ისურვა ასე, პრინციპულად. არა გვგონია, ამას გამომწვევობით აკეთებდეს, ან ყალბი თავმდაბლობით. კარლო კობერიძემაც შესანიშნავად უწყის, რომ ყოველ შემოქმედს სჭირდება და გულშიც სიამოვნებს ხოლმე, როცა მისი დიდი თუ მცირე ღვაწლისადმი საზოგადოება გარკვეულ ყურადღებას იჩენს. მაშ რაშია საქმე?! უბრალოდ, ისეთი ბუნების კაცი გახლავთ, ხელ რომ უშურველად იხარჯება და თვალი მხოლოდ წინ სავალ გზაზე უჭირავს.

ჩვენც ისლა დაგვრჩენია, ახალი მოლოდინითა და იმედით ალვივსოთ.

**ჩვენი მისამართი:** თბილისი, 380026, ხიდის ქ. № 1. ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81; მთავარი რედაქტორის მოადგილე — 98-64-40; პასუხისმგებელი მდივანი — 98-64-88. განყოფილებები: 98-86-48, 99-84-40; საკორექტორო — 98-84-88.

გადაეცა ასაწყობად 31.05.91 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 19.08.91 წ., ქაღალდის ზომა $70 \times 108^{1}/_{16}$; ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. საღებ. საგ. თაბახი 15,85. შეკვეთა 1100. ტირაჟი 30.000.

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „სამშობლოს სტამბა, 380009, თბილისი, მ. კოსტავას, 14

Типография Грузинского журнально-газетного издательства «Самшобло», 380009, Тбилиси, ул. М. Костава, 14

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 1 მან. 20 კაპ. ინდექსი 76286

29